საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.ge

№26 (355)

13 – 19 ივლისი, 2016

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

gazeti@inbox.ru



2 თამაზ მეჭიაური:

სია არ იქნება ერთი კაცის მიერ შედგენილი, ზოგი ერთი კაცის მიერ იქნება ჩასმული, ზოგი – მეორის, ზოგი – ელჩის მიერ

# გაიძურწნენ



არა მხოლოდ ხიდაშელმა და ზაქარეიშვილმა, არამედ ყველა რესპუბლიკელმა უნდა დატოვოს სახელისუფლებო სტრუქტურები განურჩევლად თანამდებობისა – ყოფილი რესპუბლიკელი ხომ, როგორც ასეთი, არ არსებობს?! 2



## «სააკაშვილს მხოლოდ სამარე თუ გაასწორებს და ეს სამარე ქართველმა ხალხმა უნდა გათხაროს მომავალ არჩევნებში...» 5

„საზოგადოებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ბოკერიასნაირ ადამიანებს. ეს აუცილებელია, რათა სააკაშვილს, მერაბიშვილსა და მათნაირ კრიმინალებს პოლიტიკური დევნილის სტატუსი არ მიეცეთ“

## «აშშ-ს სახელმწიფო მდივნმა თავისი ჩამოსვლით გვითხრა – არ გაბედოთ, ლიბერალური ძალები პარლამენტს გარეთ დატოვოთო» 8

# ოღრაშები და «ქერის ორმო»







როგორც თავის დროზე «ციცას ეფერებოდა ლუი მეთოთხმეტე და საქართველო ფეხზე ეკიდა», ჯონ ქერიც თანამედროვე ციცების – პოლიტიკური ოღრაშების მოსაფერებლად ჩამობრძანდა საქართველოში 9

# «ეს მხოლოდ დასაწყისია»



«16 წელია, იტალიაში ვცხოვრობ და ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება უცხოელების მიმართ, როგორც ბოლო ორი წლის განმავლობაშია, არ შემიმჩნევია»

## «რუსეთი ძლიერდება, ამას ყველა ხედავს, გარდა იმ ადამიანებისა, რომლებიც ოკეანისგაღმიდან იკვებებიან» 7

„ქვეყანაში სპეციალურად არის შექმნილი ხელისუფლების სატელიტი პარტიები, რათა მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობის აღდგენის მსურველთა ხმები დაიყოს, დაიქსაქსოს...“

## «ფულით არჩევნებს ვერ მოიგებენ, იმიტომ, რომ ფულით ბიძინას ვერ აჯობებენ» 6

## «ჩვენს «სტრატეგიულ პარტნიორს» ურჩევნია, საქართველოში ჰყავდეს არა ახალწვეულები, არამედ კონტრაქტორი ჯარისკაცები, რომლებსაც უფრო მარტივად მართავს» 12



ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რესპუბლიკელები ხელისუფლების თითქმის ყველა რგოლში წამყვან თანამდებობაზე იყვნენ (ნაწილი ახლაც არის), ქვეყანას, ფაქტობრივად, ისინი მართავდნენ და არა — „ქართული ოცნება“. და ეს, როცა ამომრჩეველს ხმა არასოდეს მიუცია რესპუბლიკელებისთვის, და მათი რეიტინგი 2-3%-ს არასოდეს ასცდენია, რადგან ყოველთვის მიუღებელნი იყვნენ ქართველი ხალხის დიდი ნაწილისთვის.**



## თამაზ მეჭიაური:

## სია არ იქნება ერთი კაცის მიერ შედგენილი, ზოგი ერთი კაცის მიერ იქნება ჩასმული, ზოგი - მეორის, ზოგი — ელჩის მიერ

**პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაურმა განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ „რესპუბლიკური პარტიის“ გავლენის ქვეშ ყოფნამ დააზიანა.**

„როდესაც მოხდა დაპირისპირება ჩემსა და რესპუბლიკურ პარტიის ზოგიერთ წევრ შორის, თუნდაც თავდაცვის მინისტ თინა ხიდაშელთან, პრემიერმა მისი პოზიცია დაიჭირა, ასე რომ, მენტალურად ბატონი პრემიერი აბსოლუტურად თანამოაზრეა „რესპუბლიკური პარტიისა“, ის უფრო მეტადაც კი იყო დამოკიდებული, ვიდრე მისი თანამდებობა ამის საშუალებას აძლევდა“, — განაცხადა მეჭიაურმა. მისივე თქმით, „ქართული ოცნებიდან“ „რესპუბლიკელების“ წასვლა ფიქტიურ განქორწინებას ჰგავს: „უბრალოდ, „რესპუბლიკური პარტიის“ გავლენის ქვეშ ყოფნამ ისე დააზიანა „ქართული ოცნება“, რომ ახლა იძულებული შეიქნა, ფიქტიური განქორწინების მსგავსი რამ გაეფორმებინა. სულ რაღაც, 2-3 დღის წინათ ერთად მოაწერეს ხელი მემორანდუმს თუ რეზოლუციას, რომელიც კიდევ ერთხელ უმტკიცებდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნატოს ერთგულებას, იქ ერთად იყო თავმოყრილი ბუკეტი, როგორც ხელისუფლების ისე ოპოზიციური პარტიების და უმაღლესი თანამდებობრივი პირებისა, ამით ყველაფერი ნათქვამი იყო. ყველა ეს პოლიტიკური ძალა არის ერთი და იგივე, მხოლოდ გაყოფილები არიან მოსახლეობის შეცდომაში შესაყვანად“.

თამაზ მეჭიაურმა კომენტარი გააკეთა „ქართული ოცნების“ სიაზეც: „ქართული ოცნების“ სია იქნება ჭრელი. არა მგონია, სია ისეთი იყოს, მოსახლეობის აბსოლუტური მხარდაჭერა მოიპოვოს. სია არ იქნება ერთი კაცის მიერ შედგენილი, ზოგი ერთი კაცის მიერ იქნება ჩასმული, ზოგი — მეორის, ზოგი — ელჩის *(იგულისხმება აშშ-ის ელჩი საქართველოში. რედ.)* მიერ. არ გამოვრიცხავ, რომ ამ სიაში ბევრი ისეთი პიროვნება ვიხილოთ, რომელიც არ გაკარებია „ოცნებას“, ვიდრე ხელისუფლებაში მოვიდოდა“, — განაცხადა მეჭიაურმა.

## პროკურატურა «ცენტრ პოინტის» საქმეზე ბრალდებული პირებისთვის პატიმრობის შეფარდებას ითხოვს

**„ცენტრ პოინტის“ საქმეზე ბრალდებული 4 პირისთვის მთავარი პროკურატურა პატიმრობის შეფარდებას ითხოვს — ამ შუამდგომლობით მიმართა პროკურორმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს 12 ივლისს გამართულ სასამართლო პროცესზე.** როგორც პროკურორმა აღნიშნა, არსებობს ბრალდებულების მიერ მოწმეებზე ზეწოლისა და მათთან ფარულ გარიგებაში შესვლის, აგრეთვე, მტკიცებულებების მოპოვებისთვის ხელის შეშლის ან მათი განადგურების მცდელობის საფრთხე. „ცენტრ პოინტის“ საქმეში ბრალდებულია 4 პირი — **მაია რჩეულიშვილი, გუკა რჩეულიშვილი, „ცენტრ პოინტ აჭარის“ დირექტორი ირაკლი მინდელი და გაყიდვის მენეჯერი სალომე ჩარკვიანი.** მინდელი და ჩარკვიანი დაკავებულები არიან.

# გაიძურწნენ

**12 ივლისს, საპარლამენტო არჩევნებამდე 3 თვით ადრე, რესპუბლიკური პარტიის 2 წარმომადგენელმა — თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა — პოსტის დატოვების შესახებ განაცხადა. კიდევ ერთმა რესპუბლიკელმა — გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა კი თვითონ რესპუბლიკური პარტია დატოვა და „ქართულ ოცნებაში“ გადაბარგდა.**





## არა მხოლოდ ხიდაშელმა და ზაქარეიშვილმა, არამედ ყველა რესპუბლიკელმა უნდა დატოვოს სახელისუფლებო სტრუქტურები განურჩევლად თანამდებობისა — ყოფილი რესპუბლიკელი ხომ, როგორც ასეთი, არ არსებობს?!

რესპუბლიკური პარტია დაარსების დღიდანვე ახერხებდა, ოპოზიციური სეგმენტის დაკავებას ქართულ პოლიტიკურ სპექტრში. ასე იყო **ზვიად გამსახურდიას** მმართველობის პერიოდში, შემდეგ — **შევარდნაძის** ზეობის ხანაში, **სააკაშვილის** 9-წლიანი რეჟიმის პერიოდში... არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ რესპუბლიკური პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ შემქმნელი ერთ-ერთი სუბიექტია და დიდი წვლილი მიუძღვის 2003 წლის „ვარდების რევოლუციაში“, რომლის შედეგადაც სააკაშვილის რეჟიმი 9 წლის განმავლობაში კლავდა-არბევდა საქართველოს მოსახლეობას და ზნეობრივად და მატერიალურად აპარტახებდა ქვეყანას.

**2012 წელს რესპუბლიკელები ბიძინა ივანიშვილს დაუახლოვდნენ და მილიარდერმაც, ქართველი ხალხის დიდი ნაწილისთვის საძულველი რესპუბლიკელები, რომლებიც არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის შემთხვევაში საარჩევნო ბარიერს ვერ გადალახავდნენ, რადგან მათი რეიტინგი მხოლოდ 2-3% იყო, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შეიყვანა და ამით გზა გაუხსნა სახელისუფლებო ეშელონებისკენ. უფრო მეტიც — რესპუბლიკური პარტიის წევრები ასეთი რაოდენობით, როგორც ამჟამად არიან, ხელისუფლებაში არასოდეს ყოფილან:**

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **დავით უსუფაშვილი** პარლამენტის თავმჯდომარეა (ჯერაც), მისი მეუღლე **თინა ხიდაშელი**, აშშ-ის ყოფილი ელჩის — რიჩარდ ნორლანდის ბიძინა ივანიშვილთან „ყავის დასალევად“ სტუმრობის შემდეგ, თავდაცვის მინისტრის სავარძელში ჩაასკუპეს.

**პაატა ზაქარეიშვილი** — ეს გაურკვევლად მოლაპარაკე კაცი, რაღაც მანქანებით სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი იყო ამა წლის 12 ივლისამდე.

**გიგლა აგულაშვილი** — გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრია, რომელმაც თანამდებობის შესანარჩუნებლად, უარი თქვა რესპუბლიკური პარტიის წევრობაზე და „ქართული ოცნების“ ნავში გადახტა.

**ირინე იმერლიშვილი** — ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი.

**ნინო გვენეტაძე** — საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

პარლამენტში კი რესპუბლიკელებს 10-კაციანი ფრაქცია აქვთ შექმნილი (პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილთან ერთად):

**დავით** (ფრაქციის თავმჯდომარე) და **ლევან ბერძენიშვილები, თამარ კორძაია, ნოდარ ებანოიძე, თეიმურაზ ნერგაძე, ფრიდონ საყვარელიძე, მალხაზ წერეთელი, თამარ ხიდაშელი** (რომელიც არჩევნების ფალსიფიკაციით გაიყვანა დეპუტატად თინა ხიდაშელმა), **ვახტანგ ხმალაძე** და **დავით უსუფაშვილი.**

ამათ გარდა, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რესპუბლიკელია სამთავრობო სტრუქტურებში შეყუჟული და იქიდან ებრძვის ქართულ სახელმწიფოს ისევე, როგორც ძმები ბერძენიშვილები — დიდ ქართველ მწერლებსა და ყოველივე ქართულს?

ალსანიშნავია, რომ **რესპუბლიკელთა უმრავლესობა ამერიკული გრანტებით ნაკვები ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების ყოფილი წევრები არიან, ზოგი — სოროსის ფონდის, ზოგი — ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის. რესპუბლიკური პარტიის წევრები — ესენი არიან „ნაცმოძრაობის“ სატელიტები, კრავის ქურქში გახვეული აშშ-ის ინტერესების გამტარებელი მსტოვრები, რომლებიც ებრძვიან ყოველივე ქართულს, მართლმადიდებლობას, ყველაფერს, რამაც აქამდე მოიყვანა ქართველი ერი.**

რად ღირს თუნდაც ე.წ. თავდაცვის მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლის, **თინა ხიდაშელის** განცხადება, ჩემს შვილს ვერ მოვთხოვ, სამშობლოს დასაცავად ჯარში წავიდესო. ეს ის ქალბატონია, რომელიც საქართველოს თავდაცვის მინისტრის სავარძელში ამერიკელთა ძალისხმევით მოკალათდა და საქართველოს საქაჯეთს უწოდებს.

ანტიდისკრიმინაციული კანონის ერთ-ერთმა ავტორმა **თამარ კორძაიამ** კი, მას შემდეგ, რაც **ჯონ ქერი** მსოფლიოს ყველა ქვეყანას დაემუქრა ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებით, ოკეანისგაღმელ პატრონს კვერი დაუკრა, — „ეს ადამიანის უფლებების სფეროში წინ გადადგმული ნაბიჯია“-ო.

მოკლედ, **რესპუბლიკელები ხელისუფლების თითქმის ყველა რგოლში წამყვან თანამდებობაზე იყვნენ (ნაწილი ახლაც არის), ქვეყანას, ფაქტობრივად, ისინი მართავდნენ და არა — „ქართული ოცნება“.**

**და ეს, როცა ამომრჩეველს ხმა არასოდეს მიუცია რესპუბლიკელებისთვის, და მათი რეიტინგი 2-3%-ს არასოდეს ასცდენია, რადგან ყოველთვის მიუღებელნი იყვნენ ქართველი ხალხის დიდი ნაწილისთვის.**

ახლა კი, ამ ეტაპზე, ამერიკელების დავალებები (რუსეთის გამაღიზიანებელი ნაბიჯების გადადგმა: ნატოს საწვრთნელი ცენტრის შექმნა საქართველოში, ბიოლაბორატორიის ამუშავება, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგებაზე ლაპარაკი, ორიოდე ამერიკული ტანკის — „აბრამსის“ შემოყვანა, ანტიდისკრიმინაციული კანონის დამტკიცება, ლგბტ-თემის მხარდაჭერა) პირნათლად რომ შეასრულეს, არჩევნებამდე 3 თვით ადრე, თანამდებობებიდან გაიძურწნენ. თუმცა, ამერიკელთა დახმარებით კვლავ აპირებენ ხელისუფლებაში დაბრუნებას, რათა მეტი შემართებით განაგრძონ ქართული სახელმწიფოს ნგრევა.

სწორედ ამიტომ, **არა მხოლოდ ხიდაშელმა და ზაქარეიშვილმა, არამედ ყველა რესპუბლიკელმა უნდა დატოვოს სახელისუფლებო სტრუქტურები განურჩევლად თანამდებობისა — ყოფილი რესპუბლიკელი ხომ, როგორც ასეთი, არ არსებობს?!**

ქართველმა ხალხმა კი მომავალ არჩევნებში საბოლოო განაჩენი უნდა გამოუტანოს რესპუბლიკურ პარტიას და პოლიტიკურ სანაგვეზე მოისროლოს.

**გიორგი გაჩეჩილაძე**

**P.S.** **მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, თინა ხიდაშელი თავდაცვის მინისტრის პოსტს აშშ-ში ვიზიტის შემდეგ დატოვებს. „თავდაცვის სამინისტროში არის რამდენიმე ძალიან სასწრაფოდ დასასრულებელი ღონისძიება, რომელსაც ახლა გადაბარების რეჟიმი შეუშლის ხელს. მათ შორის ერთ-ერთი არის რამდენიმე დღის წინათ თბილისში გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ივლისის შუა რიცხვებში აშშ-ში დაგეგმილი ამ მემორანდუმის შესაბამის გეგმაზე მუშაობა, ამიტომ ახლა ამერიკაში გავემგზავრები, ამ პროცესს დავასრულებ და იქიდან დაბრუნების შემდეგ კონკრეტულ რიცხვზე შევთანხმდებით. არასოდეს მივცემ ჩემს თავს უფლებას, შუაში მივატოვო პროცესი, რომლის წარმატებისთვისაც მთელი წლის განმავლობაში ვიბრძოდი.“ — განაცხადა ხიდაშელმა.**

**როგორც ჩანს, ხიდაშელი მაინც ვერ ელევა თანამდებობას, ყოველ შემთხვევაში იქამდე, ვიდრე ამერიკელებისგან აშშ-ის ინტერესების გასატარებელ და საქართველოს საზიანო საბოლოო ინსტრუქციას არ მიიღებს.**

# „სანამ პარლამენტში ერთნაირსქესიანთა წყვილებისთვის კანონს ილებდნენ, ქუჩაში ლგბტ-აქტივისტები აქციას მართავდნენ ბანერებით — „ეს მხოლოდ დასაწყისია“.

შორია გურჯისტანამდე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




## გერმანიის დაზვერვა ევროკავშირის ქვეყნებისა და ნატოს ხელმძღვანელების სატელეფონო საუბრებს უსმენდა

**„მასშტაბური ჯაშუშობა, რომელსაც 2013 წლის ოქტომბრამდე ეწეოდა გერმანიის სადაზვერვო სამსახური BND (Bundesnachrichtendiens — გერმანიის ფედერალური სადაზვერვო სამსახური) მეგობარი ქვეყნების მიმართ, დიპლომატიურ სირთულეებს შეუქმნის გფრ-ის მთავრობას“, — იუწყება „დოიჩე ველე“.**

„გერმანიის სადაზვერვო სამსახური უსმენდა ევროკავშირის ქვეყნების მთავრობებსა და ნატოს ხელმძღვანელობას“, — წერს სააგენტო dpa, 11 ივლისს გამოქვეყნებულ წერილში, რომელშიც მოჰყავს მონაცემები სპეცსამსახურების მუშაობის მაკონტროლებელი სახელმწიფო კომიტეტის დასკვნიდან.

BND უთვალთვალებდა და უსმენდა ქვეყნების მეთაურებს, მინისტრებსა და მათ გარემოცვას, ანუ პრეზიდენტებს, შტაბებსა და კანცელარიებს, აგრეთვე, სამხედრო ობიექტებს. განსაკუთრებით ინტენსიურად უთვალთვალებდნენ ევროკავშირისა და ნატოს დიპლომატიურ წარმომადგენლებს — გერმანული სადაზვერვო სამსახური ევროკავშირთან და ნატოსთან დაკავშირებულ 3300 ობიექტს უსმენდა და უთვალთვალებდა 2013 წლამდე. ამასთანავე, უსმენდნენ ათეულობით არასამთავრობო და ბიზნესორგანიზაციას.

ეს ინფორმაცია, როგორც ჩანს, დიპლომატიურ პრობლემებს შეუქმნის კანცლერ ანგელა მერკელის მთავრობას, რომელსაც „ბრექსიტის“ ფონზე ძალიან სჭირდება ევროკავშირის ქვეყნებთან პარტნიორული ურთიერთობა.



## წმინდა სოფია კონსტანტინოპოლელის ტაძარი კვლავ აქციეს მეჩეთად

**„სტამბოლში წმინდა სოფია კონსტანტინოპოლელის ტაძარში რამდენიმე დღის წინათ კვლავ გაისმა მუეძინის მოწოდება ლოცვისკენ. ეს პირველად მოხდა ბოლო 85 წლის განმავლობაში. აქამდე ყოფილი ქრისტიანული ტაძარი მუზეუმად იყო ქცეული“, — წერს თურქული გაზეთი Hurriyet Daily News-ი.**

აია-სოფიადან ლოცვებისკენ მოწოდების ტრანსლირება, რომელიც კვლავ მოეწყო 2016 წლის 2 ივლისს, მიმომხილველთა აზრით, თურქ საზოგადოებაში კვლავ გამოიწვევს კამათს შენობის მეჩეთად გამოყენების შესახებ, რომელიც 1935 წელს ქემალ ათათურქის მმართველობის პერიოდში მუზეუმად იქცა. ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანე I მიერ 537 წელს აშენებული მართლმადიდებლური ბაზილიკა თურქეთის სულთნის, მეხმედ II ფათაჰის მიერ 1453 წელს კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ მეჩეთად გადაკეთდა.

ბოლო წლებში ხშირად გაისმოდა მოწოდება წმინდა სოფიის ტაძრის მუსლიმანური თემისთვის დაბრუნებისა და მისი, როგორც მეჩეთის გამოყენებისკენ. ამა წლის ივნისში საბერძნეთის მთავრობამ გამოხატა პროტესტი ისლამური დღესასწაულის — რამადანის პერიოდში აია-სოფიაში ყურანის წაკითხვის გამო. მაგრამ ამ კრიტიკას თურქეთის საგარეო საქმეთა უწყებამ „დაუშვებელი“ უწოდა.

# «16 წელია, იტალიაში ვცხოვრობ და ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება უცხოელების მიმართ, როგორც ბოლო ორი წლის განმავლობაშია, არ შემიმჩნევია»

**44 წლის ლელა ხორიაული პროფესიით ექიმი-კარდიოლოგი და გენეტიკოსია. ცხოვრობს იტალიის ქალაქ პავიაში. მუშაობს პავიის უნივერსიტეტის ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის დეპარტამენტის მეცნიერ-თანამშრომლად.**



**— ქალბატონო ლელა, რატომ წახვედით საქართველოდან?**

— საქართველოდან 2000 წელს წამოვედი სწავლის გასაგრძელებლად. საერთაშორისო ორგანიზაცია ICGEB (International Centre for Genetic Engineering and Biotechnology – გენეტიკური ინჟინერიისა და ბიოტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრი)-ის ორწლიანი სტიპენდიით. ამ სტიპენდიით სარგებლობის საშუალება მხოლოდ სამ ქართველს მოგვეცა: მე, **სოლომონ ნერგაძესა** და **ნინო ყოჩიაშვილს.** მე და სოლომონი ამჟამად ერთ დეპარტამენტში ვმუშაობთ, ნინო კი საქართველოში დაბრუნდა და წარმატებული კარიერა აქვს.

დასანანი არის ის, რომ, ჩვენ გარდა, ამ სტიპენდიით ვერავინ ისარგებლა. 2000 წლიდან მოყოლებული მე, სოლომონმა და ნინომ არაერთხელ მივმართეთ საქართველოს ხელისუფლებას, საქართველო გაწევრებულიყო ICGEB-ში, წევრობის წლიური გადასახადი ქვეყნისთვის **სიმბოლური თანხა იყო — 5000 ევრო, მაგრამ პასუხი ყოველთვის ერთი და იგივე იყო — „დღეს საქართველოს არ აქვს საშუალება, ეს თანხა გადაიხადოს“. ასე დაკარგა საქართველომ შანსი, რომელიც ქართველ ახალგაზრდებს საშუალებას მისცემდა, ევროპაში გაეგრძელებინათ სწავლა ორი წლით და გამოცდილება მიეღოთ. ხელისუფლება, რომელიც განათლებისა და მეცნიერების წინსვლაში არ დებს თანხებს, განწირულია.** როდესაც იტალიაში ჩამოვედი, არ ვფიქრობდი აქ დარჩენას, წამოსვლიდან სამ თვეში პავიის უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი გენეტიკის დარგში. შემდეგ ჩემი მომავალი მეუღლე გავიცანი და ასე დავრჩი იტალიაში. მეუღლე იტალიელია, გვყავს ორი ვაჟი — 10 და 6 წლის, რომლებიც ამჟამად საქართველოში იმყოფებიან საზაფხულო არდადეგებზე.

**— ქართველები კვლავ მიისწრაფვიან ევროპისკენ, თუმცა მათი იმედი ხშირად არ მართლდება, ვერ საქმდებიან ან ვერ იღებენ შესაბამის ანაზღაურებას. ცდილობენ თავის დამკვიდრებას უცხო ქვეყნის მიწაზე, მაგრამ მაინც უწევთ ხოლმე სამშობლოში დაბრუნება. რა სიტუაციაა იტალიაში, როგორი ხელისუფლება ჰყავს ქვეყანას და როგორია ცხოვრების პირობები?**

— ქართველების გარკვეული ნაწილის ევროპისკენ სწრაფვის მიზეზი ზოგჯერ სწავლის გაგრძელების სურვილია, ზოგჯერ კი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მცდელობა. ამჟამად იტალიაში მძიმე მდგომარეობაა. ბოლო წლებში ბევრი იტალიელი დარჩა უმუშევარი და, აქედან გამომდინარე, საშუალო ფენის წარმომადგენლებისთვის რთული შეიქნა თვიდან თვემდე თავის გატანა. როგორც მოგახსენეთ, უნივერსიტეტში ვმუშაობ და მჭიდრო კავშირი მაქვს სტუდენტებთან. იტალიელი ახალგაზრდების უმრავლესობა ცდილობს, დატოვოს იტალია და სამუშაოდ საზღვარგარეთ წავიდეს.

**— საქართველოში წინასაარჩევნო პერიოდია. იტალიაში მცხოვრები ქართველები ჩართულები თუ ხართ საქართველოს შიგა პოლიტიკურ ცხოვრებაში?**

— თუ ადამიანი არ ცხოვრობს ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრებით, არ უნდა იმსჯელოს და ჩაერიოს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ჩვენ ხომ ისე ვართ, როგორც გარედან მაყურებლები — ვისმენთ იმას, რასაც ტელევიზორში ამბობენ, რასაც ჟურნალ-გაზეთები წერენ და რასაც ნათესავები გვეუბნებიან, რეალურად ჩვენ ობიექტურები ვერ ვიქნებით. ერთადერთი ქართველი პოლიტიკოსი, რომელსაც ვიცნობ და დიდ პატივს ვცემ ბატონი **თამაზ მეჭიაურია.** თვალს ვადევნებ მის პოლიტიკურ მოღვაწეობას.

**— ევროპას ახლო აღმოსავლეთიდან ლტოლვილების ნაკადი მიაწყდა. გაეროს მონაცემებით, წლის დასაწყისიდან ევროკავშირის საზღვრები 350 ათასმა ლტოლვილმა გადალახა, მათგან 235 ათასი საბერძნეთში შევიდა, 115 ათასი — იტალიაში. როგორ შეხვდნენ იტალიელები ლტოლვილების შემოსვლას?**

— ლტოლვილების უმრავლესობა იტალიაში იმისთვის შემოდის, რომ გადავიდეს ევროპის სხვა ქვეყანაში. ბოლო წლების განმავლობაში ძალიან ბევრი ლტოლვილი შემოვიდა და იტალიას უჭირს მათი გადანაწილება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ზოგიერთმა ქვეყანამ საზღვრები ჩაკეტა. დიდმა ბრიტანეთმა საერთოდ უარი თქვა კვოტებზე, საკუთარ ტერიტორიაზე მხოლოდ 216 ლტოლვილი მიიღო და ძალისხმევა თურქეთსა და იორდანიაში მყოფი მიგრანტების დახმარებისკენ მიმართა. დუბლინის შეთანხმების თანახმად, რომელიც ევროკავშირის ყველა სახელმწიფოს მიერაა ხელმოწერილი, ლტოლვილები ვალდებულები არიან, თავშესაფრის სათხოვნელად ევროკავშირის იმ ქვეყანას მიმართონ, რომელშიც პირველად აღმოჩნდებიან. ამ კანონის დარღვევისთვის არალეგალს იმ ქვეყანაში აბრუნებენ, რომელმაც ის გაუშვა. **16 წელია, იტალიაში ვცხოვრობ და ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება უცხოელების მიმართ, როგორც ბოლო ორი წლის განმავლობაშია, არ შემიმჩნევია.** მე ჩემს თავზე არ ვლაპარაკობ, უნივერსიტეტში ბევრი უცხოელია და პატივისცემით გვეპყრობიან, ვგულისხმობ იმ ემიგრანტებს, რომლებსაც ჩვენნაირად არ გაუმართლა.

**ქართველები ფიზიკურად თითქმის არ განვსხვავდებით იტალიელებისგან და, ალბათ, ესეც არის იმის მიზეზი, რომ ქუჩაში უცხოელებად არ მიგვიჩნევენ და ჩვენ მიმართ აგრესიას არ გამოხატავენ,** ისინი კი, ვისაც ეტყობა, რომ უცხოელია, იტალიელების გარკვეულ ნაწილში აგრესიას იწვევს, თუმცა, საბედნიეროდ, ეს ნაწილი პროცენტულად ძალიან დაბალია.

**— რამდენიმე თვის წინათ იტალიის სენატმა ერთნაირსქესიანთა ქორწინება დააკანონა. როგორ შეხვდა იტალიის მოსახლეობა ამ გადაწყვეტილებას?**

— იტალიის პარლამენტმა მიიღო მთავრობის ინიციატივა და ერთნაირსქესიანთა სამოქალაქო ქორწინებას მხარი დაუჭირა. გეი-წყვილებს უფლება აქვთ, გაიზიარონ გვარი, განკარგონ პარტნიორის პენსია გარდაცვალების შემთხვევაში და ერთმანეთის ქონება ზუსტად ისე, როგორც ეს ყველა სხვა დაქორწინებულ წყვილს შორის ხდება. დაუქორწინებელმა გეიწყვილებმა მიიღეს უფლება, რომ ავად გახდომის, სიკვდილის ან დაპატიმრების შემთხვევაში, ერთმანეთისთვის ყველაზე ახლობელ პირებად იყვნენ მიჩნეულნი. შვილად აყვანის საკითხი ყველაზე სადავო იყო კანონპროექტში, რადგან აღშფოთებას იწვევს კონსერვატორებსა და კათოლიკებში. მათი თქმით, ეს ხელს შეუწყობს სუროგაციის ლეგალიზებას, რაც ამჟამად იტალიაში არაკანონიერია. **სანამ პარლამენტში ერთნაირსქესიანთა წყვილებისთვის კანონს ილებდნენ, ქუჩაში ლგბტ აქტივისტები აქციას მართავდნენ ბანერებით — „ეს მხოლოდ დასაწყისია“.**

ვფიქრობ, რომ ერთი და იმავე სქესის ადამიანების კანონიერად თანაცხოვრებას სხვა სახელი უნდა მოუძებნონ. მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერ ზრდასრულ ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება, გააკეთოს არჩევანი, ქორწინება ჩემთვის და მრავალი იტალიელისთვისაც ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა და თანაცხოვრებაა.

## «ხელისუფლება, რომელიც განათლებისა და მეცნიერების წინსვლაში არ დებს თანხებს, განწირულია»



ლელა ხორიაული ოჯახთან ერთად

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ქართულ ოცნებაში” სააკაშვილის რეჟიმის ყოფილი მსახურების „პორტირების” პრაქტიკამ მისი ამომრჩევლის ძალიან მძაფრი რეაქცია გამოიწვია და რაღაც მომენტში პარტიის ხელმძღვანელობა მიხვდა, რომ ეს გზა წამგებიანია. ამასთანავე, ყველა ნაციონალი როდია მზად, ხვალვე მხარი დაუჭიროს „ოცნებას” ან 2012 წლის ოპოზიციურ კოალიციაში შემავალ რომელიმე პარტიას; ეს მათ მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ დისკომფორტს შეუქმნის.**

# რას უზამდა ნაციონალებს სტალინი?

**საინტერესოა, როგორ გადაწყვეტდნენ „ნაცმოძრაობისა“ და მისი მხარდამჭერების პრობლემას წარსულის ცნობილი პოლიტიკოსები, ბიძინა ივანიშვილის ადგილას რომ ყოფილიყვნენ, მაგალითად, იოსებ სტალინი. საუბარი, ცხადია, ეხება არა პარტიის ლიდერებს ან ცნობილ ჯალათებს, არამედ რიგით წევრებს, რომლებიც ერთგულად ემსახურებოდნენ რეჟიმს, თუმცა მძიმე დანაშაულის ჩადენაში უშუალოდ არ მონაწილეობდნენ. გამოკითხულთა უმრავლესობა, ალბათ, უპასუხებს: „სტალინი მათ დახვრეტდა ან გადაასახლებდა“. მაგრამ, შესაძლოა, სწორი პასუხია — „სტალინი მათ გამოიყენებდა“ და ამის თქმის უფლებას ერთი ძველი სტენოგრამა გვაძლევს.**



1947 წლის 31 იანვარს, საღამოს 9 საათზე, სტალინმა მიიღო გერმანიის სოციალისტური ერთიანობის პარტიის ხელმძღვანელები — **პიკი, გროტევოლი, ულბრიხტი, ფეხნერი** და **ელსტერი**. ეს პარტია 1946 წლის აპრილში აღმოსავლეთ გერმანიაში კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების გაერთიანების შედეგად შეიქმნა, 1949 წლიდან კი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უცვლელი მმართველი პარტია გახდა. ზოგიერთი ქართველი ავტორი მას გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას უწოდებს, თუმცა სახელწოდების ზემოთ მოყვანილი ვარიანტი უფრო ზუსტი ჩანს. შეხვედრას სსრკ-ის მხრიდან ესწრებოდნენ **მოლოტოვი, სუსლოვი, სემიონოვი** (დიპლომატი, იმ პერიოდში გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის პოლიტიკური მრჩეველი) და **ვოლკოვი** (თარჯიმანი).

სტალინი დაინტერესდა, „რამდენად ბევრია გერმანიაში ფაშისტური ელემენტი“ და რა ძალას წარმოადგენენ ისინი დასავლური ოკუპაციის ზონებში. ოტო გროტევოლმა მიუგო, რომ ზუსტი პასუხის გაცემა უჭირს, მაგრამ შეუძლია გადასცეს სტალინს გრძელი სია იმ ფაშისტებისა, რომლებიც დასავლურ ზონებში ხელმძღვანელ თანამდებობებს იკავებენ. რამდენიმე რეპლიკის გაცვლის შემდეგ სტალინმა მოულოდნელი კითხვა დასვა: **„არიან თუ არა ყოფილ ფაშისტებს შორის გონიერი ადამიანები და კარგი ორგანიზატორები?“**. აქ გერმანული დელეგაცია, დიდი ალბათობით, დაიძაბა და ჩათვალა, რომ მას ერთგვარ პროვოკაციულ ტესტს უტარებდნენ. გროტევოლმა უპასუხა: „ისინი, ყველანი რეაქციონერები არიან“. სტალინმა დასვა კიდევ ერთი კითხვა: „შესაძლებელია მათი გახლეჩა“? შემდეგ კი „კარტის გახსნა“ დაიწყო — „ფაშისტები საბჭოთა ზონაშიც ცხოვრობენ. განა არ შეიძლება მათ ნება დავრთოთ, საკუთარი პარტია შექმნან, რათა ყველას ამერიკელებისკენ არ ვუბიძგოთ?“. სტალინმა დასძინა, რომ მის თანამოსაუბრეებს ფაშისტების მომართ **„აღებული ჰქონდათ კურსი განადგურებაზე და, შესაძლოა, საჭიროა სხვა, მოზიდვაზე ორიენტირებული კურსის დამატება, რათა ყველა ყოფილ ფაშისტს მოწინააღმდეგის ბანაკისკენ არ ვუბიძგოთ“.**

საინტერესოა, რომ ომის დასრულების შემდეგ ამერიკელებმა თავის საოკუპაციო ზონაში ყოფილი ნაცისტებისგან ადგილობრივი ადმინისტრაციების გაწმენდა დაიწყეს, ანალოგიური პროცესი საბჭოთა ზონაში პირველ ეტაპზე ასეთი მასშტაბური არ იყო. შემდეგ, როცა ამერიკელებმა დაინახეს, რომ ზონის მართვა უკიდურესად გართულდა, პოლიტიკა შეცვალეს და დაიწყეს ყოფილი ნაცისტების აქტიური რეკრუტირება არა მხოლოდ დაბალი, არამედ საშუალო (ზოგიერთ შემთხვევაში კი მაღალი) რგოლის თანამდებობებზე. აღმოსავლეთ გერმანიაში ამ დროს საპირისპირო პროცესი მიმდინარეობდა — მოძლიერებულმა კომუნისტებმა და სოციალ-დემოკრატებმა ყოფილ ნაცისტებს აქტიურად შეუტიეს. იმ მომენტში, როდესაც განხილული საუბარი მიმდინარეობდა, მოსკოვშიც და ვაშინგტონშიც ფიქრობდნენ იმაზე, როგორ გამოეყენებინათ ერთმანეთის წინააღმდეგ აკრძალული ნაციონალურ-სოციალისტური პარტიის ჯერ კიდევ მრავალრიცხოვანი მხარდამჭერები. სხვათა შორის, **XXI საუკუნეში ამერიკელებმა ერაყში პრაქტიკულად იგივე გააკეთეს — ჯერ გაყარეს პარტია „ბაას“-ის წევრები, შემდეგ კი, როდესაც ქვეყნის ტოტალური დესტაბილიზაცია დაიწყო, მათი სასწრაფო (და ერთობ დაგვიანებული) გადმობირება და მობილიზება დაიწყეს.**

გერმანელი მარქსისტები გაოგნებულნი უსმენდნენ სტალინს, რომელიც პოლიტიკური ტექნოლოგიის მასტერკლასს უტარებდა და მოულოდნელ რეპლიკებს ისროდა: „ხომ იყვნენ ფაშისტურ პარტიაში პატრიოტული ელემენტები? ისინი უნდა გადმოვიბიროთ“. რაღაც მომენტში ვილჰელმ პიკმა ჩათვალა, რომ სტალინი სთავაზობს, ყოფილი ნაცისტები საკუთარ პარტიაში გააწევროს, მაგრამ მან უპასუხა: „ისინი ამაზე არ წავლენ. ჩვენ უნდა წავახალისოთ, ნება დავრთოთ, შექმნან საკუთარი პარტია, რომელიც თქვენთან ერთ ბლოკში იმუშავებს... ამ შემთხვევაში მათ აღარ შეეშინდებათ, რომ გაანადგურებთ... არაფერი უპრინციპო ამაში არ არის... ასე დავშლით იმ ბანაკს, რომელიც იქმნება ინგლისელთა და ამერიკელთა გარშემო, რომლებიც დღეს აშინებენ მათ, რომ საბჭოთა ზონაში ყველას ანადგურებენ. ჩვენ კი ვიტყვით, რომ ეს არასწორია. აგერ მათ საკუთარი პარტიაც კი შექმნეს“. მოკლედ, როგორი დამოკიდებულებაც უნდა გვქონდეს სტალინის მიმართ, ეჭვგარეშეა, რომ პოლიტიკური ტაქტიკის საკითხებში კარგად ერკვეოდა.

იმ სტენოგრამაში ბევრი სხვა საინტერესო მონაკვეთია, მაგრამ ადგილის სიმცირის გამო ფაქტების კონსტატაციაზე გადასვლა მოგვიწევს. **1948 წლის თებერვალში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციამ გააკეთა განცხადება დენაციფიკაციის დასრულების შესახებ, ხოლო მარტში იმ პირთა სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, რომლებსაც არ ჩაუდენიათ სამხედრო ან კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და ნაცისტურ იერარქიაში მაღალი თანამდებობები არ ეკავათ.** გაზაფხულზე შეიქმნა გერმანიის ნაციონალურ-დემოკრატიული პარტია, რომელმაც ათიათასობით ყოფილი ნაცისტი გააერთიანა. ეს პარტია მმართველი სოციალისტური ერთიანობის პარტიის მორჩილ სატელიტად იქცა, მიიღო ადგილები პარლამენტში და საკუთარი იდეების (შეზღუდული, მაგრამ მაინც) პროპაგანდის შესაძლებლობა. მაგალითად, მისი 1951 წლის პროგრამა შეიცავდა ლოზუნგს „გერმანია გერმანელებისათვის“, რაც, ერთი შეხედვით, წარმოუდგენელი იყო სულით ხორცამდე კომუნისტურ გდრ-ში. ამ მანევრით სტალინმა დაბალი და საშუალო რგოლის ნაცისტებს შესაძლებლობა მისცა, ნაწილობრივ მაინც გათავისუფლებულიყვნენ დასჯის შიშისგან, იზოლაციისთვის თავი დაეღწიათ და პოლიტიკურ ცხოვრებაში (როგორი შეზღუდულიც უნდა ყოფილიყო ის) ინტეგრირება მოეხდინათ. რაც მთავარია, ეს ადამიანები გადაიქცნენ მის რესურსად და არა — ამერიკელების თუ ინგლისელების. ამის შემდეგ დასავლური ქვეყნები იძულებულნი შეიქნენ, თავიანთ საოკუპაციო ზონებში ყოფილ ნაცისტებთან ურთიერთობის ზოგიერთი პრინციპი შეეცვალათ, რათა ისინი აღმოსავლეთგერმანელი „ნაციონალ-დემოკრატების” აგიტაციით არ მოხიბლულიყვნენ.

**იმ პერიოდის გერმანიასა და დღევანდელ საქართველოს შორის პირდაპირი პარალელების გავლება არ შეიძლება, მაგრამ ფაქტია: ჩვენ გვერდით ცხოვრობს არაერთი ადამიანი, რომელთაც კვლავინდებურად ეშინიათ, რომ ერთ დღეს ყოფილ რეჟიმთან თანამშრომლობას შეახსენებენ და დასჯიან. მართალია, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”, დანაშაულებრივი წარსულის მიუხედავად, ფორმალური თვალსაზრისით აკრძალული არ არის, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა და საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა ის პოლიტიკურ იზოლაციაში მოაქცია.** როდესაც ოქტომბერში ამ პარტიის რიგითი წევრები საბოლოოდ დარწმუნდებიან, რომ არჩევნების (და ალიანსების შექმნის) გზით ხელისუფლებაში დაბრუნების არანაირი შანსი არ აქვთ, ისინი გამოსავლის ძებნას დაიწყებენ. სწორედ ამ მომენტში ივანიშვილს შეიძლება დასჭირდეს დაახლოებით ისეთი „კლაპანი”, როგორიც გერმანიის ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის სახით იოსებ სტალინმა შექმნა.

**„ქართულ ოცნებაში“ სააკაშვილის რეჟიმის ყოფილი მსახურების „პორტირების” პრაქტიკამ მისი ამომრჩევლის ძალიან მძაფრი რეაქცია გამოიწვია და რაღაც მომენტში პარტიის ხელმძღვანელობა მიხვდა, რომ ეს გზა წამგებიანია. ამასთანავე, ყველა ნაციონალი როდია მზად, ხვალვე მხარი დაუჭიროს „ოცნებას” ან 2012 წლის ოპოზიციურ კოალიციაში შემავალ რომელიმე პარტიას; ეს მათ მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ დისკომფორტს შეუქმნის.**

ზოგი, ალბათ, იტყვის, რომ ასეთი „კლაპანის“ როლი შეიძლება „გირჩმა“ და ვაშაძის „პლატფორმამ“ შეასრულოს, მაგრამ ეს აქტუალურია „ნაცმოძრაობის” მხარდამჭერების მხოლოდ ერთი ნაწილისთვის. ფულსა და ძალაუფლებაზე ორიენტირებული ძირითადი მასის გარდა, ამ პარტიაში არის პირობითად „ლიბერალური“ და „ნაცისტური“ ფრთა, რომელთაგან მეორე უფრო აგრესიული და მრავალრიცხოვანია. „გირჩი” და ვაშაძე, ძირითადად, „ლიბერალი“ (ბრჭყალებში, რადგან ნამდვილ ლიბერალიზმთან საერთო არაფერი აქვთ) ახალგაზრდების მოზიდვაზე მუშაობენ. **„ნაცისტებს“ კი მათთვის საინტერესო იდეების გამხმოვანებელი („გირჩის“ ტიპის) პარტია არ აქვთ. ამ ეტაპზე ისინი იძულებულნი არიან, დაემორჩილონ ბოკერიას და მის ჯგუფს, რომელიც გულზე დიდად არ ეხატებათ, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ხედავენ. რას გააკეთებდა ასეთ სიტუაციაში სტალინი, სანამ ეს კუთხეში მიმწყვდეული ადამიანები მთელი ქვეყნისთვის დესტაბილიზაციის ფაქტორად და უცხო ძალების ინსტრუმენტად გადაიქცეოდნენ — დახვრეტდა თუ გამოიყენებდა?**

ცნობილი გერმანელი ისტორიკოსის **ვერნერ მაზერის** თქმით, გდრ-ის მთავრობის თავმჯდომარემ **ოტო გროტევოლმა** უამბო მას, რომ 1952 წლის 17 მარტს ბერლინის შპანდაუს საპატიმროდან საბჭოთა ბადრაგმა გამოიყვანა ნაცისტების ერთ-ერთი ლიდერი **რუდოლფ ჰესი** და, გროტევოლთან ერთად, საბჭოთა და აღმოსავლეთგერმანული მთავრობის წარმომადგენლებთან შესახვედრად წაიყვანა, სადაც ჰესს შესთავაზეს, გაეკეთებინა განცხადება, რომ გდრ-ში ააშენეს ის სოციალიზმი, რომელზეც ოცნებობდა, ამის სანაცვლოდ კი დაუყონებლივ გათავისუფლებასა და მაღალ პოსტს მიიღებდა, მაგრამ ჰესმა ამ წინადადებაზე უარი თქვა.

**საქართველოშიც არის ადამიანი, რომელიც ერთხელ უკვე გამოიყვანეს ციხიდან და, პრინციპში, შეიძლება მეორედაც გამოიყვანონ. ის არ არის ისეთივე იდეური, როგორც რუდოლფ ჰესი და ნამდვილად შეუძლია ცოცხლად შეჭამოს გიგა ბოკერია თავის ჯგუფიანად, მით უმეტეს, რომ ამისთვის, სავარაუდოდ, საკმარისზე მეტი მიზეზი და შესაბამისი სურვილიც აქვს. გამორიცხული არ არის, მან ნაცისტური ფრთის კონსოლიდირება მოახერხოს, რის შედეგადაც, ყოვლად დესტრუქციული „ნაცმოძრაობის” ნაცვლად, ავანსცენაზე ადგილს ახალი სისტემური პარტია დაიკავებს. მან სააკაშვილის რეჟიმის მსახურებს შეიძლება ისეთივე გამოსავალი შესთავაზოს, როგორიც გერმანიის ნაციონალურ-დემოკრატიულმა პარტიამ ჰიტლერის ყოფილ მიმდევრებს.** წავა თუ არა ასეთ თამამ კომბინაციაზე ბიძინა ივანიშვილი?

თქმული არ ნიშნავს, რომ დამნაშავეები პასუხისმგებლობისგან უნდა გათავისუფლდნენ ან სააკაშვილის რეჟიმის არაადამიანობა დავიწყებას მიეცეს. საუბარი სხვა თემას ეხება — **არაერთი მოქალაქე „ნაცმოძრაობის” მხარდამჭერად (თუ მძევლად?) მხოლოდ იმიტომ რჩება, რომ ეშინია და გამოსავალს ვერ ხედავს. მათთვის ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის შესაძლებლობის მიცემა ბევრ პრობლემას მოხსნის. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ისინი შენელებული მოქმედების თვითმავალ ბომბებად და დესტაბილიზაციის ფაქტორად გადაიქცევიან.**

„საზოგადოებამ ხმამაღლა უნდა თქვას, რაც სათქმელია და ამ საზოგადოებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ბოკერიასნაირ ადამიანებს. ეს აუცილებელია, რათა სააკაშვილს, მერაბიშვილსა და მათნაირ კრიმინალებს პოლიტიკური დევნილის სტატუსი არ მიეცეთ“.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ლუკა კურტანიძე: სააკაშვილს მხოლოდ სამარე თუ გაასწორებს და ეს სამარე ქართველმა ხალხმა უნდა გათხაროს მომავალ არჩევნებში...

**რამდენიმე დღის წინათ საქართველოში თურქეთიდან შემოსულ ნაციონალ ლევან ვარშალომიძეს ერთ-ერთმა გამწარებულმა მოქალაქემ სარფის საბაჟოსთან ფეხსაცმელი რომ ესროლა, „ნაციონალური სამგლეთი“ ერთხმად აყმუვლდა,— ხელისუფლება წინასაარჩევნო კამპანიას პროვოკაციებით გვიშლისო.**
**მართლმსაჯულებაც მყისვე დაფაცურდა,— „ნაცებს“ უსაფრთხოება აღუთქვა, ხოლო ის მოქალაქე, რომელმაც ვარშალომიძეს ფეხსაცმელი უთავაზა, პასუხისგებაში მისცა.**
**ამ ინციდენტის შემდეგ ბევრს, ალბათ, სამართლიანად გაუჩნდებოდა განცდა, რომ პოლიტიკური ცვლილებებიდან ოთხი წლის თავზე ქვეყანაში სააკაშვილის კრიმინალური ბანდა ნებისმიერ მოქალაქეზე მეტადაა დაცული. მეტიც, იმის ნაცვლად, რომ ეს დანაშაულებრივი ორგანიზაცია სულს ღაფავდეს და ქვესკნელდებოდეს, ხოლო მისი წევრები ქვეყნიდან კისრისტეხით გარბოდნენ, ხელისუფლების სათავეში დასაბრუნებლად იბრძვიან; ეს კიდევ არაფერი, სააკაშვილი დიდგორის ველზე ყრილობის ჩასატარებლად ემზადება და, როგორც კულუარებში ამბობენ, არჩევნების დღეს საქართველოში ჩამოსვლას აპირებს. მოკლედ, როგორც ჩანს, ხელისუფლება თავისი უმოქმედობით იმდენს იზამს, რომ მალე ხალხი ფეხსაცმლიდან ტყვიის სროლაზე გადავა. კაცმა არ იცის, როდის აივსება მოთმინების ფიალა და როდის აფეთქდება „ნაცმანქურთების“ პარპაშით შეურაცხყოფილი საზოგადოება. კაცმა არ იცის, ხალხს როდემდე ეყოფა გამძლეობა, რომ დაუსჯელ დამნაშავეებს მშვიდად უყუროს...**
**რა შანსები აქვს სააკაშვილს და მის გუნდს მომავალ არჩევნებში, შეინარჩუნებს თუ არა იგი „მთავარი ოპოზიციური“ ძალის სტატუსს და მოსალოდნელია თუ არა „ნაცმოძრაობის“ მხრიდან ქვეყნის დესტაბილიზაციის მცდელობა? —**
**ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ლუკა კურტანიძე.**



**— ბატონო ლუკა, როგორ ფიქრობთ, რა მოხდება, თუ სააკაშვილი არჩევნების დღეს საქართველოში ჩამოვა და დიდგორის ველზე „ნაცმოძრაობის“ ყრილობის ჩატარებას შეეცდება?**

— კუზიანს სამარის მეტი ვერაფერი გაასწორებს — ეს სააკაშვილზეა ნათქვამი. რაც შეეხება დიდგორის ველზე ყრილობის გამართვას, იმ წმინდა ადგილას არც ერთი გოჯი მიწა არ არის ასეთი ულირსი ადამიანებისთვის. ამ გარეწარზე ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ მინდა, საზოგადოებას პატივი ვცე და მაქსიმალურად კორექტული ვიყო. თუმცა, ვფიქრობ, რომ თვითონ საზოგადოება გამოუტანს მას განაჩენს არჩევნებში და აღარ დაუშვებს იმ უბედურების გამეორებას, რომელიც ყველამ ერთად გამოვიარეთ სააკაშვილის ცხრაწლიანი რეჟიმის პერიოდში.

**— არჩევნებით რა განაჩენიც უნდა გამოუტანოს საზოგადოებამ „ნაცმოძრაობას“, ეს იქნება მხოლოდ პოლიტიკური განაჩენი. სამართლებრივზე რას იტყვით? ამას წინათ თეა წულუკიანმა განაცხადა, წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში გაჭირდებაო ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის წარმომადგენელთა მიყვანა საგამოძიებო ორგანოში.**

— ვერავის ადვოკატად ვერ გამოვდგები, ამ შემთხვევაში — ხელისუფლების, მაგრამ ერთი რამ ცხადია: თუ გვინდა, სამართლებრივი სახელმწიფო ავაშენოთ, თითოეულ საქმეზე უნდა გვქონდეს მტკიცებულებები. აი, ამ მტკიცებულებების საფუძველზე უნდა მოხდეს კანონის აღსრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში დავემსგავსებით იმ რეჟიმს, რომელსაც ოთხი წლის წინათ ყველამ ერთად ვუთხარით არა. რა თქმა უნდა, აქ არის ემოციებიც, არის გაღიზიანების მომენტიც და ეს ყველაფერი კარგად მესმის, რადგან საკუთარ თავზე მაქვს ნაწნევი რეჟიმის სიმწარე, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: სამართლიანობის აღსრულება უნდა მოხდეს სამართლებრივ ჩარჩოებში. ჩვენ ვიცით პრეცენდენტები, როცა ცივილიზებულ ქვეყნებში ერთი საქმე იხილებოდა წლების განმავლობაში. ასე ხდება ხოლმე, როცა სხვა გზა არ არის, თუმცა მე, როგორც რეჟიმის მიერ დაზარალებული ერთ-ერთი მოქალაქე, ვდებ პირობას, **დამნაშავეები აუცილებლად დაისჯებიან, ყველა აგებს პასუხს და, სადაც უნდა გაიქცნენ, სამართალს ვერსად დაემალებიან.**

**— ამას წინათ თურქეთიდან შემოსულ ლევან ვარშალომიძეს, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობისთვის ჩამოვიდა, სარფის საბაჟოსთან ერთ-ერთმა მოქალაქემ ფეხსაცმელი ესროლა. როგორ ფიქრობთ, ეს ხომ არ მიანიშნებს იმაზე, რომ საზოგადოება ნელ-ნელა გამოდის წყობილებიდან და ერთხელაც იქნება, ვიღაცამ სხვა რამეც შეიძლება ისროლოს?**

— კიდევ ვიმეორებ, **ვიდრე „ქართულ ოცნებაში“ არიან ადამიანები, რომლებმაც ის ცხრაწლიანი ტრაგედია ქართველ ხალხთან ერთად გამოიარეს, არავინ იფიქროს, რომ რომელიმე დამნაშავეს რამე შერჩება.** მერწმუნეთ, მოვა დრო და ყველა აგებს პასუხს, ყველა დაისჯება, ვინც კი რამე დანაშაული ჩაიდინა.

დესტაბილიზაციას რაც შეხება, ერთადერთი, ვისაც ეს ხელს აძლევს, არის „ნაციონალური მოძრაობა“, ამიტომ უნდა ვიყოთ ფრთხილად. არჩევნებამდე რაც შეიძლება მშვიდად მივიდეთ და დარწმუნებული ვარ, თუკი ყველა მივა არჩევნებზე, ეს იქნება ნაცმოძრაობის პოლიტიკური აღსასრული.

**— ერთია საზოგადოების მოთმინება, მაგრამ ნაციონალები ბოლო პერიოდში პროვოკაციებს არ ერიდებიან. იმავე ვარშალომიძის ჩამოსვლას და მისი მხარდამჭერების დახვედრას ერთგვარი პროვოკაციის ხასიათი ჰქონდა...**

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ ლევან ვარშალომიძეზე გაცილებით უარესი პროვოკატორებიც არიან, აქ გვყავს **ბოკერია, თარგამაძე, ნიკანდრო მელია** და მათზე უფრო აგრესიულებიც. ანუ, უამრავი ადამიანია მათ რიგებში, რომლებსაც უმძიმესი დანაშაულები აქვთ ჩადენილი, მაგრამ ვფიქრობ, სახელმწიფოს ძალა არის საზოგადოება. სწორედ საზოგადოებამ არ უნდა დაივიწყოს, რა ხდებოდა ცხრა წლის განმავლობაში და ის უნდა იყოს ყველაფრის მამოძრავებელი, მათ შორის ხელისუფლების მაკონტროლებელიც და იმ გამოწვევებთან გამკლავებას, რომლებიც არსებობს ქვეყანაში, ის უნდა კარნახობდეს მმართველ გუნდს. აი, ამ შემთხვევაში ექნება მმართველ ძალას ხელ-ფეხი გახსნილი, რადგან მსოფლიო უნდა ხედავდეს, რომ გზა, რომელსაც მმართველი გუნდი ირჩევს, არის მხოლოდ ხალხის ნებით ნაკარნახევი. მოკლედ, საზოგადოებამ ხმამაღლა უნდა თქვას, რაც სათქმელია და ამ საზოგადოებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ბოკერიასნაირ ადამიანებს. ეს აუცილებელია, რათა სააკაშვილს, მერაბიშვილსა და მათნაირ კრიმინალებს პოლიტიკური დევნილის სტატუსი არ მიეცეთ...

**— მცირე ხნის წინათ სააკაშვილმა განაცხადა, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გააანალიზა წარსულში დაშვებული შეცდომები და ახლა სრულიად სხვა პარტიაა, მნიშვნელოვნად განსხვავებული ხედვით. როგორ ფიქრობთ, სარწმუნოა სააკაშვილის ნათქვამი?**

— არ არსებობს! არასოდეს მოხდება ამ ადამიანისა და მისი გუნდის შეცვლა. აქ ხომ ლაპარაკი არ არის ერთ კონკრეტულ შეცდომაზე, ეს იყო პარტია, რომელმაც შექმნა სისტემური დანაშაული. კიდევ ვიმეორებ, მას მხოლოდ სამარე თუ გაასწორებს და ეს სამარე ქათველმა ხალხმა უნდა გაუთხაროს მომავალ არჩევნებში. სხვანაირად ის ყოველთვის მოაწყობს პროვოკაციას, ყოველთვის შეეცდება, ქვეყანაში სიტუაცია არიოს და გაამწვავოს. თუმცა დარწმუნებული ვარ, მალე მას უკრაინაშიც შეექმნება პრობლემები და იქიდან ვერ გამოასწრებს. რატომ, იცით ? იმიტომ, რომ სააკაშვილის რიტორიკა, მისი მართვის სტილი არ იცვლება. რა ნაგავიც იყო აქ, ის ნაგავია იქაც და... არ მინდა, კიდევ უფრო მწვავე გამოთქმებით შევამკო...

## «სააკაშვილის მართვის სტილი არ იცვლება, რა ნაგავიც იყო აქ, ის ნაგავია იქაც»

**— სააკაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, როცა მომინდება, მაშინ ჩამოვალ საქართველოშიო. რა მოხდება, თუკი მართლა ჩამოვა?**

— ის არის ძებნილი საქართველოში და, თუ ფეხს შემოდგამს, თუნდაც ერთი მეტრით რომ შემოდგას, მისი ადგილი იქნება ციხეში, რომელშიც, გარწმუნებთ, გაცილებით უფრო დაცული იქნება, ვიდრე იქ, სადაც ახლა არის. უკრაინაში მან მოახერხა და მოკლე ხანში ბევრი მტერი შეიძინა. ასე რომ, როგორც გითხარით, მოუწევს იქიდან თავქუდმოგლეჯილი გაქცევა...

**— თქვენი აზრით, შეიძლება, სააკაშვილს რევოლუციის სცენარი ჰქონდეს და სწორედ ეს სცენარი ესახებოდეს ხელისუფლებაში დაბრუნების ყველაზე რეალურ გზად?**

— რა თქმა უნდა, მას სხვა არაფერი დარჩენია. ეს არის ერთადერთი გზა, რომლითაც შეიძლება ძალაუფლება დაიბრუნოს და კიდევ, სულ ცოტა, ათი წლით მოექცეს ხელისუფლების სათავეში. სწორედ ამიტომ ვამბობთ ჩვენ, ხელისუფლების წარმომადგენლები, ყოველთვის, რომ ხალხი უნდა მივიდეს არჩევნებზე. მხოლოდ არჩევნები შეიძლება იყოს „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური დასამარების გზა. დღეს რეალურად „ნაციონალური მოძრაობა“ არის პოლიტიკური გვამი, რომელსაც მიწის მიყრაღა აკლია. მოკლედ, საზოგადოებამ, ქართველმა ხალხმა უნდა დაუსვას ყველაფერს წერტილი. პირდაპირ ვაცხადებ, არჩევნებზე ნაციონალებმა არ უნდა მიიღონ არც ერთი ხმა. ეს იქნება, კიდევ ვიმეორებ, საზოგადოების ვერდიქტი, რომ საქართველოში ე.წ. ნაციონალური პარტია უნდა იქნეს აღგვილი პოლიტიკური ველიდან. ამ ვერდიქტის წინააღმდეგ ვერ წავა ვერავინ — ვერც ხელისუფლება და ვერც ოპოზიცია.

რაც შეეხება გარე ძალებს, რომლებიც ყურადღებით აკვირდებიან ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, მათაც, ბუნებრივია, ექნებათ განცდა, რომ ყველაფერი, რაც ამ ქვეყანაში ხდება, არის მხოლოდ საზოგადოების ნება და ამ ნების კარნახით განხორციელებული ქმედება...

**— რადგან დესტაბილიზაციაზე ვსაუბრობთ, „რუსთავი 2“-ის შესახებ გკითხავთ — რას ფიქრობთ იმ მოსალოდნელ აჯანყებაზე, რომელიც ცოტა ხნის წინათ ამ არხის ხელმძღვანელობამ დააანონსა?**

— ხელისუფლების მიმართ თითქმის ყველა არხი კრიტიკულია და ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ „რუსთავი 2“ მოვლენებს ხელოვნურად აბუქებს. ეს ტელეკომპანია უკვე აშკარად ცდილობს, ქვეყანაში აიმღვრეს წყალი და ვითარება დაიძაბოს, ხალხში უკმაყოფილება გაიზარდოს და იყოს ქაოსი. რა უნდათ — ჯანყი და აერულობა? კი ბატონო, ჩვეულებრივად ყველანი შეიყარონ ერთად, ძალიან კარგია, და ვინც დანაშაული ჩაიდინა, არ იქნება საძებნი; მოუწევთ იქ ყოფნა, სადაც უნდა იყოს დამნაშავე. ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ. საერთოდ, ვფიქრობ, რომ ვისაც მეტი ნებისყოფა და მოთმინება აქვს, ის ყოველთვის იგებს ბრძოლას და ამ მოთმინებით, ამ სიძლიერით ჩვენ შევკრავთ ქვეყანას, რომელიც იქნება ძლიერი და სამართლიანი. ამ ქვეყანაში საბოლოოდ უნდა დასრულდეს თაობათა შუღლი, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა სააკაშვილის რეჟიმმა და, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გრძელდება...

## «ვიდრე «ქართულ ოცნებაში» არიან ადამიანები, რომლებმაც ის ცხრაწლიანი ტრაგედია ქართველ ხალხთან ერთად გამოიარეს, არავინ იფიქროს, რომ რომელიმე დამნაშავეს რამე შერჩება. მერწმუნეთ, მოვა დრო და ყველა აგებს პასუხს, ყველა დაისჯება, ვინც კი რამე დანაშაული ჩაიდინა»

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„წადით სოფლებში და ნახეთ, ხალხი რა დღეშია. ან ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოებთან გაიარეთ, რიგი დგას აქედან წასვლის მსურველი მოქალაქეების“.



# ვასილ ჭიჭინაძე: ფულით არჩევნებს ვერ მოიგებენ, იმიტომ, რომ ფულით ბიძინას ვერ აჯობებენ

**ამას წინათ აშშ-ში საქართველოს ელჩმა არჩილ გეგეშიძემ ჟურნალისტებთან საუბარში ისეთი განცხადება გააკეთა, მედასავლეთე პოლიტიკანებს, რომ იტყვიან, ელდა დასცა და გულის ფიცარი შეუნგრია. მისი თქმით, დღეს მმართველ გუნდში პრორუსული ძალები არიან, მაგრამ არ ჩანან, ყურადღებას ნაკლებად იქცევენ, რადგან გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიურად არ მონაწილეობენ. ამ განცხადებას მყისვე მოჰყვა, „ლიბერასტების“ გნიასი და კრიახკაკანი, — არიქა, ქართულ დემოკრატიას სამარეს უთხრიანო. თვითონ გეგეშიძე საგარეო საქმეთა სამინისტრომ სასწრაფოდ თბილისში გამოიძახა, თუმცა პლასტელინა მარგველაშვილმა ჩამოსვლა და განმარტების გაკეთებაც არ აცალა, ისე გააკრიტიკა ზემოაღნიშნული განცხადების გამო... რეალურია დღეს „ქართული ოცნების“ ბირთვში პრორუსული ძალების არსებობა და სად შეიძლება ეს ჩანდეს კონკრეტულად? — „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება დიპლომატი ვასილ ჭიჭინაძე.**

**«ჯონ კერი არც ხაჭაპურის საჭმელად იყო აქ ჩამოსული და არც ჭიქა ღვინის დასალევად. იმ კაცმა ჩამოიტანა კონკრეტული მესიჯი. მანამდე კიდევ იყო ენ-დი-აის კვლევა, რომელშიც მეორე ადგილზეა «ნაცმოძრაობა», მესამეზე — ბურჭულაძე, მეოთხეზე — ალასანიას პარტია და მეხუთეზე — შალვა ნათელაშვილი, რომელმაც მოუხშირა ამერიკაში სიარულს. აი, ეს არის მათი შეკვეთა და ამ შედეგის მიღება უნდათ»**

**— ბატონო ვასილ, ამას წინათ აშშ-ში საქართველოს ელჩმა არჩილ გეგეშიძემ განაცხადა, რომ მმართველ გუნდში პრორუსული ძალები არიან. გეგეშიძის ნათქვამი სიმართლეს შეესაბამება?**

— უწინარესად, გეგეშიძემ უნდა გააკეთოს განმარტება, რა იგულისხმა, რა ჰქონდა მხედველობაში და ა.შ. —ეს ერთი. მეორე — სრულიად გაუგებარია ისტერიკა, რომელიც ამ განცხადების გამო ატყდა. არ ვიცი, რატომ უკვირთ ეს ყველაფერი ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს და ე.წ. ლიბერალებს, რა აქ ნაკლებს ლაპარაკობენ უცხოელი ელჩები?! ჩვენი პოლიტიკოსები ნაბიჯს ვერ დგამენ ერთი ქვეყნის ელჩთან შეუთანხმებლად, ოთახიდან ოთახში ვერ შედიან. არ მინდა ახლა დავასახელო, ყველამ კარგად იცის, ვისზე მლაპარაკობ.

**— ხედავთ პრორუსულ ძალებს ხელისუფლების რიგებში?**

— არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ ნატოში შესვლის პერსპექტივა ნულია და აუცილებლად უნდა მოვაგვაროთ ურთიერთობა რუსეთთან. ვფიქრობ, ეს ერთმნიშვნელოვნად საღი პოზიციაა. აგერ **თამაზ მეჭიაურმა** მცირე ხნის წინათ პირდაპირ თქვა, არ მიგვიღებენ ალიანსში, გვატყუებენო. მართალია, არ მიგვიღებენ ჩვენ იქ და როდემდე უნდა ატყუონ ხალხი? ხან ასპირანტები ვართ, ხან — სტუდენტები, ახლა დოქტორანტიც გავხდით... **ტყულია ეს. ვერ შეგვიყვანენ და არც შეგვიყვანენ, იმიტომ, რომ არ ვჭირდებით, რომ ვჭირდებოდეთ, არც შენი დემოკრატიით დაინტერესდებოდნენ და არც შეიარაღებით, ადგებოდნენ და, უბრალოდ, მიგვიღებდნენ.**

**— არ ვჭირდებით რა თვალსაზრისით, იმის გამო, რომ რუსეთს ღიად ვერ დაუპირისპირდებიან თუ ჩვენი, როგორც სახელმწიფოს, გეოპოლიტიკური მნიშვნელობაა არასაკმარისი?**

— ცხადია, ნატო ვერ შევა რუსეთთან ღია სამხედრო დაპირისპირებაში და ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა უკრაინის მოვლენებმა, რაც შეეხება საქართველოს, ჩვენ დღეს პრაქტიკულად ფუნქცია არ გვაქვს, საქართველო დღეს ფუნქციადაკარგული ქვეყანაა. აი ეს არის ყველაფრის ამოსავალი წერტილი, თორემ შენი დემოკრატია, ბოდიში და, სულ ცალ ფეხზე ჰკიდიათ. **1949 წელს მიიღეს თურქეთი ნატოში და ვინმე მეტყვის, რომ იმხანად თურქებს დემოკრატია ჰქონდათ? თურქებს კი არა, ევროპაში არ იყო მაშინ დემოკრატია.**

**— მაშ, რა ინტერესი აქვს დასავლეთს, როცა გვეუბნება, რომ ყველაფერი დამოკიდებულია დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაზე, არჩევნების ჩატარებაზე დემოკრატიულად და ა.შ.**

— რაღაც ხომ უნდა გითხრან, პირდაპირ ხომ არ გამოგიცხადებენ, არ მჭირდები და ტყუილუბრალოდ ნუ ირჯები, მაინც არ მიგიღებთო. ის განცხადებები არის სატყუარა, **რის დემოკრატია და არჩევნები, სულ რომ თავდაყირა დადგე, არ მიგიღებენ.** სხვათა შორის, ეს არჩევნები ბევრს რამეს გვიჩვენებს. რატომ იცით? იმიტომ რომ ამერიკელების შეკვეთა არის სხვა. რასაც ვგულისხმობ, თქვენც ხვდებით და მეც — **ჯონ კერი არც ხაჭაპურის საჭმელად იყო აქ ჩამოსული და არც ჭიქა ღვინის დასალევად. იმ კაცმა ჩამოიტანა კონკრეტული მითითებები. მანამდე კიდევ იყო ენ-დი-აის კვლევა, რომელშიც მეორე ადგილზეა „ნაცმოძრაობა“, მესამეზე — ბურჭულაძე, მეოთხეზე — ალასანიას პარტია და მეხუთეზე — შალვა ნათელაშვილი, რომელმაც მოუხშირა ამერიკაში სიარულს. აი, ეს არის მათი შეკვეთა და ამ შედეგის მიღება უნდათ.** დანარჩენი ოპოზიცია რას ფიქრობს, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, არც ერთი არ ამბობს, რომ არჩევნებს მოიგებს, ყველა გაიძახის, მეორე ძალა ვართო. ასეთი რამე გინახავთ? რა, **ოლიმპიადაა ეს არჩევნები, რომ მონაწილეობა იყოს მთავარი და არა გამარჯვება და ოქროს მედალი?**

**— ალბათ, ლოგიკურად აფასებენ თავიანთ პოტენციალს.**

— ლოგიკას მათ პოლიტიკაში ნაკლებად ვხედავ. **იმის ნაცვლად, რომ მაჟორიტარებად დააყენონ ნორმალური კანდიდატები, რომლებსაც ბრძოლა შეუძლიათ, ეძებენ ფულიან ადამიანებს.** ის ვერ გაუგიათ, რომ **ფულით არჩევნებს ვერ მოიგებენ, იმიტომ, რომ ფულით ბიძინას ვერ აჯობებენ.** გამორიცხულია ეს, შენ დახარჯავ ლარს, ის დახარჯავს ათ ლარს, მორჩა.

**— არის მოლოდინი, რომ ამ არჩევნების შედეგად პარლამენტი უპრეცენდენტოდ მრავალპარტიული იქნება...**

— ამას ამბობენ ის „ბრძენი“ ექსპერტები, ტელეეთერში რომ სხედან ხშირად და ყოვლისმცოდნეებად მოაქვთ თავი. ამათ თუ ასე განაგრძეს, ვერავინ შევა პარლამენტში, გარდა იმ სამი-ოთხი პარტიისა, რომლებიც ნახსენები იყვნენ ენ-დი-აის კვლევაში. შევლენ ისინი, უმრავლესობაში აღმოჩნდება ისევ პროამერიკული მხარე და დამთავრდება ამით სიმღერა. ეს პარტიები პარლამენტს შიგნით შეიკვრებიან და შეჭამენ „ოცნებას.“

**— რა აზრის ხართ ამას წინათ გაფორმებულ მემორანდუმზე, რომელიც საქართველოსა და ამერიკას შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობას გულისხმობს? პრემიერმა კვირიკაშვილმა ამ დოკუმენტს უმნიშვნელოვანესი უწოდა.**

— ეს მემორანდუმი არის უსარგებლო ქაღალდი. მგონი, ამაზე საერთოდ არ ღირს ლაპარაკი. **ვერ გაიგეთ, რა თქვა კერიმ, ხუთი მილიარდი გვაქვს დახარჯული საქართველოშიო, ანუ მიგვანიშნა იმ კაცმა, ეს ფული წყალში კი არ გადაგვიყრიაო.**

**— რას გულისხმობდა?**

— რას და პირდაპირ ხომ არ გეტყვის, ვერ დაგიცავთო. გამორიცხულია, რა ნატო, რის ნატო, ეს არის ილუზია. **ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში მაშინ შეიძლება მიგვიღონ, თუ რუსეთი დაიშლება, მაგრამ რუსეთი კი არ იშლება, ძლიერდება.**

**— ერთ-ერთ ინტერვიუში სააკაშვილმა განაცხადა, როცა მომინდება, მაშინ ჩავალ საქართველოშიო, მცირე ხნის წინათ დიდგორის ველზე პარტიული ყრილობის ჩატარებაც დაგვიანონსა. რა მოხდება, თუ ის მართლა ჩამოვა?**

— სააკაშვილი რომ ფანტასტიკური პიარისტი და პროვოკატორია, ყველამ ვიცით, მაგრამ ჩამოვა თუ არა, ძნელი სათქმელია. შეიძლება ჩამოვიდეს კიდეც, რა გგონიათ, რა მოხდება? ფეხებს ვერ მოჭამენ ძირში, ვერაფერს უზამენ. დაჭერა თუ უნდოდათ, არჩევნები რომ მოიგეს, აქ არ ჰყავდათ ერთი წელიწადი? რატომ მაშინ არ დაიწყო გამოძიება?

**— ქვეყნის პირველი პირი იყო.**

— მერე რა, პირველი პირი რომ იყო, პრეზიდენტებს რა, არ იჭერენ, როცა კანონს არღვევს? არავინ არავის დამჭერი არ არის, მაგრამ არეულობის საფრთხე ნამდვილად არსებობს. განსაკუთრებით, თუ ამათმა არჩევნები ტოტალურად გააყალბეს და ასე შეეცადნენ, ამერიკელებისთვის სასურველი შედეგის მიღებას.

**— რომელმა ძალებმა შეიძლება, მოაწყონ არეულობა?**

— თუნდაც იმ ოპოზიციამ, რიმელიც გარეთ დარჩება. აქ საკმაოდ დიდი ძალებია. ყველა თუ გარეთ გამოვიდა, ბევრნი იქნებიან; და იქ უკვე ვინ მოაწყობს პროვოკაციას, ნაციონალი თუ სხვა, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

**— თქვენი აზრით, საზოგადოებაში არის დღეს უკმაყოფილების იმხელა მუხტი, რომ ფართომასშტაბიანი გამოსვლები დაიწყოს?**

— ამ არჩევნების შემდეგ რა მოხდება, კაცმა არ იცის, მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, თუ ამჟამინდელმა ხელისუფლებამ მართვის სტილი და რიტორიკა არ შეცვალა, ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება.

**— რიტორიკაში რას გულისხმობთ?**

— როდესაც **აბრაამ ლინკოლნი**, ამხელა პოლიტიკური ფიგურა, პრეზიდენტი გახდა, განაცხადა, ამირჩიესო. ესენი ამბობენ: „მოვიგეთ“. მოიგე რა, ფეხბურთია, ომია თუ რომელიმე სპორტული შეჯიბრებაა? ეს ერთი. მერე კიდევ — კაბინეტებში რომ შევლენ, ადამიანები ჭიანჭველებად ეჩვენებათ. ვურეკავ ამას წინათ ერთ-ერთი პარტიის ხელმძღვანელს, არც კი მიპასუხა, მერე სოციალურ ქსელში მივწერე, თქვენც არ მომიკვდეთ. ახლა ის რომ ხელისუფლებაში მოვა, თუ მოვიდა, ყურსაც ხომ არ გათხოვებს? გეკითხებით, შეიძლება, ასეთი კაცი დასვა ხელისუფლების სათავეში?

**— სამწუხაროდ, ამჟამინდელი პოლიტიკური სპექტრი ძალიან ღარიბია, დიდი არჩევანის საშუალება არ გვაქვს, პარტიების უმეტესობა ერთმანეთს ჰგავს რიტორიკითაც და მოქმედების სტილიტაც.**

— საზოგადოებაზე ბევრია დამოკიდებული, ბრმა ამომრჩევლები არ უნდა ვიყოთ. საქართველო კატასტროფის ზღვარზეა დღეს და არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ შეცდომები დავუშვათ. მოკლედ, ვიქნებით ფხიზლად და მოვითხოვთ პოლიტიკოსებისგან იმას, რაც მოსათხოვია, ცოტა შეიძლება აზრზე მოვიდნენ და ბევრი რამ ვერ გაბედონ, თუ არა და ყოველთვის შეგაყრიან თვალში ნაცარს და მერე გეტყვიან, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგადაა

**— ყველაფერი კარგადააო, ვერ ამბობენ, მაგრამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური წინსვლა გვაქვსო, — ამტკიცებს ხოლმე ივანიშვილი.**

— სადმე ხომ უნდა ჩანდეს ეს, რამე მიმართულებით, ვინმე გრძნობს, რომ ქვეყანა წინ მიდის? მოდი, თუნდაც დემოგრაფია ავიღოთ, სტატისტიკა არის უმძიმესი, წელიწადში 300 ბავშვი კვდება სამშობიაროებში და თითქოს არაფერი. ეს იცით, რას ნიშნავს, თითქმის ყოველდღე ერთი ჩვილი იღუპება და ამაზე პასუხს არავის სთხოვენ. იმ საბჭოთა კავშირში კიდევ, ასე რომ აძაგებენ, მსგავსი რამ რომ მომხდარიყო, უამრავ ადამიანს სამსახურიდან გაათავისუფლებდნენ. დღეს კი სრული განუკითხაობაა და ესენი უტიფრად გაიძახიან, ეკონომიკა ფეხზე დავაყენეთო. რა დააყენეს, **წადით სოფლებში და ნახეთ ხალხი რა დღეშია. ან ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოებთან გაიარეთ, რიგი დგას აქედან წასვლის მსურველი მოქალაქეების.**

კიდევ ვიმეორებ: თუ ჩვენ, ხალხი, გონს არ მოვეგებით და ბევრ რამეს არ შევცვლით, ეს, რაც ახლა ხდება, არის დამღუპველი. საქართველო ასე წინ ვერ წავა და წარმატებას ვერ მიაღწევს, ასე სახელმწიფო ვერ აშენდება...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## ზვიად ძიძიგური: «კონსერვატორები» «ქართული ოცნების» სიაში იქნებიან

**„კონსერვატიული პარტიის“ ლიდერი ზვიად ძიძიგური ადასტურებს, რომ მისი პარტია საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად არ მიიღებს და “კონსერვატორები“ „ქართული ოცნების“ სიაში იქნებიან წარმოდგენილნი.**

„ეს ჩვენ შესაძლებლობას მოგვცემს, შევინარჩუნოთ პარტიული იდენტობა, ვიყოთ კვალიფიციური პარტია, გვყავდეს წარმომადგენლობა პარლამენტში და განვაგრძოთ ერთობლივად საქმე, რომელიც 2012 წელს დავიწყეთ“, — განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.

მისივე განმარტებით, იმის მიუხედავად, რომ “კონსერვატიული პარტია“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში, როგორც დამოუკიდებელი საარჩევნო სუბიექტი, წარმოდგენილი არ იქნება, პარტია კვალიფიციური სუბიექტის სტატუსს არ კარგავს, გამომდინარე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებიდან და ამ სტატუსს მომავალ ადგილობრივ არჩევნებამდე ინარჩუნებს.



## „ქვეყანაში სპეციალურად არის შექმნილი ხელისუფლების სატელიტი პარტიები, რათა მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობის აღდგენის მსურველთა ხმები დაიყოს, დაიქსაქსოს...“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვლადიმერ ჩუბინიძე: რუსეთი ძლიერდება, ამას ყველა ხედავს, გარდა იმ ადამიანებისა, რომლებიც ოკეანისგაღმიდან იკვებებიან

**იუსტიციის სამინისტროში ორგანიზაცია „რუსეთი ჩვენი მეზობელია“ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პარტიად არ დაარეგისტრირეს. ბუნებრივია, კავშირის დამფუძნებლებს გაუჩნდათ ეჭვი — სიტყვა „რუსეთმა“ ხომ არ შეაშფოთა იუსტიციის სამინისტრო? სატელევიზიო ეთერში ადამიანები ზოგჯერ საინტერესო, ზოგჯერ სასაცილო, უფრო ხშირად ისეთი ორგანიზაციის სახელით გამოდიან, რომ ბევრი აღშფოთებას ვერ მალავს. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციაა „ლგბტ საქართველო“. მას შემდეგ, რაც შევიტყვეთ, რომ წულუკიანის უწყებამ „რუსეთი ჩვენი მეზობელია“ პარტიად არ დაარეგისტრირა, გადავწყვიტეთ, გაგვერკვია, ნამდვილად არსებობდა „ლგბტ საქართველო“ თუ რომელიმე ლგბტ-პირმა მიაწერინა ტიტრებში ეს სახელწოდება. აღმოჩნდა, რომ ეს ორგანიზაცია ოფიციალურად არსებობს და წესდებაც აქვს. „ასოციაცია „ლგბტ საქართველო“ არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ლგბტ-თემის (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსსექსუალი) უფლებების დაცვაზე მუშაობს“, — ეს ამონარიდია ოფიციალური დოკუმენტიდან. დემოკრატიულ ქვეყანაში, სადაც საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება ყველაზე მნიშვნელოვანია, ქვეყანაში, სადაც ზოგი „შარლი ებდოა“ და ზოგი — ლგბტ, რატომ არ დაარეგისტრირეს პარტია „რუსეთი ჩვენი მეზობელია“? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე საქართველოს სახალხო-პატრიოტული კავშირის „რუსეთი ჩვენი მეზობელია“ პოლიტიკურ მდივანს — ვლადიმერ ჩუბინიძეს ვესაუბრეთ.**



— ჩვენ, ვეტერანმა მესაზღვრეებმა, თანამოაზრეებთან ერთად, ორი წლის წინათ გადავწყვიტეთ, დაგვეარსებინა არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს სახალხო-პატრიოტული კავშირი — რუსეთი ჩვენი მეზობელია“ და გასული წლის 16 ივნისს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში უპრობლემოდ დავარეგისტრირეთ, რაც, ალბათ, იმან განაპირობა, რომ იმხანად ხალხის უმრავლესობას ეშინოდა რუსეთის მიმართ პოზიტიური აზრის გამოთქმის. ამ მხრივ, ჩვენი მთავრობა და დასავლელი „სტრატეგიული პარტნიორები“ და „მეგობრები“ საფრთხეს ვერ ხედავდნენ, ამიტომ ჯერ ბრძანება გაცემული არ იყო შესაბამისი სამსახურებისთვის, რომ არ დაერეგისტრირებინათ და ლეგიტიმაცია არ მიეცათ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პარტიებისათვის, რომლებსაც რუსეთთან ურთიერთობის რეგულირება სურდათ.

**ჩვენი კავშირის რეგისტრაციას მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სიხარულით შეხვდა, ხოლო ჩვენი ქვეყნის ზემოხსენებული „მესვეურები“, როგორც ჩანს, ამ ფაქტმა საგონებელში ჩააგდო და დაუყოვნებლივ დაიწყეს კონტრღონისძიებების გატარება. კერძოდ, დაუყოვნებლივ მისცეს მითითება შესაბამის სამსახურებს, არც ერთი პარტია ე.წ. პრორუსული მიმართულებისა არ დაერეგისტრირებინათ გარდა ისეთებისა, რომლებიც მათ პრობლემებს არ შეუქმნიდნენ.** ყველაფერი გასაგები რომ იყოს, აგიხსნით იმასაც, რა შედეგი მოჰყვა ჩვენი „კავშირის“ რეგისტრაციას.

**„კავშირის“ ოფიციალურად დარეგისტრირებისთანავე გამოვედით პრესით, ტელევიზიით, და გამოვეცით საკუთარი გაზეთი „რუსეთი ჩვენი მეზობელია“ — ორი ნომერი. მოსახლეობას თამამად დავუსახელეთ ნამდვილი მტრისა და ჩვენი ქვეყნის დამმონებელთა სახელები — აშშ, ნატო და ე.წ. დემოკრატიული ევროპა, ხოლო მეგობრად, საიმედო დასაყრდენად, მხსნელადაც კი რუსეთი დავასახელეთ და სათანადო არგუმენტებიც მოვიყვანეთ.** მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სამჯერ ჩავატარეთ პარტიის დამფუძნებელი ყრილობა კანონიერი წესების დაცვით და კანონითვე მოთხოვნილი შესაბამისი საბუთებიც სამჯერ ზედმიწევნით სწორად და სრულად წარვადგინეთ, არ დაგვარეგისტრირეს. ჩვენი ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

**ხალხის დასაბნევად და ელექტორატის დასაქუცმაცებლად კი შექმნეს და უმალ დაარეგისტრირეს კიდეც უამრავი სატელიტი ე. წ. პატრიოტული თუ პრორუსული პარტია, რადგან ერთ წელიწადში მსოფლიოში პოლიტიკური სიტუაცია ისე შეიცვალა, რომ ყველა მიხვდა აშშ-ის, ნატოს, ევროკავშირის ხელისუფალთა მზაკვრობასა და რუსეთის კეთილმოსურნე დამოკიდებულებას ჩაგრული ხალხების მიმართ.** ამასთანავე, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** სამართლიანი პოლიტიკის გატარებითა და სამხედრო ძლიერების დემონსტრირებით შეძლო მრავალი ქვეყნის კეთილგანწყობა მოეპოვებინა, ევროკავშირმა კი დაშლა დაიწყო...

**მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე, ლოგიკური იქნებოდა, ჩვენი მთავრობა გონს მოსულიყო, უარი ეთქვა დასავლელი „კეთილისმსურველებისთვის“ და რუსეთისკენ შებრუნებულიყო, მაგრამ საქმე ის არის, რომ გადამთიელების მიერ დაკომპლექტებული ჩვენი ქვეყნის მთავრობა იძულებულია, ისევ პროდასავლური კურსის გამარჯვებისთვის იბრძოლოს,** სხვანაირად ესენიც და იმ მთავრობების წარმომადგენლებიც, რომლებიც საქართველოს მართავდნენ ე. წ. დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან სამართლიანი სასჯელისგან თავს ვერ დაიხსნიან, რადგან დამნაშავეები არიან ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

**30 ვერცხლად სამშობლოს გამყიდველო იუდებო, შეიძლება ჯერ ვერ ხვდებოდეთ, მაგრამ თქვენი დაუსჯელად პარპაშის დრო უკვე დასრულებულია და გირჩევნიათ, ყულფები გაიმზადოთ, რადგან ქართველთა უმრავლესობამ გამოიღვიძა და სასტიკი შურისძიებაც აღარ დააყოვნებს, რადგან ხალხი უკვე კარგად არჩევს მტერსა და მოყვარეს.**

საქართველოს მოსახლეობას კარგად ესმის, რომ რუსეთის გარეშე ჩვენ, მსოფლიოს ხალხთა უმრავლესობასთან ერთად, განწირული ვართ დასაღუპავად და ამ ხიფათისგან დახსნის ერთადერთი გზა მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაშია. რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც დღეს წარმატებით ებრძვის მსოფლიოში გაბატონებულ ბოროტებას.

რუსეთი ძლერდება, ამას ყველა ხედავს, გარდა იმ ადამიანებისა, რომლებიც ოკიანისგალმიდან იკვებებიან.

**— ბატონო ვლადიმერ, თქვენ, ეტყობა, არ იცოდით, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებობს არასამთავრობო ორგანიზაცია სახელწოდებით — ლგბტ საქართველო, თორემ ნამდვილად არ აპატიებდით იუსტიციის სამინისტროს ასეთ არასამართლიან გადაწყვეტილებას...**

— არა, ასეთი რამ არ ვიცოდით. ყოვლად წარმოუდგენელ რამეს მეუბნებით, ნუთუ ეს გაბედეს? თუ ქვეყანაში დემოკრატიაა და ყველას აქვს უფლება, დაირქვას ის, რაც სურს, მათ შორის, „ლგბტ საქართველო“ და დარეგისტრირდეს კიდეც, ჩვენ რატომ გვითხრეს უარი? ალბათ, მართლაც დიდი საშიშროების წინაშე დგას ხელისუფლება, რომ ქართველი ხალხი რუსეთისკენ არ დაირაზმოს.

გამოდის, ჩვენს ქვეყანაში დემოკრატია ვიღაცაზე ვრცელდება და ვიღაცაზე — არა. საშინელებაა, რომ ისეთ ორგანიზაციებს უწყობენ ხელს, რომლებიც ჩვენს წარსულს, სულიერებას, ისტორიას ანადგურებენ და ქვეყანას ბილწავენ.

**ქვეყანაში სპეციალურად არის შექმნილი ხელისუფლების სატელიტი პარტიები, რათა მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობის აღდგენის მსურველთა ხმები დაიყოს, დაიქსაქსოს...** დიახ, ხალხი ხმას მისცემს იმ პარტიებს, რომლებიც ამბობენ, რომ ჩვენი ხსნა რუსეთშია, მაგრამ სანდოები არიან და, გულის სიღრმეში მართლა ასე ფიქრობენ თუ არა, მხოლოდ მაშინ შევიტყობთ, თუ გაერთაინდებიან და ერთობლივი ძალებით შეუტევენ პროდასავლელებსა და პროამერიკელებს.

**ესაუბრა**
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«ხალხის დასაბნევად და ელექტორატის დასაქუცმაცებლად შექმნეს და უმალ დაარეგისტრირეს კიდეც უამრავი სატელიტი ე.წ. პატრიოტული თუ პრორუსული პარტია, რადგან ერთ წელიწადში მსოფლიოში პოლიტიკური სიტუაცია ისე შეიცვალა, რომ ყველა მიხვდა აშშ-ის, ნატოს, ევროკავშირის ხელისუფალთა მზაკვრობასა და რუსეთის კეთილმოსურნე დამოკიდებულებას ჩაგრული ხალხების მიმართ»**



## «დროა, თბილისმა გააცნობიეროს, რომ რუსული «ხიწვი» მათ სხეულზე დიდხანს დარჩება, ნატო კი ვერ შეძლებს ან არ მოისურვებს სამხედრო ნაბიჯების გადადგმას მის დასახმარებლად»

**გავლენიანი გერმანული რადიოსადგური Deutsche Welle ნატოს ვარშავის სამიტს ანალიტიკოს ბერნდ რიგერტის მიმოხილვით გამოეხმაურა. საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესმა“ მასალის შემოკლებულ ვერსია გამოაქვეყნა:**

„ნატომ იარაღი ააჟღარუნა, მაგრამ ჩუმად, ოდნავ გასაგონად. რატომ ჩუმად? იმიტომ, რომ სამხედრო კატეგორიებით თუ ვიმსჯელებთ, ნატოს მიერ ოთხი ბატალიონის გაგზავნა აღმოსავლეთში (ბალტიისპირეთსა და პოლონეთში) დიდ საფრთხეს არ წარმოადგენს რუსული არმადისთვის. აბა, ოთხი ბატალიონით მოსკოვს შეაშინებ? თუმცა, მოსკოვის შეშინებას არავინ ცდილობდა. მთავარი იყო, რომ ალიანსის წევრებმა ამ ბატალიონების გაგზავნით რუსეთს თავისი ერთიანობა აჩვენეს. გარდა ამისა, ნატოელებმა ბალტიისპირელებს, რომლებიც ოდესღაც სსრკ-ის შემადგენლობაში შედიოდნენ და, აგრეთვე, იმ ქვეყნებს, რომლებიც იმავე სსრკ-ის მიერ შექმნილი ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრები იყვნენ, მიანიშნეს: „ჩვენ, ნატოელები, თქვენს შეშფოთებას ყურადღებით და სერიოზულად ვუდგებით“...

ამრიგად, ნატოს ვარშავის სამიტის შემდეგ ბრიუსელსა და მოსკოვს შორის ურთიერთობა თანდათან გაცხოველდება და ის „რეალ-პოლიტიკით“ იქნება განპირობებული. ვინც მართლაც ზარალდება ნატოს ამგვარი ორმაგი სტრატეგიის პოლიტიკით — იარაღის „ფრთხილი ჟღარუნითა“ და დიალოგით, უპირველესად, უკრაინა და საქართველოა. კიევმა და თბილისმა უკვე დროა, გააცნობიერონ, რომ რუსული „ხიწვი“ მათ სხეულზე დიდი ხნის განმავლობაში დარჩება, ნატო კი ვერ შეძლებს ან არ მოისურვებს სამხედრო ნაბიჯების გადადგმას მათ დასახმარებლად.“

## კიევში ღვთისმშობლის სტატუა ლენინის ძეგლის ყოფილი კვარცხლბეკიდან გადმოვარდა

**2013 წლის 8 დეკემბერს კიევში, ტარას შევჩენკოს სახელობის ბულვარში, ლენინის ძეგლი აიღეს, მის კვარცხლბეკზე კი ამა წლის 6 ივლისს ღვთისმშობლის ქანდაკება დადგეს.**

მაგრამ ღვთისმშობლის ქანდაკებამ პროლეტარიატის დიდი ბელადის ქანდაკების ყოფილ კვარცხლბეკზე ცოტა ხნის განმავლობაში გაძლო — დადგმიდან რამდენიმე საათში გადმოვარდა.



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქვეყანაში უდიდესი პრობლემაა განათლება. ახალი მინისტრი დანიშნეს, რომ ვუყურებ მეცინება. ამბობს, ჰუმანურები უნდა ვიყოთ, სამსახურიდან არავინ გავუშვათო... ეს არ არის განათლებაში არსებული პრობლემის მოგვარება... ვინ არის კულტურის მინისტრი? — ვიღაც ჯაზმენი, რომელიც მილიონებს უკანალის ჩვენებაში იხდის. ის უკანალი გიორგაძემ თავისიანებს უჩვენოს.**



# ელიზბარ ჯაველიძე: აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა თავისი ჩამოსვლით გვითხრა — არ გაბედოთ, ლიბერალური ძალები პარლამენტს გარეთ დატოვოთო

**არჩევნებამდე სამი თვით ადრე, 2016 წლის 6 ივლისს, საქართველოს დედაქალაქს ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი ეწვია.**
**„ჩვენ გვქონდა ძალიან სასარგებლო დიალოგი და ეს ვიზიტი დასრულდა ხელშესახები, ძალიან კონკრეტული შედეგებით. რაც ვფიქრობ, ძალიან მნიშნელოვანია. ეს ვიზიტი არის დადასტურება ძლიერი მხარდაჭერისა და მნიშვნელოვანია, რომ შედგა ნატოს ვარშავის სამიტის წინ, რაც კიდევ ერთხელ არის დადასტურება საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციისა“, — განაცხადა პრემიერმა კვირიკაშვილმა.**
**„ხელშესახები შედეგების” გარდა, ჯონ ქერიმ ქართულ ხაჭაპურსა და ღვინოზეც ისაუბრა და გულდაწყვეტილმა აღნიშნა, ამდენ ხანს ვერ შეძლო ჩამოსვლა ღვინისა და ხაჭაპურისთვის...**
**9 ივლისს ვარშავის ნატოს სამიტიც დასრულდა, სადაც, როგორც საზოგადოებას თავდაცვის მინისტრმა ამცნო, საქართველო 28-ჯერ ახსენეს. რა იყო აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ვიზიტის ძირითადი მოტივი არჩევნებამდე სამი თვით ადრე? რას ნიშნავს, როდესაც ნატოს სამიტის კომუნიკეში 28-ჯერ მოგიხსენიებენ? ამ და ქვეყანაში მიმდინარე სხვა პროცესებზე აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძეს ვესაუბრეთ.**

**— ბატონო ელიზბარ, საპარლამენტო არჩევნებამდე სამი თვით ადრე საქართველოს ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი ესტუმრა. როგორ ფიქრობთ, რა მისიით იყო ჩამოსული ამერიკელი სტუმარი?**

— ჯონ ქერიმ თქვა, ქართული ღვინო და ხაჭაპური მომენატრაო, მაგრამ ამისთვის არ ჩამოსულა, რა თქმა უნდა... ქერის ეს სიტყვები იმას ნიშნავს, რომ ამერიკა დაგვცინის. ასე იყო **ბუშის** ვიზიტისას,— კინტაურზე ისე აათამაშა უკანალი, რომ მეგონა, სუხიშვილების ძველი მოცეკვავე იყო, შემდეგ ამ კინტაურით ასოცირების ხელშეკრულება გაგვიფორმეს.

**ამერიკელების ასეთი საქციელი ჩვენდამი უპატივცემულო დამოკიდებულების გამომხატველია. ჩვენ ხომ მათთვის უბრალო პროვინციაც არ ვართ.**

ჯონ ქერიმ კიდევ ერთხელ და უკვე მერამდენედ დაგვცინა, როდესაც გვითხრა, თუ არჩევნებს დემოკრატიულად არ ჩაატარებთ, არაფერს ეღირსებითო. გარდა ამისა, ვის შეხვდა ის? — შეხვდა იმ ანტიეროვნულ ძალებს, რომლებსაც სამშობლო არაფრად უღირთ.

**ამერიკელებმა ძალიან კარგად იციან ქართველი ხალხის განწყობა, აქ რეფერენდუმი რომ ჩატარდეს — გინდათ თუ არა ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანებაო, ყველა იტყვის, რომ არ უნდა. ამერიკელებს ამას ვერ გამოაპარებ, ყველა სახელმწიფო სტრუქტურის პირველ სართულზე მათი ოფისია განთავსებული. ამერიკაზე უზნეო, ბინძური ქვეყანა არ არსებობს, მათგან მხოლოდ ძალმომრეობაა მოსალოდნელი.**

**— ფიქრობთ, ჯონ ქერი იმისთვის ჩამოვიდა, რომ არჩევნებზე არ გაიმარჯვოს ქართველი ხალხის აზრმა — აღარ გვინდა ნატო და ევროკავშირი?**

— თვითონ ამერიკულმა კვლევებმაც აჩვენა, რომ ქართველი ხალხის ნება სხვაა და არა ის, რა დაკვეთასაც ხელისუფლება ასრულებს. არ მჯერა მათი კვლევების, მაგრამ ფაქტია, რომ ასეა. **ჯონ ქერის ჩამოსვლა იყო პრევენციული ზომა, მისი შეხვედრებიც ამის დასტური იყო. ის შეხვდა „ნაციონალებს“ და ალასანიას. აშშ-ს სახელმწიფო მდივნმა თავისი ჩამოსვლით გვითხრა — არ გაბედოთ, რომ ლიბერალური ძალები პარლამენტს გარეთ დატოვოთო.**

ჯონ ქერი შეხვდა **უსუფაშვილს**, რომლის მეუღლეც ქართულ ჯარს ხელმძღვანელობს.ეს არის ქალი, რომელიც ამბობს, შვილებს იმიტომ არ ვზრდი, ქვეყანას შევწიროო. აი, ეს არის ამერიკელების დაკვეთა — ამ ადამიანების შესვლა სურთ პარლამენტში.

ყველასთვის ცხადია, რომ ამერიკისთვის ჩვენ მხოლოდ ტერიტორია ვართ, საიდანაც რუსეთს უპირისპირდება. **ამერიკელები ვერაგები არიან, მსოფლიო გასაგონად ამბობენ, რუსეთს დაელაპარაკეთო, მაგრამ ისეთ მითითებებს გვაძლევენ, რუსეთი არასოდეს რომ არ დაგველაპარაკოს.**

მინდა ყველაფრის თქმა მოვასწრო, ამიტომ ცოტა თემასაც გადავუხვევ... **ამერიკელებმა ენაც დაგვაკარგვინეს. სააკაშვილი ამბობდა, ვინც ინგლისური არ იცის, დიპლომი არ მისცეთო. დაახლოებით იმავეს ამბობს ახლა იუსტიციის მინისტრი წულუკიანი, ვინც ინგლისური არ იცის, პარლამენტში არ შევუშვათო.** საქართველოს სახელმწიფო ენა ქართულია და ვინ ჰკითხავს წულუკიანს, რომელსაც უმაღლესი განათლება არ აქვს, საფრანგეთში ინგლისურის კურსები გაიარა, ახლა დგას და ჭკვიანი ქალივით ლაპარაკობს. **სვანი ქალი რომ გამასონდება, აი, მაშინ არის ქვეყანა დაღუპული.** წულუკიანები და მისნაირები ჩვენი ქვეყნის უბედურებაა, წიგნი არ აქვთ წაკითხული და ცდილობენ, თავი ისე მოგვაჩვენონ, რომ თითქოს ჩვენზე მეტი იციან.

**— ვარშავის სამიტი დასრულდა. თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა განაცხადა, მსგავსი პრეცენდენტი ჯერ არ ყოფილა, კომუნიკეში საქართველო 28-ჯერ ახსენეს, რაც ნიშნავს — ნატოსთვის საქართველო სულერთი არ არისო. როგორ ფიქრობთ, კომუნიკეში საქართველოს 28-ჯერ მოხხსენიება რაში წაადგება საქართველოს?**

— ასეთი განცხადება პროვინციალიზმის უმაღლესი გამოხატულებაა. შესაძლებელია არსებობდეს დოკუმენტი, სადაც ქვეყანა ნახსენები არ იყოს, მაგრამ ფასეულობას წარმოადგენდეს, ხოლო კომუნიკე, რომელზეც თინა საუბრობს, არაფერს ნიშნავს, სატყუარაა. **რაც თავი მახსოვს, ირაკლი წერეთლისგან მოყოლებული, ნატოსგან სულ რაღაცის მოლოდინში ვართ. ნატოში არასოდეს მიგვიღებენ, ვიდრე დაკარგულ ტერიტორიებზე უარს არ ვიტყვით.**

სამიტიდან დაბრუნებულები, ზუსტად ვიცი, რასაც იტყვიან, იგივე რიტორიკითა და შემართებით დაიწყებენ საუბარს. გვეტყვიან, რომ ახლა 28-ჯერ გვახსენეს, მომავალ წელს 40-ჯერ გვახსენებენ და ბოლოს დეკლარაციას გამოაქვეყნებენ — გარდაიცვალა საქართველო, ვიზიარებთ მწუხარებას! საქართველო არავის ადარდებს.

დიახ, ამ სიტყვებს იმიტომ ვამბობ, რომ ამერიკა დაჟინებით ითხოვს საქართველოს ტერიტორიაზე ბაზების განთავსებას, რასაც რუსეთი არ დაუშვებს. კარგად მახსოვს, თენგიზ კიტოვანს 20 ჯაგლაგი ტანკი მისცეს და გახარებული იყო,— აფხაზეთს ავიღებო, ახლა, საჰაერო დაცვის რაღაც საშუალებას აძლევენ და ჰგონიათ, მსოფლიო ამათია. **ეგ საკენკი ამერიკელებმა თავიანთ ინდაურებს დაუყარონ.** ქართველი კაცი, მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიების საშუალებით ცდილობენ მის გამოთაყვანებას, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ საღად აზროვნებს.

ქვეყანა თავზე გვენგრევა და ამ სისულელეების დრო გვაქვს? ჩართავ ტელევიზორს და ხედავ შოუებს, როგორ დადიან სხვადასხვა ქალაქში უგვანო ადამიანები, ერთობიან, დროს ატარებენ. ეს ყველაფერი ხომ იმისთვის კეთდება, რომ დიდი პრობლემები უყურადღებოდ დარჩეს.

**ქვეყანაში უდიდესი პრობლემაა განათლება. ახალი მინისტრი დანიშნეს, რომ ვუყურებ მეცინება. ამბობს, ჰუმანურები უნდა ვიყოთ, სამსახურიდან არავინ გავუშვათო... ეს არ არის განათლებაში არსებული პრობლემის მოგვარება.** სკოლას ბავშვი ისე ამთავრებს, სიტყვა „სამშობლოს“ არ ახსენებს. დაიქცა უნივერსიტეტი. მოისპო მეცნიერება. ყველაზე დაღუპულ სფეროს კი სათავეში უდგას **ივანე კიღურაძე,** რომელიც შევარდნაძის საჯდომის ლოკვიდან აქამდე მოვიდა. მეცნიერებათა აკადემიის მიერ შეთავაზებული არც ერთი კანონი პარლამენტში განსახილველად არ გაიტანა. ასეთივე ვითარებაა ხელოვნებაშიც. **ვინ არის კულტურის მინისტრი? — ვიღაც ჯაზმენი, რომელიც მილიონებს უკანალის ჩვენებაში იხდის. ის უკანალი გიორგაძემ თავისიანებს უჩვენოს.**

**— შეძლებს ხელისუფლება, შეასრულოს ხალხის დაკვეთა —დაელაპარაკოს რუსეთს და აღადგინოს ურთიერთობა თუ ამერიკელების დირექტივის მიხედვით იმოქმედებს?**

— ხედავთ, კითხვაშივე ჩანს, რა ვითარებაც არის. ან ისე, ან ასე... ხელისუფლება ქართველმა ხალხმა აირჩია. პარლამენტი, რომელიც ხელში შეგვრჩა, არაფრის გამკეთებელი აღმოჩნდა. ოთხი წლის განმავლობაში უმრავლესობა თავის მართლების მეტს არაფერს აკეთებდა. კარგად მესმის, რომ ამერიკელებს ვერ გადააბიჯეს, მაგრამ ხალხის დაკვეთა აუცილებლად უნდა შესრულებულიყო. ვიცი, ჯონ ქერი **გიგა ბოკერიასაც** შეხვდა და შესაძლოა, სულაც მის დასაცავად ჩამოვიდა და დაიბარა, რომ კიდევ ჩამოვა, მაგრამ, **როცა ჩამოვა, ლაყე კვერცხები უნდა დავუშინოთ, როგორც ეს სოროსს გავუკეთეთ. ასეთი საქციელით ამერიკელებს დავანახვებთ, რომ მათი კოლონია არ ვართ.**

საქართველოს ხელისუფლებას თუ სურს, მომავალი არჩევნები მათთვის სავალალო არ აღმოჩნდეს, მაშინ ხალხის ნება უნდა აღასრულოს, ხალხის დაკვეთა შესარულოს, და **ქართველს შეუძლებელი არაფერი სურს, ჩვენ გვინდა ოჯახები შევინარჩუნოთ, სულიერება შეგვრჩეს. ქართველს არ უნდა, რომ პედარასტი თავზე დააჯდეს.** როდესაც „ქართული ოცნება“ სიას გამოაქვეყნებს, კონკრეტულად მაშინ შევძლებ გადაწყვეტილების მიღებას, ვის უნდა დავუჭიროთ მხარი. ჩემთან ახალგაზრდები მოდიან და ჭკუას მეკითხებიან, მაგრამ ძალიან დაბნეული ვარ. **არ არის ძალა, რომელსაც ენდობი.** ვინც ოდნავ მაინც გამოხატავდა ქართველი ხალხის აზრს, ყველა თავიდან მოიცილეს. ვისაც ხალხი წაჰყვება, ის პოლიტიკაში არ მიდის... **თოფაძე** მარგინალად აქციეს, **ბურჯანაძეც. პაატა ბურჭულაძეზე** საუბარიც არ მინდა — შორს წაგვიყვანს იმაზე საუბარი, სად, როდის და ვის სთხოვდა ფულს. პარტიები დაიქსაქსნენ, ამიტომ შეიძლება ხელისუფლებაში მოვიდნენ ძალები, რომელთა მოსვლაც ხალხს არ სურს.

ამერიკას დიდი გავლენა აქვს, მას შეუძლია, წამში გაგვანადგუროს, ჩვენი ლარი უმალვე გააბახოს, მაგრამ ჩვენს მეზობლად არიან სომხები და აზერბაიჯანელები, რომელთაც ამერიკა თავზე ვერ აზის. ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენც. ნუ გავცხოველდებით, გონს ნუ დავკარგავთ!

> **«ამერიკელებმა ძალიან კარგად იციან ქართველი ხალხის განწყობა, აქ რეფერენდუმი რომ ჩატარდეს — გინდათ თუ არა ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანებაო, ყველა იტყვის, რომ არ უნდა. ამერიკელებს ამას ვერ გამოაპარებ, ყველა სახელმწიფო სტრუქტურის პირველ სართულზე მათი ოფისია განთავსებული. ამერიკაზე უზნეო, ბინძური ქვეყანა არ არსებობს, მათგან მხოლოდ ძალმომრეობაა მოსალოდნელი»**

> **«გვეტყვიან, რომ ახლა 28-ჯერ გვახსენეს, მომავალ წელს 40-ჯერ გვახსენებენ და ბოლოს დეკლარაციას გამოაქვეყნებენ — გარდაიცვალა საქართველო, ვიზიარებთ მწუხარებას! საქართველო არავის ადარდებს»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**როდესაც ბუშს მაამებლურად უმღერდნენ,— შენ ერთადერთი ხარ ჩვენი ღმერთიო, თვითონ კი „ბაღდადურს“ ბუქნავდა, რუსეთის პრეზიდენტი სომხეთში, გიუმრის სამხედრო ბაზაზე იმყოფებოდა, ეს „გზავნილი“ იყო, ერთი მხრივ, ბუშის მიმართ — რაც უნდა იბუქნაო, კავკასიას არ დაგითმობო; და, მეორე მხრივ, ქართველების მიმართ: „ნუ დააგდებთ ძველთა გზათა, ნურცა ხსოვნას წინაპართა“ — ნუ იქნებით ისტორიულად უმადურნიო...**

ავი მუსაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ოღრაში ქალაქური ლექსიკონის მიხედვით ქალების გამქირავებელს ნიშნავს, ზოგჯერ საკუთარი ცოლისაც კი! ანუ ოღრაშობა ფულის გამო ყველაფრის კადრებას ნიშნავს.
ეს ისე, ცნობისთვის, რადგან ქვემოთ ხშირად მომიწევს ამ სიტყვის გამოყენება და ემანდ, ამ სიტყვის ქალაქური შინაარსით გამოყენება არ დამწამონ პოლიტიკურმა ოღრაშებმა, რომლებიც მრავალი სიმდაბლის მკადრებლები არიან მწვანე კუპიურების სანაცვლოდ...**

# ოღრაშები და «ქერის ორმო»



## როგორც თავის დროზე «ციცას ეფერებოდა ლუი მეთოთხმეტე და საქართველო ფეხზე ეკიდა», ჯონ ქერიც თანამედროვე ციცების — პოლიტიკური ოღრაშების მოსაფერებლად ჩამობრძანდა საქართველოში

რამდენჯერ გვითქვამს, რომ საქართველო მრავალი მიმართულებით პარადოქსების ქვეყანაა და ერთ-ერთი პარადოქსი არის ის, რომ, **თუ ამერიკელი მაღალჩინოსნების ვიზიტი ამა თუ ქვეყანაში, როგორც წესი, საპროტესტო აქციების ფონზე მიმდინარეობს, ალბათ, მხოლოდ საქართველოა ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ურა-ვაშათი ხვდება, აშშ-ის პრეზიდენტსა და, სახელმწიფო მდივანს ვინღა დაეძებს, მეათე ხარისხოვან სახელმწიფო მოხელესაც კი!**

აგერ ახლაც, ჯერ იყო და ეუთოს ასამბლეის საქართველოში ჩატარების ჩვენთვის, ქართველებისთვის, არაფრის მომცემი ფაქტით წაგვჭამეს ტვინი, შემდეგ კი ვარშავის ნატოს სამიტის წინ, როცა ჯონ ქერი ჩისტორიული“ ვიზიტით გვეწვია, ნაცებ-ქოცები, რომ იტყვიან, ნიფხვებიდან ამოხტნენ, — არიქა, გვეშველა ქართველებს — ნატოში არ მიგვიღებენ, მაგრამ ნატოს მივიღებთ საქართველოში, რომელიც ისეთი იარაღით აღჭურვავს ქართულ არმიას, რუსები თავქუდმოგლეჯილები მოცოცხავენ ცხინვალ-სოხუმიდანო...

სწორედ ასე ცდილობს ნაცებ-ქოცების ხელისუფლება შეფუთოს ჯონ ქერის უშინაარსო ვიზიტის „შინაარსი“, რომელსაც ევროპა-ამერიკის გზავნილებს უწოდებენ და **თინა ხიდაშელმა** ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში ინგა გრიგოლიასტან 40 წუთი ილაქლაქა (მეტს ვეღარ გავუძელი და გადავრთე) სწორედ იმ ე.წ. გზავნილებზე, რომლებიც ლგბტ-პედერასტების უპირველესმა ლობისტმა მსოფლიოში (ამაზე ქვემოთ) ჯონ ქერიმ ჩამოგვიტანა თურმე ქართველებს და იმაზეც, რომ თავდაცვის მინისტრი ვარშავაში ნატოს წევრობას ვერა, მაგრამ ისეთ სტატუსს „გაუიმასქნებს“ საქართველოს, აგრესიის კი არა, ფიქრის სურვილსაც დაუკარგავს პუტინის რუსეთს.

სინამდვილეში, **როგორც თავის დროზე „ციცას ეფერებოდა ლუი მეთოთხმეტე და საქართველო ფეხზე ეკიდა“, ჯონ ქერიც თანამედროვე ციცების — პოლიტიკური ოღრაშების მოსაფერებლად ჩამობრძანდა საქართველოში.** ეს რომ ასეა იქიდანაც გამოჩნდა, რომ ჯონ ქერისთან პროტოკოლით გათვალისწინებულ შეხვედრაზე ოპოზიციონერთაგან მხოლოდ **ირაკლი ალასანია** და **დავით ბაქრაძე** ბრძანდებოდნენ, ანუ **9 წლის განმავლობაში ქართველთა სისხლსა და ცრემლში მოვასვასე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და მასთან ასოცირებული „თავისუფალი დემოკრატები“ მიაჩნია ამერიკა-ევროპას მთავარ ოპოზიციურ ძალად და ამიტომ მხოლოდ ეს პოლიტიკური ოღრაშები მიუშვეს მისტერ ქერის „ქერის ორმოსთან“...**

თუ მაინცდამაინც სიტყვა „გზავნილი” მოსწონს მავანს, აბა, გზავნილი ეს იყო თუ იყო მეოცნებე ხელისუფლებისთვის: **„არ გაბედოთ, ნაცხროვა და მასთან ასოცირებული ალასანია არჩევნებში პარლამენტს მიღმა არ დატოვოთო, თორემ „ცულს მოვიტან ცუნცულასო!..“**

იქნებ ახლა მაინც მოეგონ გონს ის პარტიები, რომლებიც ყოველკვირა სტრასბურგ-ბრიუსელ-ვაშინგტონში დარბიან სტრატეგიულ მოკავშირეთა პოვნის ამაო იმედით.

ასეა — **პოლიტიკურ ოღრაშებს ეფერება მისტერ ქერი, არადა, მისტერ ქერის (წაიკითხე, აშშ-ს) საქართველოც ფეხზე ჰკიდია და ნაცებ-ქოცების ნაღდი ოპოზიციაც...**

„დიდი კაცის დასიზმრებამ უბედურება იცის. აი, მე სკოლის დირექტორი დამესიზმრა და მეორე დღეს ომიც დაიწყო“, — გახსოვთ, ალბათ, **ნოდარ დუმბაძის** „თეთრი ბაირაღებიდან” შოშიასა და ზაზა ნაკაშიძის დიალოგი.

მოდი, პირობითად დიდი კაცების სტუმრობას პატარა საქართველოში საქართველოს სიზმრები ვუწოდოთ და ვნახავთ, რომ იმ სიზმრებმა უბედურების მეტი არაფერი მოგვიტანა.

რომელი ერთი სიზმარი გავიხსენოთ?

შორს რომ არ წავიდეთ, 2005 წლის 9 მაისს **ჯორჯ ბუშის** ვიზიტით დავიწყოთ...

აშშ-ის ისტორიაში ყველაზე სუსტი (თუმცა დღეს უკვე პრეზიდენტი ობამა ეცილება ამ ტიტულში) პრეზიდენტი მაიცდამაინც 9 მაისს, დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების 60 წლის იუბილეზე რომ ჩამობრძანდა მოსკოვიდან (?!) ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში, თვით ეს ფაქტი იყო გარკვეულწილად სიმბოლურ-პროვოკაციული და გამაღიზიანებელი რუსეთისთვის.

დღეს ცოტას თუ ახსოვს, როგორ სიმბოლურად უპასუხა **ვლადიმერ პუტინმა** ამ პროვოკაციას. **როდესაც ბუშს მაამებლურად უმღერდნენ,— შენ ერთადერთი ხარ ჩვენი ღმერთიო, თვითონ კი „ბაღდადურს“ ბუქნავდა, რუსეთის პრეზიდენტი სომხეთში, გიუმრის სამხედრო ბაზაზე იმყოფებოდა, ეს „გზავნილი“ იყო, ერთი მხრივ, ბუშის მიმართ — რაც უნდა იბუქნაო კავკასიას არ დაგითმობო; და, მეორე მხრივ, ქართველების მიმართ: „ნუ დააგდებთ ძველთა გზათა, ნურცა ხსოვნას წინაპართა“ — ნუ იქნებით ისტორიულად უმადურნიო...**

საზოგადოებას შევახსენებ, რომ **ეს ის პერიოდია, როდესაც ზურაბ ჟვანია, სულ რაღაც 4 თვეა, მოკლულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეორე დღეს თავისუფლების მოედანზე „საკუთარ ძაღლიშვილს“ დემოკრატიის შუქურა უწოდა აშშ-ის პრეზიდენტმა.**

ასეა, **ჯორჯ ბუშიც ოღრაშ სააკაშვილს მოეფერა, თორემ საქართველო მასაც ფეხებზე ეკიდა.**

წავიდა და დაგვიტოვა ბუშის ქუჩა და, რაც მთავარია, ნაბუშარ საქართველოში უკონტროლო სააკაშვილი, რომელმაც ჯერ სისხლიანი 7 ნოემბერი მოგვიწყო და, ახლა ვენებს რომ იხსნიან „რუსთავი-2“-ს გამო, „იმედის“ დარბევაზე კრინტი არ დაუძრავთ პოტომაკის ნაპირებზე.

უფრო მეტიც — „სიაფანდზე“ გადამდგარ სააკაშვილს, ქუჩაში გამოსული ასიათასობით გამოსული ადამიანის პროტესტის მიუხედავად, ჯორჯ ბუშმა პირველმა მიულოცა გაყალბებულ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება და უკვე 2008 წლის მაისში კიდევ ერთი საბედისწერო სიზმარი ნახა საქართველომ: საპარლამენტო არჩევნების წინ საქართველოს იმჟამინდელი სახელმწიფო მდივანი, მადამ **ჰილარი კლინტონი** ეწვია მორიგი გზავნილებით, ვინ უნდა ყოფილიყო პარლამენტში ნაცების ფსევდოოპოზიცია — ასე მოხვდნენ საკანონმდებლო ორგანოში ოპოზიციის მანტიამოხვეული ოღრაშები: **გიორგი თარგამაძის** „ქრისტიან-დემოკრატები“, **პაატა დავითაიას** „ჩვენ თვითონ“, **კოკო გამსახურდია, გია** (პადოშა) **თორთლაძე** და სხვები.

მადამ ჰილარიც ოღრაშებს მოეფერა, საქართველო მანაც ბუშივით დაიკიდა და...

ბუშის ძაღლიშვილმა, რომ იტყვიან, აიწყვიტა და მადამ კლინტონის წასვლიდან, სულ რაღაც, 2-3 თვეში რუსეთთან ომი გააჩაღა — **ჰილარი კლინტონის დასიზმრება ყველაზე ძვირად დაუჯდა საქართველოს — ის, რაც დე ფაქტო** გვქონდა დაკარგული, დე იურედაც დავკარგეთ, პლუს ახალგორი და კოდორი, რომლებიც დე ფაქტო თუ დე იურე სტატუსით, ყოველთვის ჩვენი იყო!

ამავე პერიოდიდან იწყება ციხეებში წამება-გაუპატიურება; 2009 წლის უპრეცედენტოდ მასობრივი და ხანგრძლივი საპროტესტო, (საკნების აქციებად წოდებული) გამოსვლები, რომლებსაც „მი-შა, მი-შას“ სკანდირების ფონზე ხელკეტებითა და რეზინის ტყვიებით არბევდა სააკაშვილის პოლიტიკური (გნებავთ — გესტაპო) პოლიცია.

ბოლო კოშმარული სიზმარი იყო აშშ-ის ელჩ **ჯონ ბასის** სახელობის, რომლის სინდისზეც არის 26 მაისის სისხლიანი დარბევა, მაგრამ, როგორც **რეზო ამაშუკელი** წერდა, „კვლავ გადარეცხეს სისხლი ქვაფენილს“ და მეორე დღეს ოღრაშმა სააკაშვილმა საქართველოში აკრედიტებული დიპკორპუსის თანდასწრებით სამხედრო აღლუმი მიიღო იქ, სადაც, 100 მეტრის მოშორებით წინა ღამეს დახოცილთა გვამები ეყარა!

კიდევ ბევრი „სიზმრის“ გახსენება შეიძლება, მაგრამ სჯობს, იმ გზავნილზე ვთქვათ, რომელზეც არავინ საუბრობს და რომელიც ჩამოუტანა ნაცებ-ქოცების ხელისუფლებას მისტერ ქერიმ. ჰილარი კლინტონმა ობამას ადმინისტრაციაში სახმდივნობის პოსტზე ყოფნისას განაცხადა, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი მსოფლიოში ლგბტ-თემის უფლებების დაცვა იქნებაო. პრეზიდენტმა ობამამ კი კვერი დაუკრა, — აშშ-ის ფინანსური დახმარება ამა თუ იმ ქვეყნისთვის სწორედ ლგბტ-პედერასტების უფლებების დაცვის ხარისხზე იქნება დამოკიდებულიო.

ამას რაც მოჰყვა, შარშანდელ 26 ივნისს ვნახეთ — აშშ-ის მთელ ტერიტორიაზე დაკანონდა ერთნაისქესიანთა ქორწინება. ობამამ ყოველი წლის ივნისი გეი-სიამაყის (ჰა, როგორ მოგწონთ, ამის მოფიქრება არ გინდა? — დ.მ.) თვედ გამოაცხადა.

მისტერ ქერიმ კი აშშ-ის გაპედერასტების დღესვე განაცხადა: — **„მე ვიბრძოლებ, რათა, პირველ რიგში, აშშ-ის პარტნიორ ქვეყნებში და შემდეგ მთელ მსოფლიოში დაკანონდეს ერთნაირსქესიანთა ქორწინება!“**

ჩვენ ხომ აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანა ვართ და დავიჯერო, მისტერ ქერის საქართველოს ლგბტზაციაზე სიტყვა არ დაუსველებია ნაცებ-ქოცების ოღრაშებთან?

ქერის მუქარა-განცხადების საპირწონედ კი, აი რა განაცხადა ამას წინათ ვლადიმერ პუტინმა:

**„საქართველო ისევე, როგორც ჩვენ, ქრისტიანი სახელმწიფოა და არ დაუშვებს თავის ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინებას. ეს ყველაფერი სატანის რჯულში გადასვლა და რელიგიის უპატივცემულობაა. მე არ დავუშვებ, რომ რუსეთში ასეთი უმსგავსოება მოხდეს. იმედია, ჩვენი მეზობელი სხვა ქვეყნებიც, მათ შორის, საქართველოც, იმავეს მოიმოქმედებს!“**

ბრავო, ბრავისიმო, ვლადიმერ პუტინ!

ჰოდა, ჩემო მშობელო ქართველო ერო! ერთი წუთით თავი დავანებოთ ნატოს, ევროკავშირს, ვიზალიბერალიზაციას, ევრაზიულ კავშირსა და, ქერი-პუტინის განცხადებებიდან გამომდინარე, ერთ რიტორიკულ კითხვას დავსვამ — **ვისთან ურთიერთობა ურჩევნია საქართველოს — ოღრაშების, სატანის მსახურ დასავლეთთან (წაიკითხე— აშშ) თუ ერთმორწმუნე, მართლმადიდებელ რუსეთთან?**

**დავით მხეიძე**

**P.S.** ნატოს ვარშავის სამიტი, რომელიც ანტირუსული ბაქიბუქით დაიწყო, ფრიად პროზაულად დამთავრდა — ნატოს გენმდივანმა პირდაპირ განაცხადა, რომ ალიანსი არ იმყოფება ცივი ომის რეჟიმში რუსეთთან და რომ რუსეთის იზოლაცია შეუძლებელიც არის და არასასურველიც, რადგან სამყაროს გლობალური უსაფრთხოება, ტერორიზმთან ბრძოლა რუსეთთან თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია და იქვე დააანონსა მოკლე ხანში ნატო-რუსეთის სამიტი, რომელიც ყირიმის „ანექსიის“ შემდეგ აღარ ჩატარებულა!

აქედან გამომდინარე, ნატოს გადაწყვეტილება ბალტიის სამ ქვეყანასა და პოლონეთში თითო ბატალიონის განთავსებისა, სირიასა თუ ყირიმში რუსული იარაღისა და დიპლომატიის ტრიუმფის ფონზე, ნატოს სახის შენარჩუნების მცდელობის სიმბოლური აქტი უფროა, ვიდრე ე.წ. რუსულ საფრთხეზე რეალური პასუხი.

სხვანაირად გაუგებარია, თუ რუსული საფრთხე დღევანდელი რეალობაა, რატომ უნდა განალაგონ ბატალიონები რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებში მხოლოდ მომავალ წელს?

ამ კითხვიდან გამომდინარე კი პირიქით — სრულიად გასაგებია თინა ხიდაშელის მიერ ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში ნათქვამი, რომ ვარშავის შემდეგ ნატო საქართველოს უახლეს თავდაცვით იარაღს მიაწვდის, მხოლოდ როდინობის კვირის შვიდშაბათს რომ მოხდება!

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ახლა გვყავს ამერიკელი მეგობრები, რომლებიც გვაძლევენ არა ბრძანებებს, არამედ რეკომენდაციებს, რომლებსაც გვინდა შევასრულებთ, გვინდა — არა. და თუ არ შევასრულეთ, ამერიკელები არავისაც არ მოხსნიან თანამდებობიდან. სულაც არა. უბრალოდ, ამ შემთხვევაში, მთელ ქვეყანაში ატყდება შფოთი, უბედურება, რევოლუცია, სროლა, ომი, ქაოსი, კაცისკვლა და ჩვენი მეგობრების კეთილი რეკომენდაციების არშემსრულებელს თვითონ ხალხი გაისტუმრებს თანამდებობიდან, ხოლო ქვეყნის სათავეში აღმოჩნდება ისეთი გუნდი, რომელიც უსიტყვოდ შეასრულებს ჩვენი ამერიკელი მეგობრების რეკომენდაციებს.**

# ნატო ტყემალზე და «ქერის უბნის» გარჩევები

**ნამდვილად ვიცი, ჩვენი ქვეყნისთვის ესოდენ საჭირბოროტო თემის ასე ძალიან გაბიაბრუებასა და გაარასერიოზულებაში დამდებს მავანი ბრალს. როგორ შეიძლება ასე არასერიოზული თვალით შევხედოთ ჩრდილოატლანტიკური სამხედრო ალიანსის საქართველოსთან ურთიერთობას, როდესაც ეს ალიანსი რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ ერთადერთი იმედი და ხსნის გზა არისო? — იკითხავს „ძაანპატროტთა" სექტა და დაიწყებს ჩემთვის და ჩემნაირებისთვის მორიგი ვირტუალური ეშაფოტისა თუ გილიოტინის მზადებას, რათა მოსპოს, გაანადგუროს, თავი გააგდებინოს ყველა ჩემნაირ „მოღალატესა" და „სამშობლოს გამყიდველს".**



**გიგა ბოკერია, თინათინ ხიდაშელი, დავით უსუფაშვილი, გიორგი ბარამიძე, დავით ბაქრაძე... სხვანი და სხვანი, რომლებიც სწორედ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დააფრთიანა, გახადა «წარმატებული», შეუქმნა «ინტელექტუალებისა» და საქართველოს «პატრიოტების» იმიჯი, ჩვენ თვალწინ დაზარდა ყურმოჭრილ მონებად და სალაფავზე მიშვებულ ღრუტუნა ღორებად, რომლებსაც გოჭობიდან მოყოლებული აღრუტუნებს და აღრუტუნებს იმას, რაც აშშ-ის წისქვილზე ასხამს წყალს. ესენიც ღრუტუნებენ და ღრუტუნებენ, ოღონდ კი ამერიკული სალაფავი მიიღონ და «წარმატებული» კარიერა ჰქონდეთ და სულაც იმ სალაფავში ჩაყოფილ ჩლიქებზე ჰკიდიათ სამშობლოცა და დედულ-მამულიც!**

თუმცა, რაღა ვირტუალური, საშუალება და ძალაუფლება რომ ჰქონდეთ, რეალურ სასაკლაოსაც სიამოვნებით მოაწყობდნენ დღევანდელი ქართველი „დემოკრატიის ქურუმები", რომელთა დევიზია — **„ოღონდ ნატოსა და ამერიკას ვასიამოვნოთ და ჯანდაბას ჩვენი თავი და ჩვენი ქვეყანა, მთავარია, მეგობარი გყავდეს კმაყოფილი!"**

სწორედ ასეთი განწყობილება სუფევს საქართველოში ბოლო 30 წელიწადი და ყოველივე ეს კიდევ უფრო მკვეთრად და მძაფრად შევიგრძენით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის — ჯონ ქერის ვიზიტის ამსახველი სატელევიზიო სიუჟეტების ცქერისას.

„ამერიკის შეერთებული შტატებიდან ბატონმა ქერიმ სრულიად მკაფიო გზავნილები ჩამოგვიტანა", — ძალიან სერიოზული და „პატრიოტი" სახეებით აცხადებდნენ ჩვენი ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები და თვალწინ მედგა ის „ძალიან ჭკვიანი" გოგო-ბიჭები, რომლებიც ზუსტად იმავეს ტიტინებდნენ 30 წლის წინათ, როდესაც ჯერ კიდევ დამწყები „პატრიოტები" იყვნენ და „ერთ გუნდად" მოიხსენიებოდნენ ხოლმე.

**გიგა ბოკერია, თინათინ ხიდაშელი, დავით უსუფაშვილი, გიორგი ბარამიძე, დავით ბაქრაძე... სხვანი და სხვანი, რომლებიც სწორედ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დააფრთიანა, გახადა „წარმატებული", შეუქმნა „ინტელექტუალებისა" და საქართველოს „პატრიოტების" იმიჯი, ჩვენ თვალწინ დაზარდა ყურმოჭრილ მონებად და სალაფავზე მიშვებულ ღრუტუნა ღორებად, რომლებსაც გოჭობიდან მოყოლებული აღრუტუნებს და აღრუტუნებს იმას, რაც აშშ-ის წისქვილზე ასხამს წყალს. ესენიც ღრუტუნებენ და ღრუტუნებენ, ოღონდ კი ამერიკული სალაფავი მიიღონ და „წარმატებული" კარიერა ჰქონდეთ და სულაც იმ სალაფავში ჩაყოფილ ჩლიქებზე ჰკიდიათ სამშობლოცა და დედულ-მამულიც!**

რაო? ისევ ირონიული და არასერიოზული ტონი მაქვს?

გაფიცებთ, მიპასუხეთ, როგორ უნდა მქონდეს სერიოზული ტონი, როდესაც 30 წელიწადი ისეთი არგუმენტები მესმის ნატოში საქართველოს ვერშესვლის ასახსნელად და გასამართლებლად, მგონია, რომ პოლიტიკოსები ან პოლიტიკოსობაზე პრეტენზიის მქონე ადამიანები კი არ საუბრობენ მართლაც საჭირბოროტო საკითხზე, არამედ სოფლის ბირჟაზე ენაკვიმატი მეზობლები უკვე კაი ხნის მოძველებულ ანეკდოტებს ახალი ინტერპრეტაციით მიყვებიან.

ანეკდოტის გარდა რა ვუწოდო სწორედ ქერის ვიზიტის მიმდინარეობისას ერთ-ერთ ტელეკომპანიაში დებატებისას გაგონილ ასეთ ფარაზას — **„ჩვენ დღეს ნატოში სწორედ იმიტომ არ ვართ, რომ მთელი 4 წელიწადი დავკარგეთ! საქართველო უკვე შედიოდა ნატოში, როდესაც ზურაბ ტყემალაძემ განაცხადა, არ გვინდა ნატოში შესვლაო და ამიტომ შეფერხდა პროცესი. ნატოსა და ამერიკის წარმომადგენლები ტყემალაძის ასეთი განცხადების გამო არკვევდნენ, საქართველოს მართლაც სურს ნატოში შესვლა თუ არა. ამაში დაიკარგა 4 წელიწადი!"**

ამ ფრაზის მთქმელის ვინაობას, მაპატიეთ და, ვერ დაგისახელებთ, რადგან ეს ფრაზა გვერდითა ოთახში ჩართული ტელევიზორიდან შემომესმა და სიმართლე გითხრათ, შემრცხვა, რომ გავსულიყავი და დამენახა, კერძოდ, რომელი „ბრძენი" ბრძანებდა ამ იდიოტობას. აი, დაახლოებით ისე, ვიღაც უზრდელი რომ უადგილო ადგილას შარდავს და იმის მაგივრად, თვითონ შერცხვეს გამვლელებისა, პირიქით, დარცხვენილი გამვლელები არიდებენ თვალს. რაღაც მსგავსი პარადოქსი დამემართა. ნამდვილად არ მინდა, ვიცოდე, კერძოდ, რომელი სრული ჩლუნგი აღვჭურვეთ ჩვენ, ამომრჩევლებმა, იმ უფლებით, რომ იჯდეს სატელევიზიო ეთერში და ამ დონის სიდებილეს გველაპარაკებოდეს.

**ანუ, პირდაპირ რომ ვთქვათ, ნატო ტყემალზეა!**

ამხელა ჩრდილოატლანტიკური სამხედრო ალიანსისა და ზესახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების მმართველებს თურმე ისე ვერ გაურკვევიათ, რომელი ქვეყანა რა საგარეო კურსს ატარებს და პარლამენტარ ზურაბ ტყემალაძის განცხადებების მიხედვით საზღვრავენ, ვინ შეიყვანონ ნატოში და ვინ — არა! თანაც ტყემალაძის განცხადებების „გაშიფვრას" მთელ 4 წელიწადს ანდომებენ.

ვერაფერს იტყვი, მშვენიერი გასართობია: ჩატარდეს სამიტები, მომზადდეს პროცესი, მომწიფდეს სიტუაცია და ჰა, **როცა ის-ისაა უნდა შევიდეთ ნატოში, უცებ გამოვიდეს ტყემალაძე, რაღაც დაიბჟუტუროს და მორჩა — ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები 4 წელიწადს შეალევენ იმის კვლევას, რეალურად სურს თუ არა საქართველოს ნატოში.**

მოკლედ, **ზურაბ ტყემალაძეს შეუძლია არასოდეს შეგვიშვას ნატოში, თუკი მოინდომა!**

ისე, საკითხავია, მხოლოდ ზურაბ ტყემალაძეზე აქვთ ნატოს წარმომადგენლებს გაფაქიზებული „სენსორები" თუ ნებისმიერი ტყემალაძის დონისა და რანგის „მოღვაწის" განცხადებებზე რეაგირებენ ასე სასტიკად?

თუ სხვებზეც, მაშინ მთლად წასულია საქმე! კარგი, ჯანდაბას, ტყელამაძე ბიზნესმენი კაცია, მატერიალურად არ უჭირს და გაუძლებს ცდუნებას, მაგრამ **ვლადიმერ პუტინს** ხომ შეუძლია დაიქირავოს რომელიმე იმავე დონისა და რანგის დეპუტატი იაფად და, როგორც კი შეამჩნევს, რომ საქართველოს ნატოში შესვლა გარდაუვალია, იმწამს გააკეთებინოს რამე განცხადება, რომელიც ისევ აურევს თავგზას ნატოს მესვეურებს და ისინი 4 წლის განმავლობაში იმის კვლევას გადაყვებიან, რეალურად სურს თუ არა საქართველოს ნატოში შესვლა?

აბა, მითხარით, რისთვისღა სჭირდება პუტინს მილიონების ხარჯვა ნატოს საწინააღმდეგო პროპაგანდის გასატარებლად? განა ერთ-ორ ღარიბ ქართველ დეპუტატს რამდენიმე ათასად ვერ მოისყიდის?

სხვათა შორის, როგორც ჩანს, რუსეთის პრეზიდენტი მართლა მოიკოჭლებს სხარტ აზროვნებაში და იმიტომაც არ იქცევა ისე, როგორც მე ვურჩევ, თორემ, აგერ, ბატონო, მე უკვე წარმოვადგინე საქართველოს ნატოში მუდმივი არშეშვების ბრწყინვალე რეცეპტი.

როგორც ჩანს, პუტინის ასეთი ჭკუასუსტობა მხოლოდ მე არ შემიმჩნევია. აბა, **თუკი ადამიანის ჭკუასუსტობაში არ ხარ 100 პროცენტით დარწმუნებული, ნუთუ შეიძლება მას ისეთი რამ შესთავაზო, რაც საქართველოს პარლამენტის თავმჯომარემ, დავით უსუფაშვილმა, შესთავაზა ვლადიმერ ვლადიმეროვიჩს?!**

„რუსეთთან საუბარს დავიწყებთ, ოღონდ მას შემდეგ, რაც რუსეთი უკან წაიღებს სოხუმისა და ცხინვალის აღიარებას, გაიყვანს თავის სახმედრო ძალებს ამ რეგიონებიდან, შეწყვეტს ხელის შეშლას ჩვენი ნატოში ინტეგრირების პროცესში, სრულად დაიცავს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას! გააკეთოს რუსეთმა ეს ყველაფერი და მხოლოდ ამის მერე ჩვენ აუცილებლად დავიწყებთ კრემლთან დიალოგსა და მოლაპარაკებებს!" — განაცხადა **დავით უსუფაშვილმა.**

იცით, მეჩვენება, რომ ეს ძალიან ცოტაა! ვფიქრობ, ამას უნდა დაემატოს მოთხოვნები — რუსეთმა თავისი ძალებითა და თავისი ჯარისკაცების სისხლით უნდა დაგვიბრუნოს ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი და კიდევ ოსმალ-თურქების მიერ მითვისებული სხვა ქართული მიწა-წყალი; გარდა ამისა, პუტინმა კომპენსაციის სახით უნდა მოგვიერთოს კრასნოდარის მხარე, ასევე, დაგვითმოს მოსკოვის ნაწილი, მერე მობოდიშების ნიშნად ერთი-ორი რუსული ჩასტუშკაც გვიმღეროს, წაიცეკვოს, კუდი გაგვიქიცინოს, მოგველაქუცოს და ამის შემდეგ შეიძლება მხოლოდ უკვე რუსეთთან დალაპარაკება! თუ ამ ყველაფერს რუსეთი არ შეასრულებს, კრინტსაც არ დავძრავთ ჩვენივე დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებელ მოლაპარაკებებზე და ეგდოს რუსეთი სოხუმ-ცხინვალში თავისი ჯარით და გველოდოს, როდის დაველაპარაკებით. მასე მოუხდება მაგათ! აი ეგრე!

**ისევ გავაარასერიოზულე ტონი? აბა, რა ვქნა?! ქვეყნის პარლამენტის თავმჯომარე რომ ამხელა სისულელეებს იტყვის, მე, უბრალო, უცნობ და უსახელო ჟურნალისტს, რაღა მომეთხოვება?!**

არა! თუმცა ვიცი, რაც მომეთხოვება, მხოლოდ მე კი არა, თითოეულ ჩვენთაგანს. **თითოეულ ქართველს მოგვეთხოვება ერთადერთი რამ — ჩვენი ამერიკელი მეგობრების რეკომენდაციების შესრულება!**

დიახ, დიახ! რეკომენდაციების და არა ბრძანებების, როგორც ეს მაშინ იყო, რუსი დამპყრობლების პირობებში, კრემლიდან რომ ბრძანებები მოდიოდა და, თუ არ შესრულდებოდა, ცეკას მდივანი თანამდებობას დაკარგავდა.

ახლა ჩვენ მბრძანებლები აღარ გვყავს! **ახლა გვყავს ამერიკელი მეგობრები, რომლებიც გვაძლევენ არა ბრძანებებს, არამედ რეკომენდაციებს, რომლებსაც გვინდა შევასრულებთ, გვინდა — არა.**

და თუ არ შევასრულეთ, **ამერიკელები არავისაც არ მოხსნიან თანამდებობიდან. სულაც არა. უბრალოდ, ამ შემთხვევაში, მთელ ქვეყანაში ატყდება შფოთი, უბედურება, რევოლუცია, სროლა, ომი, ქაოსი, კაცისკვლა და ჩვენი მეგობრების კეთილი რეკომენდაციების არშემსრულებელს თვითონ ხალხი გაისტუმრებს თანამდებობიდან, ხოლო ქვეყნის სათავეში აღმოჩნდება ისეთი გუნდი, რომელიც უსიტყვოდ შეასრულებს ჩვენი ამერიკელი მეგობრების რეკომენდაციებს.**

ასე არ ჯობია? **აბა, ისე, რუსულად, პრიმიტიულად, ერთი კაცის პირდაპირ მოხსნა რა საინტერესოა? განა რევოლუცია, შფოთი, მღელვარება და თავპირისმტვრევა და ქვეყნის დაქცევა უფრო აზარტული არ არის?!**

ჰოდა, ამ წინასაარჩევნოდაც „ქერის უბანში", როგორც სატელევიზო კადრებიდანაც ჩანდა, საინტერესო რეკომენდაციები მიიღეს ბიჭებმა და გოგოებმა ოპოზიციან-მთავრობიანად. **როგორი აღფრთოვანებული სახეებით ხვდებოდნენ ამერიკის სახელმწიფო მდივანს გიგა ბოკერია, დავით ბაქრაძე, ირაკლი ალასანია და სხვები, ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბატონი „მეგობრები" უფრო „შერიგების" პოლიტიკას გვაძლევენ რეკომენდაციად და, ალბათ, კონკრეტული საპარლამენტო პროცენტებიც უკვე დათვლილ-დალაგებულია...**

როგორც ჩანს, კიდევ მთელი 4 წელი მოგვიწევს, ვატაროთ თავსმოხვეული ამერიკული „ზენდენა" — კოაბიტაცია!

**დღეს ქმარ-შვილის მკვლელ მაგდა პაპიძეს სწორედ ის და ისეთი ადამიანები იცავენ, ის ადამიანები აცხადებენ — „ვაიმე, როგორ მეცოდება ეს უსამართლოდ დაჩაგრული და ყველასგან გაწირული უმწეო გოგოო“, რომლებმაც თავის დროზე უაპელაციოდ გაწირეს და დასაპატიმრებლად, საწამებლად და მოსაკლავად გაიმეტეს „სულხან მოლაშვილები“!**

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «მარიტობანა», ანუ «იესო ქრისტეების» მოვლინება საქართველოში

**ამდენი მორალური „ანგელოზი“, რამდენიც გასული კვირის განმავლობაში საქართველოში მოგვევლინა, ალბათ, ედემის ბაღშიც არ იქნებოდა შემჩნეული. „მორალურ ანგელოზთა“ მოზღვავება, ძირითადად, ორმა ძალიან გახმაურებულმა ამბავმა — სულხან მოლაშვილის გარდაცვალებამ და მაგდა პაპიძის სასამართლო პროცესმა გამოიწვია.**

სიმართლე გითხრათ, ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ამ ორი სრულიად განსხვავებული პიროვნების, სრულიად განსხვავებული ბიოგრაფიის, სრულიად განსხვავებული ბედის ადამიანის სახელებს ერთ საგაზეთო წერილში მოვიხსენიებდი, მაგრამ „ანგელოზებმა“ ასე გადაწყვიტეს. გადაწყვიტეს კი არა, უფრო ზუსტად, ერთ-ერთმა „ანგელოზმა“ პირდაპირ განაცხადა: **„შეგვიძლია გარკვეული პარალელი დავინახოთ მაგდა პაპიძესა და სულხან მოლაშვილს შორის. აკი, რამდენიმე წელი სულხან მოლაშვილიც დამნაშავე გვეგონა, მაგრამ საბოლოოდ არ აღმოჩნდა დამნაშავე და ყველა ბრალდებაში საერთაშორისო სასამართლომ გაამართლა, ხომ შეიძლება იგივე მოხდეს მაგდა პაპიძის შემთხვევაშიც?“**

აი, ასეთი „ანგელოზობანა“ მოგვიწყო ქართველი საზოგადოების ერთმა ნაწილმა და განსაკუთრებით იმ ნაგვის გროვამ, საკუთარ თავს რომ „არასამთავრობო სექტორს“ უწოდებს და მზად არის, ნებისმიერი უბედურება და ტრაგედია საკუთარი თავის რეკლამირებისთვის გამოიყენოს. თანაც, ამ რეკლამას ისე იკეთებენ, თავს „ანგელოზებად“ წარმოაჩენენ, ხოლო ჩვენ, დანარჩენებს — ბოროტებად, არაადამიანებად, შეუბრალებლებად, გულქვებად და ა.შ.

ვერ გეტყვით, რა შინაგანი „ანგელოზური“ ბუნება უნდა ჰქონდეს ადამიანს ისეთი, რომ **მაგდა პაპიძესა** და **სულხან მოლაშვილს** შორის ოდნავი საერთო შტრიხი მაინც დაინახოს, ან, საერთოდ, რა იდიოტობაა ფინანსურ დანაშაულში ბრალდებულისა და ძალადობრივ, სისხლიან დანაშაულში მსჯავრდებულის შედარება ერთმანეთთან?! ისიც სათქმელია, ასე თამამად რომ აცხადებენ — „სულხან მოლაშვილიც ხომ დამნაშავე გვეგონაო“ — ნეტავ, ვის გულისხმობენ? მე, პირადად, და ყველა ნორმალურ და ჭკუადამჯდარ ადამიანს, რომლებიც „ვარდების“ ტუტუცობას არასოდეს ავყოლივართ, არც **არასოდეს გვგონებია, რომ სულხან მოლაშვილი დამნაშავე იყო და ყოველთვის ვიცოდით, რომ მისი დაპატიმრება და შემდგომ წამება სწორედ მის მიერ სააკაშვილის მექრთამეობაში მხილებისთვის პირადი შურისძიება იყო.**

საქმეც სწორედ ეს არის! **დღეს ქმარ-შვილის მკვლელ მაგდა პაპიძეს** (მას უკვე აპელაციის უფლების გარეშე მიუსაჯა მოსამართლემ შესაბამისი სასჯელი და 12 ნაფიცმა მსაჯულმა დამნაშავედ სცნო, ამიტომ, თამამად შეგვიძლია დამნაშავე და მკვლელი ვუწოდოთ!) **სწორედ ის და ისეთი ადამიანები იცავენ, ის ადამიანები აცხადებენ — „ვაიმე, როგორ მეცოდება ეს უსამართლოდ დაჩაგრული და ყველასგან გაწირული უმწეო გოგოო“, რომლებმაც თავის დროზე უაპელაციოდ გაწირეს და დასაპატიმრებლად, საწამებლად და მოსაკლავად გაიმეტეს „სულხან მოლაშვილები“!**

დიახ, სწორედ „სულხან მოლაშვილები“ მრავლობითში, რადგან სულხან მოლაშვილი იმ ავადსახსენებელი 10 წლის განმავლობაში არ იყო ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ეს ბედი ერგო. აკი, ასეულობით ისეთი ადამიანი შეიწირა სააკაშვილის მანიაკურმა მმართველობამ, რომლებიც არ იყვნენ ყოფილი დიდი თანამდებობის პირები და ამიტომ მათი ბედით საზოგადოება დიდად არც კი დაინტერესებულა.

დიახ, სწორედ **მაგდა პაპიძის დამცველ „ანგელოზთა“ კისერზეა იმ ადამიანების ცოდვაც, რომლებიც მანიაკთა პარპაშს შეეწირა. ფაქტია, რომ „გაანგელოზებული“ მკვლელის ასეთი თავგამოდებით დამცველები ის ხალხია, რომელმაც 2003 წელს სრულიად „არაანგელოზურად“, ძალიან მარტივად და უპრობლემოდ დაიჯერა მანიაკ სააკაშვილის მიერ ბრალდებული ადამიანების „მექრთამეობა“, „კორუფცია“, „სახელმწიფო ბიუჯეტის“ გაფლანგვა და ასე შემდეგ.**

ახლა კი, ასევე უპირობოდ, რატომღაც, უბრალოდ, „არ სჯერათ“ ათასი მტკიცებულებით დადასტურებული ფაქტი მაგდა პაპიძის მიერ ქმრისა და შვილის მკვლელობისა.

აი, ამ „ანგელოზთა ბანდას“ მაშინ ისეთივე თავგამოდებით რომ დაეცვა ეკონომიკურ დანაშაულში სრულიად უფაქტოდ ბრალდებული ადამიანები, როგორც ახლა, ფაქტობრივად, დადასტურებულ და დადგენილ საკუთარი ქმარშვილის მკვლელს იცავს, შესაძლოა, ამხელა ტრაგედიები აღარც დატრიალებულიყო.

მაგრამ საქმე ის არის, რომ იმხანად ადამიანთა დადანაშაულება, გაწირვა, ციხეებში ჩაყრა, კოლექტიური ბრალდებები „მოდაში“ იყო და ეგ ითვლებოდა „კარგ ტონად“. ახლა კი პირიქით — „მოფარფატე ანგელოზის“ პოზაა მოდური.

და ეს „ფარფატი“ იქამდეც კი მიდის, რომ **ტელეკომპანია „იმედის“ სიუჟეტში ერთმა ე.წ. უფლებადამცველმა ანგელოზმა საკუთარი ქმარ-შვილის მკვლელი და ოჯახის მოღალატე ქალი გიორგი ლეონიძის უკვდავი ნაწარმოებისა და თენგიზ აბულაძის გენიალური კინოშედევრის გმირ უსპეტაკეს გოგონასაც კი შეადარა(!).**

საზოგადოდ, **ბოლო პერიოდში საქართველოში ძალიან შესამჩნევი გახდა თამაში პირობითი სახელწოდებებით — „მარიტობანა“ და „ციციკორეობანა“.**

უზნეო ადამიანები ცდილობენ, სხვა მისნაირივე უზნეო ადამიანების საქციელის რამენაირად „გაპრავებას“ და საამისო საუკეთესო მეთოდად რატომღაც სწორედ მარიტასა და ციციკორეს ტიპაჟების სრულიად არაადეკვატური და ალოგიკური მოშველიება დაამკვიდრეს.



**გამოჩნდება სადმე ვინმე კახპა, უზნეო, ამორალური, ამზარზენი ქალი და, თუკი მას მისი საქციელისთვის აბსოლუტურად ლოგიკური შედეგი დაუდგა და ვინმემ საკადრისი ეპითეტებით შეამკო, ეს «ანგელოზთა სექტა» იმწამსვე გამოხტება და ამ კახპას «მარიტას» ადარებს**

**გამოჩნდება სადმე ვინმე კახპა, უზნეო, ამორალური, ამზარზენი ქალი და, თუკი მას მისი საქციელისთვის აბსოლუტურად ლოგიკური შედეგი დაუდგა და ვინმემ საკადრისი ეპითეტებით შეამკო, ეს „ანგელოზთა სექტა“ იმწამსვე გამოხტება და ამ კახპას „მარიტას“ ადარებს.**

„ყველამ აიღო თითო მუჭი ტალახი და ესროლა ამ საცოდავ გოგოს. უეცრად მარიტა გამახსენდა.“ — ეს ფრაზა ერთ-ერთმა ექსპერტად წოდებულმა ტუტუცმა მაგდა პაპიძის შესახებ თქვა ტელესიუჟეტში.

რთული სათქმელია, **თუკი ადამიანი ტვინით ჩლუნგი არ არის, როგორ შეიძლება ქმარ-შვილის მკვლელმა „ნატვრის ხის“ ცნობილი მარიტა გაახსენოს?!**

კარგი, თუნდაც თეორიულად მოვუხსნათ მაგდა პაპიძეს ქმარ-შვილის მკვლელობის ბრალდება. **ის ხომ 100 პროცენტით არის დამტკიცებული, რომ ამ ქმარშვილიან ქალს სადღაც „ბენზინკალონკაზე“ სექსპარტნიორი ჰყავდა და ღამით მასთან დადიოდა? განა ოდნავ მაინც შეიძლება ასეთმა ქალმა ვინმეს მარიტას პერსონაჟი გაახსენოს?!**

თუ ასეა, იქნებ **გედიაც** გაგვახსენდეს მაგდა პაპიძის საყვარლის ჩვენების მოსმენისას, როდესაც მან სასამართლოს ღიად განუცხადა: **„ასეთი მსუბუქი ყოფაქცევის ქალს, როგორიც მაგდა პაპიძეა, მე ცოლად არასოდეს მოვიყვანდი!“**. რას იტყვით? ხომ ძალიან ჰგავს ყოველივე ეს გედიასა და მარიტას უფაქიზეს, უდიდეს და საოცარ სიყვარულს?

თუმცა, **რაღა შეიძლება თქვა ადამიანმა, როდესაც ქმარშვილიან ქალს საქვეყნოდ, არათუ მხოლოდ „ახლობლებში და მეზობლებში“, არამედ მთელ საქართველოში „გაუბაზრდა“ საკუთარი უზნეო საქციელი და მას კი ოდნავი სირცხვილის გრძნობაც კი არ დამჩნევია. მეტიც, სრულიად მშვიდად, „მერე რა მოხდა“-ს ტონით განაცხადა სასამართლოზე — მხოლოდ ორჯერ მქონდა სექსი ოთარ ბერძენიშვილთან, მეტჯერ არაო! „მერე რა მოხდა“-ო, ანუ!**

ასევე უტიფრად იქცევიან მისი ოჯახის წევრებიც. მაგალითად, მაგდა პაპიძის დედა, იმის ნაცვლად, რომ სირცხვილით მიწაში ჩაძვრეს, ერთ-ერთ ტელეშოუში **ისეთი ინდეფერენტული სახით მოიხსენიებდა ოთარ ბერძენიშვილს თავისი შვილის „მეგობარ მამაკაცად“, გეგონებათ, ქმარშვილიანი ქალის „მეგობარი მამაკაცი“ საუკუნეებით განმტკიცებული ტრადიციაა და ამაში არაფერია სამარცხვინო...**

**როგორც ჩანს, გიორგი ლეონიძესაც უწერია სადმე მარიტას საყვარლებისა და ღამღამობით მისი „გაძრომების“ შესახებ და მე გამომრჩა რამე, ხო?**

საზოგადოდ, ძალიან გავრცელებულია ეს სენი უკვე ჩვენს საზოგადოებაში და უკვე ისეთი ამაზრზენია ყველა კახპის მარიტასთან შედარება, რომ ამით თვითონ ნაწარმოებიც უფასურდება და ყოველივე ეს მისი ავტორის სასტიკი შეურაცხყოფაცაა!

სინამდვილეში ხომ მარიტა ერთი უცოდველი, ლამაზი სულის პატრონი გოგონაა, რომელიც მოატყუეს, სიცრუის ხარჯზე გაათხოვეს და, მიუხედავად იმისა, რომ მისმა გულმა ვერაფრით დაივიწყა პირველი უანგარო სიყვარული, მოულოდნელად გამოჩენილ გედიას უკვე ქმრის ოჯახში მყოფი მარიტა ასე მიმართავს:

„ცოცხალი ხარ გედია? წადი, გედია, წადი!“

და არა — მოდი, გედია, ჯანდაბას, ორჯერ გვქონდეს სექსი, მერე რა მოხდაო!

თუმცა, რა აზრი აქვს ახლა ლიტერატურულ თუ ზნეობრივ გარჩევებს? მე შენ გეტყვი, გაუჭირდებათ და ვერ მოგაწებებენ ციციკორეს იარლიყს. **ამ „ანგელოზებს“ რომ ჰკითხო, ყველა კახპა მარიტაა და ყველა, ვინც ოდნავ მაინც ცდილობს საზოგადოებრივი ელემენტარული ზნეობის მხარეს დადგომას, ციციკორეა!**

სინამდვილეში, ასეთი „ანგელოზების სექტას“ ვერც ამ უკვდავი ნაწარმოებიდან გამოაქვს რაიმე სწორი დასკვნა და ვერც ფილმის ყურებით ხვდებიან, რის თქმას ცდილობს იქ რეჟისორი.

**ამათ ვერც ის გაუგიათ, სინამდვილეში რატომ არის მარიტა დადებითი პერსონაჟი, ხოლო ციციკორე — უარყოფითი. ამათ მარიტა კახპა ჰგონიათ, ხოლო ციციკორე — მართლაც ზნეობის სადარაჯოზე მდგარი მოღვაწე.**

**ეს ხომ ის ხალხია, რომელსაც „მიტევება“, „პატიება“, „შენდობა“ მხოლოდ სხვისი ტრაგედიების დროს ახსენდება, ხოლო, თუ ვინმე პირადად მათ ახლობელს შეეხო, აუცილებლად თვალებს ამოჩიჩქნიან და „სამოთხის საგზურს“ სულ ფეხებზე დაიკიდებენ.**

ელემენტარულია, რომ მკვლელისა და მოძალადისთვის მიტევების უფლება აქვს მხოლოდ ღმერთს და მსხვერპლის ოჯახის წევრებს! სხვას არავის!

მაგრამ, საზოგადოდ ხომ იოლია, სხვისი უბედურების ხარჯზე იყო „იესო ქრისტე“... და ეწევა კიდეც წარმატებით ამ საქმიანობას არაერთი.

თუმცა, ამ ფონზეც კი, განსაკუთრებული ფენომენია მაგდა პაპიძის დამცველი მამაკაცები, რომლებიც საოცრად „ფარფატა“ პოზიციებს გამოხატავენ საჯაროდ და რეალურად, ალბათ, საკუთარი ოჯახის წევრ ქალებს ფანჯრიდან გადახედვასაც უკრძალავენ — ემანდ სიმპათიურ მეზობლის კაცს არ მოჰკრას თვალიო!

არ არის ასე? არ არის ყოველივე ეს, უბრალოდ, მომგებიანი პოზა ვიღაცისთვის თავის მოსაწონებლად და რეალურად მოგწონთ და გეცოდებათ მაგდა პაპიძე? რეალურად მიგაჩნიათ ის მარიტად? კარგი, დაგიჯერებთ, ოღონდ ამ წერილსაც თქვენდამი მომართული ასეთი კეთილი სურვილით დავასრულებ:

**ყველა იმ ადამიანს და განსაკუთრებით მამაკაცებს, რომლებიც ჰუმანურობისკენ გულაჩუყებულნი მოგვიწოდებთ, ღმერთმა ნუ გამოგილიოთ საკუთარ ოჯახებში მაგდა პაპიძისნაირი მარიტები და თქვენს სანათესაოში არ მოგკლებოდეთ „ბენზინკალონკებზე“ ან თუნდაც სხვა ადგილებზე უცხო მუტრუკებთან ერთი-ორჯერ „მოჟიმავე“ ქმარშვილიანი ქალები...**

უკაცრავად, ხომ არაფერი გეწყინათ?

**ბაკურ სვანიძე**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„პროფესიონალი კადრები, რომლებსაც შეეძლოთ კვალიფიციური სწავლება, ხიდაშელმა დაითხოვა და დააბრუნა ყოფილი ნაციონალები, ზონდერები, რომლებიც პოლიტიკურ დავალებას ასრულებენ“.**

# «ჩვენს «სტრატეგიულ პარტნიორს» ურჩევნია, საქართველოში ჰყავდეს არა ახალწვეულები, არამედ კონტრაქტორი ჯარისკაცები, რომლებსაც უფრო მარტივად მართავს»

„ხალხი, რომელსაც არ სურს, გამოკვებოს საკუთარი არმია, იძულებული იქნება, გამოკვებოს სხვა ქვეყნის არმია.“

ნაპოლეონ ბონაპარტე



**თავდაცვის სამინისტრო სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევას აღარ განახორციელებს. თავდაცვის მინისტრმა ქალბატონმა თინა ხიდაშელმა განაცხადა: „ჩვენ ვთქვით, რომ 2017 წლიდან შეიარაღებულ ძალებში აღარ იქნებიან წვევამდელები. ამას აქვს ძალიან მარტივი მიზეზი: შეიარაღებულ ძალებს არ სჭირდება ძალით მოყვანილი სამხედრო მოსამსახურე. შეიარაღებულ ძალებზე არის ძალიან მაღალი მოთხოვნილება. შეიარაღებულ ძალებში სამხედრო სამსახური პრესტიჟულია და არავის სჭირდება დაძალება, რომ გახდეს თავისი ქვეყნის ჯარისკაცი...“**

**ახალგაზრდები, რომლებმაც მოიხადეს სამხედრო-სავალდებულო სამსახური, ამბობენ, რომ ქართულ ჯარში ძალიან დაბალ დონეზეა სწავლება, ახალწვეულები საჭირო ცოდნას ვერ იღებენ, რაც დაბალი პროფესიონალიზმის მქონე ოფიცერთა კადრების ბრალია. ახალგაზრდები თვლიან, რომ სამხედრო-სავალდებულო გაწვევის გაუქმება ქვეყნისთვის საზიანოა, თუმცა, თუ ახალწვეულთა სწავლებას გავითვალისწინებთ, ნამდვილად არ ღირს ერთი წლის ფუჭად დაკარგვა. ზოგი კი ფიქრობს, რომ ეს გადაწყვეტილება, მინისტრმა კი არა, ამერიკამ მიიღო. ამერიკას ხელს აძლევს, ქართულ ჯარს ჰყავდეს კონტრაქტორი ჯარისკაცები, რომლებიც გადამხდელის მითითებისამებრ უყოყმანოდ მიიღებენ მონაწილეობას აშშ-სა და ნატოს სხვადასხვა სამხედრო კამპანიაში. აი რას ამბობენ თბილისელი ახალგაზრდები სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გაუქმებაზე:**



**ლექსო ოქრუაშვილი, 21 წლის:**

**— ეს გადაწყვეტილება ამერიკის დაკვეთა იყო. მას ხელს არ აძლევს, რომ საქართველოს ჰყავდეს ჯარი, ქვეყანას ჰყავდეს მეომრები, რომლებიც, ფულის გამო კი არა, სამშობლოს სიყვარულის გამო დაიცავენ ქვეყნის ინტერესებს. მათ სჭირდებათ კონტრაქტორები, რომლებსაც ატარებენ თავიანთ ჭკუაზე, წვევამდელები კი ასეთებად არ გამოდგებიან, და სწორედ ამიტომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება ხიდაშელმა, უფრო ზუსტად — ამერიკამ.** სწორედ ამიტომ ასუსტებდნენ ჯარს ნელ-ნელა, არ არის სწავლება, დღეს ჯარი არაფრისმომცემია. ახალგაზრდები ჯარში რომ არ წასულიყვნენ, რას აღარ აკეთებდნენ — მაგალითად, ჩემმა მეგობარმა 5 კილოც კი დაიკლო ერთ კვირაში, ვენებს იჭრიდნენ და ა.შ.



**გიორგი კალატოზიშვილი, 21 წლის:**

— ქართულ ჯარში, ლოგინის გასწორების გარდა, არაფერს ასწავლიან. ახალწვეულს წაიყვანენ პოლიგონზე, გაასროლინებენ ერთ ტყვიას და მორჩა. ერთი ტყვიის გასროლის გამო მიჰყავთ ერთი წელი. ამას არ სჯობს, გააკეთონ ორკვირიანი სასწავლო კურსები და ახალგაზრდებს იარაღის ხელში დაჭერა მაინც ასწავლონ? ამის კარგი მაგალითია 2008 წლის აგვისტოს ომი. გამოიძახეს თავიანთი მომზადებული ბიჭები და რა შერჩათ ხელში? — იარაღის სროლა არ იცოდნენ. თუ ჯარში გვიწვევთ, ისეთი სწავლება მაინც უნდა იყოს, რომ გვიღირდეს წასვლა და საფუძვლიანი ცოდნა მივიღოთ. ან ის რა ჯარია, საელჩოებთან რომ დგანან? რომ გავიგე, რა პირობები იყო ჯარში, მივხვდი, ტყუილუბრალოდ უნდა დამეკარგა ერთი წელიწადი. გავიკითხე, თუ შეიძლებოდა მოგვიანებით სასურველ დროს წასვლა და, **ერთი წელი რომ გადამევადებინა, 500 ლარი უნდა გადამეხადა. ანუ რა გამოდის? — საქართველოს თავდაცვის სისტემა კონცენტრირებული იმაზე კი არ არის, ქვეყანას მომზადებული ჯარისკაცები ჰყავდეს, არამედ იმაზე, რომ გაწვევის მეშვეობით ფული იშოვოს.**



**ირაკლი ხარშილაძე, 21 წლის:**

— ჯარში გაწვევის გაუქმება შეიძლება გამართლებული იყოს ისეთ ქვეყანაში, რომელიც სწორ პოლიტიკას ატარებს ან ნეიტრალიტეტს იცავს. ამას რომ ვიტყვით, ყველას გაახსენდება შვეიცარია, რომელიც ნეიტრალიტეტს კი იცავს, მაგრამ საკმაოდ დიდი არმია ჰყავს. შვეიცარიელებმა შექმნეს სამხედრო პუნქტებისა და მიწისქვეშა ბუნკერების სისტემა და ქვეყანაში შეჭრილ მტრის ჯარს სიურპრიზი ელის გვირაბებისა და ხიდების გავლისას, რადგან ეს ყველაფერი დანაღმულია და შვეიცარიელები ომის შემთხვევაში ააფეთქებენ. მიუხედავად ნეიტრალიტეტისა, შვეიცარია მზად არის საფრთხის თავიდან აცილებისთვის. საქართველოს პოლიტიკას თუ გადავხედავთ, ჩვენ გვჭირდება კარგად მომზადებული ჯარი, მაგრამ ამას ხელს ნამდვილად არ უწყობს გაწვევა. დღეს ახალწვეულებს სათანადოდ არ ამზადებენ. ამას გეტყვით ყველა, ვისაც სამხედრო-სვალდებულო სამსახური გავლილი აქვს.



**გიორგი ბლიაძე, 22 წლის:**

— დღეს ქართული ჯარი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, არადა, ყველაზე დიდი ბიუჯეტი სწორედ თავდაცვის სამინისტროს აქვს. ჩვენს ქვეყანას სჭირდება ძლიერი ჯარი. განა ჩვენ არ გვინდა, შეგვეძლოს ქვეყნის დაცვა? **აუცილებლად წავალ ჯარში ერთი წლით, თუ მეცოდინება, რომ შესაბამის ცოდნას მომცემენ და, რამე რომ მოხდეს, ჩემს ქვეყანას გამოვადგები, მაგრამ ამაზე სახელმწიფო არ ფიქრობს. ჩვენს „სტრატეგიულ პარტნიორს“ ურჩევნია საქართველოში ჰყავდეს არა ახალწვეულები, არამედ კონტრაქტორი ჯარისკაცები, რომლებსაც უფრო მარტივად მართავს.**

**მინისტრის გადაწყვეტილებასა და ახალგაზრდების მოსაზრებებს გენერალი ტრისტან წითელაშვილი აანალიზებს.**



**— ბატონო ტრისტან, ახალგაზრდები ამბობენ, რომ ახალწვეულებს ჯარში ცუდად ასწავლიან, უფრო ზუსტად, ამბობენ, რომ თითქმის არაფერს ასწავლიან...**

— აბსოლუტურად ვეთანხმები მათ. დღეს სწორედ ასეთი ვითარებაა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არ არის თავდაცვის სამინისტრო, **დღეს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არის რესპუბლიკური პარტიის შტაბ-ბინა, სადაც მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ საკითხებს განიხილავენ. პროფესიონალი კადრები, რომლებსაც შეეძლოთ კვალიფიციური სწავლება, ხიდაშელმა დაითხოვა და დააბრუნა ყოფილი ნაციონალები, ზონდერები, რომლებიც ასრულებენ პოლიტიკურ დავალებებს.** ისინი ვერასდროს აღზრდიან ახალწვეულებს სათანადოდ, რადგან ახალწვეულს სჭირდება პროფესიონალი ოფიცერი, რომელმაც 5 წელი ისწავლა სამხედრო სასწავლებელში და მომზადებულია, ასწავლოს ახალწვეულს. ასეთი ოფიცრები ხიდაშელს არ ჰყავს. მან რესპუბლიკური პარტიის ხალხი გადაიყვანა თავდაცვის სამინისტროში ზოგი კულტურის, ზოგი ეკონომიკის, ზოგი კი სოფლის მეურნეობის სამინისტროდან. აი, ამ ფონზე თავდაცვის სამინისტრო აღარ არსებობს. **დღეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბრძოლისუნარიანობა ნულის ტოლია,** ამიტომ ახალგაზრდებს ვეთანხმები, რომ დღეს ახალწვეულებს ნამდვილად არაფერს ასწავლიან.

**— მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა ემხრობა ამ ეტაპზე ჯარში გაწვევის გაუქმებას, ამბობენ, რომ ეს გადაწყვეტილება ქვეყანას შეუქმნის საფრთხეს. რატომ მიიღო თავდაცვის მინისტრმა ასეთი გადაწყვეტილება და გამოსავალს თუ ხედავთ?**

— **ხიდაშელი არა მხოლოდ უნდა გადააყენონ თანამდებობიდან, არამედ უნდა დაკითხონ სპეცსამსახურმა, პროკურატურამ, რადგან მან დანაშაული ჩაიდინა — დაშალა ჯარი, რაც ნიშნავს იმას, რომ ქვეყნის უსაფრთხოებას დაარტყა, ამიტომ პასუხი უნდა აგოს თავის საქციელზე.** ეს თავხედური გადაწყვეტილება იყო. ხიდაშელი, უკვე დიდი ხანია, ანტისახელმწიფოებრივად მოქმედებს და მისი ქმედებები ძალიან ჰგავს **მიხეილ სააკაშვილის** ქმედებებს. ხიდაშელმა გამოსცა უკანონო ბრძანება, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია, მან თავის უფლებამოსილებას გადაამეტა. მხოლოდ ორ შემთხვევაში ვერ მიიღებდა თავდაცვის სამინისტრო წვევამდელებს: პირველი, როცა თავდაცვის სამინისტროს აქვს მწირი ბიუჯეტი, და მეორე — თუ თავდაცვის სამინისტროს აქვს კვალიფიციური კადრების დეფიციტი. რაც შეეხება ბიუჯეტის დეფიციტს, თავდაცვის სამინისტოს საკმაოდ დიდი ბიუჯეტი აქვს, რომ მიეღო ახალწვეულები. რაც შეეხება ოფიცრებს — **მათი პროფესიონალიზმი ნულის ტოლია.** ხიდაშელს უნდა მიემართა მისი უშუალო ხელმძღვანელისთვის, პრეზიდენტ **გიორგი მარგველაშვილისთვის,** რომ თავდაცვის სამინისტრო არ არის მზად, მიიღოს ახალწვეულები. შემდგომ პრეზიდენტი მოიწვევდა უშიშროების საბჭოს, სადაც განიხილავდნენ ამ საკითხს და უშიშროების საბჭო მთავარსარდალთან ერთად მიმართავდა პარლამენტს, რათა გაწვევის კანონში შეეტანათ ცვლილებები. შემდგომ ხიდაშელს მიეცემოდა მთავრობის გადაწყვეტილება, რომ ის ამ ეტაპზე ვერ მიიღებდა ახალწვეულებს, ეს იქნებოდა კანონზომიერი და არა ის, რომ მან არაფრად ჩააგდო მთავარსარდალი, პარლამენტი, მთავრობა. **ეს არის უგუნური გადაწყვეტილება, რომელიც ლახავს საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესტიჟს და პირდაპირ მიზმულია იმ საბოტაჟზე, რომელსაც სააკაშვილი ახორციელებს უკრაინასა და საქართველოში.**

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

**«ეს არის უგუნური გადაწყვეტილება, რომელიც ლახავს საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესტიჟს და პირდაპირ მიზმულია იმ საბოტაჟზე, რომელსაც სააკაშვილი ახორციელებს უკრაინასა და საქართველოში»**

„თუ ჩემ მიერ დასახელებული ლიდერები გარეთ გამოვლენ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ხელისუფლება დაკარგულია: გადანახული აქვთ იარაღი, ჰყავთ კარგად გაწვრთნილი ხალხი, მათი შეერთება მიტინგის მონაწილეებთან და, საერთოდ, ოპოზიციასთან ჩვენს აუცილებელ მარცხს ნიშნავს. გამოსავალი არის მხედრიონის ლიდერებს უშიშროების №1 საგამოძიებო იზოლატორში გადაყვანა. თუ ნებას დაგვრთავთ, ბატონო ზვიად, ჩვენ მათ იქ კი წავიყვანთ, მაგრამ ვერც ერთი ადგილამდე ვერ მიაღწევს, შეეცდებიან გაქცევას და ამ მცდელობას რა შედეგიც მოჰყვება, კარგად იცითო.“

უახლესი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ზვიად გამსახურდია: ამ ნაძირალებისგან მე წამებულებს ვერ შევქმნი!

**ვახტანგ გვარამია ეროვნულ ხელისუფლებაში რესპუბლიკის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე იყო. დღეს იგი „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს მოუთხრობს ერთი საინტერესო მომენტის შესახებ, რომელიც წინ უსწრებდა სახელმწიფო გადატრიალებას.**

— 1991 წლის 21 დეკემბერი. დაახლოებით ღამის თერთმეტი საათია.

მთავრობის სახლის (ასე ერქვა იმხანად დღევანდელი პარლამენტის შენობას) წინ, სადაც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეთა და მასთან დაპირისპირებული ოპოზიციის ხალხმრავალი მიტინგები ერთდროულად იმართებოდა, დგანან თავდაცვის მინისტრი **ჯონი ფირცხალაიშვილი**, რესპუბლიკის პროკურორი **ვაჟა აბაკელია**, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **რომან გვენცაძე**, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **თამაზ ნინუა.** არიან სხვებიც. მათ შორის — მეც.

**— შინაგან საქმეთა მინისტრი არ გიხსენებიათ.**

— ხალხში გასულ **დილარ ხაბულიანს** სახეში რაღაც ხსნარი შეასხეს, თვალები დაუზიანეს და, ფაქტობრივად, შრომისუუნარო გახადეს, ამიტომ არ იმყოფებოდა იქ, სადაც შეკრებილები ვიყავით.

ამ დროს კი რუსთაველზე ბობოქრობს ორი მიტინგი — ხელისუფლების მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების. დაპირისპირება უაღრესად მწვავეა. ერთი ნაპერწკალია საჭირო და იფეთქებს დიდი ცეცხლი. დაჯახება ყოველ წუთს შეიძლება მოხდეს. ვითარება უაღრესად რთული და, ამასთანავე, ფრიად სპეციფიკურია: დაჯახება არც ერთ მხარეს არ სურს, მაგრამ ასევე არც ერთი უკან არ იხევს. ნებისმიერი მცირე პროვოკაცია სიტუაციას უმართავს გახდიდა. სისხლი დაიღვრებოდა უეჭველად.

დაპირისპირებაში ორივე მხრიდან მონაწილეობდნენ უაღრესად ეგზალტირებული ქალები. არა მხოლოდ „კარვის ქალები“...

**— „შავი კოლგოტკები“?**

— ასეც ეძახდნენ. ერთ მხარეს ხელისუფლების მომხრე ქალები იდგნენ, მეორეს — მათი მოწინააღმდეგენი. მასა მასასთან იყო დაპირისპირებული, სახედაკარგული ბრბო.

**თენგიზ სიგუა**, მთავრობის გადამდგარი თავმჯდომარე, დაჟინებით იმეორებდა, რომ საჭირო იყო, როგორმე მოენახათ საერთო ენა, კომპრომისი, მაგრამ მისი ხმა იკარგებოდა, „ვითარცა ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

არც **ზვიად გამსახურდია** იყო კომპრომისის წინააღმდეგი, მაგრამ ბოლო პერიოდში დაიწყო ყოყმანი. როგორც ჩანს, მის უკან იდგნენ ისეთი პირები, რომლებსაც გავლენა ჰქონდათ, თანაც საკმაოდ დიდი გავლენა და რომლებიც შეთანხმების წინააღმდეგნი იყვნენ. არადა, იყო ამის საშუალება...

შევიკრიბეთ გამსახურდიას კაბინეტში.

შეკითხვაზე რა ვქნათ, ვაჟა აბაკელიამ უპასუხა, რომ მდგომარეობა უკიდურესად რთულია და, ეგებ, რაღაც შეთანხმებას მივაღწიოთო. სიტუაცია უმართავი ხდება და კონკრეტულ ხელმძღვანელებს ორივე მხრიდან აღელვებული მასა არ დაემორჩილებაო. იგივე გაიმეორა რომან გვენცაძემ, მეც იგივე ვთქვი: საერთო ენის გამონახვა იყო ერთადერთი საშუალება კრიზისის დაძლევის.

სიტყვას იღებს ერთ-ერთი იქ მყოფი ხელმძღვანელთაგანი (ამჟამად გარდაცვლილია) და ამბობს:

— ბატონო ზვიად, ვახტანგ გვარამიას დაპატიმრებული ჰყავს **ჯაბა იოსელიანი, ვეფხვაძე, ყურაშვილი** (ბუღა) და „მხედრიონის“ სხვა მოთავეები.

პროკურატურას ისინი მართლაც დაპატიმრებული გვყავდა. მოთავსებულები იყვნენ უშიშროების იზოლატორში, სადაც, როგორც წესი, გამოძიების პერიოდში იმყოფებოდნენ რეზონანსული საქმეების ფიგურანტები. მაშინ ის იზოლატორი ყველაზე კეთილმოწყობილ და დაცულ ადგილად ითვლებოდა.

უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის შენობა მომიტინგეების ალყაში იყო მოქცეული. მისი აღება მათთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

— არის ერთადერთი გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან, — ეუბნება პრეზიდენტს ის ხელმძღვანელი, რომლის გვარს არ ვასახელებ.

ზვიად გამსახურდია ინტერესდება, რა გამოსავალზეაო ლაპარაკი.

პასუხად ისმენს:

— თუ ჩემ მიერ დასახელებული ლიდერები გარეთ გამოვლენ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ხელისუფლება დაკარგულია: გადანახული აქვთ იარაღი, ჰყავთ კარგად გაწვრთნილი ხალხი, მათი შეერთება მიტინგის მონაწილეებთან და, საერთოდ, ოპოზიციასთან ჩვენ დამარცხებას ნიშნავს. გამოსავალი არის მხედრიონის ლიდერებს უშიშროების №1 საგამოძიებო იზოლატორში *(ორთაჭალის ციხეში იყო მაშინ ეს იზოლატორი)* გადაყვანა. თუ ნებას დაგვრთავთ, ბატონო ზვიად, ჩვენ მათ იქ კი წავიყვანთ, მაგრამ ვერც ერთი ადგილამდე ვერ მიაღწევს, შეეცდებიან გაქცევას და ამ მცდელობას რა შედეგიც მოჰყვება, კარგად იცით...

**— ე.ი. მოხდებოდა მათი ლიკვიდაცია?**

— დიახ, ყველას დახოცავდნენ...


საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია

**«იმ ურთულეს დღეს, იმ უმძიმეს წუთებში ზვიად გამსახურდიამ ზუსტად განჭვრიტა პერსპექტივა და პრეზიდენტის სავარძელს არ შესწირა ადამიანების, ქართველების (გინდაც «ნაძირალების»), სიცოცხლე. არ გასცა მათი ლიკვიდაციის სანქცია»**



სიჩუმე ჩამოვარდა. ეს იყო ჭეშმარიტების მომენტი. ეტყობა, ამ ვარიანტზე ყველა თავისთვის ფიქრობდა, მაგრამ თქმისგან თავს იკავებდა.

**— ასეთ გადაწყვეტილებაზე, როგორც წესი, საჯაროდ არ ლაპარაკობენ. მით უფრო, რომ საეჭვო შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა, გაცილებით უარესი და ყოვლად მიუღებელი.**

— ყოვლად მიუღებელი! ტაქტიკური თვალსაზრისით, ასეთი გადაწყვეტილების რეალიზაცია შეიძლება მართლაც ყოფილიყო ხელისუფლების შენარჩუნების საშუალება, მაგრამ მხოლოდ დროებით. სტრატეგიული თვალსაზრისით, პერსპექტივისთვის, ბუნებრივია, უაღრესად უარყოფით ნაყოფს გამოიღებდა.

ზვიად გამსახურდია ჩაფიქრდა.

წუთები საათებივით გაიწელა.

ბოლოს თქვა ის, რაც არასოდეს დამავიწყდება და რასაც სიტყვასიტყვით გადმოგცემთ:

— გენაცვალე, ამ ნაძირალებისგან მე წამებულებს ვერ შევქმნი!

ზოგმა მისი ეს პოზიცია სისუსტედ ჩათვალა: ხელისუფლების შენარჩუნება კი უნდა, მაგრამ ასეთი ნაბიჯის გადადგმა არ შეუძლიაო. მაშინ ღრმად არ ჩაფიქრებულან, რომ შექმნილ ვითარებაში გამსახურდიას პოზიცია იყო სწორი. ის ხელისუფლება ხვალ თუ ზეგ მაინც დაემხობოდა, შეიძლება, დეკემბრის დარჩენილ დღეებში ძალაუფლება შეენარჩუნებინა და იანვარიც გადაეტანა, მაგრამ იმდენი შეცდომა იყო დაშვებული საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში, ისე დაიძაბა ვითარება მეზობელ ქვეყნებთან და საერთაშორისო ასპარეზზეც, რომ კრახი ადრე თუ გვიან გარდაუვალი იქნებოდა.

იმ ურთულეს დღეს, **იმ უმძიმეს წუთებში ზვიად გამსახურდიამ ზუსტად განჭვრიტა პერსპექტივა და პრეზიდენტის სავარძელს არ შესწირა ადამიანების, ქართველების (გინდაც „ნაძირალების“) სიცოცხლე. არ გასცა მათი ლიკვიდაციის სანქცია.**

ის ხელმძღვანელი, რომელმაც ლიკვიდაციის ნებართვა ითხოვა, თათბირის შემდეგ მოვიდა ჩემთან და მითხრა:

— ეე, ჩემო ვახტანგ, ამ კაცს უნარი არ აქვს, ხელისუფლება რომ შეინარჩუნოს და დღეიდან ჩვენი გზები გაიყო. მე წავედი...

და წავიდა.

**25 თუ 26 დეკემბერს ციხის უფროსმა ტარიელ დილიბაზაშვილმა, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის თამაზ ნინუას მითითებით „მხედრიონის“ დაპატიმრებული ლიდერები გაათავისუფლა.**

ნინუას ასეთი განკარგულების გაცემის უფლება არ ჰქონდა.

ჯაბა იოსელიანის შეიარაღებული რაზმები გამოვიდნენ ასპარეზზე, კიტოვანს ამდენი ძალა არ გააჩნდა, გაერთიანდნენ და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: გამსახურდიას ხელისუფლება დაემხო და ეს ეპოპეაც დამთავრდა.

**— იმ დროს, ეს თათბირი რომ გაიმართა, ჯაბა იოსელიანი და მხედრიონელები იზოლატორში რომ იყვნენ დაპატიმრებულები, თენგიზ კიტოვანი და მისი ამბოხებული გვარდია სად იდგა?**

— თბილისის ზღვაზე იყვნენ დაბანაკებული. ომი რომ დაიწყო, დილის 4 საათზე გამაღვიძეს ორი საათის წინ შინ მისული, გამომიძახეს მთავრობის სახლში. ინგრევა ყველაფერი, ძლივს შევაღწიე შენობაში. მითხრეს, რომ მიბარებდა ზვიად გამსახურდია, რომელიც იმ მომენტში საქმეთა მმართველის კაბინეტში იჯდა, რადგან მისი სამუშაო ოთახი დანგრეული იყო — ფასადის მხრიდან ესროდნენ შენობას. დამავალა, რამდენიმე კაცთან ერთად წავსულიყავი თბილისის ზღვაზე და მოვლაპარაკებოდით კიტოვანს. უნდა გაგვეგო, რას ითხოვდნენ თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი და სრულად ოპოზიცია, ომი რომ შეწყვეტილიყო.

თბილისის ავტოინსპექციის უფროსის — **ლევან კენჭაძის** მანქანით წავედით დავალების შესასრულებლად. თავისუფლების მოედანზე დაგვაკავეს ამბოხებულებმა, მაგრამ **ვაჟა ადამიას** მოთხოვნით გაგვათავისუფლეს (იმ უბანში მისი ხალხი იყო გამაგრებული). შეიძლება ითქვას, რომ სიკვდილს გადავრჩით — გვესროლეს, და ადამია რომ არა, ჩვენი საქმე წასული იყო.

როგორც იქნა, მივაღწიეთ დანიშნულ ადგილს და იქ შევხვდით **თენგიზ კიტოვანსა** და **თამაზ დუმბაძეს.** მათ პირდაპირ გვითხრეს, რომ აუცილებლად უნდა გადამდგარიყო ზვიად გამსახურდია, რადგან სისხლი დაიღვარა და სხვა გამოსავალი არ გვაქვსო.

დავბრუნდით მთავრობის სახლში, შევხვდით ზვიად გამსახურდიას და გადავეცით დანაბარები. მისი რეაქცია ასეთი იყო:

— ჩემი პრეზიდენტობა ერთი ქართველის სიცოცხლედ არ ღირს. მე აუცილებლად გადავდგები!

გამოვედით კაბინეტიდან. უჩვენოდ იქ რა მოხდა, არ ვიცი, მაგრამ პრეზიდენტი არ გადამდგარა.

**— ის თუ იცით, რაზე შეთანხმდნენ პრეზიდენტი და ამბოხებულები, როცა მას (ზვიად გამსახურდიას), მისი ოჯახის წევრებსა და თანმხლებთ გაუხსნეს „მშვიდობიანი დერეფანი“, საშუალება მისცეს დაეტოვებინათ თბილისი და თავი შეეფარებინათ მეზობელი ქვეყნისთვის?**

— შეთანხმება არ მომხდარა. არავითარი დერეფანი არ გაუხსნიათ, პირიქით, ხელისუფლებაში მოსულები მაქსიმალურად შეეცადნენ, სომხეთიდან ზვიად გამსახურდიას დეპორტირებას.

**— მაშ, როგორ გავიდა?**

— გავიდა იმიტომ, რომ მაშინ თბილისში სრული ქაოსი სუფევდა. ქალაქი გადაკეტილი არ ყოფილა. ჯგუფ-ჯგუფად იყვნენ თავმოყრილები გარკვეულ უბნებში, ისიც ალაგ-ალაგ. არ იყო ერთიანი, ორგანიზებული ძალა, ერთიანი ხელმძღვანელობა.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**KA-52K „კატრანი“ წარმოადგენს „ალიგატორის“ მოდიფიკაციას განკუთვნილს ხომალდებისთვის. მას დამატებული აქვს შორეული მიზნების განადგურების საავიაციო საშუალებები. სპეციალისტებმა საფრენი აპარატის კონსტრუქციაში შეიტანეს მნიშვნელოვანი ცვლილებები: იკეცება ხრახის ფრთები, კიდევ უფრო გამაგრებულია შასი და აპარატი მთლიანად დაფარულია ანტიკოროზიული საფარით.**

# უახლეს რუსულ ვერტმფრენებს სირიაში გზავნიან

## სამხედრო ვერტმფრენებს რუსები 2016 წლის ბოლოს გამოცდიან სირიაში საომარ ვითარებაში



**KA-52K-ს ტექნიკური მახასიათებლები:**

* მთავარი ხრახნის დიამეტრი — 14,50 მ
* სიგრძე — 16 მ
* სიმაღლე — 4,9 მ
* მასა: ცარიელი — 7800 კგ, მაქსიმალური — 11 300 კგ
* ძრავა — 2 კლიმოვ BK-2500
* სიმძლავრე — 2X2400 ცხ.ძ.
* მაქსიმალური სიჩქარე — 350 კმ/სთ
* ფრენის სიმაღლე — 5500 მ
* ფრენის სიშორე — 460 კმ
* ეკიპაჟი — 2 კაცი

შეიარაღება: 30-მმ-იანი ქვემეხი 460 ვაზნით. სამართავი და უმართავი რაკეტები: „ვიხრი“ ან „შტურმი“, ან „ატაკა“, „იგლა-8“.

**KA-52-მა („ალიგატორი“) უკვე გამოავლინა თავის საუკეთესო მახასიათებლები სირიაში ჩატარებულ ერთ-ერთ სპეცოპერაციაში. მას შეუძლია, ჰაერში აიტანოს სხვადასხვა ტიპის იარაღი: „ჰაერი-მიწა“ და „ჰაერი-ჰაერის“ კლასის სამართავი რაკეტები, აგრეთვე, უმართავი რაკეტები, ტყვიამფრქვევები და ქვემეხები.**

**KA-52K „კატრანი“** წარმოადგენს „ალიგატორის“ მოდიფიკაციას განკუთვნილს ხომალდებისთვის. მას დამატებული აქვს შორეული მიზნების განადგურების საავიაციო საშუალებები. სპეციალისტებმა საფრენი აპარატის კონსტრუქციაში შეიტანეს მნიშვნელოვანი ცვლილებები: იკეცება ხრახის ფრთები, კიდევ უფრო გამაგრებულია შასი და აპარატი მთლიანად დაფარულია ანტიკოროზიული საფარით. უახლეს დამრტყმელი ხრახნფრთიანი მანქანების ბაზირების ადგილი იქნება ავიამზიდი კრეისერის — „ადმირალ კუზნეცოვის“ — ბორტი. ეს ავიამზიდი რამდენიმე კვირის შემდეგ სირიის ნაპირებისკენ გაემართება და შეუერთდება რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხმელთაშუა ზღვის ესკადრას, რომელიც ტერორიზმთან ბრძოლაში მონაწილეობს.

„კატრანი“ დაპროექტდა ფრანგულ ვერტმფრენმზიდ „მისტრალისთვის“, რომელიც რუსეთს აქამდე არ მიუღია. 2020 წლამდე რუსეთის თავდაცვის სამინისტრო 146 „კატრანით“ შეიარაღდება.

# «წყალქვეშა ნავების მკვლელს» ახალი ბომბით აღჭურვავენ



**რუსეთის ერთ-ერთ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაიწყეს ვერტმფრენ „მი-14“-ისთვის ხომალდსაწინააღმდეგო ბომბის — „ზაგონ 2“-ის ადაპტაციაზე მუშაობა.**

„ინსტიტუტმა „კა-28“-ის ტიპის ვერტმფრენებისთვის უკვე შექმნა ხომალდსაწინააღმდეგო ავიაბომბი „ზაგონ-2“, მაგრამ ამჟამად ვმუშაობთ იმისათვის, რომ ეს ბომბები სხვა საჰაერო აპარატის ეკიპაჟებმაც გამოიყენონ, კერძოდ, „მი-14“-ის“, — განაცხადა კონცერნ „ტეხმაშის“ გენდირექტორმა **სერგეი რუსაკოვმა.**

ვერტმფრენიდან გადაგდების შემდეგ 120-კილოგრამიანი „ზაგონ-2“ პარაშუტით ეშვება ზღვაზე, წყლის ზედაპირთან მიახლოებისას იშორებს პარაშუტს, რთავს დამიზნების ჰიდროაკუსტიკურ აპარატს და მიემართება წყალქვეშა ნავისკენ. სუბმარინის კორპუსზე დარტყმისას ფეთქდება ფუგასური საბრძოლო მასალა. აფეთქების სიმძლავრე 35 კგ ტროტილის აფეთქების ტოლია.

1,5 მეტრი სიგრძის საბრძოლო მასალას შეუძლია 450 მ სიღრმეში აღმოაჩინოს წყალქვეშა ნავი და გაანადგუროს ან დააზიანოს. ვერტმფრენების გარდა, ამ ბომბით შეიძლება აღიჭურვოს ხომალდსაწინააღმდეგო თვითმფრინავები „ილ-38“ და „ტუ-142მ“.





# «ადმირალი კუზნეცოვი» ანტიტერორისტულ ოპერაციაში ჩაერთვება

**კრეისერ „ადმირალ კუზნეცოვის“ საგემბანო ავიაცია მონაწილეობას მიიღებს სირიის ანტიტერორისტულ ოპერაციებში.**

„საგემბანო ავიაციის პილოტების მონაწილეობის გეგმა სირიის არაბულ რესპუბლიკაში ტერორისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ დარტყმებში უკვე მოამზადა გენერალურმა შტაბმა. ამ გეგმის მიზანია ავიამზიდის გემბანიდან მფრინავებმა საბრძოლო ფრენები განახორციელონ და სახმელეთო მიზნები გაანადგურონ“, — განაცხადა რუსეთის სამხედრო უწყების წარმომადგენელმა და დასძინა, რომ „ადმირალი კუზნეცოვი“ სათავეში ჩაუდგება რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტს ხმელთაშუა ზღვაში და იმოქმედებს სირიის ნაპირებთან, რათა საჰაერო აპარატებს — გამანადგურებელ და მოიერიშე თვითმფრინავებსა და ვერტმფრენებს — ექოთ საწვავი ბრძოლებში მონაწილეობისა და უკან დასაბრუნებლად.

ავიამზიდ „ადმირალ კუზნეცოვის“ გემბანზე იქნება 15 გამანადგურებელი Су-33 და მიგ-29K აგრეთვე, ვერტმფრენები — Ka-27, Ka-31 და KA-52-K.

საბრძოლო ამოცანის შემდეგ სავარაუდოდ, 2017 წლის იანვრის ბოლოს თებერვლის დასაწყისში, „ადმირალი კუზნეცოვი“ დაუბრუნდება ბაზას — ჩრდილოეთის ფლოტს.

ავიამზიდი კრეისერი „ადმირალი ნახიმოვი“ რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის უდიდესი ხომალდია. მისი წყალწყვა 61390 ტონას შეადგენს. საფაერო აპარატების ასაფრენი გემბანის სიგრძე 306 მ-ია, სიგანე — 71; გემის გაბარიტული სიმაღლე — 64 მ-ს უდრის, მაქსიმალური სიჩქარე — 29 კვანძს. „ადმირალ კუზნეცოვის“ გემბანზე სულ თავსდება 50 თვითმფრინავი და ვერტმფრენი. ეკიპაჟის რაოდენობა მფრინავებთან ერთად 1980 კაცია.

# ამერიკელებმა მოკავშირეები გაცხარებულ ბრძოლაში მიატოვეს



**„აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებმა თავიანთი მოკავშირეები სირიაში კრიტიკულ მომენტში მიატოვეს, რაც ოპერაციის ჩაფლავების მიზეზი შეიქნა“. — იუწყება ამერიკული გამოცემა The Washington Post-ი.**

28 ივნისს ამერიკელმა პილოტებმა მიიღეს დავალება, უზრუნველყოთ სირიელი ოპოზიციონერების მხარდაჭერა ქვეყნის აღმოსავლეთში მდებარე ქალაქ აბუ-ქემალზე შეტევისას. ოპერაცია დაწყებული იყო, როდესაც მფრინავებმა მიიღეს ბრძანება, დაეტოვებინათ ეს რაიონი და წასულიყვნენ მეზობელი ერაყის ქალაქ ელ-ფალუჯას გარეუბანში.

პენტაგონის წარმომადგენლის **კრის გარვერის** განცხადებით, სარდლობამ უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნია განადგურება „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებისა, რომლებმაც რამდენიმე დღის წინათ სამხედრო ტექნიკასთან დატოვეს ელ-ფალუჯა. შედეგად ტერორისტების კოლონა განადგურებულ იქნა.

აბუ-ქემალთან კი თავისუფალი სირიის არმიის მეომრები იძულებულნი შეიქნენ, უკან დაეხიათ.

ინფორმაცია, რომ ამერიკულმა თვითმფრინავებმა ბრძოლა მიატოვეს, „ახალი სირიული არმიის“ სარდალმა **მუჰამედ ტალაამაც** დაადასტურა. გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ წერს, რომ ოპერაციის ჩავარდნამ მძლავრად დაარტყა აშშ-ის გეგმას, რეგიონში ადგილობრივი ძალებისგან შეექმნათ სამხედრო ქვედანაყოფი, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევდა ისლამისტებს. გამოცემა სვამს კითხვას — ჰყავს კი აშშ-ს საკმარისი ძალები რეგიონში, როცა უზარმაზარ ტერიტორიაზე გამუდმებით უწევს ჯარების გადასროლა ერთი ადგილიდან მეორეზე?

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ორგიები ჯუჯებთან, შიშველი ადამიანების ე.წ. ქაფის საღამოები, სექსი ღია ცის ქვეშ და აკრძალული ნივთიერებების გაყიდვა... დიდ ბრიტანეთში 3 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სვინგერების ფესტივალი SWINGFILLDS-ი.**

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ ქერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## გამაოგნებელი ე.წ. ფესტივალი დიდ ბრიტანეთში სვინგერების ორგიები ღია ცის ქვეშ

ორგიები ჯუჯებთან, შიშველი ადამიანების ე.წ. ქაფის საღამოები, სექსი ღია ცის ქვეშ და აკრძალული ნივთიერებების გაყიდვა... დიდ ბრიტანეთში 3 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სვინგერების ფესტივალი Swingfillds-ი (სვინგი — ეს არის ჯგუფური სექსი ორ ან რამდენიმე წყვილს შორის პარტნიორების გაცვლით). წვიმამ და ძლიერმა ქარმაც ვერ ჩააცხრო ავხორცობა 700 ადამიანისა, რომლებიც მონტმუშირის საგრაფოს ერთ-ერთ სოფელში შეიკრიბნენ.






ეს ქალბატონი, რომელიც ღობესთან პოზირებს, ცოტა ხნის შემდეგ ორ უცნობ მამაკაცთან ორგიას გამართავს.



ფესტივალის მონაწილეები „პრაქტიკას“ გადიოდნენ სექსუალური ურთიერთობის სხვადასხვა პოზისა და ფორმის დასაუფლებლად.



სვინგერების ბანაკი



„ქაფის საღამო“



კონკურსი „ყველაზე სველი მაისური“. ამ კონკურსში გაიმარჯვა დიდმკერდიანმა ქერა ქალბატონმა სემმა, მოგვიანებით მან მეორე ადგილი დაიკავა „ორგაზმისთვის რბოლაში“, გამარჯვებულს კი წილად ხვდა უმაღლესი ჯილდო — ვიბრატორი.



ვიღაც სურათის დასახატად მივიდა. ბილეთები 1000 გირვანქა სტერლინგი ღირდა, მაგრამ მალე გაიყიდა.



კიდევ ერთი გასართობი — ქალების რესლინგი აუზში



## ტოლერანტობის ნაყოფი... სექსუალური ძალადობის ახალი ტალღა გერმანიაში

**გერმანიის ქალაქ დიუსელდორფის პოლიციამ მიგრანტების მხრიდან სექსუალური ძალადობისა და გაუპატიურების ფაქტებზე სისხლის სამართლის რამდენიმე საქმე აღძრა, — იუწყება გერმანული გამოცემა Bild-ი.**

როგორც გერმანული გამოცემა წერს, საცურაო სეზონის დაწყების შემდეგ დიუსელდორფში „მკვეთრად მოიმატა სექსუალური ხასიათის დანაშაულმა“, მათ შორის არასრულწლოვანთა წინააღმდეგ ჩადენილმა. ბოროტმოქმედთა უმრავლესობა მიგრანტია და, როგორც წესი, ახალგაზრდა.



მამაკაცები ერთმანეთს შეეჯიბრნენ სხეულზე მიმაგრებული გასაბერი სასქესო ორგანოთი ფეხბურთის თამაშში.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ანდრეი ხრულიოვს მხოლოდ სატელეფონო საუბრებით ვიცნობდი. კაბინეტში შესვლისთანავე ვიგრძენი, რომ მივედი კაცთან, რომელიც ნამდვილი სახელმწიფო მოღვაწე იყო. სწრაფი, მოქნილი, სიცოცხლით სავსე, პირდაპირი. გამომკითხა ოჯახური მდგომარეობა, რათა ჩემს საყოფაცხოვრებო პირობებზეც ეზრუნა, შემდეგ კი სასწრაფოდ გამიძღვა კაბინეტიდან, წამოიყოლა კიდევ ორი კაცი და გავედით ქალაქში დივიზიის შტაბისთვის შენობის მოსაძებნად.**

# სტალინი და მარშალი გოლოვანოვი

## «მზად ვარ, სიმართლისთვის დავიკისრო პასუხისმგებლობა!»

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №22-25 (251-254)

### ნაწილი V

**„დამოუკიდებლობამოპოვებული დივიზია, რომელიც სტალინის უშუალო დაქვემდებარებაში გადავიდა, მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებდა, როგორც დივიზიის მეთაურს, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, სწორედ მაშინ გაფუჭდა ამინდი და არ მეძლეოდა ჩემი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალება. ავდრის მიუხედავად, გადავწყვიტე, განმეხორციელებინა ღამის ფრენები და პარტიზანების საბრძოლო მასალებით მომარაგებაზე გადავსულიყავი. აგრეთვე, კავშირს ვამყარებდი ოკუპირებულ ლატვია-ლიტვა-ესტონეთთან. აქტიურად ვიყავი ჩართული ბულგარეთისა და პოლონეთის წინააღმდეგობის მოძრაობებში.**

სტალინმა სასწრაფოდ გამომიძახა კრემლში. მიბრძანა, დაუყოვნებლივ გადმომეტანა დივიზიის შტაბი მონინოდან მოსკოვში, რადგან ბევრ დროს ვანდომებდი კრემლამდე მისვლას".

გოლოვანოვმა თავი შეიკავა, მაგრამ სტალინისათვის სიტყვა არ შეუბრუნებია. პაუზა დიდხანს გაგრძელდა.

„შენთვის, მგონი, რაღაც გაუგებარია?

— არა, ამხანაგო სტალინ, ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მოსკოვში ასე სწრაფად გადმოსვლას სჭირდება შენობა, რომელშიც განვთავსდებით.

— ეს სწორია! — გააქნია თავი სტალინმა, მერე „ვერტუშკასთან" მივიდა და ვილაცასთან დარეკა:

— თქვენთან ახლა მოვა გოლოვანოვი. სასწრაფოდ უნდა გადმოიყვანოთ და განათავსოთ მოსკოვში. ყურმილი დადებული არ ჰქონდა, რომ მე მომმართა:

— იცი, ვინ არის ხრულიოვი?

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

— ახლავე წადი მასთან, ის გადმოგიყვანთ და მოგაწყობთ მოსკოვში.

**ანდრეი ხრულიოვს** მხოლოდ სატელეფონო საუბრით ვიცნობდი. **კაბინეტში შესვლისთანავე ვიგრძენი, რომ მივედი კაცთან, რომელიც ნამდვილი სახელმწიფო მოღვაწე იყო. სწრაფი, მოქნილი, სიცოცხლით სავსე, პირდაპირი. გამომკითხა ოჯახური მდგომარეობა, რათა ჩემს საყოფაცხოვრებო პირობებზეც ეზრუნა, შემდეგ კი სასწრაფოდ გამიძღვა კაბინეტიდან, წამოიყოლა კიდევ ორი კაცი და გავედით ქალაქში დივიზიის შტაბისთვის შენობის მოსაძებნად.**

როდესაც მოსკოვში შენობას ვეძებდით, ვთხოვე ხრულიოვს, თუ შესაძლებლობა იქნებოდა, შენობა აეროდრომის ახლოს ყოფილიყო, რათა მართვა ოპერატიულად განხორციელებულიყო.

— მაშინ თქვენთვის საუკეთესო იქნება ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის შენობა, რომელიც იქვეა აეროდრომთან.

— მაგრამ ის ხომ დაკავებულია? — მივუგე მე.

— მერე რა, გადმოდით აქ, ღმერთმანი.

— კი მაგრამ, როგორ მოხდება ამხელა აკადემიის ასე სწრაფად გათავისუფლება? — ვკითხე მასპინძელს.

— თქვენ როდის შეძლებთ გადმოსვლას, ამხანაგო გოლოვანოვ? — კითხვითვე მიპასუხა მან.

— შემიძლია ხვალვე, — მიუგე მე.

— ძალიან კარგი. გადმოდით. ხვალ დილით გათავისუფლებული იქნება შენობა, რომელშიც შეგიძლიათ განათავსოთ დივიზიის შტაბი.

„აი ეს არის ორგანიზაცია და ორგანიზატორი", — გავიფიქრე და ერთმანეთს ღიმილით დავშორდით.

მეორე დღის ბოლოს სტალინმა დარეკა და მკითხა, ვიყავი თუ არა გადმოსული მოსკოვში.

ვუპასუხე, რომ მთელი შემადგენლობით ვარ მოსკოვში, სადაც დავრჩი დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე.

**ომის განმავლობაში ბევრჯერ შევხვედრივარ სტალინს: თათბირებზე, პირად საუბრებში, ბინაში, ვახშამზე. იგი სულ ერთნაირ ფორმაში და მშვიდ განწყობაზე იყო, მაგრამ, თუ ზერელობას, საქმის უცოდინარობასა და მისი მოტყუების მცდელობას ვინმეს შეამჩნევდა, პირდაპირი მნიშვნელობით, ქარიშხლად იქცეოდა ხოლმე, თუმცა შეეძლო ნერვების მალე დაოკებაც.**

სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტში ერთ-ერთ საბრძოლო ოპერაციას იხილავდნენ. მომხსენებელი ჟუკოვი იყო. საქმის სირთულიდან გამომდინარე, მოხსენება დიდხანს გაგრძელდა. სტალინი, როგორც ყოველთვის, მომხსენებელს სიტყვას არ აწყვეტინებდა, ბოლომდე უნდა მოესმინა აზრი. თვითონ კი დინჯად მიმოდიოდა წითელ ხალიჩაზე და ჩიბუხს აბოლებდა. **გიორგი ჟუკოვმა მოხსენება რომ დაასრულა, სტალინი მიუახლოვდა მაგიდას, რომელზეც გაშლილი იყო ოპერატიული რუკა, რომელსაც ჟუკოვი მოხსენებისას იშველიებდა. სტალინი დაჰყურებდა რუკას, ცოტა ხნის შემდეგ კი ჟუკოვს მიმართა.**

**— ერთი მითხარით, ეს რა არის? — და რუკაზე რაღაცის აღმნიშვნელ ნიშანზე მიუთითა.**

**ჟუკოვი რუკაზე დაიხარა და უმალ წამოწითლდა.**

**— ამხანაგო სტალინ, ეს ოფიცრის შეცდომაა.**

**რუკაზე დაცვის ხაზი იქ კი არ იყო გავლებული, სადაც უნდა ყოფილიყო, არამედ ჭაობზე.**

— სასურველია, აქ უფრო მომზადებული და დაზუსტებული მონაცემებით მოდიოდეთ!

იქ დამსწრეთათვის ეს იყო სამაგალითო გაკვეთილი, რომელიც სტალინმა უმოკლეს დროში ჩაგვიტარა."

„როდესაც რომელიმე საკითხზე წავკამათდებოდით, — იგონებს გოლოვანოვი, — ის იმწუთასვე არ ცდილობდა ჩემს დარწმუნებას თავის სიმართლეში და ჩემს შეცდომაში. გავიდოდა ორი, ექვსი თვე, ზოგჯერ წელიწადიც, გამახსენებდა ძველს და მეტყოდა:

— მაშინ თქვენ მართალი არ იყავით.

განვლილ პერიოდში ნათელი ხდებოდა, რომ სტალინი მართალი იყო.

— თვითმიხვედრის მეთოდი აღზრდის მეთოდიკაში ძალზე ეფექტიანია, —მითხრა სტალინმა

**— რა გინდათ ჩემგან, მე ხომ უბრალო მფრინავი ვარ?! — ცოტა გაღიზიანებულმა მივმართე სტალინს.**

**— მე კი — უბრალო ბაქოელი პროპაგანდისტი, — მიპასუხა მან და მკაცრად გამაფრთხილა:**

**— ასეთი ლაპარაკი მხოლოდ ჩემთან შეგიძლია, სხვას ასე არასოდეს ელაპარაკო!**

**იმ მომენტში ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა სტალინის ეს გაფრთხილება, მაგრამ შემდეგ ცხოვრებამ დამანახვა, რომ სტალინი, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც ბრძენი და შეუცდომელი იყო.**

სტალინის ლექსიკიდან ამოღებული იყო სიტყვა „მე", ამ სიტყვას საუბრისას არასოდეს იყენებდა, თუ პირადად მას არ ეხებოდა. დადგენილი წესი იყო, მისთვის მიგვემართა ასე: „ამხანაგო სტალინ". ასევე იწერებოდა საქმიან ქაღალდებსა და მიმართვებზე.

ერთხელ თათბირზე მოწვეულმა ამხანაგმა სტალინს სახელითა და მამის სახელით მიმართა. სტალინმა მას, რა თქმა უნდა, არაფერი უთხრა, მაგრამ მისი ჟესტიკულაცია და გამოხედვა ნათლად მიგვანიშნებდა იქ დამსწრე ამხანაგებს, რომ ამის მოსმენა მისთვის ძალზე უსიამოვნო იყო.



**ნაპოლეონი** ამბობდა, რომ საიდუმლო საიდუმლოდ რჩება მანამ, სანამ ის ერთმა კაცმა იცის.

სტალინმა კი ნაპოლეონის ეს ხატოვანი გამოთქმა საქმით შეცვალა. სტალინის საიდუმლო შეიძლებოდა სცოდნოდა კიდევ ერთ ადამიანს, მეორეს, მესამეს და მეოთხეს, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ სტალინის გაფრთხილება „ეს მხოლოდ მე და შენ უნდა ვიცოდეთ", მესამეს მეორე პირისგან გაეგო.

სტალინს ძალიან უყვარდა მამაცი და გამბედავი ადამიანები, სწორედ ამის წყალობით 1941 წელს ორჯერ გადარჩა **ივანე კონევი** მკაცრ სასჯელს. იგი მხოლოდ და მხოლოდ სტალინის მფარველობამ გადაარჩინა.

ფრონტის სარდალი კონევი გმირობისა და მამაცობის მაგალითს აძლევდა არა მხოლოდ თავისი ფრონტის მეომრებს, არამედ სამაგალითო იყო ყველა საბჭოთა მეომრისა და სარდლისათვის.

**ომის განმავლობაში ბევრჯერ შევხვედრივარ სტალინს: თათბირებზე, პირად საუბრებში, ბინაში, ვახშამზე. იგი სულ ერთნაირ ფორმაში და მშვიდ განწყობაზე იყო, მაგრამ თუ ზერელობას, საქმის უცოდინარობასა და მისი მოტყუების მცდელობას ვინმეს შეამჩნევდა, პირდაპირი მნიშვნელობით, ქარიშხლად იქცეოდა ხოლმე, თუმცა, შეეძლო ნერვების მალე დაოკებაც**

**კონევმა ფრონტის წინა ხაზიდან მიიღო ცნობა, მეომართა ერთმა ნაწილმა მიატოვა თავის პოზიცია და გაიქცა ბრძოლის ველიდანო. კონევი დაუყოვნებლივ გაემართა იმ პოზიციებზე, რომლებიდანაც მებრძოლები გაიქცნენ და თვითონ დაიწყო მეომრების ორგანიზება და ბრძოლა. მან პირადი მაგალითით, თავგანწირული ბრძოლით აღადგინა პოზიციები და შტაბში გამარჯვებული დაბრუნდა.**

„სტალინთან ვიყავი კაბინეტში, — იგონებს გოლოვანოვი, — როდესაც მთავარსარდალმა ფრონტის სარდალი კონევი ტელეფონით გამოიძახა და მწარედ გალანძღა იმ მოქმედების გამო, რომელიც ჩაიდინა.

— არ არის ფრონტის სარდლის საქმე, უშუალოდ იბრძოლოს თოფით ხელში. ეს, უკიდურეს შემთხვევაში, პოლკის მეთაურმა შეიძლება გააკეთოს.

მაგრამ ეს ლანძღვა და საყვედურები, არათუ ამდაბლებდა კონევის ავტორიტეტს, პირიქით — ის უსაყვარლეს ადამიანად იქცეოდა ხოლმე მთავარსარდლისათვის.

ერთ დღეს ჩემს სამუშაო მაგიდაზე, სხვა საქმიან ქაღალდებათან ერთად, აღმოჩნდა დასვრილი სამკუთხა კონვერტი, რომელსაც გარედან ეწერა „მოქალაქე სარდალ გოლოვანოვს". წერილი ასეთი მომართვით არასოდეს მიმიღია. **კონვერტი სასწრაფოდ გავხსენი და, პირველ რიგში, წავიკითხე გამომგზავნის სახელი. წერდა მანსვეტოვი (მანსვეტაშვილი), ნუთუ ეს ის მანსვეტოვია ჩემთან რომ მუშაობდა შორეულ აღმოსავლეთში? წერილი ჩავიკითხე და ნამდვილად ის აღმოჩნდა. მატყობინებდა, რომ ის 1937 წელს დააპატიმრეს, როგორც იაპონიის ჯაშუში და სასჯელს იხდის მაგადანში, კოლიმაზე. მანსვეტოვი მარწმუნებდა, რომ არავითარი ჯაშუში არ არის, მხოლოდ ჩამომავალია ქართველი თავადიშვილებისა, რომლებსაც არაფერი ჰქონდათ ერთი დეზებიანი მამლის გარდა. მთხოვდა, დავხმარებოდი სიმართლის დადგენაში.**

მანსვეტაშვილი თავისი წარმოშობის გამო უპარტიო იყო, მაგრამ, მისი ბუნებიდან და სამსახურეობრივი ერთგულებიდან გამომდინარე, ნაწილის მეთაურად დავნიშნე აღმოსავლეთ ციმბირის სამოქალაქო ავიაციის ფლოტში. მანსვეტაშვილის მდგომარეობამ ძალზე შემაშფოთა და საღამოს კრემლის ბინაში სტალინს ვესტუმრე. ცოტაოდენი საუბრის შემდეგ მოვუყევი მიღებული წერილის შინაარსი და დახმარება ვთხოვე.

— მანსვეტაშვილის შესახებ რალაც ისეთი არაფერი მახსენდება, — თქვა მან, — კარგად იცნობ მანსვეტაშვილს?

— რა თქმა უნდა, კარგად ვიცნობ. თუ გაითვალისწინებთ მის მდგომარეობას, საქმეს გადახედავენ და გამოუშვებენ. გთხოვთ, დამრთოთ ნება, ავიყვანო შორსმოქმედ ავიაციაში.

— თუ ენდობი და პასუხისმგებობას დაიკისრებ მასზე, ახლავე ვთხოვთ ამხანაგებს, გადახედონ მის საქმეს და, თუ შესაძლებელი იქნება, მოავლინონ იგი თქვენთან.

სტალინი ტელეფონთან მივიდა და ნომერი აკრიფა.

— ჩემთანაა ამხანაგი გოლოვანოვი, შუამდგომლობს მისი ყოფილ ნაწი- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კონევმა ფრონტის წინა ხაზიდან მიიღო ცნობა, მეომართა ერთმა ნაწილმა მიატოვა თავისი პოზიცია და გაიქცა ბრძოლის ველიდანო. კონევი დაუყოვნებლივ გაემართა იმ პოზიციებზე, რომლებიდანაც მებრძოლები გაიქცნენ, და თვითონ დაიწყო მეომრების ორგანიზება და ბრძოლა. მან პირადი მაგალითით, თავგანწირული ბრძოლით აღადგინა პოზიციები და შტაბში გამარჯვებული დაბრუნდა.**

◀ ლის მეთაურს. მიმაჩნია, რომ უნდა გადაიხედოს საქმე, გოლოვანოვი უსაფუძვლოდ არ მოითხოვდა საქმის გადასინჯვას.

სტალინი მომიბრუნდა და მითხრა:

— წადით თქვენთან და იქიდან დაურეკეთ ბერიას.

როგორც კი მივედი შტაბში, მითხრეს, რომ უკვე ორჯერ დარეკეს ბერიას დავალებით და დაიბარეს, გამოჩენისთანავე დაურეკოსო.

— რა ხდება შენთან, რა ქვეყნის გამყიდველებისთვის დადიხარ? — უხეშად მითხრა ბერიამ.

მივხვდი, რომ ბერია ნაწყენი იყო, რადგან მე უშუალოდ სტალინს მივმართე თხოვნით. ავუხსენი, რაშიც იყო საქმე და სადაც იმყოფებოდა მანსვეტაშვილი.

ცოტა ხნის შემდეგ ბერიამ თვითონ დამირეკა და მითხრა, რომ მანსვეტაშვილი მალე იქნებოდა ჩემთან, ოღონდ უნდა დამეწერა წერილი მისი გათავისუფლების მოთხოვნის შესახებ და მოთხოვნა მისი ჩემთან გადმოგზავნის თაობაზე.

— მომავალში, თუკი ასეთი საკითხის დაყენება დაგჭირდებათ, ნუ შეაწუხებთ სტალინს და პირდაპირ მე მომმართეთ, — დასძინა ბერიამ.“

იმავე დღეს **გოლოვანოვმა ბერიას სახელზე გაგზავნა წერილი და მოთხოვნა, სადაც მანსვეტაშვილი დახასიათებული იყო, როგორც შესანიშნავი ადამიანი და მფრინავი, რომ გამორიცხული იყო, ის რომელიმე ქვეყნის ჯაშუში ყოფილიყო და რომ ის ქვეყნის ნამდვილი პატრიოტია, რის გამოც მას — გოლოვანოვს სურს, მანსვეტაშვილმა სამსახური განაგრძოს შორსმოქმედ ავიაციაში.**

**„ცოტა ხნის შემდეგ მაცნობეს, რომ მანსვეტაშვილი მალე იქნებოდა ჩემთან. მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ იგი ჩემთან მოვიდა, რითაც ძალზე გავიხარეთ მეც და მანაც. გავამწესე ერთ-ერთი ნაწილის უფროსად, იბრძოდა შესანიშნავად, რისთვისაც რამდენიმეჯერ წარვადგინე კიდეც მთავრობის ჯილდოებზე. მანსვეტაშვილმა დიდი სამამულო ომი მაიორის წოდებითა და უამრავი ორდენითა და მედლით დაამთავრა.**

სამუშაო კაბინეტში მორიგე ოფიცერი შემოვიდა და მომახსენა, რომ ჩემთან შემოსვლას ითხოვს ავიაკონსტრუქტორი **ანდრეი ტუპოლევი.**

— ახლავე შემოიყვანეთ, — ვუბრძანე ოფიცერს.

— ამხანაგო სარდალო! საქმე ის არის, რომ ტუპოლევი ზედამხედველობის ქვეშ არის და მარტო შემოვიდეს თუ ზედამხედველებთან ერთად?

— რა თქმა უნდა, მარტო, — ვუთხარი მე.

ეს ბუმბერაზი ავიაკონსტრუქტორი ოთახში შემოვიდა. გამიღიმა, მომესალმა. მე მოკრძალებით მივუთითე სავარძელზე. ტუპოლევის ასეთ მდგომარეობაში ყოფნის გამო თავს ცოტა დამნაშავედ ვგრძნობდი.

საუბარი დავიწყეთ ბომბდამშენ ТУ-2-ის გამოყენებაზე შორსმოქმედ ავიაციაში. მიუხედავად თვითმფრინავის სიმტკიცისა და საიმედოობისა, შორეული ფრენებისათვის მისი გამოყენება შეუძლებელი იყო, რადგან მხოლოდ ერთი პილოტით იმართებოდა. შორეული ფრენებისათვის კი ასეთი რამ მიზანშეუწონელი და შეუძლებელიც იყო.

ტუპოლევმა მითხრა, როგორ შეიძლება მფრინავის კაბინის გაკეთება ისე, რომ მასში ორი ადამიანი მოთავსებულიყო. ვუსმენდი და ვფიქრობდი: როგორი პატრიოტი უნდა იყოს ადამიანი, რომ ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც ის იმყოფებოდა, კვლავ სახელმწიფოსა და მისი ავიაციის გაძლიერებაზე ფიქრობდეს. ჩემს თავზე გადახდილი უსიამოვნებები გამახსენდა და ტუპოლევის მდგომარეობამ გული შემიწუხა. გადავწყვიტე, საკითხი სტალინის წინაშე დამეყენებინა. კრემლში მალე მოვხვდი. სტალინმა საქმიანი საუბრის შემდეგ მკითხა, რა არის ახალი შენს ცხოვრებაშიო. მოვუყევი ავიაკონსტრუქტორ ტუპოლევის სტუმრობის შესახებ და მისი ბომბდამშენის ჩვენს არმიაში გამოყენების თაობაზე.


ანდრეი ტუპოლევი

**«გიორგი ჟუკოვმა მოხსენება რომ დაასრულა, სტალინი მიუახლოვდა მაგიდას, რომელზეც გაშლილი იყო ოპერატიული რუკა, რომელსაც ჟუკოვი მოხსენებისას იშველიებდა. სტალინი დააკვირდა რუკას, ცოტა ხნის შემდეგ კი ჟუკოვს მიმართა: —ერთი მითხარით, ეს რა არის? — და რუკაზე რაღაცის აღმნიშვნელ ნიშანზე მიუთითა. ჟუკოვი რუკაზე დაიხარა და უმალ წამოწითლდა.
— ამხანაგო სტალინ, ეს ოფიცრის შეცდომაა.
რუკაზე დაცვის ხაზი იქ კი არ იყო გავლებული, სადაც უნდა ყოფილიყო, არამედ ჭაობზე»**


მარშალი ივანე კონევი

მხედართმთავარი დაინტერესდა ტუპოლევის თვითმფრინავის გამოყენების შესაძლებლობით შორეული მოქმედების ავიაციაში.

სტალინს იგივე ვუთხარი, რაც კონსტრუქტორ ტუპოლევს, რომ ერთი მფრინავით შორს მანძილზე ფრენა შეუძლებელია და ამ ხარვეზის გამოსწორების მიზნით კი ტუპოლევმა დამაჯერებელი წინადადებები წამოაყენა.

მიუხედავად იმისა, რომ საუბარი დასრულდა, სტალინმა შემატყო, რომ წასვლას არ ვჩქარობდი, რის გამოც მან ღიმილით მითხრა, — თქვენ თითქოს გინდათ, რაღაც მკითხოთ.

— ამხანაგო სტალინ, რატომ ზის ტუპოლევი? — ჩემი კითხვა სტალინისათვის მოულოდნელი იყო.

— ამბობდნენ, ინგლისის თუ ამერიკის სასარგებლოდ მუშაობდაო.

იცოდა, რომ პასუხი არადამაჯერებელი და საეჭვო იყო.

— ნუთუ თქვენ, ამხანაგო სტალინ, გჯერათ, რომ...

სტალინმა სიტყვა გამაწყვეტინა და კითხვითვე მიპასუხა:

— შენ გჯერა? — გადავიდა შენობით მომართვაზე და ჩემკენ წამოვიდა, ახლოს გამიჩერდა და თვალებში ჩამხედა.

— არა, არ მჯერა! — ვუპასუხე მტკიცედ და უშიშრად.

— და არც მე მჯერა! — უცბადვე მიპასუხა.

ასეთ პასუხს არ ველოდი და გაოგნებული ვიდექი.

— კარგად იყავი, — ასწია ხელი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩემი დრო სტალინთან ყოფნისა ამოიწურა.

რამდენიმე დღის შემდეგ შევიტყვე ანდრეი ნიკოლოზის ძე ტუპოლევის განთავისუფლების შესახებ და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

უამრავ ადამიანს გაუწია შუამდგომლობა და დახმარება **გიორგი ჟუკოვმა** და **სიმონ ტიმოშენკომ.** განსაკუთრებით კი — ტიმოშენკომ, მან უამრავი ადამიანის ბედი შემოაბრუნა სასიკეთოდ და ციხეში ჩაჯდომისგან ბევრი იხსნა.

მახსოვს ასეთი შემთხვევაც: შორეული ავიაციის მფრინავი გამოიძახეს სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტში, საგანგებოდ აღნიშნეს მისი გმირობა და თავდადება. გადასცეს ოქროს ვარსკვლავი.

მთავრობის ეს მაღალი ჯილდო მფრინავმა თავის მეგობრებთან ვახშმით აღნიშნა რესტორანში. როდესაც სახლს მიუახლოვდა, ქალის განწირული კივილი მოესმა და სასწრაფოდ გაეშურა შემთხვევის ადგილისაკენ. დაინახა, რომ მამაკაცი ქალს საშინლად სცემდა. მფრინავმა იარაღით მოკლა მოძალადე. შემთხვევის ადგილზე უცბად სამხედრო პატრული მივიდა. მფრინავი დააკავეს და მილიციის განყოფილებაში წაიყვანეს.

**გმირობამინიჭებული ახალგაზრდის ტრაგიკული შემთხვევა სტალინს მოახსენეს. მოკლული კი აღმოჩნდა სატანკო მრეწველობის პასუხისმგებელი მუშაკი. საქმის სახელდახელოდ მოკვლევისა და სტალინისათვის მოხსენების შემდეგ, სტალინმა იკითხა, რით შეიძლებოდა მფრინავის დახმარება. უპასუხეს, რომ მხოლოდ თავდებით გამოშვება შეიძლებოდა სასამართლოს ჩატარებამდე.**

სტალინმა დაწერა განცხადება უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელზე დამნაშავე მფრინავის თავდებად დადგომის შესახებ. სტალინის თხოვნა დააკმაყოფილეს, მფრინავი გაათავისუფლეს და აუხსნეს, რომ მას თავდებად სტალინი დაუდგა.

მფრინავი თავის პოლკს დაუბრუნდა. სტალინის თავდებობით გამოშვებული გმირი მფრინავი ცაში აიჭრა, გასაოცარი სიმამაცით იბრძოდა და იბრძოდა მანამ, სანამ მტრით გარშემორტყმული მოწინააღმდეგის თვითმფრინავს შეეჯახებოდა, შემდეგ კი თავისი ალმოდებული თვითმფრინავით მშობლიურ მიწას დაენარცხებოდა.

სტალინი ხშირად ამბობდა, — ადამიანს ბევრი რამ შეიძლება აპატიო, თუ მას მხრებზე თავი ადგას.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალი **ნიკოლაი კუზნეცოვი** ფლოტის შტაბის უფროსის კანდიდატურას არჩევდა. სტალინმა ურჩია ,— ყველაზე კარგი კანდიდატურა **ივანე ისაკოვი** იქნებაო.

კუზნეცოვმა უპასუხა:

— ამხანაგო სტალინ, ის ცალფეხაა და გაუჭირდება ასეთ რთულ სამსახურში მუშაობა.

— სჯობს, იმუშაო უფეხო კაცთან, ვიდრე უთავოსთან, — მიუგო სტალინმა.

ასე დარჩა სამამულო ომის დამთავრებამდე ისაკოვი სამხედრო-საზღვაო ფლოტის შტაბის უფროსად, რომელსაც ადმირალის წოდებაც მიენიჭა“.

„ერთხელ ჩემთან, ბინაში მოვიდა ჩემი მოადგილე კავშირგაბმულობის დარგში **ნიკოლაი ბაიდუკოვი,** — იგონებს გოლოვანოვი, — რომელმაც მითხრა, თქვენთან შეხვედრა და საუბარი სურს რადიონავიგაციის ფუძემდებელს, რომელსაც უამრავი სიახლე აქვს მოსახსენებელიო.“

გოლოვანოვმა სასწრაფოდ მიიწვია აკადემიკოსი **აქსელ ბერგი** და დიდხანს ესაუბრა. ბერგთან საუბარმა დაარწმუნა გოლოვანოვი, რომ მისთვის (ბერგისათვის — გრ. ონიანი) უნდა მოესმინა თვითონ სტალინს.

„სტალინმა ბერგი დაუყოვნებლივ მიიღო.

— ჩვენ არსად გვეჩქარება, დრო ბევრი გვაქვს, თქვენ ისაუბრეთ, მე კი მოგისმენთ, თქვენ ჩემი ლექტორი იქნებით, მე კი თქვენი სტუდენტი, — უთხრა სტალინმა სტუმარს. ბერგმა სამი საათის განმავლობაში ისაუბრა ისე, რომ სტალინს ერთი შენიშვნაც არ მიუცია. **ბერგთან საუბრის დამთავრებისთანავე სტალინმა სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის სხდომა მოიწვია და სახელმწიფო თავდაცვის საბჭოში შექმნა რადიოლოკაციის სამეცნიერო საბჭო, რომლის თავმჯდომარედაც დაინიშნა მალენკოვი, ხოლო მის მოადგილედ — აკადემიკოსი ბერგი.**

ასე ოპერატიულად და დიდი გულისხმიერებით წყდებოდა ყველა საქმე, რომელიც სამშობლოს გადარჩენას შეეხებოდა.“

**გაგრძელება იქნება**




## ყურადღება!

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შავკანიანთა ცხოვრება, ის სირთულეები, რომლებსაც ჩვენ ვაწყდებით და რომლებსაც ზოგჯერ თვითონ ვქმნით — ეს თქვენ არც ისე ძალიან გადარდებთ. თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენ გვაქვს ყველაფერი, რადგან ვებრძვით თქვენს ეგოისტურ მტკიცებულებას, რომ სრულიად მსოფლიო, მისი რესურსები, მისი სიმდიდრეები, უწინარესად თქვენ უნდა გეკუთვნოდეთ, და თუკი რამ დარჩება ჩვენც შეგვიძლია ვისარგებლოთ — ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ზრდილობიანად გთხოვთ და მადლიერი დავრჩებით.**

# რას ვერ ხედავს თეთრი ამერიკა

**ცხადია, რომ შენ, თეთრო ამერიკავ, ჩვენ ვერასოდეს გაგვიგებ. ჩვენ ვართ თითქმის 40-მილიონიანი შავკანიანი ერი 320 მილიონზე მეტი ერის შიგნით. ჩვენ ერთნაირად არ ვფიქრობთ, არ გვიყვარს, არ ვსწავლობთ, არ ვცხოვრობთ და არ ვკვდებით. მაგრამ არის ერთი რამ, რასაც უმრავლესობა ეთანხმება — ჩვენ არ გვინდა, პოლიციელები გვკლავდნენ ისე, რომ არ ეშინოდეთ სასამართლოს წინაშე წარდგომის, მით უმეტეს, ციხეში ჩაჯდომის, და მსოფლიო უყურებდეს ჩვენი სიკვდილის კუსტარულ ვიდეოჩანაწერებს.**



თქვენ ვერასოდეს გაიგებთ იმ უმწეობას, რომელსაც ჩვენ განვიცდით ამ მოვლენების გამო, რომლებიც კვლავ და კვლავ მეორდება მზარდი სისასტიკით. ეს კადრები მოგვითხრობს გამოსაფხიზლებელ ისტორიას, დაუჯერებელ ისტორიას და ამბობს, რომ შავკანიანთა სიცოცხლე უმნიშვნელოა. ეს კადრები მოგვითხრობს, როგორ დაიღუპნენ გასულ კვირას პოლიციელების მიერ გასროლილი ტყვიებით შავკანიანები — **ელტონ სტერლინგი** და **ფილანდო კასტილე.** მოგვითხრობს იმაზე, რომ პოლიციელები აწარმოებენ გამოუცხადებელ ომს შავკანიანთა თვითშეგნების წინააღმდეგ.

თქვენ შეგიძლიათ, არასოდეს აღიაროთ, რომ ეს სიმართლეა. სინამდვილეში, ეს იდეა გეჩვენებათ ისეთი უაზრო და შეურაცხმყოფელი, რომ შავკანიანებს, ვისაც სჯერათ ამის, რასისტებს უწოდებთ. ამ შემთხვევაში ყოველთვის იმარჯვებს ის, ვინც უკეთ არის შეიარაღებული. **თქვენ ამბობთ, რომ შავკანიანები ყოველდღე კლავენ ერთმანეთს, მაგრამ მიზეზებზე კრინტს არ ძრავთ, ჩვენ კი ხმამაღლა ვაპროტესტებთ რამდენიმე პოლიციელის მოქმედებას, რომლებიც თითქმის ყოველთვის თეთრები არიან, და რომლებიც ხოცავენ „ბანდიტ“ შავკანიანებს.**

შავკანიანები აპროტესტებენ, მაგრამ მსოფლიო უმეტესად უარს ამბობს მათ მოსმენაზე, არ სურს, იცოდეს, რა ხდება ქვეყნის შავ კვარტლებში. ამბობენ, რომ **საშინელებაა, რაც ხდება შავკანიანებით დასახლებულ რაიონებში, სადაც არ არის ფული და იმედი, სადაც არ არის კარგი სკოლები, არ არის სისასტიკისგან დამცავი უსაფრთხოების საზოგადოებრივი და ეკონომიკური ბალიშები.** ადამიანებს, ჩვეულებისამებრ, კლავენ იქ, სადაც სახლდებიან. თავიანთ მრისხანებას ისინი სუსტებზე ანთხევენ. ამ ბოროტმოქმედებას არ შეიძლება დაერქვას შავების ბრძოლა შავების წინააღმდეგ. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ **ეს არის სასაკლაო, სადაც მეზობელი მეზობლის წინააღმდეგ გამოდის. მეზობლები თეთრები რომ იყვნენ, ისინი ინდულგენციებს მიიღებდნენ თავდასხმებზე, რომლებიც განუწყვეტლივ მიმდინარეობს მუქკანიან ადამიანებზე. ჩვენ, ყველამ, ერთი და იგივე ვიდეო ვნახეთ, მაგრამ თქვენ მაინც გაიძახით, რომ კამერა ყველაფერს არ მოგვითხრობს, თუმცა თქვენ არ გსურთ ამ ისტორიის სრულად ნახვა და მოსმენა.**

დაბადებისთანავე თქვენ იღებთ ბინოკლს, რათა შორიდან დააკვირდეთ შავკანიანთა ცხოვრებას ისე, რომ არასოდეს მიუახლოვდეთ და დაამყაროთ მჭიდრო კავშირი. ბინოკლი — ეს არის პრივილეგია, სტატუსი, რომელსაც ფლობთ, კლასობრივი კუთვნილების მიუხედავად. სინამდვილეში თეთრის უდიდესი პრივილეგია არის ის, რომ, როდესაც მას პოლიციელი აჩერებს, ცოცხალი რჩება.

ბინოკლი, აგრეთვე, ყვება ისტორიებს, ცუდ, ტენდენციურ, მავნე ისტორიებს, რომ შავკანიანები ზარმაცები, გონებაჩლუნგები, მატყუარები და უზნეოები არიან და რომ მათ ვერაფრით დაეხმარება ვერც საუკეთესო სკოლები და ვერც თვით ღმერთიც კი. ასეთი თვითდაჯერებულობა არ აისახება თანამედროვე წიგნებში და ვერ აღწევს სასწავლო აუდიტორიებში, მაგრამ ის არაფორმალურად გადაეცემა ერთი ადამიანიდან მეორეს, ერთი თეთრიდან მეორეს.

პრობლემა არის ის, რომ თქვენ არ გსურთ, იცოდეთ არაფერი ისეთი, რაც განსხვავდება თქვენი წარმოდგენისგან მათზე. **შავკანიანთა ცხოვრება, ის სირთულეები, რომლებსაც ჩვენ ვაწყდებით და რომლებსაც ზოგჯერ თვითონ ვქმნით — ეს თქვენ არც ისე ძალიან გადარდებთ. თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენ გვაქვს ყველაფერი, რადგან ვებრძვით თქვენს ეგოისტურ მტკიცებულებას, რომ სრულიად მსოფლიო, მისი რესურსები, მისი სიმდიდრეები, უწინარესად თქვენ უნდა გეკუთვნოდეთ, და თუკი რამ დარჩება, ჩვენც შეგვიძლია ვისარგებლოთ — ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ზრდილობიანად გთხოვთ და მადლიერი დავრჩებით.**

**ჩვენ ვგრძნობთ უძლურებას იმის გამო, რომ არ შეგვიძლია შევაჩეროთ თქვენი თეთრი მძვინვარება და თქვენი სიძულვილი... ჩვენ არ შეგვიძლია თქვენი სიძულვილი, ეს ბევრ ჩვენგანს არ შეუძლია. ეს თქვენთვის მოძღვნილი ჩვენი საჩუქარია. ჩვენ არ შეგვიძლია თქვენი შეჩერება და ეს თქვენი წყევლაა**



ამიტომ ითქვა, რომ უზენაესმა სასამართლომ დაგიბრუნოთ ის, რაც წაგართვეს: მეტი ადგილი უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც მბრძანებლობთ, მეტი ვაკანსია სახანძრო ნაწილებსა და პოლიციის უბნებში, რომლებსაც მართავთ. თქვენი უკმაყოფილება იზრდება, თქვენი სიძულვილი ძლიერდება. **თეთრი ადამიანის ხვედრი ძალიან მძიმე შეიქნა, და ამიტომ ის გადაეცით საძაგელ პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელიც აძლიერებს თქვენს ყველაზე საზიზღარ იდუმალ აზრებს.**

მიეკუთვნებოდე თეთრ რასას — ეს არის სიბრმავე; ეს არის მისწრაფება, არ დაინახო ის, რაც არ იცი. და, თუკი თქვენ ჩვენ არ გვიცნობთ, არც მოსმენას მოისურვებთ, რადგან ჩვენი სიტყვებისა არ გჯერათ. **თქვენ გადაწყვიტეთ, რომ კმარა. თუ პოლიციელები უმიზეზოდ გვხოცავენ, ასეც უნდა იყოს, რადგან ჩვენი უმრავლესობა მაინც დამნაშავეა. და, თუ მოკლული შავკანიანი უდანაშაულო აღმოჩნდება, მერე რა, გაღებული მსხვერპლია.**

თქვენ არ იცით, როგორ შიშში ვცხოვრობთ. **თქვენ გამო ქუჩაში გავლის გვეშინია, რადგან ნებისმიერ მომენტში შეიძლება თავს დაგვესხას ლურჯფორმიანი პოლიციელი პისტოლეტით ხელში და წაგვართვას სიცოცხლე. შემდეგ კი იტყვის, რომ ჩვენ ვყიდდით სიგარეტს, კომპაქტდისკებს ან ღრმად ვსუნთქავდით, ან კიდევ, მისი აზრით, უხეშად ვსაუბრობდით. ან კიდევ — გავრბოდით, ვიდექით, ვდუმდით.** თქვენ ყველა მუსლიმს ადანაშაულებთ იმაში, რასაც გაბოროტებული ერთეულები აკეთებენ. მაგრამ თქვენ იშვიათად გყოფნით გამბედაობა, დაუშვათ ბინოკლი, უარი თქვათ მომწამვლელ თავის შეცოდებაზე და დაინახოთ ის, რასაც ვხედავთ ჩვენ. თქვენ ამბობთ, რომ რელიგიები და კულტურები წარმოქმნიან ძალადობას, რომელიც ფართოვდება შეთქმულთა დუმილით, რადგან ადამიანები არ გაკიცხავენ ბოროტმოქმედებს, რომლებიც მათი სახელით მოქმედებენ.

თქვენც იმავეს აკეთებთ. **თქვენ არ გმობთ ამ პოლიციელებს, რადგან ამისათვის მოგიწევთ იმ კულტურის დაგმობა, რომელმაც გამოზარდა ისინი და თქვენ. შავკანიანები კვლავაც დაიღუპებიან პოლიციელების ხელით. იქამდე, ვიდრე უარვყოფთ, რომ თეთრი რასისადმი კუთვნილება უკეთესად ხსნის პოლიციელთა საქციელს, ვიდრე ის სახიფათო გარემოებები, რომლებსაც ისინი აწყდებიან.**

თქვენთვის ცნობილია, რომ **ჩვენ ჩუმად ვწყევლით ლაჩრობას თეთრებისა, რომლებმაც იციან, რომ ჩემ მიერ დაწერილი სიმართლეა, მაგრამ თქმას ვერ ბედავენ. მკვლელობები კიდევ უფრო საშინელია იმის გამო, რომ მათ მიმართ თქვენი უარყოფითი განწყობა იცავს თქვენს რეპუტაციას, მაგრამ არა — ჩვენს სიცოცხლეს.**

თქვენ არ იცით, რომ, როცა თქვენზე ვბრაზდებით, უფრო მეტად ვბრაზდებით საკუთარ თავზე, რადგან არ ვიცით, როგორ შეგაჩეროთ, როგორ გაიძულოთ, გააჩეროთ ისინი, ვინც თითს აჭერს ჩახმახს. კიდევ რით შეიძლება აიხსნას თეთრების დუმილი, რომლითაც ისინი ასეთ მოვლენებს ხვდებიან? რა თქმა უნდა, ამას ხშირად მოსდევს ოფიციალური რეაქცია, ზოგჯერ ხელისუფლების ბოდიშიც კი. დანარჩენი ქვეყანა? **ჩვენ ვხედავთ, რომ სასოწარკვეთილი თეთრები ხელებს ასავსავებენ, — ეს საშინლად რთული პრობლემაა და მომხდარი ვიდეოზე არ ჩანსო.**

ჩვენ ვგრძნობთ, რომ უძლურნი ვართ, ჩვენს სიცოცხლეს მნიშვნელობა რომ მივანიჭოთ; ვხვდებით, რომ არ შეგვიძლია, დაგარწმუნოთ, ჩვენი სიცოცხლეც მნიშვნელოვანია. ჩვენ ვხვდებით, რომ უძლურნი ვართ და არ შეგვიძლია, შევაკავოთ შავკანიანთა მკვლელობები მათი ნათესავებისა და ახლობლების თვალწინ. **ჩვენ ვგრძნობთ უძლურებას იმის გამო, რომ არ შეგვიძლია შევაჩეროთ თქვენი თეთრი მძვინვარება და თქვენი სიძულვილი.**

მაგრამ ჩვენც გვაქვს მძვინვარება. ბევრი ჩვენგანი თავს იკავებს მისი გამოვლენისგან. ჩვენ გვეშინია, რომ, თუ ტირილს დავიწყებთ, ცრემლს ველარ შევაჩერებთ. ამიტომ ჩვენ ვაზიანებთ ჩვენს სხეულებს სისხლის მაღალი წნევით და ვწამლავთ ჩვენს სულებს დეპრესიით. ჩვენ არ შეგვიძლია თქვენი სიძულვილი, ეს ბევრ ჩვენგანს არ შეუძლია. ეს თქვენთვის მოძღვნილი ჩვენი საჩუქარია. ჩვენ არ შეგვიძლია თქვენი შეჩერება და ეს თქვენი წყევლაა.

**მაიკლ ერიკ დეისონი**
THE NEW YORK TIMES



## აშშ-ის პოლიციამ წლის დასაწყისიდან დღემდე 500-მდე ადამიანი მოკლა

**გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ამერიკელმა პოლიციელებმა 2016 წლის იანვრიდან დღემდე სხვადასხვა ვითარებაში 500-მდე ადამიანი მოკლეს. სტატისტიკის მიხედვით მოკლულთა უმეტესობა აფროამერიკელია.**

2016 წლის დასაწყისიდან ინციდენტებში, რომლებშიც პოლიციელები მონაწილეობდნენ 491 ადამიანი დაიღუპა, რაც 26 შემთხვევით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ამასთანავე, შავკანიანთა შორის მსხვერპლი 2,5-ჯერ მეტია.



ამერიკის პოლიციის ისტორიაში ბოროტმოქმედის წინააღმდეგ პირველად გამოიყენეს ასაფეთქებელი საშუალება C4, რომელსაც, ჩვეულებრივ, სპეცრაზმი იყენებს. ადგილზე, დახურულ ავტოსადგომზე, სადაც ჯონსონი თავს აფარებდა, მიიყვანეს სამართავი რობოტი და როდესაც მოლაპარაკებები ჩაიშალა და ჯონსონმა კვლავ ატეხა სროლა, C4 ააფეთქეს. მსროლელის ბინაში ნახეს ჯავშანჟილეტი, ამუნიცია, ბომბის დასამზადებლად საჭირო ელემენტები. როგორც ჩანს, ის უფრო სისხლიანი თავდასხმისთვის ემზადებოდა.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აფროამერიკელების შურისძიება

## დალასში 5 პოლიციელი მოკლეს, 7 — დაჭრეს






მიკა ხავიერ ჯონსონი

**7 ივლისი შავი ამერიკის პროტესტის დღე იყო თეთრი რასისტი პოლიციელების მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ.**

5 და 6 ივლისს ლუიზიანისა და მინესოტას შტატებში პოლიციელებმა მოკლეს 2 შავკანიანი მოქალაქე, რომლებსაც წინააღმდეგობის გაწევა არც უცდიათ. განსაკუთრებით ტრაგიკული აღმოჩნდა ავტომობილის მძღოლის მკვლელობა მინესოტაში. მომხდარი მოკლულის მეგობარმა ქალმა, რომელიც 4 წლის შვილთან ერთად ავტომობილში უკანა სავარძელზე იჯდა, ვიდეოზე გადაიღო და სოციალურ ქსელში გაავრცელა.

პოლიციელების მიერ ჩადენილი მკვლელობების წინააღმდეგ საპროტესტო ტალღამ ამერიკას გადაუარა. დემონსტრანტები გამოვიდნენ ნიუ იორკში, ჩიკაგოში და სხვა დიდ ქალაქებში, დალასში კი საპროტესტო აქცია 5 პოლიციელის მკვლელობითა და 7-ის დაჭრით დასრულდა.

**მსროლელი, რომელმაც 5 პოლიციელი მოკლა და 7 დაჭრა დალასში, ბოლო ინფორმაციით, მარტო მოქმედებდა. მისი ვინაობა დადგენილია — მიკა ხავიერ ჯონსონი, 25 წლის, სამხედრო რეზერვისტი, 8 თვის განმავლობაში მსახურობდა ავღანეთში ამერიკულ სამშენებლო ბატალიონში.**

ბრძოლის ტაქტიკა მან ავღანეთიდან დაბრუნების შემდეგ შეისწავლა, გატაცებული იყო აფროამერიკული ნაციონალიზმის იდეებით, სოციალურ ქსელში იხსენებდა პერიოდს, როდესაც შავკანიანებს ლინჩის წესით ასამართლებდნენ, აღტაცებული იყო მემარცხენე რადიკალური მოძრაობა „შავი პანტერის" მოქმედებით, რომელიც რასობრივი უმცირესობების უფლებების დასაცავად იბრძვის. **მიკა ხავიერ ჯონსონმა, ვიდრე მოკლავდნენ, მოასწრო პოლიციელებისთვის ეთქვა, რომ ძალიან გაბრაზებულია თეთრებზე, განსაკუთრებით — თეთრ პოლიციელებზე.**

„წარმოიქმნა გაუგებრობა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ერთი მსროლელი, რომელსაც შემუშავებული ჰქონდა გეგმა, როგორ ესროლა, როგორ გადაადგილებულიყო და შეეცვალა პოზიცია. ჩვენ მან გვავნო, მაგრამ ჩვენც ვავნეთ მას. ამჟამად ქალაქი უსაფრთხოა. ეჭვმიტანილი ლიკვიდირებულია". — განაცხადა დალასის მერმა **მაიკ როლინგსმა.**

ამერიკის პოლიციის ისტორიაში ბოროტმოქმედის წინააღმდეგ პირველად გამოიყენეს ასაფეთქებელი საშუალება C4, რომელსაც, ჩვეულებრივ, სპეცრაზმი იყენებს. ადგილზე, დახურულ ავტოსადგომზე, სადაც ჯონსონი თავს აფარებდა, მიიყვანეს სამართავი რობოტი და როდესაც მოლაპარაკებები ჩაიშალა და ჯონსონმა კვლავ ატეხა სროლა, C4 ააფეთქეს.

**მსროლელის ბინაში ნახეს ჯავშანჟილეტი, ამუნიცია, ბომბის დასამზადებლად საჭირო ელემენტები. როგორც ჩანს, ის უფრო სისხლიანი თავდასხმისთვის ემზადებოდა.**



# ვიეტნამელი მამა-შვილი 40 წლის განმავლობაში ჯუნგლებში ემალებოდა ამერიკელთა ბომბებს

**მამა-შვილი, რომელმაც ვიეტნამის ომში თითქმის ყველა ახლობელი დაკარგა, ამერიკელთა ბომბებს 40 წლის განმავლობაში ემალებოდა პროვინცია კუანგნგაის ჯუნგლებში, სანამ მამას სამედიცინო დახმარება დასჭირდა.**

როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, მამა და შვილი ერთ-ერთ სოფელში დასახლდნენ და ადაპტაციას გადიან თანამედროვე ცხოვრების პირობებთან. გავრცელებული ინფორმაციით, მამა-შვილის კვალზე გავიდა ერთ-ერთი ნათესავი, რომელმაც დაარწმუნა გაქცეულები, ცივილიზაციას დაბრუნებოდნენ. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მამას — **ხო ვან თხანს** სამედიცინო დახმარება დასჭირდა.

**ვან თხანმა ჟურნალისტებს მოუთხრო, რომ 1972 წელს მცირეწლოვან შვილთან — ხო ვან ლანგთან ერთად აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების საშინელ დაბომბვაში მოყვა. მისი სოფელი სრულიად განადგურდა, ნათესავები კი დაიხოცნენ, ამიტომ გადაწყვეტილება მიიღო, გასცლოდა დასახლებულ პუნქტებს, რომლებიც ამერიკელებს სამიზნეში ჰყავდათ ამოღებული, და შვილთან ერთად თავი ტყისთვის შეეფარებინა. ვიეტნამელი მამაკაცი დღემდე დარწმუნებული იყო, რომ ომი გრძელდებოდა.** „როდესაც ახლომახლო ადამიანები გამოჩნდებოდნენ, ვიმალებოდით", — განაცხადა ხო ვან თხანმა.

ადგილობრივი მედია წერს, რომ ცივილიზაციისგან გაქცეული მამა-შვილი შეეგუა ჯუნგლებს. ისინი იკვებებოდნენ ბალახებით, ფესვებით, ხილით, ჭამდნენ, აგრეთვე, მაიმუნის, ვირთხის, გველის ხორცსა და თევზს.



# პოროშენკოს დახეული წინდის გამო დასცინეს



**უკრაინის პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო მას შემდეგ, რაც ვარშავაში გამართულ ღონისძიებაზე დახეული წინდით მივიდა, სოციალური ქსელის მომხმარებელთა დაცინვის ობიექტი შეიქნა.**

„ტვიტერის" ერთ-ერთმა მომხმარებელმა გამოაქვეყნა ფოტო, რომელზეც აღბეჭდილია მომენტი, როდესაც პოროშენკომ ყვავილების გვირგვინით შეამკო პოლონეთში, ვოლინის ტრაგედიისას დაღუპულთა ხსოვნისადმი აღმართული ძეგლი.

ფოტოზე ჩანს, რომ უკრაინის პრეზიდენტს მარცხენა ფეხზე წინდა დახეული აქვს.

სოციალური ქსელის მომხმარებლებმა ხელიდან არ გაუშვეს შანსი, დაეცინათ უკრაინის მულტიმილიონერი პრეზიდენტისთვის.





## დილმა რუსეფი:

# არ ვაპირებ, ბრაზილიის პრეზიდენტის პოსტი ნებაყოფლობით დავტოვო

**ბრაზილიის პრეზიდენტის პოსტს დროებით ჩამოცილებულ დილმა რუსეფს ნებაყოფლობით გადადგომა განზრახული არ აქვს. ეს მან სან-პაულუში მხარდამჭერებთან შეხვედრისას გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნა.**

„მთხოვდნენ, დაყოლიებასაც ცდილობდნენ, ზემოქმედებდნენ, რათა ნებაყოფლობით დამეტოვებინა პოსტი. მაგრამ ამას არასოდეს გავაკეთებ, და იცით, რატომ? იმიტომ, რომ 54 მილიონმა ადამიანმა მომცა ხმა! მე არ მაქვს ანგარიშები შვეიცარიის ბანკებში და არასოდეს არაფერი მომიპარავს", — ნათქვამია დილმა რუსეფის განცხადებაში.

ამა წლის 12 მაისს ბრაზილიის ფედერალურმა სენატმა 180 დღით ჩამოაშორა თანამდებობას პრეზიდენტი დილმა რუსეფი, რომელმაც მომხდარს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა უწოდა. სენატორებმა 180 დღის განმავლობაში უნდა შეისწავლონ ბრალდებები, რომლებიც იმპიჩმენტის ინიციატორებმა წაუყენეს დილმა რუსეფს. და თუ საფინალო კენჭისყრისას, რომელიც 20 აგვისტოს უნდა გაიმართოს, ზედა პალატის წევრები ამ არგუმენტებს დაეთანხმებიან, დილმა რუსეფი იძულებული იქნება, პოსტი დატოვოს.

# ნატოს საწინააღმდეგო მიტინგი ბულგარეთში

**9 ივლისს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ნატოში ბულგარეთის ყოფნის საწინააღმდეგო მიტინგი გაიმართა.** მონაწილეებმა აქციისა „დროა, ნატოდან გამოვიდეთ", ჩრდილოატლანტიკური ალიანსიდან ბულგარეთის დაუყოვნებლივ გამოსვლა მოითხოვეს. მომიტინგეებმა რუსეთის საზღვრებისკენ ნატოს გაფართოების პოლიტიკას, აგრეთვე, Aegis-ის სარაკეტო კომპლექსების განლაგებას რუმინეთში, პოლონეთში, თურქეთსა და ესპანეთში პროვოკაციული და სახიფათო უწოდეს.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეტყობა, ბლერი თანამემამულეებსა და სხვებსაც გონებასუსტად თვლის, რომლებსაც ისევე, როგორც ჩილკოტის კომისიას, არ შეუძლიათ რამდენიმე უხერხული შეკითხვის დასმა: თუკი საჯარო მონაცემები არ გქონდა, რატომ ჩაერთე ავანტიურაში? რატომ არ მიაქციე ყურადღება უამრავი საერთაშორისო ინსპექციის დასკვნას, რომ ერაყში მასობრივი განადგურების იარაღი არ არის? რატომ არ გაითვალისწინე უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების (რა თქმა უნდა, არა ამერიკული ცენტრალური სადაზვერვოსი, არამედ, მაგალითად, რუსულის) ცნობები იმის შესახებ, რომ სადამ ჰუსეინს არანაირი ქიმიური, ბაქტეოროლოგიური და ატომური იარაღი არ აქვს?**

# ტონი ბლერის ფარისევლური მონანიება

**დასკვნა ბრიტანეთის პარლამენტის კომისიისა, რომელიც იძიებს ერაყის ინტერვენციაში ბრიტანეთის მონაწილეობას (აშშ-თან ერთად), შეიძლება ქვაზე ამოიკვეთოს, როგორც დიდი ქვეყნის მმართველი კლასის ფარისევლობის ნიმუში.**



ზოგადი დასკვნა კომისიისა, რომელსაც ლორდი **ჯონ ჩილკოტი** ხელმძღვანელობს ასეთია: დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერმინისტრ **ტონი ბლერის** გადაწყვეტილება, შეერთებოდა აშშ-ის შეჭრას ერაყში, იყო **„გაუმართლებელი“** და **„არასაჭირო.“**

როგორც ჩანს, ბრიტანეთის მმართველებისთვის არ არსებობს აგრესიის დაშვებისა და არდაშვების გაგება: გაერთიანებული სამეფოს ინტერესებიდან გამომდინარე, აგრესია შეიძლება იყოს მხოლოდ გამართლებული ან გაუმართლებელი.

**დიდი ბრიტანეთი, ისევე, როგორც აშშ, მაღლა დგას გაეროზე, საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებსა და სხვა „სისულელეებზე“.**

**აი ლორდ ჩილკოტის მოხსენების ძირითადი არგუმენტები:**

*** ერაყში შეჭრა დაიწყო მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ამოწურული კონფლიქტის მშვიდობიანი მეთოდებით რეგულირების შესაძლებლობები;**

* იურიდიული თვალსაზრისით, გადაწყვეტილება არადამაკმაყოფილებელი იყო და ეფუძნებოდა არასაკმარის სადაზვერვო მონაცემებს;

*** ერაყის მასობრივი განადგურების იარაღის საფრთხის შეფასება გაუმართლებელი თვითდაჯერებულობით იყო წარმოდგენილი;**

* მთავრობამ სრულად ვერ შეაფასა ინტერვენციის შედეგები.

**მოხსენებაში ნათქვამია, რომ სამხედრო ოპერაციის შედეგად ერაყში გაღვივდა შიგა კონფლიქტები; ირანი ჩაერია ერაყის საქმეებში, საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებს კი მოქმედების ახალი შესაძლებლობები მიეცათ.**

ტონი ბლერის მიმართ გამოთქმული ეს საყვედურები სამართლიანია, მაგრამ კომისიამ მას არ დაუსვა მთავარი კითხვა— **რა მიზნით ჩაერთო ამ ავანტიურაში?**

ბრიტანეთის ყოფილ პრემიერსაგრესიის შედეგების გამო საყვედურობენ, მაგრამ არაფერს ამბობენ ამ აგრესიის მიზანზე. გამოდის, ასეთი შედეგები რომ არ ყოფილიყო, ტონი ბლერი ჩაითვლებოდა ეროვნულ გმირად, რომელმაც ერაყის თავზე დემოკრატიის დროშაააფრიალა.

ბრიტანეთის მმართველები დარწმუნებულნი არიან, რომ **სადამ ჰუსეინის** მსგავსი დიქტატორები უნდა დაისაჯონ მათ ქვეყნებში შეჭრის გზით, საერთაშორისო სამართლის მოთხოვნები კი შეიძლება დაიცვან ან არ დაიცვან. როგორც გამოვა.

**თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ დიდი ბრიტანეთი აშშ-თან ერთად თვითონ ქმნის ასეთ დიქტატორებს, სერ ჩილკოტი და მისი მეგობრები არად აგდებენ, — გამოგონილი ამბავიაო. მაგრამ სადამ ჰუსეინის რეჟიმის განმტკიცების საქმეში ანგლოსაქსების როლი უდავოა. დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მა თავის დროზე თავიანთი ინტერესების კეთილსინდისიერი შემსრულებელი დაინახეს სადამ ჰუსეინში. სწორედ მას დააკისრეს რევოლუციური ირანის „შეკავების“ მისია, მისცეს იარაღი და ფული, მაგრამ ბაღდადელი დიქტატორის ბრალი სულაც არ არის, რომ ირანმა გაუძლო 8-წლიან გაფთრებულ ომს.**

ქუვეითზე თავდასხმაც არ მომხდარა ანგლოსაქსების ჩუმი თანხმობის გარეშე, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ, რაც უფრო მეტ ნავთობსაბადოს გააკონტროლებდნენ მისი ხელისბიჭები, მით უკეთესი იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდნენ ბრიტანულ-ამერიკული სანავთობე კორპორაციის ბოსები.

**სერ ჩილკოტის კომისიას მხოლოდ ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის შესახებ ბუში-უმცროსისა და ტონი ბლერის მოლაპარაკებებისთვის რომ არ დაეთმო ყურადღება და დაინტერესებულიყო „შევრონის“, „შელის“, „ბრიტიშ პეტროლეუმისა“ და სხვა კორპორაციების ლობისტური საქმიანობით, სურათი სხვაგვარი იქნებოდა.** დადგინდებოდა, რომ იყო დაპირისპირება ერაყში შეჭრის მოწინააღმდეგეებსა (რომლებსაც მიაჩნდათ, რომ სადამ ჰუსეინს არანაირი მასობრივი განადგურების იარაღი არ ჰქონდა) და იმ თეზისის მომხრეებს შორის, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ერაყის ნავთობი საიმედო ხელში უნდა გადასულიყო. ერაყის ნავთობის მარაგზე სხვადასხვა მონაცემი არსებობს, მაგრამ ამ ქვეყანას, „შავი ოქროს“ მარაგის მიხედვით, მესამე ადგილზე ქვევით არავინ აყენებს.

**ბრიტანეთის ყოფილ პრემიერს აგრესიის შედეგების გამო საყვედურობენ, მაგრამ არაფერს ამბობენ ამ აგრესიის მიზანზე. გამოდის, ასეთი შედეგები რომ არ ყოფილიყო, ტონი ბლერი ჩაითვლებოდა ეროვნულ გმირად, რომელმაც ერაყის თავზე დემოკრატიის დროშაააფრიალა**




და **რა მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო სამართალს ისეთი არგუმენტის წინაშე, როგორიც არის ნავთობი?**

**ბრიტანელ ლორდებს, რა თქმა უნდა, მსხვერპლის რაოდენობაც აშფოთებთ. კარგად არ გამოვიდა: დაიღუპა გაერთიანებული სამეფოს დაახლოებით 300 მოქალაქე და მილიონი ერაყელი, მაგრამ მთავარი უბედურება ეს არ არის.** ბლერმა ვერ გაითვალისწინა, რომ შეიქმნებოდა „ისლამური სახელმწიფო — ორგანიზაცია“, რომელიც ერაყში ისეთ დესტაბილიზაციას გამოიწვევდა, რომ სანავთობე ბიზნესის წარმოება შეუძლებელი იქნებოდა. და ეს მხოლოდ ერაყის ტერიტორიების რამდენიმე ნაწილად დაყოფით მოხერხდებოდა.

მაგალითად, **ამერიკელები მოელაპარაკნენ ქურთებს და მათგან იძენდნენ კირკუკის საბადოდან მოპოვებულ ნავთობს. ამის მიუხედავად, საერთო ვითარება, საშინელია. ერაყის აქტივებს ისაკუთრებენ მეზობელი არაბული ქვეყნების რეჟიმები, რომლებიც „ისლამური სახელმწიფოს“ წინაშე შიშით არ თრთიან. ცივილიზებული სამყაროს (წაიკითხე — ანგლოსაქსური დუუმვირატი) კი არაფერი რჩება. სწორედ ამიტომ უნდა დაისაჯოს ტონი ბლერი და ეს დემოკრატიის სახელით გაკეთდეს.**

ის კი, საწყალი, დაე, ცრემლად დაიღვაროს და მსოფლიოს სთხოვოს: „კეთილო ადამიანებო, მაპატიეთ, მე არ მქონდა საჭირო სადაზვერვო მონაცემები სწორი გადაწყვეტილების მისაღებად“.

ეტყობა, ბლერი თანამემამულეებსა და სხვებსაც გონებასუსტად თვლის, რომლებსაც ისევე, როგორც ჩილკოტის კომისიას, არ შეუძლიათ რამდენიმე უხერხული შეკითხვის დასმა:

**თუკი საჯარო მონაცემები არ გქონდა, რატომ ჩაერთე ავანტიურაში? რატომ არ მიაქციე ყურადღება უამრავი საერთაშორისო ინსპექციის დასკვნას, რომ ერაყში მასობრივი განადგურების იარაღი არ არის? რატომ არ გაითვალისწინე უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების (რა თქმა უნდა, არა ამერიკული ცენტრალური სადაზვერვოსი, არამედ, მაგალითად, რუსულის) ცნობები იმის შესახებ, რომ სადამ ჰუსეინს არანაირი ქიმიური, ბაქტეოროლოგიური და ატომური იარაღი არ აქვს?**

რატომ დაუჯერე სინჯარას **კოლინ პაუელისა**, რომელიც ამტკიცებდა, რომ ერაყელებს ამ სინჯარაში არსებულზე სულ ცოტა მეტი ფხვნილი სჭირდებოდათ მსოფლიოს გასანადგურებლად? **რატომ არ მოითხოვე ბრიტანელი მეცნიერების, ერაყის საკითხებში სამთავრობო ექსპერტის — დევიდ კელის იდუმალებით მოცული მკვლელობის გამოძიება** (დევიდ კელიმ ტონი ბლერი ერაყის მასობრივი განადგურების იარაღის შესახებ მონაცემების გაყალბებაში დაადანაშაულა)?

ამ კითხვებზე ტონი ბლერს პასუხები არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს, გულწრფელი, პატიოსანი პასუხი იქნებოდა ის, რომ დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო სამყაროს ჭიპია და მისი პოლიტიკა არ შეიძლება იყოს საზოგადოებრივი დისკუსიის საგანი.

Fondsk.ru

**თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ დიდი ბრიტანეთი აშშ-თან ერთად თვითონ ქმნის ასეთ დიქტატორებს, სერ ჩილკოტი და მისი მეგობრები არად აგდებენ, — გამოგონილი ამბავიაო. მაგრამ სადამ ჰუსეინის რეჟიმის განმტკიცების საქმეში ანგლოსაქსების როლი უდავოა. დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მა თავის დროზე თავიანთი ინტერესების კეთილსინდისიერი შემსრულებელი დაინახეს სადამ ჰუსეინში. სწორედ მას დააკისრეს რევოლუციური ირანის „შეკავების“ მისია, მისცეს იარაღი და ფული, მაგრამ ბაღდადელი დიქტატორის ბრალი სულაც არ არის, რომ ირანმა გაუძლო 8-წლიან გაფთრებულ ომს**



**კლინტონის წერილებიდან, რომლებიც გამოძიების ფედერალური ბიუროს ხელში მოხვდა, 110 ერთეული საიდუმლო ინფორმაციას შეიცავდა, მათ შორის, 8 ზესაიდუმლო ხასიათის იყო. ფაქტები მიუთითებს ჰილარი კლინტონის დანაშაულებრივ გულგრილობასა და დაუდევრობაზე, რომელმაც გადაწყვიტა, გამოეყენებინა პირადი ელექტრონული ფოსტა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჰილარი კლინტონის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას

**გამოცემა USA Today-მ გამოაქვეყნა აიოვას ფედერალური სასამართლო ოლქის ყოფილი პროკურორის — მეტიუ უიტაკერის წერილი, რომელშიც ყოფილი პროკურორი არ ეთანხმება გამოძიების ფედერალური ბიუროს რეკომენდაციას, რომლის მიხედვითაც აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის — ჰილარი კლინტონის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ უნდა აღიძრას.**

5 ივლისს აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორმა **ჯეიმს კომიმ** განაცხადა, რომ აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის — ჰილარი კლინტონის წინააღმდეგ შეიძლება აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და მან დაასახელა მტკიცებულებები, რომლებიც არსებობს კლინტონის წინააღმდეგ, მაგრამ ბოლოს დასძინა, რომ „არც ერთი გონიერი პროკურორი" არ წაუყენებს ბრალდებას ყოფილ სახელმწიფო მდივანს. მე არ ვეთანხმები კომისიას. მე თავს ყოველთვის მივიჩნევდი გონიერ პროკურორად და, **როცა არსებობს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ფაქტები და მტკიცებულებები, ამ დანაშაულში მონაწილე პირებს უფლება არ აქვთ, უკარნახონ საზოგადოებას თავიანთი თვალსაზრისი —უნდა აღიძრას თუ არა სისხლის სამართლის საქმე.** აშშ-ის ყოფილ სახელმწიფო მდივანს შეიძლება წაუყენონ ბრალდება აშშ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის დარღვევის გამო. პროკურორმა უნდა დაამტკიცოს, რომ: სუბიექტს ჰქონდა კანონიერი უფლება, მისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია; სუბიექტის მიერ დაშვებული უხეში დაუდევრობის შედეგად ინფორმაცია ამოღებულ იქნა სათანადოდ დაცული ადგილიდან (გადაეცა სხვას, მოპარული იქნა ან დაიკარგა).

კლინტონის წერილებიდან, რომლებიც გამოძიების ფედერალური ბიუროს ხელში მოხვდა, 110 ერთეული საიდუმლო ინფორმაციას შეიცავდა, მათ შორის, 8 ზესაიდუმლო ხასიათის იყო. ფაქტები მიუთითებს



**«როცა არსებობს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ფაქტები და მტკიცებულებები, ამ დანაშაულში მონაწილე პირებს უფლება არ აქვთ, უკარნახონ საზოგადოებას თავიანთი თვალსაზრისი —უნდა აღიძრას თუ არა სისხლის სამართლის საქმე»**

ჰილარი კლინტონის დანაშაულებრივ გულგრილობასა და დაუდევრობაზე, რომელმაც გადაწყვიტა, გამოეყენებინა პირადი ელექტრონული ფოსტა. მის ფოსტას კი უსაფრთხოების გაცილებით ცუდი პარამეტრები ჰქონდა სახელმწიფო დეპარტამენტის უსაფრთხოების პირობებთან შედარებით. გონიერ პროკურორს უფლება აქვს, დაინტერესდეს: თუკი სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელმა არაერთხელ ამოიღო საიდუმლო ინფორმაცია უსაფრთხოების საიმედო სისტემიდან, გაცვალა ეს ინფორმაცია ელექტრონული ფოსტით gmail-ის აკაუნტიდან, აგრეთვე, ამ ინფორმაციას მრავალი წლის განმავლობაში ინახავდა პერსონალურ სერვერზე, ამის შემდეგ შეიძლება თუ არა დაეკისროს პასუხისმგებლობა? ვფიქრობ, რომ კი!

**USA TODAY**

# ამერიკულმა გამოცემამ რუსეთის საზღვრებთან ნატოს მოქმედებას აბსურდის თეატრი უწოდა




**„ნატოს სამიტი, რომელზეც ყურადღება გამახვილდა „ვარშავის ხელშეკრულების ყოფილი წევრების დაცვაზე რუსული საფრთხისგან", აბსურდის თეატრად გადაიქცა და მას საერთო არაფერი აქვს კოლექტიური უსაფრთხოების იდეასთან", — წერს ამერიკული გამოცემა National Interest-ი.**

„სერიოზულდად არავინ იმედოვნებს, რომ ბალტიისპირეთსა და პოლონეთში 4 ბატალიონის განლაგება, რომლებშიც ჯარისკაცთა რაოდენობა 1000-ს არ აღემატება, რუსეთის შეაშინებს." — აღნიშნავს გამოცემა, — ამ შემთხვევაში ალიანსის წევრები, ალბათ, მოსკოვის „შემაკავებელი ფაქტორის" შექმნას გულისხმობენ, რათა დააწყნარონ ქვეყნები, რომლებიც შეშფოთებული არიან რუსეთის შეიარაღებული ძალების გაძლიერებით".

**„ნატოს წევრი ქვეყნები მართლა რომ იყვნენ დაინტერესებული ბალტიისპირეთში სტაბილური ვითარების შენარჩუნებით, იქ სამხედრო ქვედანაყოფების გაგზავნის ნაცვლად ყურადღებას გაამახვილებდნენ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ადგილობრივი ხელისუფლების დამოკიდებულება რუსულენოვანი მოსახლეობის მიმართდა ნაციონალური უმცირესობის ინტეგრაცია",** — აღნიშნავს National Interest-ი.

მაგრამ ნატოს გეგმებში არ შედის ასეთი სცენარი, უწინარესად იმიტომ, რომ **ალიანსი კარგა ხანია, აღარ არის კოლექტიური დაცვისა და მსოფლიოში სტაბილურობის შენარჩუნების ინსტრუმენტი. ამჟამად მისი როლი არის ის, რომ ხელი შეუწყოს აშშ-ს ევროპის მართვაში. დანარჩენი მიზნები და ამოცანები, მათ შორის, რომლებზეც ვარშავის სამიტზე მსჯელობდნენ, რეალობისგან ყურადღების გადატანისთვის გათამაშებული ფარსია და მეტი არაფერი.**

ნატოს სამიტი 8-9 ივლისს გაიმართა პოლონეთის დედაქალაქში. ალიანსის წევრები შეთანხმდნენ, რომ ლატვიაში, ლიტვაში, ესტონეთსა და პოლონეთში 4 ბატალიონს გაგზავნიან, განალაგებენ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებს და გააძლიერებენ სამხედრო ძალებს შავი ზღვისპირეთის რეგიონში.

ამასთანავე, მოსკოვმა არაერთხელ გაუსვა ხაზი, რომ რუსეთის საზღვრებთან ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ძალების გაძლიერება საპასუხო ზომებს გამოიწვევს. კერძოდ, 2016 წლის მაისში რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ სამი ახალი დივიზიის შექმნაზე განაცხადა, მათგან ორის — დასავლეთის სამხედრო ოლქში, ერთის სამხრეთში.

**ალიანსი, კარგა ხანია, აღარ არის კოლექტიური დაცვისა და მსოფლიოში სტაბილურობის შენარჩუნების ინსტრუმენტი. ამჟამად მისი როლი არის ის, რომ ხელი შეუწყოს აშშ-ს ევროპის მართვაში. დანარჩენი მიზნები და ამოცანები, მათ შორის, რომლებზეც ვარშავის სამიტზე მსჯელობდნენ, რეალობისგან ყურადღების გადატანისთვის გათამაშებული ფარსია და მეტი არაფერი**

# ნიდერლანდები — შემდეგი ევროკავშირიდან გამსვლელთა რიგში?




**ქვეყნის მოსახლეობის ნახევარს სურს, ჩატარდეს რეფერენდუმი ევროკავშირის წევრად ყოფნა-არყოფნაზე: „ჩვენ უნდა გვქონდეს ჩვენი საზღვრები, ჩვენი სასამართლოები და კანონები, რომლებსაც ჩვენ მივიღებთ და არა ადამიანები ბრიუსელიდან".**

მას შემდეგ, რაც ბრიტანელებმა მხარი დაუჭირეს ევროკავშირიდან გამოსვლას, ბრიუსელში შეშფოთდნენ, რომ გაერთიანება სხვა წევრებმაც შეიძლება დატოვონ, მათ შორის, ნიდერლანდებმაც. ამჟამად ნიდერლანდების მოსახლეობის ნახევარს სურს რეფერენდუმის ჩატარება ევროკავშირის წევრობის შესახებ.

ნიდერლანდების სამხრეთში მდებარე ქალაქი **მაასტრიხტი** ბევრისთვის 1992 წლის შეთანხმებასთან ასოცირდება. ამ შეთანხმებით, რომელსაც ხელი 24 წლის წინათ მოეწერა, საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე ევროგაერთიანებას — პოლიტიკურ და სავალუტო კავშირს, რომელიც წლების განმავლობაში კიდევ უფრო უნდა განმტკიცებულიყო. მაგრამ დღეს თვითონ მაასტრიხტი აღმოჩნდა „ევროსკეპტიკური" განწყობის ეპიცენტრში.

„ჩვენ, როგორც ცალკე სახელმწიფოს, უნდა გვქონდეს ჩვენი საზღვრები, ჩვენი სასამართლოები, ჩვენი კანონები, რომლებსაც მივიღებთ ჩვენ და არა ევროკავშირის წარმომადგენლები". — განაცხადა **ლორენს სტასენმა**, რომელიც ადრე ულტრამემარჯვენე „თავისუფლების პარტიის" წევრი იყო. ეს პარტია, რომელსაც **გეერტ ვილდერსი** ხელმძღვანელობს, ევროპის „ისლამიზაციის" წინააღმდეგ გამოდის და ითხოვს, რომ ნიდერლანდებშიც ჩატარდეს რეფერენდუმი ევროკავშირში ყოფნა-არყოფნის საკითხზე.

ევროკავშირის წევრ თითქმის ყველა ქვეყანას აქვს პრეტენზიები ევროკავშირის მიმართ.

„ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ბრიუსელი ძალიან მკაცრად აკონტროლებს ცალკეული ქვეყნების ცხოვრებას. ბრიუსელი, ევროკავშირი და გადაწყვეტილებების მიღების ევროპული პროცესი, ძალიან შორს არიან მოქალაქეებისგან". — ასეთია როტერდამის უნივერსიტეტის პროფესორის — **ფაბიან ამტენბრინკის** თვალსაზრისი.

**ნიდერლანდების კანონმდებლობის მიხედვით ამჟამად ევროკავშირის წევრობაზე რეფერენდუმის ჩატარება ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ მომავალი წლის მარტში გასამართი არჩევნების შედეგების გათვალისწინებით „ბრექსიტის" სინდრომი შეიძლება სწორედ ნიდერლანდებს შეეყაროს.**

**ნიდერლანდების კანონმდებლობის მიხედვით, ამჟამად ევროკავშირის წევრობაზე რეფერენდუმის ჩატარება ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ მომავალი წლის მარტში გასამართი არჩევნების შედეგების გათვალისწინებით «ბრექსიტის» სინდრომი შეიძლება სწორედ ნიდერლანდებს შეეყაროს**

ფოსტა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვარდების რევოლუციის“ სულისჩამდგმელებს უკვე ფეხებში ებლანდებოდათ თავისუფალი სასამართლო და დამოუკიდებელი მოსამართლეები, ამიტომ ხელისუფლების მწვერვალზე აღზევებულმა სააკაშვილმა ისევ კანონის გვერდის ავლით ერთხელ უკვე განახლებული მოსამართლეთა კორპუსი დაითხოვა და ისინი მორჩილი მოსამართლეებით ჩაანაცვლა.**

# ბიძინა და ქილა ოცნება

ეს სტატია 2013 წელს გერმანიაში ყოფნისას დავწერე და საქართველოში გამოვგზავნე. სამწუხაროდ, მისი გამოქვეყნებისგან იმხანად თავი შეიკავეს. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. მე დევნილობიდან სამშობლოში დავბრუნდი. გერმანიას კი გასულ წელს მილიონამდე ლტოლვილი მიაწყდა. საერთო ჯამში, გაეროს მონაცემებით, 2015 წელს პირველად მსოფლიოს ისტორიაში ლტოლვილებისა და იძულებით გადადგილებულ პირთა რაოდენობამ 60 მილიონს გადააჭარბა და 65,3 მილიონს მიაღწია. გავლენის სფეროების ხელახალი გადანაწილების მტაცებლურმა სურვილმა, თავსმოხვეულმა ფერადმა რევოლუციებმა, სახელმწიფო გადატრიალებებმა თუ პირდაპირმა სამხედრო აგრესიამ თავისი შედეგები გამოიღო. ამ ფონზე ახლახან ევროკავშირის ერთ-ერთი გავლენიანი წევრის — ინგლისის მოსახლეობამ ამ გაერთიანებას უარი უთხრა. დღეს ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში აშკარად შეიმჩნევა სოციალური და ნაციონალური ტენდეციების გაძლიერება. ამ ყველაფრის უმთავრეს მიზეზად დასავლელი უბრალო ადამიანები და რეალურად მოაზროვნე პოლიტიკოსები მიიჩნევენ საბჭოთა კავშირის შემდგომ დარჩენილ ერთადერთ ზესახელმწიფოს — შეერთებული შტატებს.

საით მივდივართ ჩვენ? რას გვიქადის მომავალი? —აი თემები, რომლებმაც მაიძულა, ჩემი თვალსაზრისი ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამომეტანა.

**ზურაბ დგებუაძე,**
საქართველოსა და გერმანიის მოქალაქე,
ყოფილი პოლიტიკური დევნილი



**გაჩახჩახებულ პოლიტიკურ სცენაზე გამოჩენილმა ახალზედა ლიდერმა ბევრი რამ თვითონ «ჩამოფქვა». განსაკუთრებით დამაფიქრა მისმა ერთმა განცხადებამ, — ბევრს რომ ეგონა, «ვარდების რევოლუციის» შემოქმედ არასამთავრობოებს ოკეანისგაღმელი სოროსი აფინანსებდა, სინამდვილეში ეს მე ვიყავიო**

## განწყობის ფსიქოლოგია

**„ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ, და ზოგი კი – იმისთანა, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ“**
**ილია ჭავჭავაძე**

უნდა ვაღიარო: ქარიზმული მიხელ სააკაშვილით ცოტა ხნით მეც ვიყავი მოხიბლული. ეგ კი არა, 2000 წელს ჩემი წიგნი „ასე ნანატრი თავისუფლებაც“ კი ვუსახსოვრე ემოციური მინაწერით. იმხანად მეც აღფრთოვანებული ვიყავი ახალზედა პოლიტიკოსით, რომელმაც შევარდნაძის კორუფციულ ეპოქაში კარდინალური ხასიათის რეფორმები წამოიწყო. სრულიად ახალგაზრდა პოლიტიკოსმა პირველი ეფექტიანი სვლა სასამართლო სისტემაში გააკეთა. მისი ინიციატივით სასამართლოს მთელი შემადგენლობა დაითხოვეს და მათი ადგილი „გამოცდაჩაბარებულმა“ მოსამართლეებმა დაიკავეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს გადაწყვეტილება ანტიკონსტიტუციური ქმედება იყო, პოზიტიურ მომენტებსაც შეიცავდა. განახლებულ სასამართლო სისტემაში სუფთა წარსულის მქონე ახალგაზრდა ინტელექტუალებიც გამოჩნდნენ. მაგალითად, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ 36 წლის ნიჭიერი სამართალმცოდნე **ლადო ჭანტურია** დაინიშნა, მის მოადგილედ ასევე ახალგაზრდა მეცნიერი და სამართალმცოდნე **მერაბ ტურავა.** თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის პოსტსაც პატიოსნებით გამორჩეული მეცნიერ-იურისტი **დავით სულაქველიძე** დაეუფლა.

დღის წესრიგში იდგა კარდინალური ცვლილებები ძალოვან უწყებებში. სამწუხაროდ, შემდგომი ეტაპის უმნიშვნელოვანესი რეფორმები და შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა იგვიანებდა. შეიქმნა უცნაური სიტუაცია: რეფორმირებული და განახლებული სამართლო სისტემის გვერდით არსებობდა საოცარად მოუქნელი და პარალიზებული პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო და უშიშროების სამსახური. თანდათან შევამჩნიე, რომ ამგვარი ცალმხრივი სახეცვლილება მავანის შორს მიმავალ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა. **გამიჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ გავლენიანი პოლიტიკური ძალები ქვეყანას შეგნებულად მიაქანებდნენ რევოლუციისაკენ. ამ თემაზე ვწერდი საგანგაშო სტატიებს, შეძლებისდაგვარად ვესაუბრებოდი მაღალი რანგის თანამდებობის პირებს, ისინი მისმენდნენ, მეთანხმებოდნენ, მაგრამ საქმე ადგილიდან არ იძვროდა.** ხელისუფლებასა და პოლიტიკოსებს საჯაროდ მოვუწოდებდი, დაუყოვნებლივ ეზრუნათ სამართალდამცავი სისტემის რეფორმირებაზე, გადამჭრელი და კომპლექსური ღონისძიებები გაეტარებინათ კორუფციის ჭაობში ჩაფლული სახელმწიფოს გადასარჩენად. სამართლებრივი ნიჰილიზმით დაბრმავებული მაღალჩინოსნებისა და საზოგადოების გამოსაფხიზლებლად, ღვაწლმოსილ იურისტებთან ერთად, ბევრი ვეცადე, დამეფუძნებინა რეალურად დამოუკიდებელი იურიდიული გაერთიანება, რომელსაც თავისი გაზეთი და ჟურნალი ექნებოდა. სამწუხაროდ, ყველა მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. ვერაფრით მოვიპოვეთ ძლიერთა და ფულიანთა მხარდაჭერა. მავანს ზედაპირულად მოაზროვნე ახაგაზრდების გარკვეული ჯგუფის აზრი უფრო ხიბლავდა, ამიტომაც ჰქონდა მწვანე შუქი ანთებული თავისუფლების ინსტიტუტს, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასა და სხვა საეჭვო წარმონაქმნებს. და აი **2003 წლის ნოემბერში გლობალისტების მიერ შემოგდებული პირველი რევოლუციური ექსპერიმენტი საქართველოში წარმატებით განხორციელდა.** რევოლუციურ ხელისუფლებას პოზიციების გასამყარებლად სასწრაფოდ ესაჭიროებოდა ძლიერი და მოქნილი აღმასრულებელი ხელისუფლება. სწორედ ამიტომ ყურადღება გადაიტანეს ძალოვანი უწყებების სახეცვლილებაზე და რეფორმების ეპიცენტრმაც შინაგან საქმეთა სამინისტროში, უშიშროებისა და პროკურატურის სისტემაში გადაინაცვლა. მაგრამ რჩებოდა ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი. **„ვარდების რევოლუციის“ სულისჩამდგმელებს უკვე ფეხებში ებლანდებოდათ თავისუფალი სასამართლო და დამოუკიდებელი მოსამართლეები, ამიტომ ხელისუფლების მწვერვალზე აღზევებულმა სააკაშვილმა ისევ კანონის გვერდის ავლით, ერთხელ უკვე განახლებული მოსამართლეთა კორპუსი დაითხოვა და ისინი მორჩილი მოსამართლეებით ჩაანაცვლა.** თანდათან გამოიკვეთა სხვა საშიში ტენდენცია. მიუხედავად იმისა, რომ თანამდებობები საეჭვო წარსულის მქონე ძველმა მაღალჩინოსნებმაც შეინარჩუნეს, მასობრივად დაიწყო ახალგაზრდა და გამოუცდელი კადრების დაწინაურება. მავანისათვის ცხადი იყო: ნედლი მასალის დამუშავება და სათანადო ფორმის მიცემა გაცილებით ადვილი საქმეა, ვიდრე უკვე ფორმამიღებულის გადაკეთება. ძველი თაობა ამ თვალსაზრისით, მართლაც დიდ პრობლემას წარმოადგენდა. ამ მიზეზთა გამო, **დიდმა რეჟისორებმა „ჩარეცხილების“ კასტრაცია დაისახეს მიზნად. ძლიერი პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერით წელში გამართულმა „ვარდების რევოლუციის“ პირმშოებმა აშკარად დაიწყეს რევოლუციამდელი ცნობიერების ხელაღებით უარყოფა. მათი იდეოლოგიის სამიზნეში აღმოჩნდა წარსული და ის თაობა, რომლის მხრებზეც უნდა მდგარიყო სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი საფუძვლები.** ეს ნაბიჯიც დიდი სცენარის შემადგენელი ნაწილი იყო. გამოცდილი თაობის დიდი ნაწილი ხომ თავისი ცნობიერებით, კულტურით, რწმენითა და ისტორიით მჭიდროდ ერწყმოდა ჩრდილოელ მეზობელს. ასე რომ, სრულიად **გეგმაზომიერად დაიწყო მეხსიერებიდან იმ კადრების ამოჭრა, რომლებიც ადამიანებს საბჭოეთთან და რუსეთთან აკავშირებდა. წარსულისაკენ ყურება და რუსული ორიენტაცია სამშობლოს ღალატად გამოცხადდა.** ბუნებრივია, ამ პოლიტიკურ „პედოფილიას“ საქართველოში უკვე ნოყიერი ნიადაგი ჰქონდა.

## ახალი სცენარი, ანუ „ვარდების რევოლუციიდან“ „ცოცხების რევოლუციამდე“

**„უფულო ერი ერთა შორის და უფულო კაცი ადამიანთა შორის ყმაა ფულიანისა“**
**ილია ჭავჭავაძე**

საქართველო ახალი პოლიტიკური რეალობისთვის ემზადებოდა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერს — **სააკაშვილს** პრეზიდენტობის მეორე ვადა ეწურებოდა. არადა, ქვეყნის ბედზე ნავარჯიშებ 46 წლის პოლიტიკოსს ახლა ეწყებოდა სიმწიფის ხანა. თანაც, ძალაუფლებას დახარბებულ პირწავარდნილ პოპულისტს, არავითარი სურვილი არ ჰქონდა, პირველკაცობა, თუნდაც ფორმალურად, დროებით ვინმესთვის გადაებარებინა. ამ შემთხვევაში სააკაშვილმა საკანონმდებლო ხრიკს მიმართა — ჩვეული ცინიზმით კონსტიტუცია კიდევ ერთხელ ჩაჭრაჩაასწორა თავისი გემოვნებით და პრემიერმინისტრის სავარძელში წამოსასკუპებლად გაემზადა. **ახალი საკონსტიტუციო ცვლილებით, მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სახელისუფლო ბერკეტები პრემიერმინისტრის ხელში გადადიოდა. პრემიერმინისტრის კანდიდატურას კი საპარლამენტო უმრავლესობა დაასახელებდა. აი ასე აპირებდა ნაციონალების ბელადი ძალაუფლების მწვერვალზე დარჩენას.**

არსებობდა სხვა გეგმაც. ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად დიდი ხანია ემზადებოდა დასავლეთის „მზრუნველობით“ მოძლიერებული დისიდენტური ტრადიციების მქონე რესპუბლიკური პარტია. ეს პარტია გამორჩეული იმითაც იყო, რომ **ზვიად გამსახურდიას** მმართველობიდან მოყოლებული მუდამ ოპოზიციურ ძალას წარმოადგენდა. ამის მიუხედავად, ყველა ხელისუფლებით უკმაყოფილო და მობუზღუნე ეს პოლიტიკური ძალა მაინც ახერხებდა ახალ რეალობაში დროულად გარკვევას და პარლამენტშიც ჩვეულ ოპოზიციურ ნიშას იკავებდა. რესპულიკელები ერთ-ერთი პირველები იყვნენ, რომლებმაც ჯერ კიდევ 2001 წელს ოპოზიციაში გადამხტარი ჟვანია-სააკაშვილის მხარდამხარ პარლამენტის წინ მრავალათასიანი მიტინგი გამართეს და იმ პერიოდისთვის ყველაზე თამამი ლოზუნგი წამოაყენეს: „საქართველო შევარდნაძის გარეშე!“. მალე ეს პოლიტიკური ალიანსი სამსუბიექტიანი საარჩევნო ბლოკის — „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატიული ფრონტის“ შექმნით დასრულდა. სწორედ აქედან დაიწყო სააკაშვილის აღზევება და **„ვარდების რევოლუციის“ კოკორი საბოლოოდ 2003 წლის ნოემბერში გაიფურჩქნა.** პარლამენტში შესულმა რესპუბლიკელებმა რამდენიმე თვეში ჩვეული პოზა დაიკავეს და კონსერვატორებთან ერთად ოპოზიციაში გადავიდნენ. პოლიტიკურ ტექნოლოგიებში მეტ-ნაკლებად ჩახედულ იურისტს დიდად არ გამკვირვებია, როცა ჯერ კიდევ 2005 წელს დასავლეთის გრანტებზე „შემჯდარმა“ ნაცნობმა არასამთავრობოელმა ნაციონალების მემკვიდრედ რესპუბლიკელები დამისახელა. **მეორე** ოპოზიციური ძალა, რომელიც რესპუბლიკელების მსგავსად „ნაციონალური ბლოკიდან“ გამოიჩეკა, კონსერვატორები გახლდნენ. რაც შეეხება **მესამე** საკლონე მასალას, მისი პოლიტიკურ არენაზე გამოჩენა გერმანიაში დევნილობის პერიოდში შევიტყვე. 2009 წელს სააკაშვილის გუნდის ერთ-ერთმა აქტიურმა წევრმა **ირაკლი ალასანიამ** ახალი პოლიტიკური პარტია „ჩვენი საქართველოთავისუფალი დემოკრატები“ დააფუძნა და ოპოზიციურ ბანაკში გადაბარგდა.

ამ პოლიტიკურ ფუსფუსს შორიდან ვადევნებდი თვალყურს და პარალელს „ვარდების რევოლუციის“ წინა პერიოდთან ვავლებდი. იმხანადაც — მართველი პარტიის — „მოქალაქეთა კავშირის“ რეიტინგი საგრძნობლად დაეცა. მიუხედავად ამისა, **1999 წლის საპარლამეტო არჩევნებში სახელისუფლო პარტიამ ადმინისტრაციული და სხვა ბერკეტების გამოყენებით პარლამენტში მანდატების უმრავლესობა შეინარჩუნა. რამდენიმე თვეში კი მოქალაქეთა კავშირის დაშლისა და მმართველი გუნდიდან ახალი კლონის გამოყვანის პროცესი დაიწყო.** ბოლოს ყველაფერი „ვარდების რევოლუციითა“ და 2003 წელს ჟვანია-სააკაშვილის გუნდის ხელისუფლებაში მოსვლით დაგვირგვინდა.

ამჯერადაც ჩემთვის ცხადი შეიქნა, რომ საქართველოში პოლიტიკური სამზადისი მიმდინარეობდა — პოლიტიკური სპექტაკლების დამდგმელი გამოცდილი რეჟისორები ახალი წარმოდგენისთვის ემზადებოდნენ. თუმცალა თავს ვიმტვრევდი იმაზე ფიქრში, როგორ შეძლებდა მავანი პოლიტიკურად გაკოტრებული „ერთიანი ნაცონალური მოძრაობიდან“ ახალი კლონის გამოყვანას. როგორ შთაბერავდნენ სულს პროდასავლურად განწყობილ ურეიტინგო ▶

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დიდმა რეჟისორებმა „ჩარეცხილების“ კასტრაცია დაისახეს მიზნად. ძლიერი პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერით წელში გამართულმა „ვარდების რევოლუციის“ პირმშოებმა, აშკარად დაიწყეს რევოლუციამდელი ცნობიერების ხელაღებით უარყოფა. მათი იდეოლოგიის სამიზნეში აღმოჩნდა წარსული და ის თაობა, რომლის მხრებზეც უნდა მდგარიყო სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი საფუძვლები.**

ოპოზიციურ პარტიულ წარმონაქმნებს. და აი მოულოდნელად პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა იდუმალი **„ჭორვილელი მილიარდერი“.** ჩრდილიდან გამოსული უცნაური კაცის ქცევა ერთი შეხედვით საოცრად რომანტიკული ჩანდა. ამ პოლიტიკურმა სიახლემ ჩემშიც კი, ვისთვისაც „მესიანიზმი“ მიუღებელ პოლიტიკურ გემოვნებად აღიქმება, ემოციების მუხტი ააფეთქა. ასე რომ, „ოცნებით“ ფრთაშესხმულმა 2011 წლის 29 დეკემბერს გერმანიიდან გაზეთ „რეზონანსის“ მეშვეობით ფართო საზოგადოებას შემდეგი სიტყვებით მივმართე:

„ბრიყვნი ამბობენ... ბატონი ბიძინას ფულს რუსული სუნი ასდისო, მე თუ მკითხავთ, ოკეანისგაღმელი მილიარდელი სოროსის ფულს ჩემი ჭორვილელი კაცის რუსეთში „ნაშოვნი“ ფული მირჩევნია, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენებურ კაცს თავისი ქვეყანა უყვარს და იმას კიდევ — თავისი. დადგა დრო, ქართველმა ერმა, ბოლოს და ბოლოს, სწორი არჩევანი გააკეთოს და გაჰყვეს იმას, ვინც კარგა ხანია, საქმით დაამტკიცა ქვეყნისა და ხალხის სიყვარული, სხვა შანსი ჩვენ აღარ მოგვეცემა!“.

არადა, ამ მგზნებარე მოწოდებას საფუძველი მართლაც ჰქონდა. ამ „თავმდაბალი“ მეცენატის საქმენი მართლაც მრავლისმეტყველად ღაღადებდნენ — „ფეხზე დამდგარი“ ჭორვილა, მადლიერი საჩხერლები, „დაპურებული“ ხელოვანნი და შიმშილს გადარჩენილი ცნობილი სახეები. აი ის „პატარა“ ჩამონათვალი, რომელიც „იდუმალებით“ მოცული ქველმოქმედის მოღვაწეობას ამკობდა. ნათქვამია, გაგონილს ნანახი სჯობს. არადა, რწმენის იდუმალება სწორედ მისტიციზმშია ჩამარხული. **პოლიტიკურ არენაზე გამოჩენილ ახალ მესიას კი ბევრი ადამიანური ნაკლი აღმოაჩნდა.** ადამიანის ფსიქიკა უცნაურად არის მოწყობილი — ჩვენ **ადვილად ვიჯერებთ იმას, რაც სასურველია,** ამიტომ ხშირად გავებმებით ხოლმე გაქნილი თაღლითების დაგებულ ხაფანგში. ნაციონალების პარპაშით გამწარებულთა მსგავსად, მეც გავეხვიე ოცნების ბურუსში და ცივი დასავლეთიდან ქართველ საზოგადოებას პრესის მეშვეობით შთაბეჭდილებები გავუზიარე: „ბატონი ბიძინას პირველმა სატელევიზიო ინტერვიუმ ცხადად დაგვანახვა, რომ ამ პოეტური ბუნების კაცს საჯაროობა და პოლიტიკური შოუ ნამდვილად არ იზიდავს, მისი ნაბიჯი მართლაც ჰგავს იძულებითს, ვიდრე წინასწარ დაგეგმილს. „გაცვეთილი“ პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, იგი მწყრალად არის დემაგოგიის ხელოვნებასთან და ვერც პოპულიზმის ბოლით აბრმავებს ადამიანებს. ქართველმა საზოგადოებამ პირველად იხილა უბრალო ენით მოსაუბრე პიროვნება, რომლის გულახდილობას მხოლოდ დიდი საქველმოქმედო საქმეები და ფინანსები უმაგრებს ზურგს“.

ასეთი იყო ივანიშვილის პირველი პოლიტიკური ნაბიჯების ჩემი გულწრფელი შეფასება. შემდეგ თანდათან მოვეგე გონს და ამაში საჯარო ასპარეზზე მოსული „გულუბრყვილო“ პოლიტიკოსიც დამეხმარა. დიახ, **გაჩახჩახებულ პოლიტიკურ სცენაზე გამოჩენილმა ახალბედა ლიდერმა ბევრი რამ თვითონ „ჩამოფქვა“.** განსაკუთრებით დამაფიქრა მისმა ერთმა განცხადებამ, — ბევრს რომ ეგონა, **„ვარდების რევოლუციის“ შემოქმედ არასამთავრობოებს ოკეანისგაღმელი სოროსი აფინანსებდა, სინამდვილეში ეს მე ვიყავიო.** ამის გამგონეს, ეკალივით გამკრა გულში ეჭვმა. გამახსენდა ისიც, რომ **2007 წელს, როცა მეორე მილიარდერი (ბადრი პატარკაციშვილი) და მთელი ოპოზიცია გააფთრებით უტევდა ნაციონალების სახელისუფლო „ციხესიმაგრეს“, იდუმალი „ჭორვილელი“ თავის რეზიდენციაში იყო შეყუჟული.**

დაცარიელებულ და დაშრეტილ პოლიტიკურ სივრცეში ივანიშვილის გამოჩენა მეხის გავარდნას ჰგავდა. ახალმა მესიამაც, წინამორბედთა მსგავსად, „საძულველ“ რეჟიმს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა და ქართველ საზოგადოებას ხმამაღლა ამცნო,— პრობლემა მხოლოდ ერთ კაცში, პრეზიდენტ სააკაშვილში, არისო. მოვლენებიც ელვის სისწრაფით განვითარდა. მილიარდერი დღითიდღე იკრეფდა ძალას. მან კი საზოგადოებას მოულოდნელი საბრძოლო ლოზუნგი გადმოუგდო — „შუა გაიკრიფოს!“ **მილიარდერმა სიტყვას საქმე მოაყოლა, ოპოზიციის უდიდესი ნაწილი განზე გასწია და პარტნიორებად ყველაზე დაბალი რეიტინგის პროდასავლური პოლიტკური პარტიები შეარჩია — რესპუბლიკელები, კონსერვატორები და თავისუფალი დემოკრატები. ეს ერთობა მალე გამოცხადდა საარჩევნო ბლოკ „ქართულ ოცნებად“.**

პოლიტიკური ტემპერატურა ხელისუფლებაშიც იწევდა, მაღალ ეშელონებში მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილება განხორციელდა. შინაგან საქმეთა მინისტრი **ვანო მერაბიშვილი** პრემიერმინისტრის პოსტზე დაინიშნა, ხოლო მისი ადგილი თავდაცვის ახალგაზრდა მინისტრმა **ბაჩო ახალაიამ** დაიკავა. გაპოლიტიკოსებული მილიარდერი ამ საკადრო ცვლილებას თავისებურად გამოეხმაურა,— სააკაშვილმა ამ ნაბიჯით მერაბიშვილი მნიშვნელოვან უწყებას ჩამოაშორა და ყოვლად უუფლებო თანამდებობაზე გადაიყვანაო. უფრო მეტიც მან მერაბიშვილი შეაქო და საჯაროდ განაცხადა: პრეზიდენტის გუნდში თუ ვინმე გონიერია, სააკაშვილის პოლიტიკისა და ხასიათის მსხვერპლიაო. პრემიერმინისტრის საპენსიო სავარძელში „გონიერი“ მერაბიშვილის გადასმით და შინაგან საქმეთა მინისტრის სავარძელში „ცუდი ბიჭის“ — ახალაიას დასმით სააკაშვილი ძალადობრივი პოლიტიკის გატარებას აპირებსო. ამ შემთხვევაშიც **ივანიშვილის ტაქტიკა ზუსტად ჯდებოდა გამოცდილი „რეჟისორის“ ხელწერაში. ძველი სცენარის მსგავსად, კლონირებული ოპოზიციის მთავარი სამიზნე ამჯერადაც სახელმწიფოს პირველი პირი უნდა გამხდარიყო, ხოლო პარალელურად, მოკავშირეები ხელისუფლებაში ეძებნათ.** ამ ტაქტიკით წარმატებით შეიძლებოდა სახელისუფლო ციხესიმაგრის შიგნიდან ჩამოშლა და, რა თქმა უნდა, ხალხის „დაბოლებაც“ ადვილი შესაძლებელი იქნებოდა. პოლიტიკური სცენარების ავტორებს უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი ჰქონდათ — სააკაშვილმა თავისი შესაძლებლობა ამოწურა და წინამორბედის მსგავსად მისი პოლიტიკური სარბიელიდან ჩამოშორების ჟამი ახლოვდებოდა. თუმცაღა დიდი რეჟისორები, ხანდაზმული შევარდნაძისგან განსხვავებით, ახალგაზრდა სააკაშვილს თვითგადარჩენის შანსს მისცემდნენ, ოღონდ ყველაფერი მის სიცოცხლისუნარიანობაზე იქნებოდა დამოკიდებული. სხვათა შორის, პოლიტიკური სივრციდან ნაციონალების გარიყვას რომ არ აპირებდნენ, ამგვარ მესიჯებს დაკვირვებული თვალი მილიარდერის განცხადებებშიც ამოიკითხავდა. მოკლედ, ქვეყანაში ახალი მშვიდობიანი რევოლუციის აჩრდილი დაძრწოდა. უკვე ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ დასავლეთი „ფერადი რევოლუციების“ დიდი ექსპორტიორი იყო, ხოლო დაუძლურებული ან შეუმდგარი ქვეყნები — მისი ფართო მომხმარებელი. საშველი თითქოს არსაიდან ჩანდა. „ვარდების რევოლუციისა“ და სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთი დამფინანსებელი ამჯერად „ქართულ ოცნებად“ მოვლენოდა გზააბნეულ ხალხს.



**2007 წელს, როცა მეორე მილიარდერი (ბადრი პატარკაციშვილი) და მთელი ოპოზიცია გააფთრებით უტევდა ნაციონალების სახელისუფლო «ციხესიმაგრეს», იდუმალი «ჭორვილელი» თავის რეზიდენციაში იყო შეყუჟული**

სააკაშვილმა თავისი შესაძლებლობები პირველი პირის, ანუ მესიის რანგში ამოწურა. „მეფე მოკვდა, გაუმარჯოს ახალ მეფეს!“ სააკაშვილის შემცვლელს კი ქველმოქმედებაში უკვე „დაბანდებული“ კაპიტალი შეუდარებელ ხიბლს ჰფენდა. თუმცა „ახალბედა“ ლიდერს, ფინანსების გარდა, სხვა პოლიტიკური კაპიტალიც ჰქონდა. საქმე ის იყო, რომ ივანიშვილის მიერ რუსეთში „ველური კაპიტალიზმის“ პერიოდში ნაშოვნი უზარმაზარი სიმდიდრე პროდასავლელ ნაციონალებსა და დასავლეთის ხიბლში მოქცეულ ამომრჩეველს საშუალებას აძლევდა, ოპოზიციონერი ლიდერისათვის რუსული იარლიყი მიეკერებინა. მეორე მხრივ, ივანიშვილის საფრანგეთის მოქალაქეობა და პროდასავლურ პარტიებზე აქცენტირება დასავლეთისკენ მომზირალი ელექტორატის იმედსაც კვებავდა.

მოვლენების სიღრმეში უფრო ღრმად თუ „ჩავყვინთავდით“, ირგვლივ ასეთი სურათი იკვეთებოდა: აშკარად **ჩანდა, რომ მილიარდერსა და მტრად მოკიდებულ სახელისუფლებო ძალას წარსულში საკმაოდ შეხმატკბილებული ურთიერთობა ჰქონდათ. ეს ამბავი არც „ახალ მესიად მოვლენილ მხსნელს“ დაუმალავს.**

ხშირად დიდი სიმდიდრის უკან მდგარ ეშმაკს განუზომელი ძალა აქვს და სატანაც, სწორედ გმირისა და მხსნელის მანტიით გვევლინება ხოლმე. მავანიც ხმის ჩახლეჩამდე გაჰკიოდა: „ქართული ოცნების“ შემოქმედი სულაც არ არის უცოდველი კრავი და მისი „უხმაურო“ ქველმოქმედება თავიდანვე მზაკვრული ფანდია საქართველოს დაუძინებელი მტრების ზრახვების ასახდენადო. ძალიან არ მინდოდა ამ მითქმა-მოთქმის დაჯერება, მაგრამ ახალი პოლიტიკური რეალობა კითხვის ნიშნებს სვამდა:

**ვინ იდგა პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსული მილიარდერის უკან?**

**ვისი ინტერესების გატარებას შეეცდებოდა ის — დასავლეთის, ჩრდილოეთის თუ პირადი ინტერესებით ნასაზრდოები უხეირო ბალანსირების პოლიტიკით ქვეყანას გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდებდა?**

**იქნებ მის უმთავრესი ამოცანა დაშლისაკენ მიმავალი სახელმწიფოს გადარჩენა და ორ პოლუსს შორის გაჭედილი ქართული პოლიტიკის დილემიდან გამოყვანა იყო?**

კითხვები კითხვებად რჩებოდა, ახალი ლიდერის პოლიტიკური განცხადებები და ქმედება კი დღითიდღე „საქმიანი“ ხდებოდა. დაპირებისამებრ, მან „შუა გაკრიფა“ და ფიცხელი საარჩევნო ბრძოლაც სახელისუფლო პარტიასა და „ქართულ ოცნებას“ შორის გააჩაღა. არადა, ამ ორი დაპირისპირებული ძალის საარჩევნო პროგრამები გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს. საგარეო პოლიტიკაში „ქართული ოცნება,“ მმართველი პარტიის მსგავსად, პრიორიტეტად ევროკავშირსა და ნატოში გაწევრებას ასახელებდა. იყო, ერთი შეხედვით, მცირე განსხვავებებიც და ძაღლის თავიც სწორედ აქ იყო დამარხული. მაგალითად, ნაციონალები ხშირად ადანაშაულებდნენ ივანიშვილს რუსეთთან და „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში. თავის მხრივ, ახალი ოპოზიციური ძალა არ უარყოფდა, რომ რუსეთთან ურთიერთობების დათბობა მისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულება იქნებოდა.

სხვათა შორის ამ „კომპრომატებს“ არაფერი დაუკლია ივანიშვილისთვის, პირიქით, მმართველი ძალის მიერ მილიარდერის „რუსეთუმედ“ მოხსენიება დასავლეთით იმედგაცრუებული და ხელმოცარული ამომრჩევლის თვალში ერთგვარი რეკლამაც იყო. ერთი სიტყვით, დაძაბული საარჩევნო მარათონი პიკს აღწევდა. აზარტში შესულმა ფულიანმა პოლიტიკოსმა მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თითქმის ყველა რაიონში გამართა ხალხმრავალი აქცია. ამ ემოციურ პოლიტიკურ სანახაობას ერთი მეტად თვალშისაცემი სიახლეც ახლდა: საარჩევნო მარათონი მიმდინარეობდა კომპრომატების ფონზე, რომლებიც გამარჯვების სასწორს ხან ერთ მხარეს ხრიდა და ხან — მეორე მხარეს. **არჩევნებამდე ორიოდე კვირა რჩებოდა, ოპოზიციურმა ტელევიზიებმა პატიმართა გაუპატიურებისა და წამების სენსაციური ვიდეოკადრები რომ გაავრცელეს. ეს იყო მუხტი, რომელმაც ააფეთქა ქართველი საზოგადოება.** ქუჩები ფართომასშტაბიანმა საპროტესტო გამოსვლებმა მოიცვა. ხელისუფლება თავდაცვაზე გადავიდა — სასჯელაღსრულებისა და შინაგან საქმეთა მინისტრებმა თანამდებობები დატოვეს. მილიარდერის უპირატესობა აშკარა გახდა. ციხის კადრების გამავრცელებლებმა სამიზნეში შინაგან საქმეთა გადამდგარი მინისტრი ბაჩო ახალაია ამოიღეს. ადამიანებმა ირწმუნეს, რომ პრეზიდენტმა და მისმა უახლოესმა გარემოცვამ გამანადგურებელი დარტყმა განიცადეს. მრავლის მთქმელია თვითონ ამ საშინელი კადრების მოპოვების ისტორია. უცხოეთიდან პირდაღებული ვუსმენდი ჟურნალისტ **ირმა ინაშვილის** განცხადებას, რომელიც საზოგადოებას დაუჯერებელ ამბავს ამცნობდა:

**„დღეს შეიძლება ითქვას, რომ ეს კადრები არის პირადად ჩემი მოპოვებული. მე გეტყვით, როგორ დაიწყო ეს ისტორია. მაისში დამიკავშირდნენ შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის სახელით და ეს შემზარავი ვიდეოკადრები გადმომცეს. შევიტყვე ისიც, რომ ამ შემაძრწუნებელი ფაქტების გადამღები უკვე საზღვარგარეთ იმყოფებოდა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი შემთხვევით არ მომხდარა და ამ საქმეში იყო ძალოვანების გარკვეული შტოდან მხარდაჭერა. საზოგადოებამ ნახა მხოლოდ ფრაგმენტი ამ ვრცელი ვიდეომასალიდან, რა ხდებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. მე კი ხელთა მაქვს ჩიპი. ეს არის საათნახევრიანი ვიდეოკადრები, სადაც ასახულია გაცილებით მეტი საშინელება. დღეს ეს მასალები უკვე ევროსტრუქტურების ყველა პირველ პირს უდევს მაგიდაზე“.**

მოვლენებისა და ფაქტების თანამიმდევრულობა მიუთითებდა, რომ „ციხე შიგნიდან გატყდა“.ამ სცენარში ყველაზე სენსაციური იყო ის, რომ **ნაციონალების სასიკვდილო კომპრომატების მთავარ ავტორად ვანო მერაბიშვილი დასახელდა.** საარჩევნო კამპანია დასასრულს უახლოვდებოდა, თბილისსა და ქუთაისში არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე გამართული მიტინგებს ხალხის რეკორდული რაოდენობა დაესწრო. 2012 წლის 2 ოქტომბრის არჩევნები კი ზუსტად იმ შედეგით დასრულდა, რომელსაც „ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე“ ოპოზიციონერი მილიარდერი ვარაუდობდა — კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ხმების თითქმის 55% მოიპოვა, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი — 40%-ზე ოდნავ მეტი.

**დასასრული შემდეგ ნომერში**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გოდება“ უაღრესად სკანდალური ნაწარმოებია, რომელიც პროპაგანდას უწევს აღრეულ ჰომოსექსუალობას, პედოფილიასა და ნარკოტიკებს. „ბიტნიკები“ დაუფარავად უარყოფდნენ საზოგადოებას, რომელშიც ცხოვრობდნენ და რომელიც მათი ტანჯვის მიზეზი იყო. ეს საზოგადოება პოემაში ნეგატიურად არის წარმოდგენილი. გინზბერგი მის თანამედროვე საზოგადოებას ბრალს დებს, რომ მან გაანადგურა მთელი თაობა, რომელიც პოეტს წმინდად მიაჩნდა. ავტორი საზოგადოებას ახასიათებს, როგორც რეპრესიულ სისტემას, რომელსაც მართავს ფული და ძალადობა.**

# პედერასტიის ტრიუმფი

**ეს წერილი საშინელია. მისი წაკითხვა შეგზარავთ, ხასიათს გაგიფუჭებთ, შეგაზიზღებთ ყველაფერს. და მაინც უნდა წაიკითხოთ, აუცილებლად, ისევე, როგორც ჩვენ გავხდით იძულებული, გამოგვექვეყნებინა იგი. სიმართლე ზოგჯერ მწარეა, მაგრამ მისი ცოდნის გარეშე გაგიჭირდებათ სწორი დასკვნის გამოტანა.**

2015 წლის 26 ივნისს აშშ უმაღლესი სასამართლოს 9 წევრიდან ხუთმა მხარი დაუჭირა ამერიკის ორმოცდაათივე შტატსა და კოლუმბიის ფედერალურ ოლქში ერთნაირსქესიანთა ქორწინების ლეგალიზებას. ასეთი ქორწინება ქვეყნის ყველა მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებად იქნა აღიარებული.

ჯერ კიდევ 2012 წელს აშშ-ის პრეზიდენტმა **ბარაკ ჰუსეინ ობამამ** საქვეყნოდ განაცხადა, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინების მომხრეა და ასეთ მოქალაქეობრივ აქტს უჭერს მხარს.

აშშ-ის უმაღლეს სასამართლოში ელექტრონული ტექნიკის გამოყენება აკრძალულია და აღნიშნული ვერდიქტის გამოქვეყნებისთანავე ამერიკელი ჟურნალისტები ტელეკამერებს მივარდნენ, რათა მსოფლიოსთვის მიეწოდებინათ სენსაციური ცნობა: **ამერიკამ საბოლოოდ უარყო საკაცობრიო ფასეულობები!**

ერთი თვით ადრე ვატიკანმა, რომელმაც თითქოს იგრძნო, ამერიკელებს ტვინი რომ გადაუბრუნდებოდათ, ერთნაირსქესიანთა ქორწინებას კაცობრიობის დამარცხება უწოდა. დაასკვნა, რომ ომს, რომელიც კაცობრიობამ წააგო, ჰყავს კონკრეტული დამკვეთები, შემუშავებული აქვს საომარ მოქმედებათა გეგმა და ჰყავს შემსრულებელთა არმია.

ანტისაკაცობრიო ტექნოლოგიებში ჩაწვდომა დაგვეხმარება, გავარკვიოთ, ვინ და როგორც ცდილობს, შეცვალოს ჯანსაღი ცნობიერება პერვერსიებით, ანუ გარყვნილებით, ნორმიდან პათოლოგიური გადახრებით, რათა დავიცვათ ჩვენი ქვეყანა პედოეპიდემიისგან.

ამიტომ უპრიანია, ვიცოდეთ, **როგორ დაიწყო მოძრაობა აღვირახსნილი სექსის, პედოფილიისა და ნარკოდამოკიდებულების დასამკვიდრებლად,** გავეცნოთ ამ ყველაფრის მოთავე ადამიანს სახელად **ალენ გრინზბერგს.**

ირვინ ალენ გინზბერგი დაიბადა 1926 წლის 3 ივლისს ქალაქ ნიუარკში (აშშ-ის ჯერსის შტატი), **პოეტ ლუის გრინზბერგის,** რომელიც წარმოშობით ქალაქ ლვოვიდან იყო და სკოლის მასწავლებლის, აშშ-ის კომუნისტური პარტიის აქტივისტი ქალის **ნაომი ლევი გრინზბერგის** ებრაულ ოჯახში.

ალენ გრინზბერგი არის დამფუძნებელი დაკარგული თაობის ე.წ. ბიტნიკების მოძრაობის, იგი (ალან გრინზბერგი) გასული საუკუნის 60-იან წლებში ამერიკაში ყველაზე ცნობილი პოეტი იყო. **მისი პოემა „გოდება“ დაკარგული თაობის — „ბიტნიკების“ უცნობილესი ნაწარმოებია. პოემის გამოქვეყნების თარიღს მიიჩნევენ თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის ისტორიის შემობრუნების პუნქტად, ახალი ამერიკული პოეზიის დაბადების დღედ, რომელიც გამოირჩევა თავისუფალი ექსპრესიით, სექსუალური ლიბერალიზმითა და სხვა ღირებულებებით. ეს ღირებულებები ათწლეულების შემდეგ აშშ-ის კულტურის ქვაკუთხედად იქნება აღიარებული.**

გონების „გაბრწყინება“ ალენ გრინზბერგს 1948 წელს დაეწყო, მაშინ, როცა ნიუ იორკში უმუშევარი იყო. უნივერსიტეტიდან გარიცხულმა ნარკოტიკების მთელი გამა გასინჯა და რამდენჯერმე დააპატიმრეს კიდეც.

მაშინ „ეწვია“ ნარკოტიკული ზმანება, „გამოეცხადა“ ინგლისელი პოეტი **უილიამ ბლეიკი** (1757-1827), რომელიც მიჩნეული იყო XIX საუკუნეში გავრცელებული მოძრაობის — „თავისუფალი სიყვარულის“ წინამორბედად. ამ მოძრაობის მიხედვით, ქორწინება მონობად ითვლებოდა, მოითხოვდნენ ყველა სახელმწიფოებრივი აკრძალვის გაუქმებას, რომლებიც სექსუალურ აქტივობას ეხებოდა, ისეთების, როგორც არის ჰომოსექსუალიზმი, პროსტიტუცია, ცოლქმრული ერთგულების ღალატი.

ამ ჰალუცინაციამ, რომელიც ადრე მომხდარს დაემატა, დიდად შეუწყო ხელი გინზბერგს, აქტიურად ემუშავა პოემა „გოდებაზე“.

**1949 წელს ალენ გრინზბერგი ავტომობილის ქურდობისთვის დააპატიმრეს. მაგრამ პროფესორების მოთხოვნით, ციხეში მოთავსების ნაცვლად, გაგზავნეს კოლუმბიის ფსიქიატრიულ ინსტიტუტში სამკურნალოდ და ფსიქოანალიზის სეანსების ჩასატარებლად.**

თითქოს არავითარი კავშირი არ არსებობს „ბიტნიკებსა“ (ცხოვრების მიერ გარიყულ ადამიანებსა) და მსოფლიოს ბედის გამრიგეებს — აშშ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსა და საიდუმლო „მსოფლიოს მთავრობას“ შორის.

თურმე პირიქითაა.

**თავის დროზე სწორედ „კონტრკულტურის“ დასანერგად გაიხსნა როკფელერის ცენტრში „თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი“. 1960 წლიდან გამოდიოდნენ აქ „ბიტნი“ პოეტები თავიანთი ნაწარმოების კითხვით.**

იყვნენ „პოეტები“, ჰქონდათ აუდიტორია.

1948-1949 წლებში ალენ გრინზბერგი როკფელერის ცენტრში „ასოშიეიტედ პრესის“ ასლების გადამღებად მუშაობდა.

1954 წელს, მას შემდეგ, რაც გრინზბერგი თავის ბინაში პეიოტლის *(ნარკოტიკის ნაირსახეობა)* საკმაოდ დიდ დოზას მიიღებს, ჰალუცინაცია დარევს ხელს და „წმინდა ფრანცისკის სასტუმრო“ ურჩხულის, მოლოხის სახით წარმოუდგება *(მოლოხი კერპის სახელია, რომელსაც ეთაყვანებოდნენ ბიბლიური ქანაანელები და რომელსაც მსხვერპლად შესწირავდნენ ბავშვებს).*

აცტეკების წარსულის შემსწავლელი ესპანელი **ბერნარდინო დე სააგუნი**, რომელიც XVI საუკუნეში ცხოვრობდა, პეიტოლის ზემოქმედებას ასე აღწერდა:

„არის სხვა ბალახი... ეწოდება პეიტოლი. თეთრია... იზრდება დაბლობში, რომელსაც ეწოდება „მკვდრების გზა“, ჩრდილოეთ ნაწილში. ვინც მას შეჭამს ან ნახარშს დალევს, წარმოუდგება საშინელი ან სასაცილო ზმანება, როგორც სოკოს შემდეგ. ეს ბანგი ერთ დღეს გრძელდება, ან — ორს, ან — სამს, შემდეგ ქრება. მიუხედავად ამისა, აავადებს გულს, აფორიაქებს, ათრობს, იპყრობს ადამიანებს. იგი ჩვეულებრივი საკვებია ჩიჩიმეკების ხალხის, რადგან ამხნევებს საბრძოლველად და უშიშარსა ხდის, თანაც ვერ გრძნობენ ვერც წყურვილს, ვერც — შიმშილს“.

„გოდებაზე“ მუშაობა პოეტმა 1955 წლის ზაფხულში დაიწყო. ეს პოემა საზოგადოებრიობას პირველად წარედგინა იმავე წლის ოქტომბერში სახელგანთქმულ პოეტურ კითხვაზე „გალერეა ექვსში“. ჰქონდა უდიდესი წარმატება და საზოგადოებრივ აზრს გრინზბერგისადმი ყურადღების მიქცევისკენ უბიძგა. ცალკე წიგნად „გოდება“ მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დასტამბა ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ბიზნესმენისა და პოეტის **ლოურენს ფერლინგეტის** გამომცემლობამ, მაგრამ მთელი ტირაჟი პოლიციამ დააპატიმრა გამომცემელთან ერთად. ბრალდება — უხამსობის პროპაგანდა.

სასამართლო პროცესზე სან ფრანცისკოს ლიტერატურული საზოგადოების ცხრა წევრმა, რომლებიც მოწმეებად დაჰკითხეს, მხარი დაუჭირა პოემას და ხაზი გაუსვა მის სოციალურ მნიშვნელობას. 1957 წლის 3 ოქტომბერს მოსამართლე **კლეიტონ ჰორნმა** განაცხადა, რომ პოემა მაღალზნეობრივია. სასამართლოს დადგენილებით ნება დაერთო „გოდების“ გამოცემას, გამომცემელს კი ბრალდება მოეხსნა.

ამას მიდევნებულმა სხვა სასამართლომაც „გაამართლა“ პოემა, რამაც ხელი შეუწყო ამ ნაწარმოების პოპულარობას. მალე **„გოდება“ XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურის კლასიკად შერაცხეს.**

სად მუშაობდა გრინზბერგის პოემის გამომცემელი? იქვე, სადაც პოემის ავტორი, ორივე როკფელერების მედიაბუნაგში, ჟურნალ „თაიმში“ დაფრთიანდა.

ლოურენს ფერლინგეტი ამ ჟურნალში 1946 წლიდან მუშაობდა. „თაიმიც“ და „ლაიფიც“ აქვეყნებდნენ „დეგენერირებული ბიტნიკების“ სენსაციურ ისტორიებს.

ასე ყალიბდებოდა „ბიტნიკების“, როგორც მეამბოხეთა სახე. მიიჩნევდნენ, რომ სწორედ ასეთ სახეს უნდა მიეზიდა ახალგაზრდობა და ყმაწვილების მასობრივი სიმპათიები მოეხვეჭა. ასეც მოხდა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა სასამართლო პრეცედენტსა და ისტერიკას მასმედიაში, რომლებიც თითქოს მიმართული იყო „ბიტნიკების“ მაინცდამაინც უარყოფითი სახის შესაქმნელად, საწინააღმდეგო ეფექტი მოჰყვა და წარმოგვიდგა, როგორც გრანდიოზული უფასო რეკლამა.

**„გოდება“ უაღრესად სკანდალური ნაწარმოებია, რომელიც პროპაგანდას უწევს აღრეულ ჰომოსექსუალობას, პედოფილიასა და ნარკოტიკებს.**

„ბიტნიკები“ დაუფარავად უარყოფდნენ საზოგადოებას, რომელშიც ცხოვრობდნენ და რომელიც მათი ტანჯვის მიზეზი იყო. ეს საზოგადოება პოემაში ნეგატიურად არის წარმოდგენილი. გინზბერგი მის თანამედროვე საზოგადოებას ბრალს დებს, რომ მან გაანადგურა მთელი თაობა, რომელიც პოეტს წმინდად მიაჩნდა. ავტორი საზოგადოებას ახასიათებს, როგორც რეპრესიულ სისტემას, ▶



ალენ გრინზბერგი

**1949 წელს ალენ გრინზბერგი ავტომობილის ქურდობისთვის დააპატიმრეს. მაგრამ პროფესორების მოთხოვნით, ციხეში მოთავსების ნაცვლად, გაგზავნეს კოლუმბიის ფსიქიატრიულ ინსტიტუტში სამკურნალოდ და ფსიქოანალიზის სეანსების ჩასატარებლად**



ეს უნდა იცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „ბიტნიკების“ (ასევე „ჰიპების“) კონტრკულტურულმა მოძრაობამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ჰომოსექსუალური თემის განვითარებაზე, რომელმაც მათგან („ბიტნიკებისგან“) გადმოიღო ახალგაზრდობის, ეიჯიზმის (ასაკობრივი დისკრიმინაციის), ჰედონიზმის (ტკბობის, როგორც ცხოვრების უზენაესი მიზნის), სექსისა და ნარკოტიკებით ექსპერიმენტირების კულტი.

◀ რომელსაც მართავს ფული და ძალადობა.

**„როგორ ჰკბენდნენ კისერში მაძებრებს და სიამოვნებისგან ჰკიოდნენ ისინი, ვინც დამნაშავე იყო მხოლოდ ლოთობასა და მებრძოლ პედოფილიაში“,** — ეს არის ციტატა დასახელებული „პოემიდან“.

ალენ გრინზბერგს ჰყავდა სექსპარტნიორი **პიტერ ორლოვსკი**, ვისთან კავშირსაც არ მალავდა 30 წლის განმავლობაში, სანამ გარდაიცვლებოდა.

ეს „მეხი“ საზოგადოებას 1997 წელს დაეცა...

კიდევ რამდენიმე ციტატას შემოგთავაზებთ, რომლებიც ასე თუ ისე გადმოგვცემს ახალი მოძრაობის ღირებულებებს.

**„დავგრიალებდით კოლორადოში გატაცებული მირიადობით მანქანით ბოზების საძებნელად — ნ.კ. ამ ლექსების იდუმალი გმირია...“;**

„მთელ ღამეს დავბორიალობდით ნამქერში სისხლით სავსე ფეხსაცმლებით, დოკების რაიონში. ველოდებოდით, როცა შუა ისტერივერში გაიღებოდა კარი, რომლის იქით თბილი პატარა ოთახია ოპიუმის ბუნაგის...“;

**„გადავიკარგებოდით მექსიკაში — უშიშრად ნემსი რომ გაგვერჭო, ან კლდოვან მთებში — ბუდას გული რომ მოგვეგო, ან ტანჟერში — ბიჭებთან, ან საუზენ პასიფიკში — ორთქლმავლების შავ ღუმელებთან, ან ჰარვარდში — ნარცისთან, ან ვუდლონის სასაფლაოზე, საფლავებზე გარყვნილებით გასართობად“;**

„ვმოქმედებდით რადიოტალღების ჰიპნოზით მონუსხულები“;

**„ანგელოზების მსგავსი ჰიპსტერები, ნებას რთავენ წმინდან მოტოციკლისტებს, იხმარონ ისინი უკანალიდან, და ყვირიან სიამოვნებისგან, სიამოვნებით უწუწნიან და მათაც სიამოვნებით სწუწნიან მეზღვაურები — სერაფიმების მსგავსი ადამიანები...“.**

„გოდება“ დაწერილია ჰალუციოგენური ნარკოტიკებით გაბრუებისას სპონტანურ სტილში, გინზბერგის კრედოს თანახმად — „პირველი აზრი — საუკეთესო აზრია“.

გინზბერგმა ყველა ნარკოტიკი გასინჯა და ყველაზე უფრო მიეძალა LSD-25-ს.

„მგონია, რომ ეს ნარკოტიკი ავტომატურად წარმოქმნის მისტიკურ ცდას. მეცნიერება ფრიად კლასიკური ხდება“, — აცნობებდა მამას 1959 წელს ფსიქიკური კვლევის ინსტიტუტში მასზე LSD-ზე ექსპერიმენტების ჩატარების შემდეგ.

1960 წლის 26 ნოემბერს პირველად გასინჯა ჰალუცინოგენური სოკო და გამოაცხადა, რომ ეს არის ფსიქოდელური რევოლუციის დასაწყისი.

**36 გრამ სილოციბინის ზემოქმედების ქვეშ მყოფი, ვაგნერის მუსიკით გაბრუებული ჰარვარდში შიშველი დარბოდა და ცდილობდა, მსოფლიოსთვის განემარტა მისი აღმოჩენის მნიშვნელობა. ტელეფონისტ ქალს დაჟინებით სთხოვდა, დაუყოვნებლივ დაეკავშირებინა ნიკიტა ხრუშჩოვთან, უილიამ კარლოს უილიამსთან, ნორმან მეილერთან, და ყვიროდა ყურმილში: „მე ვარ ღმერთი! ღმერ-თი!“**

„გოდება“, რომელიც ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მისი მკურნალობის ამბავსაც გადმოგვცემს: „მე შენთან ერთად ვარ როკლენდში, სადაც შენ ყვირი დამამშვიდებელ პერანგში გახვეული“. კ. სოლომონს, ვისაც მიუძღვნა პოემა, მართლაც მკურნალობდნენ შოკური თერაპიით პილგრიმის ფსიქიატრიულ ცენტრში.

1982 წელს ალენ გრინზბერგმა შეაჯამა „დაკარგული თაობის“ გავლენის შედეგები.

უპირველესი იყო **სექსუალური ლიბერალიზმი**, განსაკუთრებით, სექსუალურ უმცირესობათა უფლებათა დაცვის მოძრაობის კონტექსტში. უამრავი „ბიტნიკი“ აშკარა ჰომოსექსუალი იყო, მათ შორის, ამ მიმართულების სამივე მთავარი წარმომადგენელი (ბეროუზი, გინზბერგი, კერუაკი). მათმა შემოქმედებამ მაკარტიზმის რეპრესიების ეპოქის საწინააღმდეგოდ უფრო გამოკვეთა ჰომოსექსუალობა, რამაც გარკვეულად იმოქმედა საზოგადოების მიერ გეებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულების დამკვიდრებაზე. **„ბიტნიკების“ (ასევე „ჰიპების“) კონტრკულტურულმა მოძრაობამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ჰომოსექსუალური თემის განვითარებაზე, რომელმაც მათგან („ბიტნიკებისგან“) გადმოიღო ახალგაზრდობის, ეიჯიზმის (ასაკობრივი დისკრიმინაციის), ჰედონიზმის (ტკბობის, როგორც ცხოვრების უზენაესი მიზნის), სექსისა და ნარკოტიკებით ექსპერიმენტირების კულტი.**

**ასევე:**

**დემოკრატიზაცია ცენზურის;**

**ნარკოტიკულ საშუალებათა დემისტიფიკაცია და დეკრიმინალიზაცია;**

**რიტმ-ბლუზის როკ-ენროლად გარდაქმნა ბობ დილანისა და „ბითლზის“ ხელშეწყობით,** რომლებმაც „ბიტნიკების“ თაობის შემოქმედების ძლიერი გავლენა განიცადეს.

ალენ გრინზბერგის ბიოგრაფია მეტად აბსურდულია.

უეჭველია, რომ მკურნალობის პერიოდში მასზე ცდებს ატარებდნენ LSD-ს *(ლიზერგინის მჟავას)* ზემოქმედების გარკვევის მიზნით. ერთი პერიოდი იგი ხშირად მონაწილეობდა მშვიდობიან საპროტესტო აქციებში, რაც ხელისუფალთ საბაბს აძლევდა სასაცილოდ აეგდო მსგავსი ღონისძიებები: რა ფასი უნდა ჰქონდეს პროტესტს, რომელსაც ნარკომანი გრინზბერგი და მისთანანი უდგანან სათავეში?! **მაგრამ ამის პარალელურად ეს პიროვნება ჩაბმული იყო სპეცსამსახურების პროგრამების განხორციელებაში, რომელთა მიზანი ნარკოტიკების რეკლამა და გავრცელება იყო.**

1960-იან წლებში **ტიმ ლირთან** ერთად ხელმძღვანელობდა ნარკოტიკების პროპაგანდისა და ლეგალიზაციის მოძრაობას. ლირი აქტიურად გამოდიოდა ლექციებით, გამოსცა რამდენიმე წიგნი, რომლებიც ეძღვნებოდა ადამიანის „ცნობიერების საზღვრების გაფართოებას“, რის შესაძლებლობასაც, ავტორის მტკიცებით, იძლეოდა ნარკოტიკები. ეს კაცი კალიფორნიის გუბერნატორობასაც კი აპირებდა. არაერთხელ დააპატიმრეს, მიუსაჯეს კიდეც გარკვეული ვადით საპყრობილეში ყოფნა. მაგრამ რაღაც მანქანებით შეძლო გაქცეულიყო ციხიდან. ეს მოხდა 1970 წელს, ხოლო 1976 წელს, როცა საერთო ჯამში (ჯერ კიდევ გაქცევამდე) 38 წელიწადი უნდა მოეხადა, ციხიდან გამოიდა. ასეთია აშშ-ის თემიდას სასწაულები, როცა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ხელკავით დაჰყავს.



ალენ გრინზბერგი და მისი სექსპარტნიორი პიტერ ორლოვსკი

**ალენმა არაერთი ესე და წერილი მიუძღვნა ცსს-ს მონაწილეობის საკითხს უკანონობაში, მაგრამ მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ აღიქვეს იგი, როგორც სერიოზული მკვლევარი და უკომპრომისო კრიტიკოსი. 1973 წელს ცსს-მ გაანადგურა ყველა მასალა, რომლებიც ამ საჩოთირო საქმეში სპეცსამსახურების მონაწილეობას ეხებოდა**




ტიმოთი ლირის დაპატიმრება

1972 წელს რაღაც შეიცვალა ჩვენი გმირის ცხოვრებაში: შეიძლება იმიტომ, რომ ლირი დააპატიმრეს, შეიძლება იმიტომაც, რომ შეერთებულ შტატებში აიკრძალა LSD. ასე იყო თუ ისე, **ალენ გრინზბერგმა „პროფილი“ შეიცვალა და საზოგადოებას ნამდვილ მეამბოხედ მოევლინა — დაიწყო ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს „ჩაშვება“, კრიტიკული თვალით შეხედა ამერიკის მთავრობის დამოკიდებულებას ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ.** ამ პერიოდში მჭიდროდ თანამშრომლობს **ალფრედ მაკოესთან**, წიგნის — „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ჰეროინის პოლიტიკა“ — ავტორთან, რომელმაც ამხილა მსოფლიოში ოპიუმის უკანონო მიმოქცევაში ამერიკის მთავრობის მონაწილეობის მთელი ისტორია. გინზბერგი პირადად შეხვდა 1970-იან წლებში აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორ **რიჩარდ ჰელმსს**. მაგრამ ამ უკანასკნელმა სერიოზულად არ აღიქვა გინზბერგის იდეები და ისინი შეაფასა, როგორც მოგონილი სიცრუე.

**ალენმა არაერთი ესე და წერილი მიუძღვნა ცსს-ს მონაწილეობის საკითხს უკანონობაში, მაგრამ მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ აღიქვეს იგი როგორც სერიოზული მკვლევარი და უკომპრომისო კრიტიკოსი. 1973 წელს ცსს-მ გაანადგურა ყველა მასალა, რომლებიც ამ საჩოთირო საქმეში სპეცსამსახურების მონაწილეობას ეხებოდა.**

1990 წელს ალენ გინზბერგმა დაწერა პოემა „ცსს და ნარკოტიკები“. ეს ნაწარმოები დოკუმენტურ რეალობაზეა აგებული და დოკუმენტური პოეზიის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს. **სწორედ ამ პოემიდან ვიტყობთ, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამსახური უზრუნველჰყოფდა ნარკოტიკების გავრცელებას თავისი დილერების მეშვეობით.**

**შემდეგ:**

**„რაც გინდა თქვან, მასებში ნარკომანიის დანერგვა ცსს-სა და მისი მფარველების პროექტია. დანერგვის ერთ-ერთი მიმართულებაა როკმუსიკა“.**

**როცა ანსამბლმა “ბითლზმა” ჩაწერა სიმღერა „Lucy in the Sky with Diamonds“ (1967 წ.), ბევრმა ამ სახელწოდებაში დაინახა ნარკოტიკ LSD-ზე მინიშნება, რადგან სწორედ ასეთი აბრევიატურა იქმნება მისი პირველი ასოებისგან. მაშინ „ბი-ბი-სიმ“ საერთოდ აკრძალა ამ სიმღერის როტაცია. მოგვიანებით პოლ მაკარტნიმ აღიარა, რომ ნარკოტიკ LSD-ს გავლენა ამ სიმღერაზე აშკარა იყო. ამ სიმღერიდან არის აქვე ციტირებული სტრიქონები:**

**„ცელოფანის ყვავილები,**
**ყვითელი და მწვანე,**
**შენს თავს ზემოთაა**
**აღმართული.**
**ეძებე გოგონა,**
**რომლის თვალები**
**მზესავით ბრწყინავს,**
**სანამ არ წასულა“.**

ხოლო ანსამბლ „როლინგ სტოუნის“ ერთ-ერთ სიმღერაში ნარკოტიკები საკუთარი სახელებითაა წარმოდგენილი:

**„მე რომ დილისთვის**
**მოვკვდები,**
**ორივემ ვიცით,**
**ლოგინს მიგებს**
**დაიკო მორფინი.**
**დამიჯექ გვერდით,**
**შეხედე,**
**როგორ წითლდება**
**ჩემი ზეწარი,**
**და სისხლით სველდება**
**საყვარელი**
**ბიძაშვილი კოკაინი“.**

აი, ასეთი კულტურა იპყრობდა მსოფლიოს სპეცსამსახურების მზრუნველი ძალისხმევით. მსოფლიო ნარკოტიკულ ნემსზე ჯდებოდა. დღეს ეს რეალობა ისტორიული მოვლენებით არის დამტკიცებული.

**დასასრული იქნება**

მოამზადა
**არმაზ სანებლიძე**



ვისაც მოგწონთ — უყურეთ!

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2003 წელს ჯიმმა მთავარი როლი შეასრულა ფილმში „ყოვლისშემძლე ბრიუსი“, რომლის მოგებამაც 485 მილიონი დოლარი შეადგინა.**



# წარსულში უსახლკარო ვარსკვლავები

**ვარსკვლავური ცხოვრებით დატკბობა საკმაოდ ბევრ ადამიანს არგუნა ღმერთმა. ზოგი მათგანი საუცხოო სახლში ცხოვრობს, მაგრამ, ამისთვის რომ მიეღწია, არსებობისთვის იბრძოდა. წარმოგიდგენთ ზოგიერთ მათგანს, რომლებიც ცხოვრების გზის დასაწყისში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფებოდნენ.**



## ჰილარი სუონკი

**ჰილარი სუონკი დაიბადა 1974 წლის 30 ივლისს ნებრასკის შტატის ქალაქ ლინკოლნში (აშშ). პირველად სცენაზე ავიდა 9 წლისა, როდესაც მაუგლის როლი შეასრულა სასკოლო დადგმაში „ჯუნგლების წიგნი“. გოგონა 15 წლისა იყო, მისი მშობლები ერთმანეთს რომ გაშორდნენ, მას დედასთან ერთად ლოს-ანჯელესში მოუწია საცხოვრებლად გადასვლა. უსახსრობის გამო ისინი ტრეილერში ცხოვრობდნენ.**

ჰილარი სუონკის კინოკარიერა ათვლას 1990-იანი წლებიდან იწყებს. პირველი მთავარი როლი მიიღო ფილმში „კარატეს კიდევ ერთი ლეგენდა“ (1994). 1995 წელს ითამაშა ფილმში „გაყალბება“ (1996). **ფილმში „ბიჭები არ ტირიან“ (1999) შესრულებული როლისთვის მიენიჭა პირველი ოსკარი. 200 წელს ითამაშა ფილმში „გოგონა მილიონ დოლარად“, რისთვისაც მეორეჯერ მოიპოვა ოსკარი.**

2006 წელს ჰილარი სუონკიმ 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა ერთ-ერთ უძველეს პარფიუმერულ სახლთ Guerlain –თან.

2007 წლის 8 იანვარს ჰოლივუდის ხეივანში გაიხსნა ჰილარი სუონკის ვარსკვლავი.

მისი ქონება 40 მლნ დოლარად არის შეფასებული.



## ჯენიფერ ლოპესი

**ჯენიფერ ლოპესი 1970 წლის 24 ივლისს დაიბადა ბრონქსში, პუერტო-რიკოელის ოჯახში. სკოლაში წასვლამდე, 5 წლისა, სიმღერისა და ცეკვის გაკვეთილებზე დადიოდა, შემდეგ კი 8 წლის განმავლობაში ბრონქსის გოგონათა კათოლიკურ სკოლაში სწავლობდა.**

ჯერ კიდევ ბავშვობაში ლოპესი საბავშვო მუსიკალური თეატრის დადგმებში მონაწილეობდა.

მშობლებს არ მოსწონდათ ქალიშვილის გატაცება ცეკვითა და მსახიობობით, ამიტომ 18 წლის ჯენიფერმა მშობლების სახლი დატოვა და **ცეკვის სკოლაში ტახტზე „დაიდო ბინა“.** თან საადვოკატო კანტორაში დაიწყო მუშაობა.

პირველი წარმატება ჯეი ლოსთან 1990 წელს მივიდა, როცა მიიწვიეს კომედიურ ტელესერიალში ‘„ცოცხალი ფერები“‘. მისი შემდეგი ნამუშევრები იყო როლები ტელესერიალებში. ჯენიფერის პირველი დებიუტი დიდ ეკრანზე შედგა 1995 წელს გამოსული ფილმში Money Train, შემდეგ იყო როლი ფილმში „My Family, Mi Familia“. ამ სურათში მონაწილეობისთვის ჯენიფერმა მილიონი დოლარი მიიღო და **ყველაზე მაღალანაზღაურებადი ლათინოამერიკელი მსახიობი გახდა კინოს ისტორიაში.**

ჯენიფერ ლოპესის პორტრეტი არასრული იქნება, თუ არაფერს ვიტყვით მის მუსიკალურ კარიერაზე. ის რამდენიმე მუსიკალურ ჟანრს ფლობს ერთდროულად. მისი სადებიუტო ალბომი On The 6-ი გამოსვლისთანავე ერთ-ერთ ცხელ ჰიტად იქცა. ახლა ის მსოფლიოს შოუბიზნესის ცნობილი ვარსკვლავია.



## ჰელი ბერი

**ჰელი მარია ბერი დაიბადა 1966 წლის 14 აგვისტოს კლივლენდში, ოჰაიოს შტატში.**

მამა შავკანიანი ჰყავდა, დედა — თეთრკანიანი. როდესაც მშობლები განქორწინდნენ, ჰელი 4 წლის იყო. ის დედამ აღზარდა. ჰელი კლივლენდის კოლეჯში სწავლობდა, იყო გაზეთის რედაქტორი, კლასის პრეზიდენტი და სასკოლო მეჯლისის დედოფალი.

შემდეგ გადაწყვიტა, ვარსკვლავი გამხდარიყო და საცხოვრებლად ჩიკაგოში გადავიდა. ხშირად აღარ ჰქონია ფული, მაგრამ არ ელოდებოდა, დედა როდის გამოუგზავნიდა. **ასეთ პერიოდში უსახლკაროთა თავშესაფარში ცხოვრობდა.**

17 წლის ჰელიმ ყურადღება მიიპყრო სილამაზის კონკურსებში (ჯერ იყო „მის ოჰაიო“, მერე კი — „მის ამერიკა“) მონაწილეობისას. ამის შემდეგ მოდელის კარიერა აირჩია, თუმცა პროფესიონალი მოდელი ვერ გახდა – მისი სიმაღლე მხოლოდ 162 სმ-ია.

და აი 1989 წელს ის, ბოლოს და ბოლოს, აიყვანეს სერიალში ‘„ცოცხალი თოჯინები“. ორ წელიწადში კი მსახიობს დიდ კინოში ჰქონდა დებიუტი, და პირველი დიდი წარმატებაც მოიპოვა. კიდევ ერთ წელიწადში მსახიობი ედი მერფისთან ერთად გადაიღეს ფილმში „ბუმერანგი“. 1994 წელს მას კიდევ ერთი წარმატებული როლი შეხვდა – ის იყო სექსუალური მდივნის როლი ფილმში „ფლინსტოუნები“. ამის შემდეგ მისი როლების სია კინოში იზრდება.

1999 წელს მან დოროტი დენდრიჯის როლი ითამაშა ფილმში ‘„გაეცანით დოროტი დენდრიჯს“. ამ როლისთვის ბერიმ ‘„ოქროს გლობუსი“ მიიღო.

2000 წელს მსახიობს ყველაზე პრესტიჟული კინოს ჯილდო მოანიჭეს – ‘ოსკარი’ ქალის მთავარი როლისთვის ფილმში’„მონსტრების მეჯლისი“.

**1998 წელს, ჟურნალ „ფიფლზის“ გამოკითხვით, ჰელი ბერი მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ადამიანების სიაში შევიდა.**



## ჯიმ ქერი

**ჯიმ კერი კანადის ქალაქ ნიუმარკეტში, ონტარიოს პროვინციაში დაიბადა 1962 წლის 17 იანვარს. 12 წლისა იყო, როცა მამა უმუშევარი დარჩა. ამან ოჯახის ფინანსურ მდგომარეობაზე დიდი გავლენა იქონია — ოჯახის ექვსივე წევრი ფურგონში ცხოვრობდა. ჯიმი კი სკოლის შემდეგ მუშაობდა. სწორედ ამ პერიოდს უკავშირებს მსახიობი იმ უცნაური იუმორის განვითარებას, რომლის წყალობითაც კომედიის ვარსკვლავი გახდა.**

1979 წელს ქერიმ დაიწყო მონაწილეობა ტორონტოს იუკი-იუკის კომედიურ შოუში, ერთი წლის შემდეგ კი გახდა ამ შოუს წამყვანი. 1981 წელს ჯიმი გადავიდა ლოს-ანჯელესში და დაიწყო მუშაობა „კომედი სთორში“. სწორედ ამის შემდეგ მიაქციეს ყურადღება ჯიმს ტელევიზიებმა და 1981 წელს ის შეუერთდა NBC-ის პოპულარული შოუს „შაბათ ღამეს პირდაპირ ეთერში“ სცენარისტთა ჯგუფს. 1983 წლამდე იგი ეპიზოდურ როლებს ასრულებდა სხვადასხვა ფილმში.

ჯიმს კრიტიკოსთა აღიარება მოუტანა ფილმებმა „ტრუმენის შოუ“ და „ადამიანი მთვარეზე“. „ტრუმენის შოუ“ მონაწილეობდა ოსკარის სამ ნომინაციაში, ჯიმმა კი ამ ფილმისთვის „ოქროს გლობუსი“ დაიმსახურა. 1999 წელს მან შეასრულა კომიკოს ენდი კაუფმანის როლი ფილმში „ადამიანი მთვარეზე“. მიუხედავად კრიტიკოსთა მაღალი შეფასებისა, ფილმი არ იყო ნომინირებული ოსკარზე, სამაგიეროდ, ჯიმ ქერიმ ზედიზედ მეორედ მიიღო „ოქროს გლობუსი“ მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისთვის. **2003 წელს ჯიმმა მთავარი როლი შეასრულა ფილმში „ყოვლისშემძლე ბრიუსი“, რომლის მოგებამაც 485 მილიონი დოლარი შეადგინა.**




## დენიელ კრეიგი

**ინგლისელი მსახიობი დენიელ რაფტონ კრეიგი დაიბადა 1968 წლის 2 მარტს, პოპულარობა მოიხვეჭა 2006 წლიდან, ბრიტანელი საიდუმლო აგენტის, ჯეიმს ბონდის როლით.**

კრეიგი ეროვნული ახალგაზრდული თეატრის ყოფილი სტუდენტია, მან ასევე დაამთავრა ლონდონის მუსიკისა და დრამის სკოლა და სასცენო კარიერა დაიწყო.

საერთაშორისო წარმატება კი კრეიგმა მოიპოვა ჯეიმს ბონდის როლის შესრულებით, რითაც იგი პირს ბროსნანს ჩაენაცვლა. მიუხედავად თავდაპირველად სკეპტიკური აზრებისა, მისი დებიუტი ფილმში „კაზინო როიალი“ დადებითად შეფასდა და წამყვანი როლის საუკეთესო შესრულებისთვის მსახიობს BAFTA-ს (კინოსა და სატელევიზიო ხელოვნების ბრიტანული ორგანიზაცია) ჯილდო მოუტანა. **დღეს ამ ფილმს ბონდის ყველა ფილმს შორის ყველაზე მაღალი შემოსავალი აქვს**. ფილმი „უმნიშვნელო ნუგეში“ ორი წლის შემდეგ გამოვიდა, ხოლო „სკაიფოლი“ — 2012 წლის 23 ოქტომბერს.

სანამ ბონდის როლით მოიხვეჭდა პოპულარობას, მომავალ ვარსკვლავს ლონდონის ქუჩებში უწევდა ღამის გათევა, ბოგანოებთან. და რას წარმოიდგენდნენ ლონდონელი უსახლკაროები, რომ ლუკმას მომავალ ვარსკვლავს უყოფდნენ.



მიკროსკოპულ კამერას აქვს სამი ლინზა, რომელთა სისქე ოდნავ მეტია ადამიანის თმის ღერის სისქეზე და შეადგენს 100 მიკრომეტრს, სიგანე კი — 120 მიკრომეტრს მოწყობილობის კორპუსიანად. კამერას შეუძლია ობიექტზე ფოკუსირება 3 მილიმეტრის მანძილიდან და გადაღებული სურათის გადაცემა ოპტიკურბოჭკოვანი კაბელით, რომლის ბოლოშიც ის არის დამაგრებული.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ტომსკელი მეცნიერები გაუტკივარების არანარკოტიკულ საშუალებას გვთავაზობენ

**ტომსკის (რუსეთი) კომპანია „ინაფი“ ორგანული ქიმიის ინსტიტუტთან ერთად მუშაობს გაუტკივარების პრეპარატზე, რომელიც არ იწვევს ნარკოტიკულ ზემოქმედებას ორგანიზმზე.**



ყველა პრეპარატი, რომლებიც ამჟამად გაუტკივარების მიზნით გამოიყენება, ნარკოტიკულ საშუალებას წარმოადგენს და მოქმედებს ოპიოიდურ რეცეპტორებზე, მაშინ, როცა ეს ახალი პრეპარატი არ მოქმედებს სხვა რეცეპტორებზე და არ იწვევს შეჩვევას. **ბენიამინ ხაზანოვი**, კომპანიის გენერალური დირექტორი, რომელმაც შექმნა გაუტკივარების ეს საშუალება, ამბობს, რომ ამ პრეპარატის წარმოების დაწყება შესაძლებელია მხოლოდ 6-7 წელიწადში. მანამდე კი საჭიროა ტესტირებები. წლის ბოლომდე დაიწყება ცდები ცხოველებზე. პრეპარატი უკვე დაპატენტებულია რუსეთში. მოცემულ მომენტში კომპანია მუშაობს საერთაშორისო ლიცენზიის მოპოვებაზე.

ახალი ექსპერიმენტული პრეპარატი შემადგენლობით მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა თანამედროვე ანალგეტიკებისგან.

# თევზებს შესანიშნავი მახსოვრობა აქვთ

**რით აღარ არის დაკავებული თანამედროვე მეცნიერება! მაგალითად, ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გადაწყვიტეს, გაერკვიათ, Toxotidae-ს ოჯახის თევზები თუ შეძლებდნენ ადამიანის სახის ჯერ დამახსოვრებას, გარკვეული დროის შემდეგ — მათ ცნობას.**



ექსპერიმენტი არა მხოლოდ საინტერესო გამოვიდა, არამედ საკმაოდ სახალისოც. იმისათვის, რომ კონკრეტული ადამიანი მიეხვედრებინა, რომ იცნო, თევზი პირდაპირ აკვარიუმიდან „აფურთხებდა“.

ყოველ დღეს ნამდვილად ვერ ნახავთ სანახაობას, როცა გაწვრთნილი თევზი მადლიერების ნიშნად ადამიანს სახეში „აფურთხებს“.

შხეფების სროლა დამახასიათებელია ამ სახეობის თევზებისთვის, რომლებიც გავრცელებულია ინდოეთში, ავსტრალიასა და ფილიპინებზე. სხვა თევზებისაგან ისინი იმით გამოირჩევიან, რომ შეუძლიათ წყლის ზედაპირზე მფრინავ მწერებს „მიაფურთხონ“, ანუ მიაშხეფონ პირიდან წყალი და ჩამოაგდონ, შემდეგ კი შესანსლონ. მიშხეფების სიშორე 1-2 მეტრია, ხოლო სიზუსტე ისეთი უტყუარი, რომ მიზანს იშვიათად სცდება. მეცნიერებმა ჩათვალეს, რომ თევზების ეს უნარი კვლევისთვის მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა, ამიტომ ექსპერიმენტის ძირითად მონაწილედ სწორედ ეს სახეობა აირჩიეს.

ცდის ჩასატარებლად **აკვარიუმზე დაამაგრეს სპეციალური დისპლეი ადამიანთა სახეების საჩვენებლად. ეკრანზე ჯერ ერთი სახე გამოჩნდებოდა, შემდეგ — ორი. მათგან თევზს უნდა ამოერჩია ის, რომელიც პირველად ნახა, და მიეფურთხებინა მისთვის, ნიშნად იმისა, რომ ამოიცნო. როგორ გააცნეს თამაშის წესები თევზს, ამას მკვლევარები არ აზუსტებენ, მაგრამ დავალების სწორად ამოცნობის შემთხვევაში თევზს გემრიელი საკვებით აჯილდოებდნენ.**

ხუმრობა იქით იყოს და, ექსპერიმენტმა დაამტკიცა, რომ **თევზები ყველაზე უკეთ შავთეთრ გამოსახულებებზე რეაგირებენ. ამ შემთხვევაში სწორად ამოცნობის შანსი 86%-ია, ხოლო ფერადი ფოტოების ჩვენებისას ეს მაჩვენებელი 81%-მდე ეცემა.** ექსპერიმენტის ძირითადი მიზანი ცხოველთა მიერ ადამიანთა სახეების გარჩევის შესწავლა იყო. გახსოვთ, ალბათ, ცნობილი გამოთქმა: „ოქროს თევზის მახსოვრობა გაქვსო“. ეს, რა თქმა უნდა, კარგი კომპლიმენტია, ოღონდ მთავარია, თავი შეიკავოთ ვინმესთვის სახეში შეფურთხებისგან.



# მიკროსკოპული ფოტოკამერა

**შემქმნელების თქმით, ასეთი კამერის გამოყენება შესაძლებელია სამედიცინო კვლევებისთვის ენდოსკოპთან ერთად. და კიდევ, ანალოგიური მოწყობილობით შეიძლება მიკრორობოტის აღჭურვა, რომელიც ადამიანის ან ცხოველის ორგანიზმში შეჰყავთ.**



ეს კამერა თავისრავად ძალიან სასრგებლო რამაა. თავისუფლად თავსდება შპრიცის ნემსში, რის გამოც, როგორც მისი შემქმნელები ამბობენ, შეიძლება ჩანერგვა ნებისმიერ ადგილას, ტვინშიც კი.

მიკროსკოპულკამერას აქვს სამი ლინზა, რომელთა სისქე ოდნავ მეტია ადამიანის თმის ღერის სისქეზე და შეადგენს 100 მიკრომეტრს, სიგანე კი — 120 მიკრომეტრს მოწყობილობის კორპუსიანად. კამერას შეუძლია ობიექტზე ფოკუსირება 3 მილიმეტრის მანძილიდან და გადაღებული სურათის გადაცემა ოპტიკურბოჭკოვანი კაბელით, რომლის ბოლოშიც ის არის დამაგრებული.

# ყველაზე მსუქანი ბავშვი

**10 წლის ინდონეზიელი ბიჭი არია პერმანა მსოფლიოში ყველაზე მსუქან ბავშვად არის აღიარებული, იგი 192 კილოგრამს იწონის. ექიმებმა მას სპეციალური დიეტა დაუნიშნეს მას შემდეგ, რაც წინამ ჯანმრთელობის პრობლემები შეუქმნა.**





**ჯამბიკ ხატოხოვი 146 კგ-ს იწონის. ის მსოფლიოს ყველაზე მძიმეწონიანი ბავშვია და გინესის რეკორსმენიცაა, თავად ჯამბიკი ამას სულ არ დარდობს და სუმოზეც წარმატებებს აღწევს.**

# «მუდამ მშიერი» შარლ დომერი



**პოლონეთში XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა შარლ დომერი, ადამიანი, რომელსაც ჰქონდა ძალიან იშვიათი დაავადება — პოლიფაგია (მუდმივად შიმშილის გრძნობა, საკვების მიღება გადაჭარბებული რაოდენობით, გაუმაძღრობა). ის იღებდა საკვებს უზომოდ, მაგრამ, რაც უნდა უცნაური იყოს, არ აწუხებდა ჭარბი წონა.**

შარლის ოჯახს აღარ ჰქონდა იმის სახსრები, რომ გამოეკვება 13 წლის ბიჭუნა, რომელიც 7 ადამიანის სამყოფ ულუფას ერთ ჭამაზე მიირთმევდა. შარლი იძულებული გახდა, თავად გამოეკვება საკუთარი თავი, ამიტომაც გადაწყვიტა, პრუსიის არმიაში შესულიყო, მოგვიანებით კი უკეთესი რაციონის ძიებაში საფრანგეთის არმიაში გადავიდა. სწორედ საფრანგეთში დაირქვა სახელად შარლი.

როდესაც მისი დაავადება პროგრესირებდა, მას ჰქონდა დაუოკებელი სურვილი, შეესანსლა დიდი რაოდენობით ხორცი, რაც მისი ჯიბის შესაძლებლობებს აღემატებოდა. მისმა მეგობარმა, რომელიც მასთან ერთად მსახურობდა ჯარში, გაახმაურა ფაქტი, რომ შარლმა ერთი წლის განმავლობაში თავისი დისლოკაციის ადგილას პარიზში დაიჭირა და მიირთვა 174 კატა. 1799 წელს მისი გემის ეკიპაჟი დაატყვევეს. ბანაკში მას ცალკე გამოუყვეს საკვები, იქ ყველას შოკირება მოახდინა — გამოყოფილ ულუფას თაგვებს უმატებდა. ბანაკის მეთაურმა ამ უცნაური ადამიანის შესახებ უფროსობას შეატყობინა. უცნაური ცნობების გაგებისთანავე ისინი სამედიცინო კომისიის თანხლებით ჩამოვიდნენ. ექიმების თვალწინ შარლმა შვიდი კილოგრამი უმი ხორცი მიირთვა და ოთხი ბოთლი პორტერი დააყოლა. მედკომისია გაოგნებული დარჩა. მათ შეამოწმეს მისი ჯანმრთელობა, ის აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო, თუ არ ჩავთვლით პოლიგაფიის მწვავე ფორმას. ერთადერთი უცნაური რამ, რაც მის ჯანმრთელობაზე შეკითხვებს აჩენდა, იყო ის, რომ საშინლად ოფლიანობდა ძილისას და საკვების მიღებისას. მსოფლიო მედიცინის ისტორიაში ამ დაავადების ასეთი მწვავე ფორმით გამოვლინება სხვა არ დასტურდება.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბუგატი ვეირონის“ სიმძლავრე დაახლოებით 1020-1040 ცხენის ძალაა, ხოლო ოფიციალურ სიმძლავრე — 1001 ცხენის ძალა. ძრავის გასაგრილებლად გამოიყენება 10 რადიატორი. მანქანის სალონი მზადდება ალპური ძროხების ტყავისგან. ეს ცხოველები ზღვის დონიდან 2000 მეტრზე ბინადრობენ, სადაც არ არის კოღოები და მავნე მწერები. შესაბამისად, მათი ტყავი ფასდაუდებლად იდეალურია.**

# «ბუგატი ვეირონი» — ერთ-ერთი ძვირად ღირებული და სწრაფი მანქანა მსოფლიოში

**სპორტული სუპერავტომობილი Bugatti Veyrone ყველაზე სწრაფია მსოფლიოში. მისი მაქსიმალური სიჩქარე 2010 წლინად 431,07 კმ/სთ-ია.**



ეტორე ბუგატი დაიბადა მილანში, 1881 წელს. მილანის ხელოვნების აკადემიის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ბუგატიმ მუშაობა დაიწყო კომპანიაში Prinetti and stucci, რომელიც ველოსიპედებს აწარმოებდა. მან ჩვიდმეტი წლისამ პირველმა დაუმატა ჩვეულებრივ სამთვლიან ველოსიპედს ძრავი, საუკუნის ბოლოს კი აქტიურად იღებდა მონაწილეობას რბოლებში თავისი შექმნილი ავტომობილებით.

1901 წელს ბუგატიმ მილანში ჩატარებულ გამოფენაზე პირველად წარადგინა თავისი შექმნილი ავტომობილი და მისი არაჩვეულებრივი კონსტრუქციისთვის მიიღო საფრანგეთის საავტომობილო კლუბის ჯილდო Type2, მაგრამ იმხანად ბუგატი არასრულწლოვანი იყო და ლიცენზია ავტომანქანაზე კომპანიას გადაეცა.

შემდეგი რამდენიმე წელი ბუგატიმ მუშაობა **ემილ მატისთან** ერთად განაგრძო და შექმნა ახალი მანქანის დიზაინი ოთხცილინდიარიანი ძრავით. მოგვიანებით დაიწყო დამოუკიდებად მუშაობა.

1910 წელს ბუგატიმ აიღო სესხი ათი ავტოტმობილისა და ხუთი თვითმფრინავის ძრავის გამოსაშვებად და საკუთარი ქარხანა გახსნა მოლშაიმში. ამ წლიდანვე დაიწყო ბუგატის ლეგენდარული წარმატებები ავტო რბოლებზე. ბუგატის ავტომობილით გამარჯვებული მძღოლები იყვნენ: **ჟან პიერ ვიმილი, რობერტ ბენუა, პიერ ვეირონი.** დასახელება „ბუგატი ვეირონი“ სწორედ ამ უკანასკნელის (ცნობილი ფრანგი მრბოლელის, პიერ ვეირონის) პატივსაცემად მიიღო ჩვენ მიერ წარმოდგენილმა მოდელმა. **ის მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული და სწრაფი ავტომობილია რომლის ლეგენდაც მე-19 საუკუნის ბოლოს დაიწყო და დღესაც გრძელდება.**





„ბუგატი ვეირონის“ ფასი იწყება 1,4 მილიონი ევროდან. ამის გამო ხშირად მანქანების მხოლოდ ერთ ეგზემპლარს უშვებენ. საწვავის დანახარჯი ამ მანქანაში უზარმაზარია. ის დაახლოებით 125 ლიტრს წვავს 100კმ-ზე, მაგრამ ღირს რეკორდულ სისწრაფედ. მაქსიმალური სიჩქარით მოძრავი მანქანის გასაჩერებლად მხოლოდ ათი წამია საჭირო.

„ბუგატი ვეირონის“ სიმძლავრე დაახლოებით 1020-1040 ცხენის ძალაა, ხოლო ოფიციალურ სიმძლავრე — 1001 ცხენის ძალა. ძრავის გასაგრილებლად გამოიყენება 10 რადიატორი. მანქანის სალონი მზადდება ალპური ძროხების ტყავისგან. ეს ცხოველები ზღვის დონიდან 2000 მეტრზე ბინადრობენ, სადაც არ არის კოღოები და მავნე მწერები. შესაბამისად, მათი ტყავი ფასდაუდებლად იდეალურია.

ერთი მანქანის სალონზე კი იხარჯება 20 ასეთი ცხოველის ტყავი. უფრო ნათელი წარმოდგენა რომ შეგექმნათ, ასე ვთქვათ: "ბუგატის" სამუხრუჭე დისკები „ფოლკსვაგენ გოლფზე“ უფრო ძვირია.

# ავტომობილების სავარძლები უფრო «ჭკვიანი» და უსაფრთხო იქნება

**ერთი შეხედვით, რა საჭიროა ავტომობილების სავარძლების გაუმჯობესებაზე ფიქრი, ისინი ხომ ისედაც მშვენივრად ასრულებს თავის ფუნქციას?!**




მაგრამ კომპანია BeBop Sensors-ის ინჟინრები კატეგორიულად არ ეთანხმებიან ამ აზრს. სწორედ ამიტომ თავიანთ ლაბორატორიებში მათ შეიმუშავეს სისტემა, რომლის წყალობითაც ავტომობილის სავარძელს ზუსტად შეუძლია განსაზღვროს: მასზე ზრდასრული ადამიანი ზის, ბავშვი თუ, უბრალოდ, დევს პაკეტი სუპერმარკეტის პროდუქტებით. BeBop Sensors-ის ინჟინრები თვლიან, რომ დღეს არსებული ავტომობილების სავარძლები საკმაოდ „ბრიყვები“ არიან. მათ „დასაჭკვიანებლად“ შემუშავებული იქნა სისტემა OCS (Occupant Classification System), რომელიც წარმოადგენს 1 მმ სისქის შალითას. ამ სისტემის წყალობით სავარძელს „ზუსტად ეცოდინება“ მგზავრის ზომა, წონა. ასევე შეძლებს თვალყური ადევნოს მის ნებისმიერ გადაადგილებას შალითის ზედაპირზე. სენსორი მაშინვე მიხვდება, თუკი მასზე საბავშვო ავტოსავარძელი დადგით ან ჩანთა, რამდენადაც ობიექტი იქნება უძრავად.

ავარიის შემთხვევაში OCS სისტემის წყალობით ავტომობილის კომპიუტერი მაქსიმალური სიზუსტით შეძლებს უსაფრთხოების ბალიშის გამოყენებას. მოცემულ მომენტში კომპანია BeBop Sensors-ი დაკავებულია აქტიური მოლაპარაკებებით ავტომობილების მსხვილ მწარმოებლებთან.



# შვედეთის ხელისუფლებამ ელექტროფიცირებული გზების მოწყობა დაიწყო

**ყველაზე განვითრებულ ელექტრომობილებშიც კი გამოიყენება ბატარეა, რომელიც ადრე თუ გვიან დაჯდება და მომავალი რამდენიმე კილომეტრის გავლა მხოლოდ მისი რამდენიმესაათიანი დამუხტვის შემდეგ გახდება შესაძლებელი.**

სწორედ ამის გამო შვედეთის ხელისუფლებამ ელექტროფიცირებული გზების მოწყობა და მათი გამოცდა დაიწყო. შვედი მკვლევარები გზის მცირე მონაკვეთით შემოიფარგლნენ, რომლის სიგრძე, სულ რაღაც, 2 კილომეტრია და გზის თავზე ელექტროსადენები გაიყვანეს, რომელთა მეშვეობითაც მოდიფიცირებული სატვირთო მანქანები იტენებიან.

ელექტროხაზის სიმძლავრე 750 ვოლტს შეადგენს. სავარაუდოდ, ელექტროფიცირებული გზა მხოლოდ სატვირთო მანქანებისა და ავტობუსებისთვის შეიქმნება, რადგან მსუბუქი ავტომანქანები ძალიან დაბალია და მათთვის მსგავსი გზების მოწყობა მარტივი არ იქნება. კვლევისთვის ჰიბრიდული სატვირთო მანქანები გამოიყენებოდა, რომლებსაც საწვავზე მომუშავე ძრავთან ერთად ბატარეაც ჰქონდა.

შვედეთში სხვა ტიპის ელექტროგზის ტესტირებაც მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში ენერგიის მიწოდება სპეციალური რელსებით ხდება, რომლისგანაც სატრანსპორტო საშუალება ასევე სპეციალური ლანჩების საშუალებით იღებს ამ ენერგიეს. ეს ვარიანტი გაცილებით სჯობს პირველს, რადგან ყველა ტიპის ავტომანქანებისთვის გამოდგება.



ეს ქართული მონეტა უნიკალურია და დღეს დიდი ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული. მონეტის წარწერის შინაარსი სრულად ასახავს ქვეყნის რეალურ პოლიტიკურ მდგომარეობას — იმ დროისთვის საქართველო წინა აზიის ერთ-ერთი უძლიერესი სუვერენული სახელმწიფოა.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უნიკალური ფულის ერთეული ბრიტანეთის მუზეუმში

## დავით აღმაშენებლის მონეტა

**1089 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა 16 წლის ჭაბუკი, მეფე დავით IV. ამ სახელოვანი მეფის ზეობის პერიოდში ქართველი ხალხი ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა; დავითმა შეძლო ქვეყნის გაერთიანება და განმტკიცება, რისთვისაც ხალხმა აღმაშენებელი უწოდა.**



დავით აღმაშენებლის მეფობის ხანა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების ხანაა. საქართველო წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფო გახდა. დავითი განაგრძობდა ორი ტიპის ბიზანტიურტიტულიანი ქართული მონეტების მოჭრას.

პირველ ტიპზე მოთავსებულია წარწერა: **„ქრისტე, ადიდე დავით აფხაზთა მეფე და სევასტოსი“**, მეორის ცენტრში კი გამოსახულია ჯვარი და წრიული წარწერა: **„ქრისტე, ადიდე დავით მეფე და სევასტოსი“**. მოგვიანებით, მეფემ უარი თქვა ბიზანტიურ ტიტულზე და, როდესაც 1118 წელს აიღო ლორე და გააუქმა ტაშირის სამეფო, სპილენძის მონეტა მოჭრა, რომლის ავერსზე გამოსახულია მეფე საიმპერატორო ინსიგნიებით, ხოლო რევერსზე — მედიდური წარწერა: **„მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“.**

**ავერსი** — საიმპერატორო ტანსაცმელში გამოწყობილი წვეროსანი მეფის გამოსახულება წელს ზევით, პირდაპირ. მარჯვენა ხელში გრძელი სკიპტრით, მარცხენაში — ჯვრიანი სფეროთი, თავზე — საიმპერატორო გვირგვინით. გამოსახულების მარცხნივ — ასომთავრული „დთ“ — დავით. მარჯვნივ — „მფ“ — მეფე.

**რევერსი** — მონეტის ცენტრში თანაბარტოტებიანი ჯვრის გამოსახულებაა. გარშემო ქართული ასომთავრული ლეგენდა: „სახელითა ქრისტესი დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა“.

ყველაფერი ეს ჩასმულია ხაზოვან რკალში.

**ეს ქართული მონეტა უნიკალურია და დღეს დიდი ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული. მონეტის წარწერის შინაარსი სრულად ასახავს ქვეყნის რეალურ პოლიტიკურ მდგომარეობას – იმ დროისთვის საქართველო წინა აზიის ერთ-ერთი უძლიერესი სუვერენული სახელმწიფოა.**




# პერსონალური სამგზავრო დრონი

**ოცნებობთ ცაზე, მაგრამ კერძო თვითმფრინავს ბანალურ გადაწყვეტილებად მიიჩნევთ? BBC Future-ის მიმომხილველი სინგაპურელი სტუდენტების გამოგონებით დაინტერესდა, რომლებსაც ამ კითხვაზე თავიანთი პასუხი აქვთ.**

უპილოტო საფრენი აპარატების, ე.წ. დრონების პოპულარობა დღითიდღე იმატებს — მათ სხვადასხვა მიზნით იყენებენ, დაწყებული ინტერნეტით განხორციელებული საყიდლების მიწოდებით, დასრულებული ავარიულ-სამაშველო სამუშაოებით. მაგრამ რა აზრის ხართ პერსონალური სამგზავრო დრონის, მცირე ელექტრო-საჰაერო ხომალდის შექმნაზე, რომელსაც მის ბორტზე მყოფი მგზავრი ან მიწაზე მყოფი ოპერატორი მართავს? თუ ექსპერიმენტები წარმატებით ჩაივლის, ჩვენ შეიძლება საფრენი აპარატების ცალკე კატეგორია ვიხილოთ. სინგაპურის ეროვნული უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ შექმნილ ერთადგილიან საფრენ აპარატს Snowstorm-ი ჰქვია.




# სასაცილო სმარტმოწყობილობები

თანამედროვე ადამიანის საცხოვრებელი სავსეა სხვადასხვა „ჭკვიანი“ მოწყობილობებით. ჩვენ უკვე მივეჩვიეთ პერსონალურ კომპიუტერებსა და სმარტფონებს ტელევიზორებით, უკვე ზოგი მაცივარიც და განათების სისტემაც ჩვენ „გვიჯერებს“...

მაგრამ პროგრესი ერთ ადგილას არ ჩერდება და დღითიდღე იმატებს ჭკვიანი მოწყობილობების რაოდენობა. ამჯერად ვისაუბრებთ სასაცილო და უცნაურ მოწყობილობებზე, რომელთაგან ზოგი უკვე იყიდება ინტერნეტმაღაზიებში, ზოგიც მალე გამოჩნდება სავაჭრო ქსელში.



## ჭკვიანი ჩასაწყობი კვერცხებისთვის

ერთი შეხედვით, ის კვერცხების ჩვეულებრივი ჩასაწყობია. გარეგნულად არაფრით განსხვავდება მისგან, რომელიც მაცივრის კარში გაქვთ, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი და შეუცვლელი ნივთია ოჯახში.

მასში იმალება ელექტრონული შიგთავსი, რომელსაც შეუძლია ინტერნეტის საშუალებით დაუკავშირდეს თქვენს სმარტფონს და გაცნობოს, რომ მაცივარში შენახული კვერცხები მალე გაგითავდებათ ან ვარგისიანობის ვადა ეწურებათ.



## ჭკვიანი ჩანგალი

ამ ჩანგალს არ აქვს Wi-Fi, მაგრამ აქვს ბლუთუზი და ვიბრაციის უნარი. და, როცა მისი მფლობელი ძალიან სწრაფად ჭამს, ჩანგალი იწყებს „კანკალს“.

ღირს კი ამ საოცრებაში 70 დოლარის გადახდა თუ ჯობს, უფრო ხშირად იაროთ სტუმრად მშობლებთან? თუ ისე არ მიირთმევთ, როგორც წესია, დედაც აუცილებლად მოგცემთ შენიშვნას, თანაც სრულიად უფასოდ.

მაგრამ ჩანგლები ძალიან ლამაზია და მათ ნამდვილად შეუძლია დაამშვენოს სადღესასწაულო სუფრა. სტუმრები კი ყოველი შემთხვევისთვის უნდა გააფრთხილოთ — თუკი ძალიან ბევრს შეჭამენ, ჩანგალი „შეუღრენს“.



# «ომარის ტერფის» სინდრომი

**ზიმბაბვეს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ტერფები ჩლიქებს წააგავს. ეს ექტროდაქტილიას დაავადებაა, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც „ომარის ტერფის“ ან „ლობსტერის მარწუხების“ სახელწოდებით. იგი გენეტიკური წარმოშობისაა, რომლითაც ყოველი მეოთხე ახალშობილია დაავადებული.**

„ომარის ტერფი“ განსაკუთრებით გავრცელებულია ზიმბაბვეს დასავლეთით, ვადომას ტომში. ამ პათოლოგიის მოშორება ძალიან რთულია: პირველ რიგში გენი, რომელიც მუტაციაზეა პასუხისმგებელი, დომინანტურია; მეორეც — საქმე ის არის, რომ ვადომას გენოფონდი შეზღუდულია, რადგანაც სხვა ტომის ადამიანებთან შეუღლება მათ ეკრძალებათ.



# გოგონა, რომელიც აფრთხობს თაყვანისმცემლებს

**ჩვეულებრივ, გოგონები გრიმს საკუთარი გარეგნობის უკეთ წარმოსაჩენად იყენებენ, მაგრამ 16 წლის ლარა ვირფი მათ რიგს არ განეკუთვნება.**

ამ ავსტრიელმა გოგონამ შექმნა თავისი „ინსტაგრამ-აკაუნტი“, რომელზეც, არ ინდობს რა თავისი თაყვანისმცემლების ფსიქიკას, მუდმივად აქვეყნებს საშინელ სახეებს. მან ჟელატინისგან დამოუკიდებლად გააკეთა ნიღაბი, შეღება და მიიკრა სახეზე. შემდეგ კი თავისი მდიდარი ფანტაზიით გრიმი გამოიყენა.

გრიმის საშუალებით გოგონა გარდაიქმნება ნამდვილ მონსტრად და საშიშ გარეგნობას იღებს.

თვითნასწავლი გრიმიორის გვერდს უკვე 33 000-ზე მეტი გამომწერი ჰყავს. ამასთანავე, ლარა „იუთუბზეც“ დებს ვიდეორგოლებს და მოხალისეებს სთავაზობს გაკვეთილებს, თუ როგორ უნდა გაიკეთონ მსგავსი გრიმი.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**1834 წლის 19 ივლისს პარიზში დაიბადა ფრანგი ფერმწერი, იმპრესიონიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ედგარ დეგა (ილერ-ჟერმენ-ედგარ დე გა). მისი ცნობილი ტილოებია:**

„აბსენთი“; „სტარტის წინ“; „საბალეტო სკოლა“; „მრეცხავები თეთრეულით“; „ყმაწვილი სპარტელები“; „ცეკვის გაკვეთილი“; „ცისფერი მოცეკვავეები“; „მის ლა-ლა ფერნადოს ცირკში“; „ბელელის ოჯახი“ და სხვ.

გარდაიცვალა 1917 წლის 27 სექტემბერს.



რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებსა და გამოჩენილ ადამიანებზე.

# ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები



*** 155 წლის წინათ, 1861 წლის 14 ივლისს, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩარგალში დაიბადა ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, ბუმბერაზი პოეტი, მწერალი და მოაზროვნე ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი).**

8 წლამდე იზრდებოდა ფშავში, სოფელ ჩარგალში მამის, სოფლის მღვდლის — პავლე რაზიკაშვილისა და მისი მეუღლის — ბარბარე (გულქან) ფხიკელაშვილის წვრილშვილიან ოჯახში.

სწავლობდა თელავის სასულიერო სასწავლებელში, 1877-1879 წლებში — თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ სამოქალაქო სასწავლებელში, 1879-1882 წლებში — გორის სამასწავლებლო (საოსტატო) სემინარიაში. 1883-1884 წლებში იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელი. ხელმოკლეობის გამო მალე დატოვა უნივერსიტეტი და რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა ჯერ ოთარაშენში, ამილახვრების ოჯახში შინამასწავლებლად, შემდეგ — თონეთის სასოფლო სკოლაში. 1888 წლიდან ჩარგალში ცხოვრობდა — ხნავდა მიწას, უვლიდა საქონელს და ნადირობდა. მთიულებში დიდი გავლენით სარგებლობდა. ბარში იშვიათად ჩამოდიოდა. სწორედ ფშაური ზამთრის გრძელ ღამეებში დაიწერა მისი გენიალური პოემები, მოთხრობები და ლექსები.

ვაჟა-ფშაველას რჩეული ნაწარმოებებია:

პოემები: „გოგოთურ და აფშინა“; „ალუდა ქეთელაური“; „ბახტრიონი“; „სტუმარ-მასპინძელი“; „გველისმჭამელი“.

მოთხრობები: „შვლის ნუკრის ნაამბობი“; „დარეჯანი“; „მთის წყარო“; „ხმელი წიფელი“; „ტრედები“; „ამოდის, ნათდება“; „ჩხიკვთა ქორწილი“; „სათაგური“.

ესეები და წერილები:

„გავზარდოთ ახალთაობა“; „გაზვიადებული საკითხავი“; „დაკვირვება“; „ვეფხის-ტყაოსნის შესახებ“; „ზოგი რამ ფიქრებიდან“; „თამარის საფლავის გამო“; „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“; „ნიჭიერი მწერალი“; „ხევსურები“.

ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს ხალხების მრავალ ენაზე.

გარდაიცვალა 1915 წლის 27 ივლისს.



*** 1928 წლის 14 ივლისს თბილისში დაიბადა გამოჩენილი ქართველი მწერალი ნოდარ დუმბაძე.**

1945 წელს დაამთავრა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლა და ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე. 1950 წლიდან, ეკონომიკური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ასისტენტად მუშაობდა უნივერსიტეტის ლაბორატორიაში და, ამასთანავე, ეწეოდა შემოქმედებით მოღვაწეობას.

1956-1957 წლებში გამოსცა იუმორისტული მოთხრობების სამი კრებული. 1957 წელს მიატოვა სამსახური, რათა მთელი დრო მწერლობისთვის დაეთმო.

1967-1972 წლებში იყო ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორი. 1972 წლიდან — საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი და სსრკ-ს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი.

1975 წელს მიენიჭა რუსთაველის პრემია, 1980 წელს — ლენინური პრემია.

მისი გამორჩეული ნაწარმოებებია:

„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“; „მე ვხედავ მზეს“; „მზიანი ღამე“; „ნუ გეშინია, დედა!“; „თეთრი ბაირაღები“; „მარადისობის კანონი“.

ნოდარ დუმბაძეს, აგრეთვე, ეკუთვნის ლექსებისა და მოთხრობების რამდენიმე კრებული.

მოვლენების ღრმა წვდომამ და განუმეორებელმა იუმორმა განაპირობა მისი პოპულარობა როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები თარგმნილია ბევრ ენაზე.

გარდაიცვალა 1984 წლის 4 სექტემბერს.

*** 1941 წლის 18 ივლისს თბილისში დაიბადა კომპოზიტორი და მომღერალი, საქართველოს დამსახურებული არტისტი ნუნუ გაბუნია.**



1961-68 წლებში მუშაობდა საბავშვო მუსიკალური გადაცემების რედაქტორად. 1971 წლიდან იყო საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ორკესტრის სოლისტი.

შექმნილი აქვს ნაწარმოებები: საბავშვო ოპერა „შემოდგომიდან გაზაფხულამდე“; ოპერეტა „ნანა მღერის გაზაფხულზე“; ასზე მეტი საესტრადო სიმღერა — „ლეგენდა თბილისზე“ („ლამპიონები“); „იავნანა“. „სალაღობო“; „ჩემი თბილისი“; „საახალწლო“ და სხვ.



*** 1893 წლის 19 ივლისს ქუთაისის გუბერნიის სოფელ ბაღდათში დაიბადა რუსი საბჭოთა პოეტი, დრამატურგი, კინოსცენარისტი, რეჟისორი და მსახიობი, რუსული ფუტურიზმის ფუძემდებელი ვლადიმერ მაიაკოვსკი.**

როგორც მსახიობი, მონაწილეობდა ფილმებში: „დრამა ფუტურისტების კაფეში“; „ ფულისთვის არდაბადებული“; „ქალიშვილი და ხულიგანი“.

დაწერილი აქვს პოემები: „ღრუბლები შარვალში“; „ადამიანი“; „ამის შესახებ“; „მფრინავი პროლეტარი“ და უამრავი ლექსი.

გარდაიცვალა 1930 წლის 14 აპრილს.



*** 1918 წლის 14 ივლისს ქალაქ უფსალაში დაიბადა თეატრისა და კინოს გამოჩენილი შვედი რეჟისორი, სცენარისტი და მწერალი აშშ-ის კინოაკადემიის „ოსკარის“ ოთხგზის მფლობელი, ბერლინისა და კანის კინოფესტივალების გამარჯვებული ინგმარ ბერგმანი (ერნსტ ინგმარ ბერგმანი).**

მისი ცნობილი კინონამუშევრებია: „მარწყვის მდელო“; „მქრქალი მინის მიღმა“; „ქალიშვილის წყარო“; „მეშვიდე ბეჭედი“; „პირისპირ“; „შემოდგომის სონატა“; „ჩურჩული და ყვირილი“; „ფანი და ალექსანდერი“ და სხვ.

გარდაიცვალა 2007 წლის 30 ივლისს.



*** 1944 წლის 13 ივლისს ბუდაპეშტში დაიბადა უნგრელი გამომგონებელი, სკულპტორი და არქიტექტურის პროფესორი ერნიო რუბიკი.**

მსოფლიოში სახელი გაითქვა თავისი თავსატეხებით, რომელთა შორისაც ყველაზე პოპულარულია რუბიკის კუბი (1974 წ.).



*** 1789 წლის 14 ივლისს პარიზში დაიწყო ბასტილიის ციხის შტურმი. ბასტილიის აღებამ დასაბამი დაუდო საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას.**

ბასტილიაზე შეტევის მიზეზი შეიქნა პარიზში გავრცელებული ხმები მეფე ლუდოვიკო XVI მიერ დამფუძნებელი საკრებულოს დაშლისა და ფინანსების სახელმწიფო გამკონტროლებლის — ჟაკ ნეკერის პოსტიდან დათხოვნის შესახებ.

ბასტილიის შტურმი 4 საათს გაგრძელდა. ხალხი ციხესიმაგრეში შევარდა, ციხის უფროსი მოკლა, პატიმრები კი გაათავისუფლა. მეორე დღეს ბასტილია, რომელმაც 400 წელი იარსება, ნაწილ-ნაწილ დაშალეს.

1880 წლიდან ბასტილიის აღების თარიღს — 14 ივლისს ფრანგები აღნიშნავენ, როგორც ეროვნულ დღესასწაულს.



*** 1862 წლის 14 ივლისს ბაუმგარტენში (ავსტრია-უნგრეთის იმპერია) დაიბადა გამოჩენილი ავსტრიელი მხატვარი, მოდერნის ფუძემდებელი გუსტავ კლიმტი.** მისი პოპულარული ტილოებია: „კოცნა“; „შიშველი სიმართლე“; „კლიმატი მოცისფრო კვამლში“; „ადელ ბლოხ-ბაუერი“; „ივდითი“; „ოქროს თევზები“; „წყლის გველები“; „დაქალები“; „ადამი და ევა“; „ვაშლის ხეები“ და სხვ.

გარდაიცვალა 1918 წლის 6 თებერვალს.

*** 1054 წლის 16 ივლისს ქრისტიანული ეკლესია საბოლოოდ გაიყო მართლმადიდებელ და რომის კათოლიკურ ეკლესიებად.**



1054 წელს რომის პაპმა ლევ IX კონსტანტინოპოლში თავისი ელჩები გაგზავნა კარდინალ ჰუმბერტის ხელმძღვანელობით, რათა მოეგვარებინათ კონფლიქტი, რომელიც დაიწყო 1053 წელს კონსტანტინეპოლში ლათინური ეკლესიის დახურვის გამო, მაგრამ შერიგება ვერ მოხერხდა. 1054 წლის 16 ივლისს პაპის ელჩებმა კონსტანტინოპოლის პატრიარქის — მიხეილ კერულარიუსის ეკლესიიდან განკვეთის შესახებ გამოაცხადეს. პასუხად პატრიარქმა ანათემას გადასცა პაპი და მისი ელჩები. ამის შემდეგ ქრისტიანული ეკლესია საბოლოოდ გაიყო მართლმადიდებელ (აღმოსავლეთში) და რომის კათოლიკურ (დასავლეთში) ეკლესიებად.

განხეთქილებას მრავალი მიზეზი ჰქონდა, მათ შორის, დოგმატური, რიტუალური, ეთიკური, ქონებრივი და სხვ.

კარგი პერიოდია დაძაბული ურთიერთობების მოსაგვარებლად. შეეცადეთ, მოთოკოთ ემოციები და თქვენი თვალსაზრისი მშვიდად დაიცვათ. წარმატებას მიაღწევენ ლომისა და თევზების ნიშნებით დაბადებულები.

ჰოროსკოპი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

13 – 19 ივლისი
ასტროლოგიური პროგნოზი

## ვერძი
21 მარტი – 20 აპრილი

ყველაფერი გამოგივათ, რასაც ჩაიფიქრებთ. ამით კმაყოფილი იქნებით და თქვენი კარგი განწყობა გარშემო მყოფებსაც გადაედებათ.

ნუ აიღებთ ვალს, ახლა ამისთვის კარგი პერიოდი არ არის — არ არის გამორიცხული, გასტუმრება ვერ შეძლოთ.

დაქორწინებული ვერძების ურთიერთობა მეუღლეებთან ჰარმონიულად წარიმართება, ოღონდ მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ შვილების მიმართ.

თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელს და ყურადღებით მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 15 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 18 ივლისი.**

## კურო
21 აპრილი – 21 მაისი

საქმეებით ისე იქნებით გართული, რომ დრო სწრაფად და შეუმჩნევლად გაივლის — ემოციების გამოვლენის გარეშე, თუ, რა თქმა უნდა, ხელოვნურად არ შეიქმნით პრობლემებს, შემდეგ კი მათ გადასაწყვეტად ახლობლებს მოუხმობთ.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ საყვარელი ადამიანის მიმართ. დაეხმარეთ მას პრობლემების გადაწყვეტაში. ერთობლივი ძალებით უფრო იოლად შეძლებთ სირთულეების დაძლევას.

დიდია სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 13 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 17 ივლისი.**

## ტყუპი
22 მაისი–21 ივნისი

ენას კბილი დააჭირეთ. თქვენს გეგმებზე ახლობლებთანაც კი არ ილაპარაკოთ, რადგან ნათქვამი შეიძლება საწინააღმდეგოდ შემოგიბრუნდეთ.

თუ ახალი პროექტის დაწყებას აპირებთ, საქმიანი პარტნიორი პირადი სიმპათიით კი არა, გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის მიხედვით შეარჩიეთ.

დაქორწინებულ ტყუპებს შეიძლება გაურთულდეთ ურთიერთობა მეუღლეებთან. მიზეზი დაუდევარი საქციელი და გულგრილობა იქნება საყვარელი ადამიანის პრობლემების მიმართ.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, თუმცა, კარგი იქნება, თუ მეტად დაიტვირთებით ფიზიკურად.

**დადებითი დღე: 17 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 15 ივლისი.**

## კირჩხიბი
22 ივნისი–22 ივლისი

წარმატება დამოკიდებული იქნება თქვენს საქციელზე გარშემო მყოფებთან ურთიერთობისას. შეეცადეთ, ენა მტრად არ გექცეთ. ნაკლები ილაპარაკეთ და მეტი მოისმინეთ. გახსოვდეთ: დუმილი ოქროა!

დაქორწინებული კირჩხიბები შეეცდებიან, ახალი შტრიხები შეიტანონ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში, რაც წარმატებით გამოუვათ.

დიდია ქრონიკული ალერგიული დაავადების გამწვავების ალბათობა. გაიარეთ კონსულტაცია სპეციალისტთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 17 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 14 ივლისი.**

## ლომი
23 ივლისი –22 აგვისტო

პროფესიულ სფეროში ყველაფერი საუკეთესოდ წარიმართება. შეძლებთ ხელსაყრელი ხელშეკრულების გაფორმებასა და გარიგების დადებას, რომელიც ხელს შეუწყობს თქვენი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

შეეცადეთ, ყველა საქმე დათქმულ ვადაში დაასრულოთ.

თუ შეამჩნევთ, რომ საყვარელ ადამიანს აღელვებს თქვენი მისდამი დამოკიდებულება, ყურადღება და მზრუნველობა გამოავლინეთ.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, თუმცა, კარგი იქნება, თუ დროს სწორად გაანაწილებთ სამუშაოსა და დასვენებას შორის.

**დადებითი დღე: 13 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 15 ივლისი.**

## ქალწული
23 აგვ. –23 სექტემბ.

საქმეები თავზე საყრელად გექნებათ და მათი დასრულება ბევრ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. თუ საკუთარი შესაძლებლობების რწმენითა და თვითდაჯერებით იმოქმედებთ, ყველა პრობლემას მოაგვარებთ.

თუ საყვარელი ადამიანის საქციელში რაღაც არ მოგეწონებათ, საკუთარ ნაჭუჭში ნუ ჩაიკეტებით. სჯობს, მშვიდად დაელაპარაკოთ და წყენის მიზეზი აუხსნათ.

მაღალია გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. გაესინჯეთ ექიმს და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 13 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 14 ივლისი.**

## სასწორი
24 სექტ. – 23 ოქტ.

ამ პერიოდში ახალ საქმეს ნუ წამოიწყებთ და დაპირებებს ნუ გასცემთ. თავი შეიკავეთ კრედიტის აღებისგან, რადგან მოვლენები შეიძლება თქვენთვის სასიკეთოდ არ განვითარდეს. რთული გადაწყვეტილების მიღების წინ რჩევა გამოცდილი ადამიანებისგან მიიღეთ.

მარტოხელა სასწორებს ელით რომანტიკული თავგადასავალი საწინააღმდეგო სქესის ახალგაცნობილ წარმომადგენელთან. ურთიერთობის გაღრმავება თქვენზე იქნება დამოკიდებული.

შესაძლოა, შეგექმნათ კუჭ-ნაწლავთა სისტემის პრობლემა. დაიცავით კვების რეჟიმი და თავი აარიდეთ ცხიმიან კერძებს.

**დადებითი დღე: 14 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 17 ივლისი.**

## მორიელი
24 ოქტ. – 22 ნოემბ.

კარგი პერიოდია ახალი საქმეების დასაწყებად და კავშირების გასაფართოებლად. ყური დაუგდეთ ოჯახის წევრებისა და ახლობლების რჩევებს და ყველა პრობლემას იოლად მოაგვარებთ.

ფული ეკონომიურად ხარჯეთ. მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი დანახარჯები.

მარტოხელა მორიელები შეიძლება შეხვდნენ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელს, რომელიც შეიძლება მათი ცხოვრების მეგზური გახდეს.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და იმ ადამიანებს, რომლებთან ურთიერთობაც დისკომფორტს გიქმნით.

**დადებითი დღე: 14 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 17 ივლისი.**

## მშვილდოსანი
23 ნოემ. – 21 დეკ.

ამ პერიოდში თქვენი დევიზი უნდა იყოს „იჩქარე ნელა!“ დასახულ მიზნებს აუჩქარებელი და მეთოდური მოქმედებებით მიაღწევთ. ყველაფერი თქვენს თვითდაჯერებულ და შეუპოვარ მოქმედებაზე იქნება დამოკიდებული. ერთმანეთში ნუ აურევთ პირად და საქმიან ურთიერთობებს.

თუ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას ჯიუტად დაიცავთ თქვენს თვალსაზრისს და მის მოთხოვნებს არ გაითვალისწინებთ, უთანხმოებას თავიდან ვერ აიცილებთ.

გაფრთხილდით ელექტროხელსაწყოების გამოყენებისას და ყურადღებით მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 13 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 15 ივლისი.**

## თხის რქა
22 დეკემ. – 20 იან.

ამ პერიოდში საქმის შესრულებაზე შეიძლება იმაზე მეტი დრო დაგეხარჯოთ, ვიდრე გათვალისწინებული გქონდათ, მაგრამ ნუ ინერვიულებთ, სამაგიეროდ, გულმოდგინებისა და შეუპოვრობის წყალობით, ყველაფერს ხარისხიანად შეასრულებთ.

დაქორწინებულმა თხის რქებმა მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ საყვარელი ადამიანის მიმართ. გაითვალისწინეთ, რომ ურთიერთობის დეფიციტმა, შესაძლოა, არასასურველ პროცესებს დაუდოს სათავე.

თუ ენდოკრინული სისტემის რომელიმე დაავადება გაწუხებთ, გართულებების თავიდან ასაცილებლად აუცილებლად მიმართეთ ექიმს და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 17 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 14 ივლისი.**

## მერწყული
21 იან. – 19 თებ.

დროსა და ენერგიას ნუ დახარჯავთ სხვისი პრობლემების მოგვარებაზე, საკუთარიც გეყოფათ. შესაძლოა, მიიღოთ შემოთავაზება ახალ პროექტში მონაწილეობაზე, მაგრამ დაუყოვნებლივ ნუ დათანხმდებით, რადგან არ არის გამორიცხული, ბევრი რამ შეიცვალოს და შემოთავაზება არცთუ მომხიბვლელი აღმოჩნდეს.

დაოჯახებულმა მერწყულებმა თავიანთი საქციელით შესაძლოა ახლო ნათესავები გააღიზიანონ. უთანხმოება დიპლომატიური მეთოდებით მოაგვარეთ. შესაძლოა, შეგექმნათ ხერხემლის პრობლემა. თავი აარიდეთ დიდ ფიზიკურ დატვირთვებს.

**დადებითი დღე: 17 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 14 ივლისი.**

## თევზები
20 თებ. – 20 მარტი

შეძლებთ ბევრი ჩანაფიქრის განხორციელებას, მაგრამ თუ შეამჩნევთ, რომ ყველაფერი ისე არ გამოგდით, როგორც დაგეგმილი გქონდათ, თავით კედლის გატანას ნუ შეეცდებით — სასურველ შედეგს ძალისმიერი მეთოდებით ვერ მიაღწევთ.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი.

მეტი დრო დაუთმეთ საყვარელ ადამიანებზე ზრუნვას, განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყარით ოჯახის უმცროს წევრებს.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, მაგრამ კარგი იქნება, თუ ფიზიკურად მეტად დაიტვირთებით და მეტ დროს გაატარებთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 17 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 14 ივლისი.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

# «ვეფხისტყაოსანი» ახალი რაკურსით

**ქართველებს ორი ბიბლია გვაქვს: საკუთრივ ბიბლია და „ვეფხისტყაოსანი“. პირველი ქრისტიანული სულიერების საფუძველთა საფუძველია, მეორე — ქართული ეროვნული ცნობიერების ქვა და კირი...**



**როდესაც იხილავთ ამ უაღრესად მდიდრულ და, ამასთანავე, უაღრესად დახვეწილი გემოვნებით შესრულებულ გამოცემას, რომელშიც ქართულ და სვანურ ენებზე გვერდიგვერდ მეტყველებს ზოგადსაკაცობრიო შედევრი, თქვენ არამარტო «ვეფხისტყაოსნის», არამედ ქართული ენის (ენების) სიდიადესაც იგრძნობთ!**

ხელში მიჭირავს „ვეფხისტყაოსნის“ არსენ ონიანისეული სვანური თარგმანის მაღალპოლიგრაფიული გამოცემის სასიგნალო ეგზემპლარი და ვფიქრობ:

როგორი მდიდარია ქართული ენა!

როგორი ამოუწურავია ქართული სული!

როგორი უკიდეგანოა ქართული შემოქმედება!

ვფიქრობ ყოველივე ამის შესახებ და „უკან მომჩხავის ავბედითი შავი ყორანი“ — რა საჭიროა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა სვანურ და მეგრულ ენებზე, ეს ეს ხომ კუთხური სეპარატიზმის გაღვივებაა?!

ასეა კი?!

„ვეფხისტყაოსნის“ სვანურ ენაზე გამომცემელმა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ **გრიშა ონიანმა** თქვა: ჩემი დიდი წინაპრის ნათარგმნ „ვეფხისტყაოსანს“ რომ ვკითხულობ, ისეთი განცდა მეუფლება, თითქოს შოთა რუსთაველი სვანეთის მკვიდრი იყოო.

ბატონ გრიშას ამ ნათქვამისთვის შესაძლებელია განსაკუთრებული მნიშვნელობა არც მიმენიჭებინა, მაგრამ მისმა ამ სიტყვებმა, დიდი ხნის წინათ მივიწყებული, თუმცა მეხსიერების რომელიღაც ბნელ კუნჭულში შემონახული ერთი ისტორია გამახსენა:

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილმა ქართველმა ფილოსოფოსმა, პროფესორმა **ვენორ ქვაჩახიამ**, რომელმაც მთელი თავისი შემოქმედება მეცნიერული კვლევა-ძიების ახალი სკოლის „ცნობიერების სოციოლოგიის“ ჩამოყალიბებას მიუძღვნა, მისი ხანმოკლე სიცოცხლის (იგი ორმოცდაჩვიდმეტი წლისა გარდაიცვალა) უკანასკნელი წლები „ვეფხისტყაოსანს“ დაუთმო და მეცნიერულ რუსთველოლოგიაში სრულიად ახალი სიტყვა თქვა, რომელიც გახმაურებულ მონოგრაფიაში „ვეფხისტყაოსნის“ საიდუმლო, ანუ ანდერძი რუსთაველისა“ ჩამოაყალიბა.

სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვული მეცნიერი, უმძიმესი ტკივილების გამო ნააზრევის წერილობით ჩამოყალიბებას ვერ ახერხებდა, რის გამოც მე, იმჟამინდელ მის ასპირანტს, წილად მხვდა ბედნიერება, მისი ნაკარნახევის ქაღალდზე გადატანისა, რითაც არამხოლოდ მომსწრე, არამედ თანამოზიარე გავხდი იმ რთული შემოქმედებითი პროცესისა, რომელსაც ხსენებულ მონოგრაფიაზე მუშაობა ერქვა.

და აი, რა მითხრა მაშინ პროფესორმა ვენორ ქვაჩახიამ:

„ვეფხისტყაოსანში“ ასე ღრმა წვდომისას ისეთი განცდა მეუფლება, თითქოს ეს გენიალური ნაწარმოები მეგრელი კაცის დაწერილია, მაგრამ ამას ხმამაღლა ხომ არ ვიტყვიო. მითხრა ჩემმა დიდმა მასწავლებელმა ეს და ამის შესახებ არც მას (დარჩენილი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე) და არც მე, ამ ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში ხმაკრინტი არ დაგვიძრავს, მაგრამ დღეს, მას შემდეგ, რაც ბატონმა გრიშა ონიანმა მითხრა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სვანი კაცის დაწერილი მგონიაო, არამარტო უფლებამოსილად, არამედ ვალდებულადაც კი ვგრძნობ თავს, ეს „საიდუმლო“ გავამხილო და აი რატომ:

„ვეფხისტყაოსანი“ ისეთი უნიკალური ნაწარმოები ყოფილა, რომელიც თავისი სუბსტანციურ-ეგზისტენციალური მნიშვნელობით არამხოლოდ ზოგადქართული მოვლენაა, არამედ საქართველოს ისტორიულ კუთხეთა ფსიქოლოგიურ-სოციოლოგიური სურათის ისეთი ჟამთა აღმწერელიც, რომ ყოველი კუთხის წარმომადგენელი მასში „კუთხურობის“ იმ უტყუარ ნიშანს აღმოაჩენს ხოლმე, რომლის შესახებაც ვაჟა გვეუბნებოდა:

**„ნუ გეშინიათ, არ გავნებთ მთიდან ყვირილი ხარისა!“**

ცნობილი მეცნიერი **ლევან თაქთაქიშვილი** წერს: „ვეფხისტყაოსანი“ სვანებისთვის მშობლიურია. არ არის გამორიცხული, რომ რუსთაველი სვანეთის ჭიუხებში ცხოვრობდა. ის ხომ საქართველოს ყველა კუთხეს ეკუთვნის. ის ქართლელიცაა და კახელიც, გურულიც და იმერელიც, სვანიც და მეგრელიც, აჭარელიც და აფხაზიც, ოსიც. ის ხომ ჩვენი ყველას წინაპარია“.

რაკი ასეა, იმ „ავბედით, შავ ყორანსაც“ უნდა ვუპასუხო: არც სვანური და არც მეგრული ენა (ისევე, როგორც დედაქართული) ხელოვნურად არავის შეუქმნია. ისინი ბუნებაში არსებობენ და იარსებებენ, ვიდრე დედა-ქართული იარსებებს. იარსებებენ, როგორც უშრეტი წყარო ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრებისა და გამრავალფეროვნებისა.

ვის შეუძლია აწონოს და გაზომოს რამდენით და რამდენად გამდიდრდა როგორც სვანური, ასევე დედა-ქართული არსენ ონიანის მიერ ამ უაღრესად შრომატევადი შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების პროცესში?!

ქართული, მეგრული და სვანური ენების ურთიერთშეღწევა უაღრესად საშური საქმეა, მაგრამ აქ, როგორც ხელოვნური აჩქარების, ასევე ხელოვნური შეყოვნების პროცესი კონტრპროდუქტიული იქნება.

**როდესაც იხილავთ ამ უაღრესად მდიდრულ და, ამასთანავე, უაღრესად დახვეწილი გემოვნებით შესრულებულ გამოცემას, რომელშიც ქართულ და სვანურ ენებზე გვერდიგვერდ მეტყველებს ზოგადსაკაცობრიო შედევრი, თქვენ არამარტო „ვეფხისტყაოსნის“, არამედ ქართული ენის (ენების) სიდიადესაც იგრძნობთ!**

ამგვარ საშვილიშვილო საქმეთა კეთება მხოლოდ ისეთ ადამიანებს ძალუძთ, რომლებსაც არსენ ონიანის შემოქმედებითი ნიჭი და მისი შთამომავლის, გრიგოლ ონიანის, პატრიოტული შემართება ამოძრავებთ.

**ვალერი კვარაცხელია,**
**ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**







დავით ლორთქიფანიძე:

# კაცი, რომელიც 26 მაისს მოკლულის ოჯახს აშანტაჟებდა, პარლამენტში ზის

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, დავით ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ საპარლამენტო ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი პაატა ლეჟავა 2011 წლის 26 მაისს მოკლული სულიკო ასათიანის ოჯახს აშანტაჟებდა და ემუქრებოდა. დეპუტატის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სულიკო ასათიანის ოჯახმა ამის შესახებ პროკურატურას მიმართა, საქმე დღემდე არ არის გამოძიებული და დეპუტატი პაატა ლეჟავა დაკითხვაზე არც კი დაუბარებიათ.**



„2011 წლის 26 მაისს სულიკო ასათიანი კვინტრაძესთან ერთად მოკლეს და მაღაზიის თავზე დააგდეს. ვერ ვიტყვი, რომ გამოძიება თაროზეა შემოდებული, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე არ დაუკითხავთ ის ადამიანი, რომელიც დადიოდა სულიკო ასათიანის ოჯახში, ემუქრებოდა მის ქვრივსა და შვილს, აშინებდა და ეუბნებოდა, რომ სამართლიანობის ძებნისთვის თავი დაენებებინათ...

საუბარია პარლამენტის წევრზე, „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატ **პაატა ლეჟავაზე**, რომელიც მაშინაც დეპუტატი იყო და დღეს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავჯდომარის მოადგილეა. მასზე პროკურატურაში ჩვენება აქვს მიცემული სულიკო ასათიანის მეუღლეს. არ მესმის, მთავარმა პროკურატურამ დღემდე რატომ არ დაჰკითხა ლეჟავა, მერე რა რომ პარლამენტის წევრია?“ — განაცხადა დავით ლორთქიფანიძემ.

2011 წლის 26 მაისის საპროტესტო აქციის დარბევის შემდეგ, თავისუფლების მოედანზე მდებარე ერთ-ერთი მაღაზიის თავზე, სულიკო ასათიანისა და ნიკა კვინტრაძე გარდაცვლილი იპოვეს. ორივე მათგანი საპროტესტო აქციის მონაწილე იყო. დღემდე გაურკვეველია, როგორ მოხვდა ამ ორი ადამიანის ცხედარი სახურავზე.

ქვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

იური ბურდილაძის ფიტო-თერაპიული კაბინეტი

ცნობილი ქართველი ექიმი (პედიატრი-ნევროპათოლოგი-ფიტოთერაპევტი) ეკოლოგიურად სუფთა მცენარეებით მოარჩენს ბავშვის ყველა სახის ხველას, გაციებით გამოწვეულ ასთმას, ალერგიულ ასთმას ყველა ასაკში, უნებლიე შარდვას ყველა ასაკში, არასპეციფიკურ წყლულოვან კოლიტს-ნეფრიტს, გლომერულო-ნეფრიტს, ქრონიკულ ბუასილს, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს, კოქს-ართროზს, ქრონიკულ ქოლეცესტიტს, ბ-ჰეპატიტს, პროსტატს, ადენომას, შარდის ბუშტის ანთებას, საკვერცხის ქისტას-ქისტომას, ჰაიმორიტს, მოტეხილობის ყველა ფორმას, ქრონიკულ ტუბერკულოზს, ყურებში შუილსა და ხმაურს. ხანგრძლივად მიმდინარე კუჭის აშლილობა. ხანგრძლივად მიმდინარე კუჭის შეკრულობა.

იური ბურდილაძე გადავიდა მშობლიურ რაჭაში, ქალაქ ონში და იქ აგრძელებს ფიტო-თერაპიულ მკურნალობას.

ტელეფონი: 551-10-59-74.
მისამართი: ქ. ონი, მოედნის ქუჩა №20

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894